Samtskhe-Javakheti State University

GULANI

17

Publishing-House
„Akhaltsikhe University"
Akhaltsikhe -2015

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გულანი

17

გამომცემლობა
„ახალციხის უნივერსიტეტი“
ახალციხე – 2015

УДК (უაკ) 81+82+93/94+37
UDC გ 936

რედაქტორი ***მერაბ ბერიძე***

სარედაქციო საბჭო: ***ნესტან სულავა*** *(რედაქტორის მოადგილე),*
მაკა ბერიძე *(პასუხისმგებელი მდივანი),*
თინა იველაშვილი, მარინე შონია, რომან გოგოლაური

მდივანი: ***მარეხ ოქრომელიძე***

რეზიუმეები თარგმნეს ***გულნარა ჯანოვამ და დიანა მიქელაძემ***

რედაქციის მისამართი: ახალციხე, რუსთაველის ქ. №106

©სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2015
ISSN 1987-6157

ასმათ ევსაია

სიტყვა-სიმბოლოები ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებში

სიმბოლიკა ლიტერატურაში, ხელოვნებაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში ცნობილია უხსოვარი დროიდან. სიმბოლიკა არის ნიშანი, რომელიც პირობითად აღნიშნავს მოვლენის არსს, მის იდეას და აქვს გადატანითი მნიშვნელობა. გადატანა ხდება როგორც საგნობრივ, ასევე ენობრივ დონეზე. საგანი-სიმბოლოები „მოქმედებენ“ განსაზღვრულ სიტუაციაში (თეთრი ბაირაღი გამოხატავს კაპიტულაციას; წითელი ჯვარი და წითელი ნახევარმთვარე – გულმოწყალებას, ჰუმანურობას, მხარდაჭერას; хлеб-соль (რუსეთში) სტუმართმოყვარეობას, გულთბილ შეხვედრას), მაშინ როდესაც ენობრივი სიმბოლოები უნივერსალურია. „სიმბოლო ხალხის კულტურის ფენომენია. მეცნიერები უწინარეს ყოვლისა ხაზს უსვამენ მის სოციალურ მნიშვნელობას, ანუ სიმბოლოს ჩართვას სოციალურ კონტექსტში - მის ტრადიციულობას, კონვენციონალურობას, გაგებას“ (ივანოვი, 2002: 113).

უმეტესწილად ენობრივი სიმბოლოები სათავეს საგნობრივიდან იღებენ. თუმცა მათი წარმოქმნა შესაძლებელია ენაშიც, როგორც განსაკუთრებული სიტყვათხმარება. თუ საგანი-სიმბოლოსთვის აუცილებელია სიტუაცია (საზოგადოებრივი, ყოფითი), სიტყვა-სიმბოლოსთვის აუცილებელია მისი ხმარება თავისუფალ შესიტყვებებში, რომლებიც შემდგომში მყარ ფრაზეოლოგიურ გამონათქვამებად ყალიბდება. (სიტყვის ხმარება „წმინდა“ სიმბოლოდ – იშვიათი გამონაკლისია). „სიტყვა-სიმბოლოები ფრაზეოლოგიზმების კულტურულ-ნაციონალური ინტერპრეტაციის ერთ-ერთი წყაროა“ (თელია, 1996: 118).

„სიმბოლოდ შეიძლება იქცეს ნებისმიერი სიტყვა, რომელიც აღნიშნავს საგანს, მოვლენას, მოქმედებას, ნიშან-თვისებას, მხოლოდ ერთი პირობით: ამ ენის მატარებლებისთვის ასოციაცია და შეფასება აუცილებლად უნდა იყოს სოციალურად გამყარებული, ანუ ერთნაირად აღქმადი. თუ სიმბოლიკა უნივერსალურია, იგი ვრცელდება ყველა ან ბევრ ენაში). ცხადია, ამიტომ სიმბოლოდ, როგორც წესი, კონკრეტული სემან-

ტიკის საყოველთაოდ ხმარებადი სიტყვები გამოიყენება" (ქუთათელაძე, 2003: 78).

„შედარებით ხშირად სიმბოლოებად გამოიყენება არსებითი სახელები, როგორც ყველაზე ხატოვანი სიტყვების კატეგორია, რომლებიც ყველაზე ადვილად იძენენ გადატანით მნიშვნელობას" (გვოზდარითვი, 2001: 182).

ქართულ და რუსულ ენებში ასევე უდავოა გადატანითი მნიშვნელობის ზმნების სიმრავლე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ზმნა-სიმბოლოები, რომლებიც ხმარება როგორც მოძრაობისა და მდგომარეობის განმაზოგადებელი მეტაფორული აღნიშნვა, ხშირად მოტივირებულია არსებითი სახელით. შედეგად წარმოიქმნება ასოციაციური წყვილები: ცეცხლი-დაწვა, იწვის; აივსო, დაცალა, დალია; огонь – гореть, чаща-пить, литься и др.

ადამიანთა გრძნობები და მთელი ცხოვრებაც კი სხვადასხვა ეთნოსში უძველესი დროიდან გამოიხატება ჯამის (ფიალის) სიმბოლოთი. აქედან წარმოიშვა კავშირი წყალთან: მოთმინების ფიალა აივსო, ჯამი ნაღველი, მწუხარებამ დალია, გულად ლევა, საწუთროს დაცლა, დაილევნენ დღენი და ა.შ. Испить горькую чашу (додна), хлебнуть горя, чаща терпсния (переполнилась), излить душу, излить гнев, облить презрением, радость льётся через край и т. д. შესაძლოა ეს სახე სახარების ტექსტიდან იყოს (იესოს ლოცვა გეთსამანიის ბაღში); "მამაო, თუ გნებავს, ამაცალე ეს სასმისი! თუმცა იყოს არა ჩემი ნება, არამედ შენი". "Отче Мой! Если возможно, Да минует меня чаща сия!... впрочем, не как Я хочу, но как Ты» (ლუკა, 22, 42) აქედან მომდინარეობს გამოთქმა - "испить свою чашу до конца" ე.ი. ბოლომდე აიტანო ყველა ტანჯვა და უბედურება.

სიმბოლო შეიძლება იყოს საყოველთაო, ფართოდ გავრცელებული (ვარსკვლავი ბედნიერებისა და ბედის სიმბოლოა, ბეჭედი – ქორწინების, კედელი – დაბრკოლების) ან საერთო რელიგიის, კულტურისა და ისტორიის ხალხთა ენაში გავრცელებული ქრისტიანული სიმბოლოებია ჯვარი და ნათელი - მადლის, წყალობის სიმბოლო; ძველისძველი სლავური სიმბოლოებია гора и вода: მთა – მწუხარების სიმბოლოა, წყალი კი - სიყვარულის.

ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიაში მრავლადაა სიტყვა-სიმბოლოები. ჯერ კიდევ წარმართობის დროს, როდესაც გავრცელებული იყო ტოტემიზმი, ადამიანები სიმბოლოებად აქცევდნენ საგნებს, მოვლენებს, ანუ სიმბოლიკას იძენდა

სიტყვა-სახელწოდება. ეს მოვლენა ნათლად ჩანს ცხოველებისა და ფრინველების სიმბოლიზაციაში. ცხოველების სიმბოლო-სახე ყალიბდებოდა განსხვავებული ცრურწმენის გავლენით. ამიტომ შესაძლებელი იყო ამა თუ იმ ცხოველზე ორი ან უფრო მეტი შეხედულების არსებობა. საბოლოოდ ენაში სიმბოლოდ მკვიდრდებოდა ის, რომელიც მეტად ახლოს იყო ხალხის მასასთან. უძველესი სლავების რწმენით, კურდღელი ეშმაკის სახეს წარმოადგენდა; მასთან შეხვედრა ცუდის მომასწავებელ ნიშნად ითვლებოდა. მაგრამ რუსულ ფრაზეოლოგიაში კურდღელი მხოლოდ შიშის, სიმხდალის სიმბოლოს წარმოადგენს: заячьядуша, трусливкакзаяц. ქართულ ფრაზეოლოგიაში კურდღლის სიმბოლო საერთოდ არ გვხვდება. ცხოველებისა და ფრინველების სიმბოლოებისუმეტესობა საერთოა ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიაში. მაგალითად მგელი, გველი, ცხენი, დათვი, თაგვი, ძაღლი. მაგრამ ხშირია შემთხვევები, როდესაც ერთი ენის ფრაზეოლოგიზმში ასახული სიმბოლო მეორე ენაში წარმოდგენილი არ არის. ასეთებია: მაჩვი-მაჩვი არ დაიჭიროს, მაჩვის ფეხი; კვერნა- კვერნა დაიჭირა; ჯორი-ჯორის საპალნე, ჯორიდან ჩამოსვლა. кот –кот наплакал, арестант-сорок бочек арестантов (арестант - წვრილი გამხმარი თევზი); пескарь-премудрый пескарь; нибе, ниме, никукареку. გლეხურ მეურნეობაში ცხენი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა როგორც საქართველოში, ასევე რუსეთში. მისი თვისებების გამო ის შრომისმოყვარეობის სიმბოლოდ იქცა რუსულ ფრაზეოლოგიზმში-устал как лошадь. იგივე მნიშვნელობით ცხენის სიმბოლო ქართულ ფრაზეოლოგიზმებში არ გვხვდება. ვირის სიმბოლო მხოლოდ ქართულ ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება, თანაც სხვადასხვა მნიშვნელობით: ვირის ფასად (ძალიან იაფად, თითქმის უფასოდ), ვირის თავ-ფეხი (სრულიად არაფერი), ეშმაკის ვირზე შესმა (საჯაროდ შერცხვენა, სირცხვილის გრძნობის განცდევინება). ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებში ტიპიურია ინტერნაციონალური ფრაზეოლოგიზმები-კალკები ცხოველთა სიმბოლოებით: волк в овечьей шкуре -მგელი ცხვრის ტყავში, крокодиловы слёзы-ნიანგის ცრემლები, черепашьим шагом-კუს ნაბიჯით, волчья хватка-მგლის ლუკმა, буриданов осёл - ბურიდანის ვირი (წიგნ.) - ძალზე გაუბედავი ადამიანი (ბურიდანის ვირი - გამოთქმას მიაწერენ XIV საუკუნის ფრანგ ფილოსოფოსს ჟან ბურიდანს,

რომელმაც თავისუფალი ნების არქონის სადემონსტრაციოდ მოიყვანა ვირის მაგალითი, რომელიც თივის ორი ძნასთან იდგა და აბსოლუტური თავისუფლების პირობებში შიმშილით მოკვდა, ვინაიდან ვერ აირჩია ვერც ერთი). ძალიან საინტერესოა ფრაზეოლოგიზმებში წარმოდგენილი საპირისპირო მნიშვნელობის სიმბოლოები. მათი რიცხვი ძალზე მცირეა, მაგრამ საგულისხმოა ცხოველების კონტრასტული, შეუთავსებელი თვისებების გამოვლენის თვალსაზრისით: ტურა და მგელი ერთად დაწვება ამაღამ, როგორც ძაღლი და კატა, ცხოველების სიმბოლოების შემცველი ფრაზეოლოგიზმების უმრავლესობას თავისი გამოყენების სფერო გააჩნია: სასაუბრო ენაში-თაგვის სოროში შეძვრება, მეცამეტე გოჭი, სამგლე გოჭივით, უჯათ ცხენზე ჯდომა, მგლის მუხლის მობმა, როგორც თევზი წყალში, брать быка за рога, как рыба об лёд, мышиная возня, ხალხურ მეტყველებაში - ვირის თავ-ფეხი, პირკატა ქცა, канцелярская крыса, как баран на новые ворота; უხეშ ხალხურ მეტყველებაში – ძაღლივით ჩაკვდა, ჯორიდან ჩამოსვლა, драная кошка, пришей кобыле хвост, не баран начихал. ზოგიერთი ფრაზეოლოგიზმი სალანძღავი ხასიათისაა - ძაღლის ნათრევი, ფერთა სიმბოლიკამ ასახვა ჰპოვა ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებში. თეთრ და შავ ფერებთან ხალხთა უმრავლესობას თითქმის ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ. ეს განსაგებიცაა, თეთრი – დღის ფერია, შავი – ღამის. აქედან გამომდინარე, თეთრი სიკეთესთან არის დაკავშირებული, белый день, შავი კი ბოროტებასთან: чёрная зависть, чёрный список, чёрная душа, держать в чёрном теле; შავად გათენება (უბედური, ავი დღე დადგება), შავ (დღეზე) ვარსკვლავზე გაჩენილი (ადამიანი, რომელსაც უბედურება თან სდევს), შავ დღეს აყრის (მძიმე დღეები დაუდგება), შავი ბედი (უბედური ხვედრი), შავი ქვა (დიდი უბედურება, სიკვდილი),შავი გული (ბოროტი, ავი, ცუდი თვისებების მქონე ადამიანი), შავი კატა გაირბენს მათ შუა (ურთიერთობა გაუფუჭდებათ, უთანხმოება ჩამოვარდება), შავი მიწა წაიღებს (მოკვდება). *შავად გათენდა* 1089 წლის აღდგომა (კ. გამსახურდია). თეთრი ლაქა – белое пятно - საკითხის დაუმუშავებელი მხარე (XVII საუკუნეში, როდესაც კარტოგრაფებმა შეუსწავლელი, აღმოუჩენელი მიწების აღსანიშნავად რუკაზე „თეთრი ადგილების“ დატოვება დაიწყეს, წარმოიშვა ფრაზეოლოგიზმი „თეთრი ლაქა“); სხვადასხვა ფერებთან არის დაკავშირებული ფრაზეოლოგიზმები: ვარდის-

ფრად ეჩვენება – видеть всё в розовом свете (ეჩვენება რამე უფრო უკეთესად, ვიდრე სინამდვილეშია), წითელ ხოლად გასდევს – проходить красной нитью (მკაფიოდ გამოიხატება), წითელ მამალს ააფრენს – пустить красного петуха (ცეცხლს წაუკიდებს, გადაწვავს), дать зелёную улицу (თავისუფალად გასვლის სასუალების მიცემა). ქართული ფრაზეოლოგიზმი მგლის ფერი დაედება მრისხანე გამომეტყველების მიღებას ნიშნავს. „ივანეს მრისხანებისგან მგლის ფერი დასდებოდა და თმა-წვერი აშლოდა“ (გ. აბაშიძე).

ქვის, ლოდის სიმბოლო ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებში განსხვავებულია მნიშვნელობითაა წარმოდგენილი. ქვა–იარაღი: ქვას და გუნდას მიაყრის (ჩაქოლავს, გაკიცხავს), держать камень за пазухой; „და ჩვენებურად, მამაპაპურად, მტერს *მივაყაროთ ჩვენ ქვა და გუნდა*“ (ა. წერეთელი). „Призвал всех искренно прильнуть к общему течению, а не *держать камня за пазухой*“ (Толстой). ქვა-წინააღმდეგობა (*ლოდი შებრკოლების, камень преткновения*): „Женщина – это главный *камень преткновения* в деятельности человека“ (Толстой), ქვა-შენობანაგებობის მნიშვნელოვანი ნაწილი (ქვას ქვაზე არ დატოვებს, камня на камне не оставить); „უთხრა მას: ხედავ ამ დიდ ნაგებობებს? არ დარჩება აქ ქვა ქვაზე, რომელიც არ დაირღვევა“. «Истинно говорю вам: не останется здесь *камня на камне*; всё будет разрушено» (მათე, 24, 2).

ვის სიმბოლური მნიშვნელობა ეფუძნება მის ისეთ თვისებას, როგორიცაა განსაკუთრებული სიმტკიცე: ქვას გახეთქს (დიდი ძალა ექნება, ყოველგვარ დაბრკოლებას გადალახავს), ქვას რძეს გამოადენს (ძალიან ღონიერია). ქვა არის ადამიანური უსულგულობის, გულქვობის სიმბოლო: достучаться до каменного сердца, დიდ უბედურებაზე ან ადამიანურ ტანჯვაზე საუბრისას იხმარება ჰიპერბოლური კონსტრუქცია: камни возопиют, ქვებიც ღაღადებენ, ქვა იწვის სიბრალულით, ქვას თავს ახლის (სასოწარკვეთას მიეცა), ქვაც კი ატირდება, ქვაც კი დაწვა მისმა საცოდაობამ“. იქ ხალხს ხოცავდნენ, *ქვას ქვაზე არ ტოვებდნენ*“ (დ. შენგელაია,). ანსხვავებით რუსულისგან, ქართულ სიმბოლიკაში ქვა დამარცხებას, უნაყოფობას, უიმედობას, უპერსპექტივობას, ასევე დღეგრძელობას, სიმდიდრეს ალნიშნავს: ცივ ქვაზე დჯდომა, ცივ ქვაზე დაგასახლებს(დიდ უნარს გამოიჩენს), სიპ ქვაზე დატოვებს (უმწეოდ, მეტად

გაჭირვებულად დატოვებს), მისი ხნის ქვა არ გდია (ასაკიანია), ქვაცა აქვს და კაკალიც (არაფერი არ აკლია), კუდით ქვას ასროლინებს (სასტიკად დაამარცხებს, სამარცხვინოდ გადააქცევს): „ამ დღეებში განკარგულებას გასცემს და მორჩა – ჩვენს მტრებს კუდით ქვას ვასროლინებთ" (ვ. ჭელიძე); „– იმისთანა რაღაცი შემხვდა, რომ *ცივ ქვაზე დაასახლებს* კაცსო,- იტყოდა ხოლმე ქეთევანი" (ე. ნინოშვილი) „არავინ შეიბრალა ... სიც ქვაზე დატოვეს" (ი. გრიშაშვილი).

ქვის სიმბოლიკას მისი სიმძიმე და დიდი წონა უდევს საფუძვლად ისეთ ფრაზეოლოგიზმებში, როგორიცაა *მძიმე ლოდი დაეკიდება, გულზე ლოდივით აწევს (ადევს),* გულის მაგიერ ქვა უდევს (უშიშარი, შეუდრეკელი, ულმობელი, შეუბრალებელი), *каменьнасердце, каменьсдушисвалился.* „ოთარაანთ ქვრივს გულის მაგიერ ქვა უდევსო, - ამბობდნენ სოფელში" (ი. ჭავჭავაძე);" „განა ჩვენ-კი ქვის გული გვაქვს!" (ა. წერეთელი); "У меня *на сердце* был *камень*. Солнце казалось мне тускло, лучи его меня не грели" (М. Лермонтов). "У всех *камень свалился с души*, он был цели полон бурных планов (А. Толстой).

ბუნებრივია, უნივერსალური სიმბოლოების მნიშვნელობების უმრავლესობა ბევრი ენისთვის საერთოა. განვიხილოთ უნივერსალური სიმბოლოები – ადამიანის სხეულის ნაწილების მაგალითზე. მაგ., *თვალი-ყურადღება; (საჭიროა) თვალი და თვალი, нужен глаз да глаз, გერმ. anz Augezein;* „ცუდი" თვალის არსებობის რწმენა პრაქტიკულად ყველა უძველესი ხალხებისთვის არის დამახასიათებელი. განსაკუთრებულზე, მშვენიერზე, სასურველზე ქართველები ამბობენ *„ავთვალს არ დაუნახვება" (ავი თვალით არ ინახვება),* რუსები – *как бы не сглазить (несглазитьбы).* ქართველებში თვალს შეუძლია უბედურების „წინასწარშეტყობინება": "*თვალი საწყენს მეუბნება". ხელი* (მხარდაჭერა, დახმარება). *ხელს აძვარებს, иметь (свою) руку, გერმ. j-m un die Hand geben,* ingl. *give smb a helping hand,* frang. *tendre un main secorable, avoir qn sur le bras;* რუსულში ხელს მაგიური ძალა მიეწერება. რუსები ამბობენ слёгкой руки, лёгкая рука, რაც რუსული ანდაზის слёгкой руки ипочин дорог აბრევიაციას წარმოადგენს. თითის - *ხუთი თითივით იცის, как свои пять пальцев, იმ კლაინენ ფინგერ ჰაბენ;* „ეს სულ უნდა, *როგორც შენი ხუთი თითი,* იცოდე... ხუმრობა არ არის" (ი. ჭავჭავაძე). "Лакей знает этот город *как свои пять пальцев*" (Чехов).

ფეხის - *ფეხს არ დაადგამს, нога не ступала, keinen fuв übe j-s Schwegelle setzen;*

ცხვირის, როგორც ორიენტაციის საშუალების სიმბოლიკა ქართულ ფრაზეოლოგიზმებში არ გვხვდება. არის რუსულ და გერმანულ ფრაზეოლოგიზმებში *держать нос по ветру, (immer) der Nase nach.* „*Держи нос по ветру*, и всё пойдёт как помаслу" (Данилевский).

მხოლოდ ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებში გვხვდება ღვიძლის სიმბოლიკა, როგორც გრძნობების ეპიცენტრი – *в печенках сидит* (თავს აბეზრებს, აღიზიანებს), *за печенку берёт, всем ипечёнками* (ძალიან ეჯავრება, ეზიზღება) და უახლოესი კავშირების სიმბოლო - *ღვიძლი ძმა, ღვიძლიშვილი.* "Что угодно скажи, но чтобы поверили, что мы утебя *в печёнках сидим*" (К. Симонов). "Портниха Марья Афанасьевна *все мипечёнками* ненавидевшая Ольгу Вячеславовну, называлаей «клеймёная» (А. Толстой).

ხოლოდ ქართულ ფრაზეოლოგიზმებშია გულის, როგორც დამახსოვრების – *გულის ფიცარზე დაწერა, გულზე იბეჭდავს,* და პირის, როგორც აშკარა პერსპექტივის სიმბოლიკა - *კარგი, ცუდიპირიუჩანს.* „მაშინ დედაჩემი 12 წლისა იყო და ყველაფერი *გულის ფიცარზე დაებეჭდა* (ა. წერეთელი). „პურეულის მოსავალს *კარგი პირი უჩანს*" (ა. წერეთელი). -არა, არა, შენი კვნესამე, ტყუილად დასტანჯავს. ამას *საქათის პირი ალარ უჩანს*" (შ. არაგვისპირელი).

მზე, როგორც მრავალ სიმბოლური ცნება ქართულ ფრაზეოლოგიზმებში მრავლადაა წარმოდგენილი. ქართულ ტრადიციაში მზე არის სიცოცხლის, სიყვარულის, სილამაზის განსახიერება. საქართველოში ოდითგანვე გავრცელებული იყო და დღემდე არსებობს მზის ფიცი: ჩემმა მზემ, ჩემს მზეს ვფიცავარ, შენმა მზემა - (ფიცის ნომინაცია), მზე მაღლა იყოს (უეჭველად, სრული ჭეშმარიტებაა), მზესავით ნათელი (სკარა, ყველასათვის გასაგები), მზის ყურება (ცქერა)-(სიცოცხლის ნომინაცია), მზით გაუმაძღარი - (უდროოდ(ადრე) გარდაცვლილზე), მზის დაბნელება, მზის გაშავება, მზე გაუქრა - (სიკვდილის ნომინაცია), მზე ჩაესვენა (ბოლო მოელო ბედნიერ ცხოვრებას), მზე ამოუვა (ტანჯვას დაადგება თავს), ჩვენსკენაც გადმოიხედავს მზე (უკეთესი მომავლის, რისამე დაძლევის იმედი), მზე ამოსდის ვინმეზე, მზე და მთვარე ამოსდის -

(ადამიანისადმი უსაზღვრო სიყვარული); მზის ჩასვლა-(მწუხარება); მზეს ეტამასება, მზის მონათალი, მზის ნატეხი, მზის შვილი, მზე ამომავალი- (ადამიანის სილამაზე): „ჩაუხდა ბედის ვარსკვლავი, მალე *მზეც გაუქრებაო*“ (ბაჩანა). „შემეძლო ელგუჯას *მზე გამექრო*“ (ა. ყაზბეგი). „ერთს ეტრფის, *მზე ამოუდის* მასზედა“ (ვაჟა-ფშაველა). „წასვლით ისე წავალ თრიალეთს, *მზეც მალლა იდგომება*“ (კ. გამსახურდია). „მრავალ სპარსელს *დაუბნელეს მზე* და თავი შესწირეს მეფესა და საქართველოს“ (ი. გოგებაშვილი). „...ქველა აშკარად დაინახავდა, - მოხუცს *მზე და მთვარე* ონისეზედ *ამოსდიოდა*“ (ა. ყაზბეგი). –დაიცა! გამოდი გარეთ, - დაუძახა ონისემ: - დავინახოთ ერთურთი და, ვისიც *მზე გაშავდების*, ნახავ“ (ა. ყაზბეგი).

რუსულ ენაში სრულიად განსხვავებული მნიშვნელობით გვხვდება მზის სიმბოლიკის შემცველი ერთადერთი ფრაზეოლოგიზმი – место под солнцем – არსებობის უფლება, ადგილის დამკვიდრება საზოგადოებაში: “Я писал о людях, которые, завоевав *место под солнцем*, тянулись к знанию” (В. Бахметьев); „Мы твёрдо уверены, что каждому человеку найдётся *место под солнцем*” (Н. Акушкин).

როგორც ქართული, ისე რუსული ფრაზეოლოგიზმებისთვის დამახასიათებელია თავსაბურავების სიმბოლიკა, რომელიც თავისებურად ვლინდება თითოეულ ამ ენაში. ძველ რუსეთში ქალები თავსაფრის გარეშე სახლიდან არ გადიოდნენ. ქალისთვის მოსახვევის მოხსნა მის შეურაცხყოფად ითვლებოდა. თუმცა, მოსახვევი, როგორც სიმბოლო, რუსულ ფრაზეოლოგიზმებში არ შემორჩა. განსხვავებული სურათია ქართულში. ქართულ ფრაზეოლოგიზმებში ქართული ნაციონალური სამოსის განუყოფელი ნაწილის - ლეჩაქის სიმბოლიკა დამკვიდრდა როგორც ქალური საწყისების, სიწმინდის, სიამაყისა და ღირსების სიმბოლო: თავზე ლეჩაქისმოხდა (ნამუსის ახდა, შერცხვენა (ქალის), ლეჩაქს ვერ გადაახევს (ვერაფერს დააკლებს), ლეჩაქს დაიხურავს (მამაკაცი, რომელიც ლაჩრულად მოიქცევა, სიმხდალეს გამოიჩენს), ლეჩაქის ყურზე გამობმული (მამაკაცს დაიმორჩილებს), შენი ლეჩაქი დამხურე! (მე არ ვიქნები კაცი...): - ჩემს ძმასაც კი ვკიცხავდი ... - რათა?! – მოტყუებით რომ მოგიყვანა და *თავს მანდილი მოგხადა*“ (შ. არაგვისპირელი). “– რაისთვი *მომხადე ლეჩაქი*, რაისთვი სალექსედ გამიხადე საქმე, რაისთვი მომიტაცე? (ა. ყაზბეგი).

„შენმა სიცოცხლემ, *ლეჩაქი არ გადამახოო თავზე*“ (ა. წერეთელი). „რადგან ვაჟკაცებს *ლეჩაქი დაუხურავთ* და ომს გაურბიან, მაშ ვიღა უნდა დახვდეს მტერს წინ, თუ არ დედაკაცები? – ამბობდა ბებერი“ (ვ. ბარნოვი). „ეს გურიელიც მოუსვენარი, სახელგანთქმული, ვეფხვი, ლომკაცი, დღეს ... *ლეჩაქის ყურზე მყავს გამობმული*” (ა. წერეთელი).

ქუდი – მამაკაცის ღირსების სიმბოლო, მრავლადაა ქართულ ფრაზეოლოგიზმებში: ქუდზე კაცი (ძვ. უკლებლივ ყოველი მამაკაცი), ქუდი ხურავს (გულადი და ზნეობრივად უმწიკვლო ადამიანი), ქუდი არა გვხურია, თუ..., ქუდი დავდოთ და სამართალი ისე ვთქვათ, (ღირსეული და სამართლიანი ადამიანი), ქუდის მოხდა (საჯაროდ შერცხვენა), უქუდოდ სიარული, ქუდის შემარცხვენელი (შერცხვენა). უქუდოდ სიარული ძველად საქართველოში სირცხვილად ითვლებოდა: „- აბა ეს მე და ეს შენ, დამკარ თუ ... *ქუდი გხურავს*“ (ი. ჭავჭავაძე). „უწინ როზგი მაინც არ ყოფილა, ახლა კი ვაჟკაცს *ქუდი მოჰხადეს*, საქვეყნოდ სცემენ” (მ. ჯავახიშვილი). „აჯანყებულებმა ...იარაღასხმული *ქუდზე კაცი* გამოიყვანეს საბრძოლველად“ (გ. აბაშიძე). საქართველოში ქუდი ხშირად წარმოშობის, საცხოვრებელი ადგილის არაენობრივ ნიშნად ითვლებოდა; მოგვიანებით ის ამა თუ იმ კუთხისათვის დამახასიათებელ ზნე-ჩვეულების, ადათის გაზიარების, ტრადიციების, ჩვევების ენობრივ სიმბოლოდ იქცა; აქაური ქუდი დაიხურა: „ესეც *აქაური ქუდი* ყოფილა. მეც ხომ წიკლაური ვარ და *უნდა დავიხურო*“ (მ. ჯავახიშვილი). „ბევრი მქონდა სათქმელი, მაგრამ ისევ ხევსურული *ქუდი დავიხურე* და გავჩუმდი” (მ. ჯავახიშვილი). ქუდბედი დაჭვება (იღბლიანი ადამიანი): „*ქუდბედი დაჭყოლოდა* სელიმხანს!“ (ვ. ბარნოვი).

რუსულ ფრაზეოლოგიზმებში ქუდი ან პირდაპირი *шапку ломать – ქუდის მოხრა, к шапочному разбору-ბოლოს მისვლა*, ან გადატანითი, მეტონიმიური მნიშვნელობით გვხვდება *получать по шапке- გამოქდებული, გათავისუფლებული.*“– Не такой ты чин, что перед тобой *шапкуло мать*! – закричал Пугачёв” (Шишков). „Пожалуй, что и правда пора, - соображал он, - что же, *кшапочному разбору-то* прийти?’ (Бунин).

კალთა გვხვდება მხოლოდ ორ რუსულ ფრაზეოლოგიზმში держаться за (материнский) подол (დამოკიდებული), принести вподоле (უკანონო შვილის გაჩენა). ორივე შემთხვევაში სიტყვა გადატანითი მნიშვნელობითი ხმარება.

ქართულ ფრაზეოლოგიზმებში კალთას ბევრი სიმბოლური მნიშვნელობა აქვს: კალთის დაბერტყვა, კალთით მიცემა (გულუხვობა), კალთას აფარებს (მფარველობს), დედის კალთაში თავისდება (დამცველის, მფარველის გაჩენა), კალთაში ჩაჯდომა (სიახლოვე), კალთის მიბერტყვა (განხეთქილება), კალთას აგლეჯს (ძლიერ ეხვეწება), კალთების აკრება (გაქცევა). აქვე ავღნიშნავთ, რომ ამ ფრაზეოლოგიზმებთან ხატოვნად ახლოს დგას ქართული კალთის დაჭერა და რუსული хвататься за подол (გასაქანს არ აძლევს):“ ჩვენს დალოცვილ ქვეყანაში, სადაც ქრისტე-ღმერთს თავისი უხვი *კალთა დაუბერტყია*” (ი. ჭავჭავაძე); „კარგებსა ჩაგრავს, უმსგავსთ კი *კალთას აფარებს* შველისა” (ვაჟა-ფშაველა). „მუდამ *დედის კალთაში თავისდების* ისეთი ზეგავლენა ჰქონდა მამაჩემზე, რომ თვითნებობა დაახირებულობა ზნედ ჰქონდა გადაქცეული (ა. წერეთელი)„ ერთის ასეთის ბრძენის მოწმობას მოვიყვან, რომელსაც ბატონი ვერსად გაექცევა, თუმცა კი *კალთებს აიკრებს* – როგორმე მოვძურწო და თავი დავიძვრინოვო” (ი. ჭავჭავაძე).

ჯიბე ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებში მატერიალური შესაძლებლობების სიმბოლიკას წარმოადგენს: ჯიბესთან უკაცრავად ყოფნა (სიძუნწე), ჯიბეში თაგვები ითამაშებენ, ჯიბეში კატა უჭყავის (ფულიარააქვს), ფულებს ჩაიჯიბავს (მოიხვეჭს, მოისაკუთრებს), ფული ბუირივით უყრია ჯიბეში (ბევრი ფული აქვს), ჯიბეს გაივსებს (გამდიდრდება): „არაუშავსრა, ერთი ოთხი წელი წადი რომ *თაგვები ითამაშებენ იმის ჯიბეში*, მაშინ ფულის ყადრის სწავლის“ (რ. ერისთავი). „გემო ჰქონდათ და წელი არ მოსდევდათ, ფასი იცოდნენ და *ჯიბეში კატა უჭყაოდათ*“ (დ.შენგელაია). Встерсвиститвкарманс: „Телеграфируйте печатной канторе, чтобы она поскорее выслала мне 300 рублей, а то у меня *ветер свистит в карманах* ”(Чехов). თუმცა უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ სიტყვას ორივე ენაში სხვადასხვა სიმბოლური დატვირთვა აქვს. ქართულში ჯიბეში ჩასმა ნიშნავს მოტყუებას, ჯიბიდან გავარდნილი - დაკარგულს, დალუპულს, არვარგს, რუსულში კი ჯიბე აღნიშნავს საკუთრებას, რომელსაც შენი შეხედულებისამებრ განკარგავ: нелезть засловом в карман, держать кулак в кармане (დაფარული, დამალული). „Уж он скажет так скажет. В *карман за слово неполезет* ” (Скиталец).

ულვაშის სიმბოლიკას ქართულ ფრაზეოლოგიაში უფრო მეტი სემანტიკური დატვირთვა აქვს, ვიდრე რუსულში: ულვაში ნუ მსხმია, ულვაში არა მქონდეს ზედ, ეს ულვაში ძაღლისა

იყოს, თუ..., ფუი, შენ სულვაშს! ვაჟკაცობის ორი სიმბოლო აერთიანებს ფრაზეოლოგიზმს: ულვაშიც იმათ ესხათ და ნამუსის ქუდიც ეხურათ. ეს ულვაში მომპარსეთ, თუ ... (სიმართლის, საიმედოობის გარანტია), რუსეთში წვერ-ულვაში ასაკზე, სოლიდურობასა და სოციალურ მდგომარეობაზე მიუთითებდა. ეს სიმბოლიკა მხოლოდ ორ ფრაზეოლოგიზმშია შემორჩენილი: мотать себе на ус-დამახსოვრება, сами с усам - არავისზე ნაკლები არ არის. „Начальство имеет тонкие виды даромчто - тодалеко, а оно *себе мотает на ус*" (Гоголь). „А меня били, понимаешь Грабили Только я и *сам с усам*! – Филька выхватил из-за пазухи окровавленный но жипо грозился улице" (Шишков).

ზოგიერთი სიტყვას მხოლოდ ერთ ენაში აქვს სიმბოლური მნიშვნელობა. ქართულ ენაში ასეთებია, მაგალითად, ბურთი, კვერი, მუცელი. ბურთი მრავალი ქართული ხალხური თამაშების აუცილებელი ატრიბუტია. ის გამარჯვების, წარმატების, საუკეთესო ვაჟკაცური თვისებების: ამტანობის, მოქნილობის, გამჭრიახობის გამოვლენის სიმბოლოა. ბურთი გააქვს (თავისას გაიტანს, მიზანს მიაღწევს), ბურთი და მოედანი დარჩა (გამარჯვებული გამოვიდა), ბურთივით ათამაშებს (თავის ნებასურვილზე ამოქმედებს), ბურთივით სათამაშო, სათამაშო ბურთი (სხვისი კარნახით მოქმედი), ჰა (ეს) ბურთი და ჰა (ეს) მოედანი (ვნახოთ, რასაც ვიზამ), ბურთსა და მოედანს დაინარჩუნებს (გამარჯვება მას დარჩება), ბურთი ხელთა აქვს (წარმატება, გამარჯვება), ბურთს პირში ჩრის (სიტყვის თქმის საშუალებას უსპობს): "აი, *ეს ბურთი და ეს მოედანი*, ვცადოთ: ცდა ბედის მონახევრეაო – მე უარზე არა ვდგავარ, ვცდი" (ი. ჭავჭავაძე). „ცხოვრების მოედნიდან *ბურთი* დღეს მარტო მცოდნეს *გააქვს*" (ი. ჭავჭავაძე). „ეს ის დიანბეგი კი არ არის, რომელსაც ... ბურთივით ათამაშებდი" (ი. ჭავჭავაძე). „მარტო გულგაუტეხელი მებრძოლი *დაინარჩუნებს ხოლმე ბურთსა და მოედანს* ამ წუთი-სოფელში" (ი. ჭავჭავაძე). „...არ ბრაზობდა..., მაგრამ თავისი შემპარავი ღიმილით ყველას *პირში ბურთსა სჩრიდა*" (ა. ყაზბეგი).

კვერი, სამჭედლო ურის მნიშვნელობით არის ერთსულოვნების, დახმარების, დროული მხარდაჭერის სიმბოლო: კვერს დაუკრავს, დაჰკრავს (დასტურს მისცემს); „მშვიდმა და თავაზიანმა კნეინა ეფემიამაც ელიზბარს *დაუკრა კვერი*" (მ. ჯავახიშვილი). კვერი – ფუნთუშა უზრუნველი, მხიარული ცხოვრების სიმბოლოა: კვერის ჯდომა გულში.

რუსულ ფრაზეოლოგიზმებში ძველისძველ სიმბოლოებად ითვლება водаиколея. სლავური სიმბოლო вода (სიყვარული, ქალიშვილი) რუსულ ნიადაგზე ახალ მნიშვნელობას იძენს *как воду канул, концы вводу* (უგზო-უკვლოდ დაკარგვა) *тише воды, ниже травы* (სიმშვიდე, უხინარობა); "Он взглянул на неё и в друг упал духом; радость его *как вводу канула*" (Гончаров). "Ну, да слава богу, дай это дело прикроем, и *концы вводу* .Стихнем девку без греха". (Л. Толстой). Колея – ბორბლის ნაკვალევი არის ჩვეულებრივის, მუდმივის სიმბოლო: выбить (вышибить) изколеи-ჩვეულებრივი ცხოვრების წესის დარღვევა, войти в свою колею, всвоей колее-ჩვეულებრივი ცხოვრების წესის დაბრუნება. "После разорения Москвы и его имения, *выбитый из* привычной *колеи*, он, видимо, чувствовал, что ему уже нет места в жизни" (Л. Толстой). "Аркадий Николаич присхал, и я опять *попала в свою колею*" (Тургенев). ქართულ ენაში ასეთივე მნიშვნელობისაა კალაპოტი: *თავის კალაპოტში ჩაყენება: „ეს ქვეყანა ასე თუ ისე ერთგვარ ცხოვრების კალაპოტში ჩადგა"* (ე.ნინოშვილი).

ენობრივი სიმბოლოების დიდი ნაწილი უნივერსალურია, ანუ ბევრ ენაში გვხვდება. მათ ფონზე განსაკუთრებით ნათლად ჩანს კონკრეტული ენის სიმბოლიკის თავისებურებები (ჩვენ შემთხვევაში ქართული და რუსული ენების). შეძენილი მნიშვნელობის დიაპაზონსა და ბუნებას შორის განსხვავება, რომელიც საკუთარი, განუმეორებელი შეხედულებების გამოხატულება, მეორე ენისთვის უცხოა. მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, რომ სიტყვა-სიმბოლოები ფრაზეოლოგიზმებში სრულად ასახავს ამ ენის მატარებელი ხალხისთვის დამახასიათებელ შეფასებისა და აღქმიაციების თავისებურებებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ახალი ალთქმა, თბ., 2005.

გაბუნია, 2013: Габуниа З. М., Каирова Р. Б. Культурное кодирование и языковая символика в русском языке. Нальчик, 2013.

გამრეკელი ნ. 1996 - გამრეკელი ნ., მგალობლიშვილი ე. – ქართულ-რუსული ფრაზეოლოგიური ლექსიკონი. თბ. 1966.

გვოზდარითვი, 2001: Гвоздарев Ю. А. Основы русского фразообразования. Ростов-на-Дону, 2001.

ვოინოვა, 1987 - Войнова Л. А., Жуков В. П. Фразеологический словарь русского языка. Москва, 1987.

თელია, 1996 – Телия В. Н. Русская фразеология. Семантический, прагматический, лингвокультурологический аспекты. Москва, 1996.

იარანცევი, 1997: Яранцев Р. И. Русская фразеология. Словарь-справочник. Москва, 1997.

ივანოვი, 2002 – Иванов Н. В. Проблемные аспекты языкового символизма. Москва, 2002.

კუნინი, 2005 – Кунин А. В. Большой англо–русский фразеологический словарь. Москва, 2005.

მოლოტკოვი, 1986: Молотков А. И. Фразеологический словарь русского языка/Под редакцией А. И. Молоткова. Москва, 1986.

ქუთათელაძე, 2003 – Кутателадзе Г. М. Рождение образа. Тбилиси, 2003.

შეკასხუი, 2006: Шекасюк Б. П. Немецко-русский и русско-немецкий фразеологический словарь. ЭТС, 2006.

Asmat Evsaia

WORD SIMBOLS AS SEMANTIC BACKGROUND OF PHRASEOLOGISMS IN GEORGIAN AND RUSSIAN LANGUAGES

Summary

The work deals with Semantics of word-symbols in Georgian and Russian phraseologisms.The work gives us the examples which clearly show that word-symbols which completely express peculiarities of values and associations of people speaking in these languages. The article is devoted to the cultural coding and liguistic symbols in theGeorgian and the Russianlanguages. First of all symbols are investtigated in association with different things, natural phenomena, etc., which substitute something concrete in the languages. Linguic symbols are studied in conjunction with some things operating with different words. Investigated in the article "code of culture" is considered to be an unwritten statute, created within any community.

მარიამ ბალასანიანი-გოგნაძე

დაარსებული თუ აღდგენილი სოფლები („სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმთა“ ხუთტომეულის მიხედვით)

1986-2001 წლებში გამოიცა ჰ. ბარსელიანის, თ. ჰაკობიანის და მ. ბახშიანის „სომხეთისა და მიმდებარე რაიონების ტოპონიმური ლექსიკონი“ ხუთ ტომად. გამოცემას წინ უძღვის მოკლე წინასიტყვაობა, საიდანაც ვიგებთ, რომ სომხურ ტოპონიმიაზე უძველესი დროიდან მუშაობდნენ როგორც უცხოელი, ისე სომეხი ავტორები. მისი აკადემიური კვლევა იწყება მე-19 საუკუნის ბოლოსა და მე-20 საუკუნის დასაწყისში.

ლექსიკონში დიდი ყურადღება ეთმობა ძველი სომხური ტოპონიმების წარმოშობას, მათ განმარტებებს, თქმულებებსა და ხალხურ გადმოცემებს.

ავტორები მიუთითებენ ტოპონიმური ლექსიკონების ენციკლოპედიურ ხასიათს XIX-XX საუკუნეებში. მათ შორის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მკრტიჩ პუტურიანის „სომხური ენციკლოპედია“, რომელიც გამოვიდა ბუქარესტში 1938-40 წლებში. მასში მხოლოდ სომხური ტოპონიმები იყო განხილული.

ხუთტომეულის ავტორებმა მიზნად დაისახეს სომხეთისა და მიმდებარე ტერიტორიების ტოპონიმური მასალის შეკრება-დამუშავება და კვლევა. ეს ენციკლოპედიური ხასიათის ლექსიკონი დააინტერესებს ბიზანტიის, სპარსეთის, კავკასიის და სხვა ქვეყნების უძველესი ისტორიით დაინტერესებულ პირებს.

ლექსიკონი მოიცავს 400 ათას კვადრატულ ფართობზე გაბნეულ ტოპონიმებს. ხუთ ტომში მოცემულია 136 ათასზე მეტი გეოგრაფიული სახელი. ავტორები მიუთითებენ მათი ტოპონიმური ინტერესების საზღვრებს: ჩრდილოეთით მდ. მტკვრამდე, სამხრეთიდან დასავლეთ ტიგროსის გამყოფ წყლებამდე, დასავლეთით ამასიისა და კესარიის რაიონებს, კილიკიასთან ერთად და აღმოსავლეთით კასპიის ზღვამდე. ამ ფარგლებში ხვდება რამდენიმე მეზობელი რაიონი და ქვეყანა (ჰაკობიანი ... 1986: 7-8).

ლექსიკონში ძირითადად აღწერილია სოფლები და სხვა ტიპის საცხოვრებელი ადგილები, ხოლო ნაკლებად ტბები, მდინარეები, მთაგრეხილები, მდელოები.

ძირითად სალექსიკონო მასალად ტოპონიმები გამოტანილია თანამედროვე სომხური ენით, ხოლო ძველსახელებიან ტოპონიმთა სხვაენოვანი ვარიანტები მოცემულია ფრჩხილებში ან ბრჭყალებში. ზოგიერთი მონაცემი ლექსიკონში დაზუსტებული არ არის.

ლექსიკონის შედგენისას გამოყენებულია ასურულ-ბაბილონური, ხეთური, სომხური, ბერძნული, სპარსული, ბიზანტიური, არაბული, ქართული, რუსული, თურქული წყაროები, სხვადასხვა პუბლიკაცია, არქივი, ხელნაწერი, ათეულობით ძველი და ახალი რუკა (ჰაკობიანი... 1986: 9-10).

ტოპონიმთა ლექსიკონში რამდენიმე სოფლის შესახებ ნათქვამია, რომ ისინი დააარსეს ჩამოსახლებულებმა, მაგ., სოფ. აბათხევი დააარსეს 1829-30 წლებში ყარსიდან დევნილმა სომხებმა, ხოლო ალასტანი, აგანა-ერზრუმიდან დევნილებმა. ასევე ახალ დაარსებულ სოფლებად არის მიჩნეული: ასფარა – 1924 წ. თოთხამი – 1908 წელს, კათნატუ – 1928 წელს. აქ ერთგვარ გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე, რადგან აბათხევი, ალასტანი და აგანა, როგორც სოფლები, მე-19 საუკუნის 30-იან წლებზე დიდი ხნით ადრე არსებობდა.

აბათხევი. სომხური ტოპონიმური ლექსიკონის მიხედვით, სოფელი აბათხევი მდებარეობს ახალციხის რაიონში, დაარსებულია 1829-30 წლებში კარინიდან დევნილი სომხების მიერ. 1968 წელს იყო 537 სომეხი მცხოვრები (ჰაკობიანი... 1986: 1).

სომხური ენციკლოპედიის მიხედვით აბათხევი დააარსეს ერზრუმიდან დევნილმა სომხებმა. დანარჩენი მონაცემები იგივეა, რაც სომხურ ლექსიკონში (სომხური ენციკლოპედია, 1974: 12).

სოფელი აბათხევი მოხსენიებულია ქართულ ენციკლოპედიაში. იგი მდებარეობს ახალციხის რაიონში, ახალციხიდან 16 კმ-ის დაშორებით. აქვს მხოლოდ დაწყებითი სკოლა, საშუალო სკოლა არის სოფელ წინუბანში (ქსე, 1975: 12).

ს. ჯიქიას „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ მოხსენიებული აქვს სოფელი აბათხევი, რომელიც ახალციხის რაიონის წყალთბილის სასოფლო საბჭოში შედის სხვა სოფლებთან ერთად (ჯიქია, 1958: 75).

ალასტანი. სომეხი ტოპონიმისტები ალასტნის შესახებ ამბობენ, რომ ის არის სოფელი ახალქალაქის რაიონში. მდე-

ბარეობს ქალაქ ახალქალაქიდან 21 კმ-ის დაშორებით, სოფელში მისდევენ მესაქონლეობას, მოყავთ კარტოფილი და მარცვლეული, არის საშუალო სკოლა, კლუბი, ბიბლიოთეკა, საავადმყოფო. დააარსეს ერზრუმიდან დევნილმა სომხებმა 1830 წელს (ჰაკობიანი... 1986: 66-67).

ამავე მონაცემებს თითქმის სიტყვა-სიტყვით იმეორებს სომხური საბჭოთა ენციკლოპედია და ასევე წერს, რომ ალასტანი დააარსეს ერზრუმიდან გადმოსახლებულმა სომხებმა 1830 წელს (სომხური ენციკლოპედია, 1974: 139).

ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის მიხედვით, სოფელი ალასტანი მდებარეობს ახალქალაქის რაიონში მდ. ჭოხრეთის ორივე ნაპირზე. ახალქალაქიდან 22 კმ-ის დაშორებით. აქ არის X–XI საუკუნის ეკლესია. XIII-XIV სს-ში იყო საუფლისწულო მამული (ქსე, 1975: 267).

ალატანი არ არის XIX საუკუნის დასაწყისში „დაარსებული“ სოფელი. ალბათ უფრო სწორი იქნებოდა თქმულიყო სომეხი მეცნიერების მიერ, რომ სოფელი განაახლეს სომხებმა. ამის თქმის საშუალებას პირველ რიგში გვაძლევს ძველი ქართული ეკლესია, რომელიც სოფლის ცენტრში დგას. ეკლესიას აქვს ქართული სამშენებლო წარწერები: „ესე მე ნოშელმან დავდე ქვაი“, „ესე მე დაჩიმ დავსუი საოლისძემან“ (ჯავახეთი, 2000: 71). ალასტნის წარწერები და ეკლესია აღწერეს მ. ბროსემ, ივ. როსტომაშვილმა (ცისკარიშვილი, 1995: 123).

ტაძარი „ჯავახურია“, მძლავრი მოცულობა თლილი კვადრატებით ისე ოსტატურად შენდება, რომ წყობის ხაზები თმის ღეროს სისქეს აღწევს, კედლები კი მტკიცე ზედაპირად იქცევა. მის ზედაპირზეა „დაბეჭდილი“ ყოველ კუთხეში, ეშმაკისაგან დასაფარავად, ბოლნური ჯვრები“ (ჯავახეთი, 2000: 70) ეკლესია X საუკუნის ბოლოსა და XI საუკუნის დასაწყისშია აშენებული (ჯავახეთი, 2000: 70-71). ალასტნის ეკლესია, რა თქმა უნდა, ქართველების მიერ არის აშენებული, ამიტომ გამორიცხულია, რომ ეს სოფელი დააარსებულიყო მე-19 საუკუნის დასაწყისში.

ალასტნის ეტიმოლოგიის დროს ორი ვარაუდი არსებობს. ერთ შემთხვევაში გამოყოფილია „–სტან“ სპარსული სუფიქსი (ბერიძე, 1992: 83), ხოლო სხვა შეხედულებით. ალასტანი იყოფა ორ ნაწილად – ალასტანი, სადაც ტანი „ეწოდება მიწის ვრცელ ნაკვეთს“ (ბედოშვილი, 2002: 63).

ალასტნის მნიშვნელობა განსაკუთრებით იზრდება ლაშა გიორგის დროს.

ალასტნის შესახებ თავისი აზრი აქვს გამოთქმული ივ. ჯავახიშვილს (ჯავახიშვილი, 2002: 111-112), რომლის მიხედვით, ალასტანი არის ისტორიული სოფელი ჯავახეთში, სამეფო სადგომი ლაშა გიორგის საუფლისწულო მამულისა და ალასტანელი „პროვინციის მეფეთა“ სამფლობელოს ცენტრი. ალასტანელი მეფე იყო ლაშა, რომლის უკანონო შვილი იყო დავითი, „ალასტანელისა შვილი“. არის მოსაზრება, რომ სასახლიდან წასვლის შემდეგ დავით ლაშას ძის დედას სოფელი ალასტანი მისცეს საცხოვრებლად (ჯავახიშვილი, 2002: 111).

ალასტანელ მეფეთა მფლობელობა XV-XVI საუკუნეებში იზრდება და ორ ნაწილად არის წარმოდგენილი –ზემო და ქვემო ალასტანი (ჯიქია, 1958: 274). მნიშვნელობა ჰქონდა მასთან გოკიის ქალაქის (ვახუშტი ბატონიშვილი) სიახლოვეს.

ზემო და ქვემო ალასტანში 1595 წელს ქართული მოსახლეობაა (ჯიქია, 1958: 196, 203).

ალასტნის სახელით „დავთარში“ ამავე ტყე-ჯავახეთის ნაჰიესათვის 2 სოფელია აღრიცხული ზემო და ქვემო ალასტანი. ზემო ალასტანი 15 კომლიანი სოფელია, ხოლო ქვემო ალასტანი – შვიდკომლიანი. აქაურ ეკლესიაზე 2 პატარა ქართული წარწერაა.

მსხვილმასშტაბიან რუკებზე გოკიასთან ახლო, მის სამხრეთით, ქვემოდან აღნიშნულია ალასტანი (ზემო და ქვემო). დღეს ახალქალაქის რაიონში ალასტანი გოკია, ვარევან და ხანდო სოფლებთან ერთად ალასტნის სასოფლო საბჭოში შედის.

ალასტნის შესახებ ცნობებს გვაწვდის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გზამკვლევი „ალასტანი“. ალასტნის ეკლესია სოფლის ცენტრში დგას, მის დასავლეთით, სულ რამდენიმე მეტრში XIX საუკუნეში სომხებს დიდი უგუმბათო ეკლესია აუგიათ. ძველი ტაძარი დარბაზულია. მაღალი და განიერი კორპუსი მოზრდილია და მოცულობითი. ძველად ალასტანი იმდენად მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა, რომ ის მეფე ლაშა-გიორგის საუფლისწულო მამულის ცენტრად იქცა. ამიტომაც „თამარის ძეს გიორგის, „ჯავახთუფალის“ გარდა წყაროები უწოდებს „ალასტანელსაც“. 1392 წლის ერთი საბუთის მიხედვით, მცხეთის საკათალიკოსო მამულებში, სხვებთან ერთად

უკვე ჩამოთვლილია: „ზვარეთს, სოფ. გოკია, სოფ. ალასტანი“ (ჯიქია, 1958: 203).

ამგვარად, არ არის სწორი სომეხ ტოპონიმისტთა ცნობა იმის შესახებ, რომ ალასტანი დააარსეს არზრუმიდან ჩამოსახლებულებმა. იქ მოსახლეობა ისტორიული წყაროების მიხედვით იყო უძველესი დროიდან. ალასტანი მნიშვნელოვან როლს თამაშობდა საქართველოს ისტორიაში. მისმა მოსახლეობამ ისლამი მიიღო მე-18 საუკუნეში. ქართველი მაჰმადიანები მასიურად გაასახლეს, ან თავად წავიდნენ თურქეთში ახალციხის საფაშოს დაცემის შემდეგ და მათ ადგილზე ჩამოსახლდნენ სომხები.

ამდენად, სომეხი ტოპონიმისტების მიერ გამოთქმული მოსაზრება ალასტნის მე-19 საუკუნეში დაარსების შესახებ სწორი არ არის.

აგანა. სომხური ტოპონიმიის მიხედვით სოფელი აგანა მდებარეობს ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქიდან 25 კმ-ის დაშორებით. 1907 წელს იყო 491 სომეხი მცხოვრები, ხოლო 1968 წელს – 715. იგი დაარსეს 1830 წელს ერზრუმიდან დევნილმა სომხებმა (ჰაკობიანი... 1986: 16).

სომხურ საბჭოთა ენციკლოპედიაში მითითებულია, რომ აგანა ბრდღონქიდან დევნილმა სომხებმა დააარსეს. ახლა შეერთებულია სოფელ კაჯოს მეურნეობასთან (სომხური ენციკლოპედია, 1974: 49).

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ მოხსენიებულია სოფელი აგანა, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის რაიონში, მდინარე ბარალეთის მარჯვენა ნაპირზე, ახალქალაქიდან 22 კმ-ის დაშორებით (ქსე, 1975: 51).

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით სოფელ აგანაში 1842 წელს 14, ხოლო 1870 წელს 36 კომლია. სოფ. აგანის მოსახლეობა ჩივის, რომ იხთილელებმა (ღრტილელებმა) მიჯნები მოსპეს და ჩვენი მიწით სარგებლობენო. არქივისეულ სიებში გვაქვს Акана, რომელიც შემდეგ ვიღაცას Агана-დ გაუსწორებია. ყველა მსხვილმასშტაბიან რუკაზე აგანის ადგილმდებარეობა იხთილასა (=ღრტილა) და ბარალეთთანაა აღნიშნული. დღეს აგანა ახალქალაქის რაიონში კაჭიო, ალათუბან, ბოჟანო და სირგვასთან ერთად კაჭიოს სასოფლო საბჭოში შედის (ჯიქია, 1958: 271).

ამგვარად, აგანა ძველი ქართული სოფელია, რომელიც დადასტურებულია მე-16 საუკუნეში. შესაძლებელია, ის სომხე-

ბის ჩამოსახლების დროს უკვე ნასოფლარი იყო და იქ ახალი მოსახლეობა დამკვიდრდა.

ასფარა. სომხურ ტოპონიმთა ლექსიკონში პარალელური ფორმებია ასპარა და ასფარა. იგი არის ქართული სოფელი ნინოწმინდის რაიონში. ქალაქის ცენტრიდან 33 კმ-ის დაშორებით. 1969 წლის 1-ლი იანვრის მონაცემებით ჰყავდა 328 სომეხი მცხოვრები, 1970 წელს კი – 331. მოსახლეობა მისდევს მიწათმოქმედებასა და მესაქონლეობას. სოფელში არის რვაწლიანი სკოლა, ბიბლიოთეკა. სახლები ერთსართულიანი და ქვით ნაგებია (ჰაკობიანი... 1986: 353).

იქვე აღნიშნულია, რომ იგი დაარსეს 1924 წელს ახალქალაქის რაიონის სოფელ კარტიკამიდან მოსულმა სომხებმა.

კარგი იქნებოდა, რომ თქმულიყო, ნასოფლარი „გააცოცხლეს“ და არა „დააარსეს სოფელი“. რადგან ასფარა, რომელიც წყაროებში და ზეპირ გადმოცემებში ასპანად იწოდება, ცნობილია საქართველოში.

„ქართული ენციკლოპედიის“ მიხედვით სოფელი ასფარა მდებარეობს ბოგდანოვკის რაიონში, ფარავნის ტბის დასავლეთ ნაპირზე. ზ. დ. 2080 მ-ზე, ხოლო ბოგდანოვკიდან 40 კმის დაშორებით (ქსე, 1975: 663).

ასფარის შესახებ ს. ჯიქია წერს: ასფარის მოსახლეობა თურქულენოვანი სომხებია, რომლებიც ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში გადმოსახლდნენ კარტიკამიდან. ერთი დანგრეული ეკლესია არის. იგი პატარა სოფელია. პროფ. ლ. მელიქსეთბეგის მიხედვით: „ასფარა“ ძველი სახელწოდებაა იმ სოფლისა, რომელსაც ეწოდება „ბობლიკან“ „პუბლიკან“ ჰქვია. ფარავნის ტბის ნაპირზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ასფარას სახელით სოფელი ძველად ორი უნდა ყოფილიყო. ცნობილ ხალხურ ლექსში „თავფარავნელი ჭაბუკი“ სხვადასხვა გეოგრაფიული პუნქტი იხმარება. ასფარა, ასპინძა, ასპანა, გასპარა. ამათში ყველაზე უფრო სწორი ასფარაა. ასპანაზე „საქართველოს სიძველის“ მიხედვით, „ფოკის ტბის ნაპირს უნდა იყოს ნასოფლარი ასპანა“. მაგრამ ეს არ არის სწორი. ფარავნის ტბის დასავლეთ ნაპირზე, ორი ნასოფლარია ასფარას სახელით, მაგრამ ასპანა არაა. „ასპარას“ დამახინჯებულია (ასპანა, გასპარა) ან შეცვლილია „ასპინძად“.

ზემოთ დასახელებულ ლექსში „თავფარავნელი ჭაბუკი“ ორი კონკრეტული გეოგრაფიული პუნქტია ნახსენები – თავ-

ფარავანი, თამარაშნელი. ს. ჯიქიას სწორ ფორმად მიაჩნია ასფარა და ფიქრობს, რომ ასპანის მაგივრად უნდა იყოს ასფარა. ხალხურ ლექსში ძირითადად ასპანა იხმარება. მაგრამ ძირითადი ვარიანტი ასპანა უნდა იყოს. ამ სოფლის სახელად გვხვდება ასპარაც. ასეც რომ არ იყოს და ასპანა გადააზრების შედეგად იყოს მიღებული, უნდა იგულისხმებოდეს ამ სახელის მქონე გეოგრაფიული პუნქტი. არსებობს მოსაზრებები, რომ ასპანა ირანიდან შემოსული გეოგრაფიული სახელია ან შემოვიდა ადგილობრივად შეიქმნა და ამოსავალი ფუძე არის asp (ბერიძე, 1992: 95-96).

ასფარის შესახებ ცნობებს გვაწვდის ისტორიულ-ხუროთმოძღვრული გ'ზამკვლევი, რომ ასფარა სოფ. ფარავნის პირდაპირ, ქართული ზეპირსიტყვიერების მშვენიერი ნიმუშით განთქმული, სოფ. ასფარაა.

„თაფარავნელი ჭაბუკი ასფარას ქალსა ჰყვარობდა
ტბა ჰქონდა წინათ სავალი, გასვლას შიგ არა ხარობდა".

ბალადა მოგვითხრობს ქალ-ვაჟის სიყვარულზე, ჭაბუკის წყალში გასვლასა და ქალის მიერ დანთებულ სანთლის შუქზე, ავი ბებრის მიერ სინათლის გაქრობასა და წყვდიადში დარჩენილი ვაჟის დაღუპვაზე. ასფარის ამჟამინდელი მოსახლეობა თურქულენოვანი კათოლიკე სომხებია, რომლებიც აქ XX საუკუნის 20-იან წლებში გადმოსახლდნენ. სოფ. კარტიკამიდან. ქართველთა მყოფობის დასტურად კი სოფლის განაპირას, მშრალი წყობით ნაგები წრიული გალავნით მყარად შემოზღუდულ მოედანზე აღმართული ნაეკლესიარიდაა. აქვეა ბალახებში ჩაფლული ჯვრიან ჩექურთმიანი ბალავრის ქვაც, ეკლესია XI საუკუნეშია აგებული. ასფარა XVI საუკუნის ბოლოს უკვე ნასოფლარია. 1720-21 წწ-ში კი იგი ისევ მოშენებულა.

ამგვარად, ასფარაც მე-19 საუკუნემდე არსებული სოფელია.

თოთხამი. სომხურ ტოპონიმთა ხუთტომეულში მითითებულია, რომ სოფელი თოთხამი მდებარეობს ახალქალაქის რაიონში, ახალქალაქიდან 4 კმ-ის დაშორებით. იგი დააარსებულია 1908 წელს კორხიდან დევნილი სომხების მიერ (ჰაკობიანი... 1988: 463).

სომხური ენციკლოპედიის მიხედვით, თოთხამი დააარსეს ახალქალაქის რაიონის სოფელ აბულიდან და თორიადან გადმოსახლებულმა სომხებმა (მათი წინაპრები გადმოსახლებული

არიან დასავლეთ სომხეთიდან 1830 წელს) (სომხური ენციკლოპედია, 1974: 35).

„ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში“ მოხსენიებულია სოფელი თოთხამი, რომელიც მდებარეობს ახალქალაქის რაიონში. ზ. დ. 1700 მ-ზე, ხოლო ახალქალაქიდან 7 კმ-ის დაშორებით (ქსე, 1979: 689).

„ბურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით, თოთხამი – სათესველი თოთხამი. „დავთრის“ დროს სათესველად აღრიცხული თოთხამი დღეს სოფელია. არაგვის სასოფლო საბჭოს გამოეყო სოფლები მაჭატია, კორხი და თოთხამი (ჯიქია, 1958: 358).

ე. ი. სახელი, თოთხამი, ისევე ძველია, როგორც სხვა ტოპონიმები ჯავახეთში. იგი დადასტურებულია მე-16 საუკუნეში, ხოლო ხელახალი დასახლება მოხდა გვიან, მე-20 საუკუნის დასაწყისში, როგორც ამას სომხური ხუთტომეულის ავტორები მიუთითებენ.

კათნატუ. სომხური ლექსიკონის მიხედვით სოფელი კათნატუ მდებარეობს ნინოწმინდის რაიონში. იგი დააარსდა 1928 წელს. წინაპრები გადმოსახლებული არიან აღმოსავლეთ სომხეთიდან (ჰაკობიანი... 1988: 884).

სომხურ ენციკლოპედიაში მითითებულია, რომ სოფელი დააარსეს 1928 წელს ახალქალაქის რაიონის სოფ. აბულიდან და თორიდან გადმოსახლებულმა სომხებმა. (სომხური ენციკლოპედია, 1974: 129)

ქართული ენციკლოპედიის მიხედვით, სოფელი კათნატუ მდებარეობს ბოგდანოვკის რაიონში, ჯავახეთის ზეგანზე, ხანჩალის ტბის სამხრეთ აღმოსავლეთით, ზ. დ. 2000 მ. ბოგდანოვკიდან 7 კმ-ის დაშორებით (ქსე, 1980: 318).

„ბურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“ დიდი ხანჩალი და პატარა ხანჩალი სოფელ კათნატუსთან ერთად ნინოწმინდის რაიონის ხანჩალის სასოფლო საბჭოში შედის. ეს სოფლები აქ აღრიცხული არ არის, შესაძლებელია მოსახლეობა აქ შემდგომში გაჩნდა (ჯიქია, 1958: 353).

„ბურჯისტანის ვილაიეთის დავთარის“ დროს XVI საუკუნეში, ტოპონიმიკა, რა თქმა უნდა, წმინდა ქართული იყო. ჯავახეთში გადმოსახლებული სომხები ბინადრდებიან პირდაპირ ახლად მიტოვებულ სოფლებში, რომლებშიც საყოფაცხოვრებო ნაგებობები უკვე ჰქონდათ და ახალი სახელის

შერქმევის აუცილებლობა არ იყო. ყველა სოფელი დასტურდება „გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში“.

მაშასადამე, ზემოთ განხილული სოფლები ისტორიული წაყროების მიხედვით მე-19 საუკუნემდე დიდი ხნის არსებული სოფლებია, სადაც უძველესი დროიდან ცხოვრობდა მოსახლეობა, შემდეგში ისინი მხოლოდ განახლდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბატონიშვილი, 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, „ქართლის ცხოვრება“ ტ. IV, თბილისი, 1973 წ.

ბედოშვილი, 2002: ბედოშვილი გ., „ქართულ ტოპონიმთა განმარტების ეტიმოლოგიური ლექსიკონი I, თბილისი, 2002 წ.

ბერიძე, 1992: ბერიძე მ., ჯავახეთი. თბილისი, 1992 წ.

ქსე, 1975: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. I, თბილისი, 1975.

ქსე, 1979: ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, თბილისი, 1979.

ცისკარიშვილი, 1995: ცისკარიშვილი ვ., ჯავახეთის ეპიგრაფია, როგორც საისტორიო წყარო, თბილისი, 1959.

ჯავახიშვილი, 2002: ჯავახიშვილი ივ., ენციკლოპედიური ლექსიკონი 2002.

ჯიქია, 1941: ჯიქია ს., „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ტ. II, თბილისი, 1941 წ.

ჯიქია, 1958: ჯიქია ს., „გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთარი“ ტ. III, თბილისი, 1958 წ.

Հակոբյան, 1986: Հակոբյան, Մելիք-բախշյան, Բարսեղյան, 1986 – Թ. Խ. Հակոբյան, Ստ. Տ. Մելիք-Բախշյան, Հ. Խ. Բարսեղյան „Հայաստանի եվ հարակից շրջանների տեղանունների բառարան“, հ. I, Երեվան, 1986.

Հակոբյան, 1988: Հակոբյան, Մելիք-բախշյան, Բարսեղյան, 1988 – Թ. Խ. Հակոբյան, Ստ. Տ. Մելիք-Բախշյան, Հ. Խ. Բարսեղյան „Հայաստանի եվ հարակից շրջանների տեղանունների բառարան“, հ. II, Երեվան, 1988.

Հակոբյան, 1991: Հակոբյան, Մելիք-բախշյան, Բարսեղյան, 1991 – Թ. Խ. Հակոբյան Ստ. Տ. Մելիք-Բախշյան Հ. Խ. Բարսեղյան „Հայաստանի եվ հարակից շրջանների տեղանունների բառարան“, հ. III, Երեվան, 1991.

ხომხური საბჭოთა ენციკლოპედია, 1974: Հայկական սովետական հանրագիտարան, Երեվան, 1974.

Mariam Balasaniani-Gognadze

FONNDED OR RENEWED VILLAGES

(According to „Toponimies in Armenia and near regions“)

Summery

In the dictionary of “Toponimies in Armenia and near regions” is clearly described that some villages were founded by Armenians in 1828-29. I think that this idea is not correct because above mentioned villages were founded till 19th century. The people lived there before. When new inhabitants settled there it is updated not founded.

ლიახვის ხეობის ზოგიერთი ტოპონიმი თიორის მონასტრის 1432 წლის სიგელის მიხედვით

XV საუკუნის პირველ ნახევარში ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში თავხელისძეთა პოლიტიკურ ასპარეზზე გამოჩენა ხელა თავხელისძეს უკავშირდება. უფრო ადრინდელ დოკუმენტურ წყაროებში, კერძოდ, 1401–1407 წ.წ. შედგენილ (სიგელებს სწორედ ასე ათარიღებს თ. ჟორდანია) მცხეთის ორ სიგელში იხსენიება ხელა თავხელისძის მშობლები ასათა და მისი მეუღლე სოსანა. ასათ თავხელისძემ კათალიკოს ელიოზს ყმა–მამული შესწირა. დოკუმენტში ვკითხულობთ: „მცხეთას და ქკნს ელიოზს ესე უცრუველი და უზაკველი... წერილი დაგიწერე... მე თავხელისძემან ასათა და ჩემმა მეუღლემან სოსანამან და ჩუენთა შვილთა მოლარეთუხუცესმან ხელმან და მესტუმრემან გოგანიამან, მოგახსენე გრანსა გლეხნი ჩალჩერაშვილი და კოუნკორი მისი მამულითა... და თქუენ გამიჩინეთ აღაპი; მირქმასა დღესა ასათისა გარდაიხდებოდეს, მეორე დღესა სოსანასათუის... კარგაღებული ღაპი უნაკლულო... სიგელს მიწერილი აქვს: ასათსა და სოსანასა მოგუიხსენებია ჩუენითა ნებითა“ ასევე, ქ. მე, მოლარეთუხუცესსა ხხსა (ხელსა?) ჩემითა ხდომითა შემომიწერავს“ (ჟორდანია, 1897: 207)*. მცხეთის მეორე სიგელიც იგივე შინაარსისაა. ასათ თავხელისძე მცხეთას გრანში მცხოვრებ ჩალჩესშვილს და კუნნორას თავიანთი მამულით სწირავს. მოლარეთუხუცესი ხელა თავხელისძე ამ სიგელშიც იხსენიება (ჟორდანია, 1897: 207; ქისკ, 2013: 75).

---

* ეს დოკუმენტი გარკვეული შესწორებით გამოსცა მკვლევარმა ბ. ლომინაძემ, იგი მიუთითებს, რომ თ. ჟორდანიას გარკვეული მექანიკური უზუსტობა გაეპარა და თავხელისძის ნაცვლად დოკუმენტში მითითებული აქვს თაველისძენი, გარდა ამისა ჟორდანიასეულ გამოცემაში მითითებულია "ჩალჩერაშვილი", ხოლო ბ. ლომინაძისეულ პუბლიკაციაში — ჩალჩეშვილი, ასევე ჟორდანიასეულ რედაქციაშია კოუნკორი, ხოლო ბ. ლომინაძის გამოცემაში კი კუნნორი. როგორც ბ. ლომინაძე აღნიშნავს, მას სიგელის სხვა ვარიანტებიც უნახავს და დოკუმენტში სწორედ ამის მიხედვით ჩაუსწორებია. იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, თბ., 2013, გვ. 20, 74.

დასაზუსტებელია გრანის მდებარეობა, სადაც ასათ თავხელისძეს ყმები ჰყავდა. ვახუშტი ბატონიშვილი თავის აღწერაში ასახელებს გრდანის ხეობას: "ხოლო ხეობა გრდანისა და მდინარე მისი გამოსდის ზედაძნის შესართავს ერწოს მთას, დის გრდანამდე ჩრდილოდამ სამხრით" (ქართლის ცხოვრება, 1973: 537) ვახუშტი გრდანის სახელწოდებით სხვა დასახლებულ პუნქტსაც ასახელებს მარტყოფთან და ლილოსთან ერთად (ქართლის ცხოვრება, 1973: 561). გრდანი გვხვდება იოანე ბატონიშვილის თხზულებაში „ქართლ–კახეთის აღწერა: "ქ. კახეთს რაც სოფლები მიეწერება ჩრდილოეთის კერძო, რომელიც მდებარეობს გრდანისა და საგურამოს ხეობისა, არიან შემდგომნი ესე სამეფო, სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო სოფლები და ადგილნი: გრდანი, ქ. ავჭალა..." (ბატონიშვილი, 1986: 64).

შესაძლებელია, რომ გრანი, რომელიც ვახუშტის, ასევე იოანე ბატონიშვილის თხზულებებში გრდანის სახელით გვხვდება, თბილისსა და მცხეთას შორის არსებული სოფელი იყო. იოანე ბატონიშვილი მას, როგორც დასახლებულ ადგილს ავჭალასთან ერთად ასახელებს. უფრო გვიანდელი დოკუმენტური მასალის მიხედვით თავხელისძენი ცხოვრობდნენ ფლავში, კერძოდ 1700 წლის დოკუმენტში იხსენიება ფლავში მცხოვრები ყიასაბეგის მეკობრისპურე ყმა თავხელისძე ბასილა, ამავე პერიოდით დათარიღებულ მეორე დოკუმენტში მოხსენიებულია ასევე ყიასაბეგის მეკობრისპურე ყმა თავხელისძე ამირინდო (პირთა ანოტირებული ლექსიკონი, 1993: 268).

XVII საუკუნის II ნახევარში თავხელისძეები ცხოვრობდნენ ზახორში, კერძოდ, სამილახვროს დავთარში იხსენიება ზურაბ ღაზნელის ყმა მამუკა თავხელისძე (კაკაბაძე, 1925: 20).*

---

* აღსანიშნავია, რომ იკორთის მონასტრის № 6 ჯამნ-გულანის ხელნაწერის არშიებზე XVIII საუკუნეში მიწერილია იკორთის მონასტრის შეწირულობათა საბუთების მოკლე შინაარსი. ერთ-ერთი საბუთის მიხედვით მეფე გორგასალმა (ს. კაკაბაძე მას XV საუკუნეში მოღვაწე აფხაზიმერეთის მეფედ თვლის. იხ. ს. კაკაბაძე, ქრონიკა იკორთის № 6 ჯამნ-გულანისა, თბ., 1912, გვ. 3. თუმცა, როგორც დ. ნინიძე განმარტავს აღნიშნული მეფის: "რეალურად არსებობის საკითხი ღიად რჩება." დ. ნინიძე, "პროვინციის მეფეები", XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995, გვ. 152) იკორთის მონასტერს შესწირა რამდენიმე სოფელი, მათ შორის:

მცხეთის ორივე სიგელში, რომელიც უშუალოდ ასათ თავხელისძის ინიციატივით შეიქმნა, ჩანს, რომ ასათის შვილი ხელა მოლარეთუხუცესის სახელოს მფლობელია, მაგრამ ამ შემთხვევაში ის როგორც ოჯახის რიგითი წევრი ისეა მოხსენიებული და ბოლოში შეწირულობას ამტკიცებს. ჩვენი აზრით, ეს მამული უშუალოდ ასათს ეკუთვნოდა და ხელა როგორც სამეფო კარზე დაწინაურებული პიროვნება და მათი ოჯახის წევრი მშობლების მიერ დაწერილ სიგელს ამოწმებს. ხელა თავხელისძის მოღვაწეობას შესახებ ჩვენ არაერთ ნაშრომში შევეხეთ (სოსიაშვილი, 2005: 28). ხელა თავხელისძე, რომელმაც XV საუკუნის დასაწყისში მოლარეთუხუცესობა გახდა, სამეფო ოჯახთან იყო დანათესავებული. მას ცოლად ჰყავდა ივანე ათაბაგის (ციხისჯვარელი) ასული გულქანი* XV საუკუნის I მეოთხედში ხელა თავხელისძე საკმაოდ გავლენიან ფეოდალად გვევლინება. იგი არამარტო საქართველოში არსებულ ეკლესია-მონასტრებს, არამედ იერუსალიმის ქართულ სავანეებსაც ეხმარება. მოლარეთუხუცესი ხელა იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებშიც იხსენიება. საიდანაც ჩანს, რომ იგი წმინდა მიწაზე არსებულ ქართულ მონასტერს ფულად დახმარებას უწევდა (მეტრეველი, 1962: 124; სოსიაშვილი, 2012: 46).

ხელა თავხელისძეს ჯვრის მონასტერთან ერთად დახმარება გაუწევია გოლგოთას ქართველთა მონასტრისთავის, რასაც ადასტურებს გოლგოთას სვინაქსარიც (მეტრეველი, 1962: 139). ჯვრის მონასტერში აღაპი, არამარტო ხელა თავხელისძეზე იყო დაწესებული, არამედ ხელას ძმის გოგნიას და მისი მეუღლის –კეკლუცას სახელზეც (მეტრეველი, 1962: 69-200). გოგნია ასათ თავხელისძის შვილი იყო, რომელიც თავხელისძეთა მიერ კათოლიკოსისადმი დაწერილშიც იხსენიება. დოკუმენტის თანახმად, იგი მესტუმრეა და არ არის გამორიცხული,

---

იკორთა არცევი, ქვეში, ფლავისმანი, ფლავი. აღნიშნული საბუთის მიხედვით ფლავისმანში მცხოვრებ თავხელისძეს იკორთის მონასტრის სასარგებლოდ უნდა გაეღო ცხრა კოდი პური და ქერი, ასევე ერთი კოდი ფქვილი და ჩარექი სახთელი. ს. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

* ხელას პირველი მეუღლე ქვენიფხნეველის ასული თამარი იყო, რასაც თორის მონასტრის სიგელიც ადასტურებს, პირველი მეუღლის სააღაპედ მას თორის მონასტრის თავდების ღვთისმშობლისთვის მამულიც შეუწირავს.

რომ გოგნიასა და მისი მეუღლის სახელზე იერასლიმის ჯვრის მონასტერში აღაპები არა ხელას დამსახურების გამო დაწესებინოთ, არამედ მათ მიერ გაღებული შესაწირის გამო. მცხეთის სიგელებისა და იერუსალიმის აღაპების გარდა თავხელისძეთ ფეოდალური საგვარეულოს შესახებ უაღრესად საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის თირის მონასტრის წარწერები. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ თირის მონასტერი XIII საუკუნის II ნახევარშია დაარსებული (ანდღულაძე, 1976: 96).

ნ. ანდღულაძის განმარტებით: „XIV საუკუნის მეორე ნახევრიდან თირის მონასტერი თავხელისძეთა საგვარეულო სახლის ზრუნვის ობიექტია, ხოლო XV საუკუნის დასაწყისიდან, როცა ეს გვარი მნიშვნელოვნად აღზევდა, მონასტერი ამ გვარის საძვალედ იქცა“ (ანდღულაძე, 1976: 96).

თირის მონასტრის თავხელისძეთა საგვარეულოსადმი კუთვნილებას ადასტურებს აქ არსებული წარწერებიც. ერთი მათგანი მონასტრის სამრეკლოზეა შესრულებული. წარწერაში ვკითხულობთ: “თავხელისძეთა სიაუშ და რატის და ასათს და ხელს და მაჩაბელსა და მშობელთა მათთა შეუნდვენ ღმერთმან ამინ” (ანდღულაძე, 1976: 35).

ხოლო მონსატრის ეკვდერის დასავლეთის კედელზე ორსტრიქონიან წარწერაში ვკითხულობთ: “ქრისტე, მოლარეთუხუცესისა ხელას ერთგულსა, მახატლიშვილსა ბევრობს შეუნდოს ღმერთმან” (ანდღულაძე, 1976: 38).

ჩვენი აზრით, თავხელისძეებს თირის მონასტერთან ხელა თავხელისძის მოლარეთუხუცესობამდეც ჰქონდათ გარკვეული კავშირი. შესაძლებელია ისინი მონასტერს მთლიანად არ ფლობდნენ, მაგრამ გარკვეული უფლებები გააჩნდათ. შესაძლებელია, რომ მცხეთის სიგელებიდან ცნობილ ასათ თავხელისძეს, სამეფო კარზე გარკვეული თანამდებობაც ჰქონდა. არც ის არის გამორიცხული, რომ მის მიერ კათალიკოს ელიოზისადმი გაღებული შეწირულობის შემდეგ საპატრიარქომ ასათ თავხელისძეს იმ დროისათვის განთქმულ თირის მონასტერში სამრეკლოს აშენების უფლება მისცა. ნ. ანდღულაძის დასკვნით თირის მონასტრის სამრეკლო აგებულია XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. მისივე გარაუდით: „ამ დროს ხელა ჯერ კიდევ ახალგაზრდა უნდა ყოფილიყო. იგი ჯერ არაა მოლარეთუხუცესი“ (ანდღულაძე, 1976: 41).

სამრეკლოს წარწერაში ის ნახსენებია, როგორც ოჯახის რიგითი წევრი. წარწერაში და მცხეთის სიგელებში მოხსენიებული ასათი ერთი და იგივე პიროვნებაა, იგი ხელა თავხელისძის მამაა, რომლის ინიციტივითაც სამრეკლო აშენდა. მისთვის ეს უფლება კათალიკოს ელიოზს უნდა მიეცა. მოგვიანებით ხელა თავხელისძე მოლარეთუხუცესი ხდება და თირის მონასტერში მშენებლობებს იწყებს. ნ. ანდღულაძის განმარტებით: „ეკლესიის სამხრეთის კარიბჭიანი მინაშენი აუგია ხელა თავხელისძეს, როგორც საგვარეულო საძვლე, უკურთხებია "ბორტის ღვთისმშობლის სახელზე", დაუდგენია მნათე სათანადო შემოსავლით. მშენებლობა განხორციელებულა XV საუკუნის პირველ მეოთხედში" (ანდღულაძე, 1976: 41). შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ XIV საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში. ასათ თავხელისძე, რომელმაც კათალიკოსს გრანში არსებული ყმები შეწირა* თირის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე დასახლდა. მან თირის მონასტრის სამრეკლო ააშენა და თავისი გვარის უკვდავსაყოფად ჩვენს მიერ ზემოთ ნახსენები წარწერა ამოაკვეთინა, სადაც ასათი ოჯახის წევრებთან ერთად იხსენიება. ასათის ერთ-ერთ ვაჟი ხელა მოლარეთუხუცესი გახდა და მან კიდევ უფრო მეტი უფლებები მოიპოვა თირის მონასტერზე. თირის მონასტერი თავხელისძეთა საგვარეულო სალოცავად იქცა. რასაც ადასტურებს ხელა თავხელისძის მიერ 1432 წელს შედგენილი სიგელი რაზეც ქვემოთ ვისაუბრებთ. თავხელისძეთა საგვარეულოზე, მართალია, წყაროები მწირია, მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ ხელას მოლარეთუხუცესობაში არამარტო სამეფო კართან მისმა დანათესავებამ ითამაშა დიდი როლი, არამედ წარმომავლობამაც. ხელა თავხელისძე რომ დაწინაურებული ფეოდალური გვარის წარმომადგენელი იყო, იქიდანაც ჩანს, რომ მისი პირველი მეუღლე ქვენიფნეველის ასული თამარი გახლდათ. როგორც ცნობილია, ქვენიფნევი ქსნის ერისთავთა რეზიდენციას წარმოადგენდა, ხოლო ქსნის ერისთავები ერთი პერიოდი ქვენიფნეველებად იწოდებოდნენ (გვასალია, 1983: 64).

---

* მცხეთის სიგელში მოლარეთუხუცესი ხელაც იხსენიება, თუმცა, ეს მინაწერი უფრო გვიანდელი უნდა იყოს, როცა ხელა მოლარეთუხუცესი გახდა, მან სიგელს მიაწერა „ჩემითა ნდომითა შემომიწირავს".

ხელა თავხელისძემ თირის მონასტერს განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია და 1432 წელს დიდი ქონება გადასცა. ვინაიდან სიგელში ძალზე საინტერესო ინფორმაციაა დაცული ლიახვის ხეობაში (და არამარტო) არსებული ტოპონიმების შესახებ. ამიტომ ტექსტი მთლიანად მოგვყავს.*

„აღწერა გუჯართა, სიგელითა და სხუათა წერილთა, ყმათა და მამულთა ზედა და სხუათა შესახუედრთა თ ი რ ი ს მონასტრის თ ა ვ დ ე ბ ი ს ღ(მრ)თისმშობლის ეკკლესიისათა (გვ. 263).

I	II	III	IV	V	VI
N	ქს	წელი	თთუე	რომელთა გუამისგან მიცემული არს	ჰაზრი წერილთა გამოცხადებითა ეკკლესიის შესახუედრთათა სახელის დებით
39				რომლისამე მოლარეთხუცესის ხელისგან	გუჯრის კოპით, რომლითაც შეუწირავს მეულლისა თვისსა ქუენიფხნეველის ასულის თამარისათვის საალაპოდ თავსდების ღ(მრ)თისმშობლის მონასტრისადმი

* აღსანიშნავია, რომ თირის მონასტრის სიგელი, რომელიც საქართველოს ცენტრალურ საისტორიო არქივშია დაცული, 1962 წელს გამოაქვეყნეს: გ. თოგოშვილმა და ი. ცხოვრებოვმა, იხ. История Юго-Осетии в документах и материалах, т. I, Цхинвал, 1962, № 7, стр. 84-85. თირის მონასტრის სიგელი გამოაქვეყნა ასევე ბ. ლომინაძემ, იხ. ქართული ისტორიული წარწერების კორპუსი, ტ. II, გვ. 178-181. როგორც ბ. ლომინაძე განმარტავს: სიგელის დედანი დაკარგულია, ხოლო "ამ წიგნის პირი" გადმოუწერია იოანე პენტელაშვილს 1777 წ. 7 იანვარს. ამავე წლის 22 მარტს პენტელაშვილის გადაწერილი "პირი" შეუმოწმებიათ "ძველი გუჯრის ნაწერზედ" პენტელაშვილის მონაწილეობითვე ტრიფილეს და დავითს. მკვლევარი წერს: "საერთოდ, საბუთის რეალიები არ იწვევს ეჭვს მის ნამდვილობაში. საყურადღებოა, მერმინდელი მინაწერი შეწირულობის შესახებ ალექსანდრეს ძის გიორგი მეფისა, რაც ერთხელ კიდევ ადასტურებს თვით საბუთის ალექსანდრე I-ის დროინდელობას. იქვე, გვ. 178.

სათელლაშვილი, დავანშაშვილი თავის დის გულშარისა, და თავისთვის საალაპოდ შეწირული აჩიქებოეს (? ბ.ლ.) მუგუდი დავარეხაში და ფიცხელისძე; სამეოხოდ სულისა თვისისა შეწირული ქემერტეს ქემერტისძისეული სასახლე, რომელნიც სახლობენ ჭინჭახისძენი; იქვე ქემერტს ნებიერისძის მამული. ქემერტელისძეთა სულის საალაპოდ შეწირული ვაჭართა შიგან მეზეთე ერთი შაქარბეგა, რომელსაც განუწესებია ოცდათხი ლიტრა ზეთი და ათი ლიტრა ცვლი მისაღებლად მონასტრისადა[ა]. თურისაშვილის ორი მამული, რ(ომე)ლსა ზ(ედ)აცა დაუდვა შვიდი ლიტრა ზეთი და შვიდი ლიტრა ცვილი. შეწირული პერაქელასა მამულისა განუწესებია მონასტრის მისაღებლად თექვსმეტი ლიტრა ზეთი; შეწირული ჭალას ორნი გლეხნი მარნიაშვილი და კორტანელაშვილი, რ(ომე)ლსა სადაცა დაუდვიათ ოცდა ექვსი ლიტრა ზეთი და თექვსმეტი ლიტრა ცვილი. ადრევე შეწირული მაჩაბელთაგან** ფრიდონა და გოგაშვილი. სდებია ფრიდონას თექუსმეტი ლიტრა ზეთი დ ხუთი ლიტრა ცვილი და გოგაშვილს ათი ლიტრა ზეთი და ოთხი ლიტრა ცვილი და ხსენებულს მოლარეთხუცესს ხელის მოუმატნია მათთვის საცენახე და განუწესებია ფრიდონისადმი ოცდათხი ლიტრა ზეთი და ათი ლიტრა ცვილი და გოგაშვილისათვის თორმეტი ლიტრა ზეთი და ექვსი ლიტრა ცვილი. კ(კვალა)დ შეწირული მოლარეთუხუცეს ხელისგან: წულთას ბუღაური, რომლისაც გამოსავალი მამულისა მისისაგან უნდა მიეცემოდეს მონასტერსა ნახევარი, მაღნარს, დვალეთს, სოფელი კოშკა, რ(ომ)ლისაცა ბეგარა უნდა აიღებოდეს მონასტრისათვის; ყელე მათით ბეგარით, რაც დვალეთს ბეგარა სდებია, ყელეცა იმავე წესიტა, ორივე უნაბი შეწირული საალაპოდ მამისა ასათასთვის, დედისა მისისა სოს[ა]ნისათვის და მამისა მისისა მესტუმრის გოგნიასათვის; შეწირული თვისის ერთგულის იალღუზის'შვილისა ბეჟანისათვის საალაპოდ მეღვრეკისის გლეხი ჭონის შვილი, იალღუზის'შვილის საალაპოდ შწირული, ფხვენისის ერთი ვენახი, ძველადვე შეწირული, შუწირავს და დაუმტკიცებია; აღუშენებია თავდებისა ღ(მრ)თისმ'შობლისა კათა ზ(ედ)ა მცირე სასაფლაო ეკვდერი სახელსა ზედა ბოროტის ღ(მრთ)ისმშობელისასა. და შეუმკვია საეკკლესიოთა სახმართა ნივთათა და შუწირავს თვისგან ნასყიდი ზემო სვეტელური თორმეტის კაცის მსახლობელით და მხოლოდ განუჩენია მსახლობელთა მათთგან ეკვდრის მნათისადმი სვეტილაურს სვიმონასა და ბეგლარს მამუ-

ლის ტკბილის გამოსავალი ნახევარი და ორი ძღვენი. განუჩენია ბარბარაძე დავითი და მისთნი მამანი მენახევრეთ; საბაწმინდას დასაფლავებულის ვიგრიას საალაპოდ შეწირული ვიგრისგან ნასყიდი მაჩუასძის მამული, რომლისაც ნაცულად შეწირავს მოლარეთუხუცეს ხელის სხვა მამული. მოლარეთუხუცესის ხელის მეუღლის ათაბეგის ასული, მეფის ალექსანდრეს ბიძაშვილის, გულქანის მიერ შწირული საალაპოდ საერდო გლეხი, მელვრეკისით ბერფურაული; მოლარეთუხუცესის ხელისაგან თამარაშნის თავს დიდ რუზედ წისქვილის მინდის ნახევარი შეწირული და თორმეტი კაპიწი, პური, მეწისქვილისგან გამოსაღები, კრებულთათვის მონასტრისათა შეწირული. მისგანვე არზუაშვილის დავითის საალაპოდ ქრცხინვალს ვენახი 2 გორგილაური თვისითა შესავლითა და თუისავე ხელისად შეწირული მისგანვე. რასაც სახასოდ ტრაპეზი მოხნევდეს, ანუ მოსთიბდეს, ტრაპეზს შუვიდოდეს. და ვინც სხვა მოხნევდეს, ანუ მოსთიბდეს, ყალა ტრაპეზს შუვიდოდეს და, თუ მებეგრენი გლეხნი ისხდნენ, მათი ბეგარა მონასტერს უნდა შეუვიდოეს. და განუჩენია კ(ვალა)დაცა ორი ალაპი დედანაშვილის ქავთარიასა და რუსთავისათვის ანდერძად დაგდებულის ქაიხოსროს ხელსადმი: ღუერთეთს დედანაშვილისაგან ნასყიდი, დოლაძისა მიერ მოსყიდული მამული შურტაული, საალაპოდ დედანაშვილისად შეუწირავს მონასტრისადმი ბეგარითა, რ(რომე)ლიცა მოწერილ არს ესრეთ: მე მწერალმა იოანემ პენტელაშვილმა ამ წიგნის პირი აღმოვიკითხე და უმეტნაკლებოთ გა[დ]მოვსწერე იანვრის ზ ქ[რონე]კ[ონ]ს უოე. კ(კვალად)ცა მოწერილ არს შ(ემდგომა)დ ესე, ვით ზემოთ მწერალსა ხელთა დამიწერია და გამიჩენია საუკუნოდ გასათავებელი გუჯარი, მე მიწა მოლარეთხუცესი ხელა, ამისი გამთევებელი ვარ. და შ(ემდგომა)დ ჩ(უენს)ა ვინც არ გაათაოს, ჩემთამცა ცოდვათა და ბრალთა მხღეველი ხართ წინაშე ღ(მე)თისა დღესა მას დიდსა განკითხვისასა. ჯვარ დასმულ არს. თავხელის ძის ასათისაგან* ამავ წერილზედ მოწერილი, რ(ომ)ლითაც შეუწირავს ქრცხინვალს საალაპოდ ლალური და ვირემ ცოცხალი იქმნება მაკარა, ცამეტი კოკა, შ(ემდგომა)დ სიკვდილისა ოცდასამი კოკა, ოთხმოცი პური და ორი თევზი. თავხელის ძის ბოროტასაგან** ამავე წერილზედ მოწერილი რ(ომლითაც შეუწირავს საალაპოდ გარესჯვარს ბეშქენაშვილი დავითა და განუწესებია ვენახის მესამედი ტკბილი მისაცემლად. თავის ხარით უნდა მიუტანდეს

ბეთელთა. მეფის ალექსანდრეს ძის გიორგისაგან,*** ამავე წერილზედ მიწერილი, რომლითაც შეუწირავს საადაპოდ თავსდების ღ(მრ)თისმშობლისადმი სალთვისი და დაუნიშნავს მიჯნებითურთ. ტიბ.**** 1506. იანვრის 25. ბატონისაშვილის ქაიხოსროსგან.***** ამავე წერილზედ მიწერილი, რომლითაც გამოუძიებია თავსდების ღ(მრთ)ისმშობლის მამული დ აცხადებს: პირველადვე ფიცხელაური მამული შეწირული ყოფილა თავდების ღ(მრთ)ის მშობლისადმი, მომატებულის დებულებისა და ჯამთა ვითარებისგან აღარ ყოფილა ეკლესიის მფლობელობისა ქვე'შე. ფიცხელაძის შ(ემდგომა)დ ჰქონია ფიცხელაძის მამული ურგებაძეს ბაბალას და რომელსამე ბაინდურს, საყდრისათვის დაუდვია და ბატონისაშვილს ქაიხოსროს ორი წლის საყდრისათვინ დაუდვია მესამედი ბაბილისათვის დაუნებებია და, როგორც ჰქონებია ურგებაძეს, თავდების ღ(მრთ)ისმშობლის წინ სასაფლაო უბოძებია მისცა.1777, მარტისი 22. ტრიფილესა და დავით მღვდლისაგან****** ამავე წერილზედ მიწერილი, რ(ომ)ლითაც იჩვენების: პენტელაშვილს იოანეს მიუტანია თავისაგან ნაწერი და ძველის გუჯრის ნაწერზედ შეუმოწმებიათ ყოველითურთ უკლებლად. ხელმოწერილ არს ტრიფილე და დავით. უიე.1777. თებერვლის 2.******* ამავე წერილზედ მიწერილ არს ჩ(უე)ნ ცხებულის მეფის თეიმურაზის ძე, მეფე ქართლისა და კახეთისა, მეორე ირაკლი ვამტკიცებთ მაჩაბელთაგან შეწირულობისა გუჯარისა ამის ამავ თავდების ღ(მრ)თის მშობლის შეწირულობას. 1777. მარტის 21.******** ამავე წერილზედ მიწერილი ჩუენ, ყ(ოვლი)სა საქართველოს კათოლიკოს-პატრიარხ მეფის ძე ანტონი, მაჩაბელთაგან თავდების ღ(მრ)თის მშობლის შეწირულობის გუჯარს დავამტკიცებთ. და ხელმოწერილი არს“ (ქისკ, 179-181).

როგორც აღვნიშნეთ, თირის მონასტრისადმი ხელა თავხელისძის დაწერილი უაღრესად საყურადღებო ცნობებს შეიცავს თავხელისძეთა საფეოდალოს შესახებ. სიგელში მოხსენიებული ბევრი სოფლის ლოკალიზაცია ჩვენს ხელთ არსებული წყაროების საფუძველზე შეუძლებელია, თუმცა ბევრი ტოპონიმის დადგენა ხერხდება, რაც ისტორიული რეალობის დადგენაში გარკვეულ დახმარებას გაგვიწევს. სიგელის დასაწყისშივეა ნახსენები “ახივებოეს”. აქ გაურკვევლად წერია: “სათელლაშვილი, დავანშაშვილი თავის დის გულშარისა და თავისთვის საადაპოდ შეწირული ახივებოეს მუგუდი დავა-

რეხაში და ფიცხელიძე" სიგელის გამომცემელს ბ. ლომინაძეს სიტყვასთან "აჩივებოეს" კითხვის ნიშანი უზის. ხომ არ უნდა ეწეროს მის ნაცვლად აჩივეთი, იგივე აჩაბეთი, საიდანაც წამოვიდა თავხელისძეებამდელი მაჩაბლების გვარი? (სოსიაშვილი, 2005: 33). როგორც ჩანს, სათელლაშვილი და დავანშაშვილი ხელას თავისი დის გულშარის სახელზე შეუწირავს თირის მონასტრისათვის, ამის შემდეგ სიგელში გაურკვევლად წერია. შესაძლოა გადამწერმა დაუშვა შეცდომა. სოფლის სახელწოდება ვერ გაარკვია და სიგელში ეს წინადადება ასე გაურკვევლად დარჩა. არ არის გამორიცხული რომ დედანში ხელას საალაპედ სოფელი აჩაბეთი, ან აჩაბეთში მცხოვრები გლეხები ეწერა. სიგელში ნახსენები მუგუდი ძალიან ჰგავს ლიახვის ხეობაში არსებულ „მუგუთს", სოფელი მუგუთი 1818 წლის კამერალური აღწერით მაჩაბელთა საკუთრებას წარმოადგენდა (გვასალია, 1983: 113).

მუგუდა არსებობდა ასევე ქსნისა და არაგვის ხეობის გასაყარზე, თუმცა, თირის სიგელში დაფიქსირებული მუგუდი ახლოს უნდა იყოს ლიახვის ხეობის მუგუთთან. აქვეა ნახსენები „დავარეხა", ჩვენი აზრით, აქაც გადამწერის შეცდომა უნდა იყოს. რაკი სიგელის სხვა ადგილზე თავხელისძეთა ოჯახის წევრი ბოროტა (აქაც შეცდომაა და უნდა ეწეროს ბორტი), გარეჯვარში ფლობდა მამულს, ხელა თავხელიძის მიერ შეწირული მამულების ჩამონათვალში უნდა იგულისხმებოდეს სოფელი რეხა, რომელიც გარეჯვართან რამდენიმე კილომეტრშია. ხელას თირის მონასტრის თავდების ღვთისმშობლისათვის გადაუცია ქემერტს ქემერტელისძისეული სასახლე,* ქემერტში არსებული ნებიერიძეების მამული.** ხელას შეუწირავს ასევე

---

* აღსანიშნავია, რომ 1981-1983 წ.წ პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობის შემსწავლელმა ექსპედიციამ აღნუსხა ქემერტში არსებული სიძველეები, მათ შორის: გვიან შუა საუკუნეებში აგებული კოშკი, ასევე მინდიაანთ კოშკი, ასევე XVIII საუკუნეში აგებული კოშკი, როგორც ჩანს, თირის სიგელში მოხსენიებული ქემერტელიძეების სასახლე ექსპედიციის მუშაობის დროს უკვე აღარ არსებობდა.

** ნებიერიძეები ცხოვრობდნენ კეხვში. კეხვში არსებობს რამდენიმე ტოპონიმი, რომლებიც სწორედ ნებიერეძეების გვარს უკავშირდება. მაგ. „ნებიერეთ ციხე", ასევე „ნებიერეთი". იხ. ნ. ოთინაშვილი, ლიახვის ხეობის ონომასტიკა, თბ., 2002, გვ. 226.

ჭალაში მცხოვრები გლეხები მარნიაშვილი და კორტანელაშვილი. იმ არეალში, რომელშიც სიგელში ჩამოთვლილი მამულები არსებობდა, დღეისათვის სოფელი ჭალა არ გვხვდება, თუმცა, როგორც დიდი, ასევე პატარა ლიახვის ხეობაში არსებობს ტოპონიმები ჭალის სახელწოდებით (ოთინაშვილი, 2002: 209-213). „დაწერილში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ერთი ადგილი: ***„ადრევე შეწირული მაჩაბელთაგან ფრიდონა და გოგაშვილი“,*** დოკუმენტიდან ჩანს, რომ თირის მონასტრის თავდების ღვთისმშობლისათვის ხელა თავხელისძის მოღვაწეობამდე მაჩაბლებს ორი გლეხი შეუწირავთ. ხელა თავხელისძეს მათთვის საყვნახე დაუმატებია და მონასტრის სასარგებლოდ ზეთისა და ცვილის გადასახადი გაუზრდია. ეს კიდევ უფრო გვიმყარებს ჩვენს მიერ ადრე გამოთქმულ ვარაუდს, რომ თავხელისძეების გამოჩენამდე, იმ ტერიტორიულ არეალს, რომელზეც თირის მონასტრის სიგელშია საუბარი მაჩაბელთა ფეოდალური გვარი ფლობდა და მათი ამოწყვეტის შემდეგ (რაც სავსებით დასაშვებია) სამეფო ხელისუფლებამ ხელა „მაჩაბლად“ დასვა (სოსიაშვილი, 2005: 36).

მკვლევარი ბ. ლომინაძე, რომელმაც აღნიშნული სიგელი შეისწავლა, სქოლიოში შენიშვნის სახით წერს: „საფიქრებელი, დედანში ეწერა „მაჩაბლისაგან“. თუმცა ეს შინაარსს ვერ ცვლის, რადგან სიგელში მაჩაბელი გვარის სახით იხსენიება, თანაც წერია: „ადრევე შეწირული“. ჩვენი აზრით, აქ მოხსენიებული მაჩაბელი სრულიად სხვა გვარია, სწორედ ამ გვარის წარმომადგენლებმა ხელას და მისი ოჯახის გამოჩენამდე თირის მონასტერს გლეხები შეწირეს. ხელას თირის მონასტრისათვის შეუწირავს წულთაში მცხოვრები ბუღაური. დღესათვის ცნობილი არ არის, სად მდებარეობდა სოფელი წულთა, თუმცა ურ სუფიქსიანი გვარები ლიახვის ხეობაში გავრცელებული იყო. მაგ. ხაჩური (სოფ. ქურთა, ასევე პატარა ლიახვის ხეობაში არსებული სოფ. ქორდი). სიგელის მიხედვით თირის მონასტერს გადასცემია მაღნარ–დვალეთში არსებული სოფ. კოშკა. მაღრან-დვალეთი მოგვიანებით ქსნის ერისთავებმა დაისაკუთრეს (გვასალია, 1983: 26).

თირში არსებულ თავდების ღვთისმშობლის ეკლესიას გადაეცა ასევე ჟღელე. როგორც დოკუმენტიდან ჩანს, დვალეთი და ჟღელე ხელას მონასტრისათვის თავისი მშობლების ასათისა და სოსანის საადაპოდ შეუწირავს. თუმცა, სიგელში

არის ერთი უზუსტობა. დოკუმენტში ვკითხულობთ: "ორივე უბანი (იგულისხმება ჟღელე და დვალეთი - გ.ს) შეწირული საალაპოდ მამისა მისისა ასათასთვის, დედისა მისისა სოს[ა]ნისათვის და მამისა მისისა მესტუმრის გოგნიასთვის. აქ, ჩვენი აზრით, უნდა იყოს „ძმისა მისისა", რადგან ასათ თავხელისძის მიერ მცხეთის დაწერილში მესტუმრე გოგნია ასათის შვილია, ე.ი. ხელა თავხელისძის ძმაა. საინტერესოა ასევე სიტყვები: „რაც დვალეთს ბეგარა სდებია, ჟღელეც იმავე წესითა". ჩვენი აზრით, თავხელისძეთა აღზევებამდე დვალეთში აკრეფილი გადასახადები თირის მონასტრის საკუთრება ყოფილა, ხოლო ხელა თავხელისძემ დვალეთთან ერთად ჟღელეს ხეობაც თირის მონასტერს უბოძა და მშობლებისთვის ამის სანაცვლოდ ალაპი დააწესებინა.* ხელას თავისი ერთგული პირის ბეჟან იალღუზიშვილის საალაპოდ თირის მონასტრისათვის მელვრეკისში მცხოვრები გლეხი ჭონიშვილი შეუწირავს, ხოლო ვირშელ იალღუზიშვილის საალაპოდ ფხვენისში შეწირული ერთი ვენახი კი ხელახლა დაუმტკიცებია. როგორც ჩანს, იალღუზიშვილები თავხელისძეებთან დაახლოებული პირები იყვნენ.** ხელა თავხელისძეს თავდების

---

* ჟღელე დვალეთში შემავალი ერთ-ერთი ხევი იყო. ვახუშტი ამის შესახებ წერს: "არამედ დუალეთიცა განიყოფების ხევ-ხევად და იწოდების ხევნი ესრეთ: კასრის ხევად, ზრამაგად, ჟღელედ, ნარად, ზროგოდ და ზახად." იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 633.

** ჩვენი აზრით იალღუზიშვილი და იალღუზიძე ერთი და იგივე გვარი იყო. ამ გვარის წარმომადგენელი იყო ცნობილი განმანათლებელი იოანე იალღუზიძე, რომელიც დიდი ლიახვის ხეობის სოფელ ზალდაში იყო დაბადებული. მან ქართულ ენაზე შექმნა პოემა "ალღუზიანი". სამეცნიერო ლიტერატურაში მიჩნეულია, რომ იოანე იალღუზიძე იგივე გაბარაშვილი იყო. როგორც ი. მეგრელიძე აღნიშნავს "ი. გაბარაშვილის შემდგომი თაობები-გაბარაევები (ადგილობრივი გამოთქმით გაბარათები) არიან. (იხ. ი. მეგრელიძე, სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984, გვ. 90. იოანე იალღუზიძეს ოსურ ლიტერატურაში გაბარაევების გვარს მიაკუთვნებენ. იხ. Осетия и осетины, СПБ, 1994, стр. 414). თირის მონასტრის 1432 წლის სიგელში იალღუზიშვილები ქართული საგვარეულოს წარმომადგენლებად გვევლინებიან. ჩანაწერი: "შეწირული თვისის ერთგულის იალღუზისიშვილისა ბეჟანისათვის საალაპოდ მელვრეკისს გლეხი ჭონისშვილი" უნდა მიგვანიშნებდეს იმაზე, რომ ხელა თავხელის და ბეჟან იალღუზიშვილს შორის დიდი ხნის ურთიერთობა არსებობდა და ერთგულების სანაცვლოდ ხელამ მის სახელზე თირის მონასტერში

აღაპი დააწესებინა. იალღუზიშვილები, რომ ჩამოსახლებული ოსური გვარის წარმომადგენლები ყოფილიყვნენ, ეჭვქრობთ ხელასთან ასეთი ურთიერთობა არ ექნებოდათ, იალღუზიშვილების ოსურ წარმომავლობას აქარწყლებს ის ფაქტიც, რომ მათ სოფელ მელვრეკისში თავიანთი მამული გააჩნდათ. ძალზე საინტერესოა, რომ 1799 წლით დათარიღებულ დოკუმენტში რომელიც დავით ამილახვრიშვილს გიორგი XII სახელზე შეუდგენია, მოიხსენიება **საიალღუზიშვილო**. დოკუმენტიდან არ ჩანს რომელ ტერიტორიას მოიცავდა საიალღუზიშვილო, მაგრამ იგი, როგორც ჩანს, ამილახვრების სათავადოში შედიოდა და საბუთის შედგენის დროს ამილახვრებს საიალღიზშვილო დაკარგული ჰქონდათ. ქართული სამართლის ძეგლები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ, ტ. VIII, თბ., 1985, გვ. 543. ცნობილია, რომ მელვრეკისში ძველი დროიდან სინას მთის მონასტერს თავისი მამულები ჰქონდა. იხ. ა. თაბუაშვილი, ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები (XVIII საკუნის II ნახევარი), თბ., 2013, გვ. 88. ე. მამისთვალიშვილი, საქართველოსა და სინის მონასტრის ურთიერთობის ისტორიიდან, „ლოგოსი“, IV, საქართველოს საპატრიარქო. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2007, 382-391; 1720 წლით დათარიღებულ დოკუმენტით მელვრეკისში თორმეტი კომლი ეკუთვნოდა “თაწმინდას”. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I თბ., 1940, გვ. 183, № 256. ძალზე საყურადღებოა ისიც რომ იალღუზიშვილებში ფიქსირდება სახელი ვირშელი. ეს სახელი უნდა უკავშირდებოდეს ვირშის მონასტერს. 1431 წლის ალექსანდრე I სვეტიცხოველისადმი ბოძებულ სიგელში აღნიშნულია: „და ვითარ გუმართებს, და ჩუენგან სათანადო არის, ეგრეთ კუალდდე ვინებეთ შემატება და გაზედაება და შევსწირეთ და მოვახსენეთ ძუელითგან მეფეთაგან შემკობილი აღშენებული და გადიდებული მთა ვირშისა, მონასტერი და მისნი შესავალნი ბაღაშვილნი და ქორდი“ იხ. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, ტ. II, გვ. 171. ჩვენი აზრით, საკუთარი სახელი ვირშელი ვირშის მონასტერთან არის დაკავშირებული. იგი ჯერ გვარი უნდა ყოფილიყო, ხოლო შემდეგ გვარის აღმნიშვნელი ვირშელი საკუთარ სახელად გადაიქცა. ის გავრცელებული იყო ქსნის ერისთავთა ფეოდალურ გვარში. გ. სოსიაშვილი, ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011, გვ. 26. სავარაუდოდ, ვირშის მონასტერი პატარა ლიახვის აუზში, სოფელ ქორდის სიახლოვეს მდებარეობდა. გ. სოსიაშვილი, ვირშის მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო (საკითხის შესწავლისათვის, ხელნ. 2014, გვ. 7. ჩვენი აზრით, იალღუზიშვილთა გვარი ქართული წარმომავლობის იყო და ამიტომაც გავრცელდა ამ საგვარეულოში საკუთარი სახელი ვირშელი, რომელსაც ოსურ ონომასტიკონთან საერთო არაფერი აქვს. მოგვიანებით იალღუზიშვილების იგივე იალღუზისძეთა გაოსება მოხდა. ქართველთა გაოსების პროცესი განსაკუთრებით აქტიური იყო XIX საუკუნ ის მეორე ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში. მიტრო-

ღვთისმშობლის გვერდით ბორტის ღვთისმშობლის სახელზე ეკვდერი აუშენებია და მისთვის „თორმეტი კაცის მსახლობელით“ ზემო სვეტელაური შეუწირავს, რომელიც თავად ხელას მიერ იყო ნასყიდი. დიდი ლიახვის ხეობაში სვეტელაურის სახელით ცნობილი სოფელი არ გვხდება, თუმცა, ძალზე საინტერესოა, რომ სოფელ საბაწმინდაში, რომელიც თირის მონასტრის საბუთებშიც იხსენიება გვხვდება ტოპონიმები „სვეტის წყარო“, ასევე სვეტიცხოველის ეკლესია (თოთიბაშვილი, 2002: 230). ხომ არ არის საბუთში მოხსენიებული ზემო სვეტელაური კავშირში სვეტიცხოველთან? შესაძლებელია, ის თავდაპირველად სვეტიცხოველის საკუთრება იყო. სვეტიცხოველის ტაძარს 1720 წლის დოკუმენტის მიხედვით გლეხები ჰყავდა: დიდი და პატარა ლიახვის ხეობის რამდენიმე სოფელში, მათ შორის: ერედვში, ცხინვალში, ნიქოზში, ქორდში, ტირძნისში (დოკუმენტები, 1940: 184).

თირის მონასტრისათვის შესაწირი უბოძებია ასევე ხელა თავხელისძის მეუღლეს – ალექსანდრე პირველის ბიძაშვილს, გულქან ათაბაგის ასულს. ნ. ანდღულაძის განმარტებით, გულქანის მამა ივანე ათაბაგი–ციხისჯვარელი იყო, რომელთანაც ერთი პერიოდი მამასთან დაპირისპირებული ალექსანდრე I თავს აფარებდა. გულქანს თირის მონასტრისთვის „საერედო“ გლეხი, მელვრეკისში მცხოვრები ბერფურაული შეუწირავს. ბ. ლომინაძის მიერ გამოქვეყნებულ სიგელში იხსენიება „საერიდო“, ხოლო ჯ. გვასალია, რომელიც ასევე იმოწებს თირის მონასტრის სიგელს, განსხვავებულ ვარიანტს – „საერედოს“ გვთავაზობს. ჩვენი აზრით, სწორი უნდა იყოს „საერედო“ და ის უნდა უკავშირდებოდეს პატარა ლიახვის ხეობაში არსებულ სოფელ ერედვს. ვახუშტი ბატონიშვილი ერედვის აღწერისას ციხეს და წმინდა გიორგის სასწაულთან ეკლესიას იხსენიებს. ეს ის ტაძარია, სადაც 906 წლით დათარიღებული წარწერაა ამოკვეთილი (სოსიაშვილი, 2005: 110, 124).

ამიტომ არ არის გამორიცხული, რომ გულქანის მიერ თირის მონასტრისადმი შეწირული გლეხი უწინ „საერედო“, ანუ ერედვის ტაძრის კუთვნილი ყოფილიყო, ან განზრახული ჰქონდათ მისი ერედვის ტაძრისთვის გადაცემა და საბოლოოდ

პოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია XVII-XX საუკუნეებში, თბ., 2010, გვ. 499–500.

გლეხი თირის მონასტერს შესწირეს. ხელა თავხელისძეს თირის მონასტრის კრებულისათვის შეუწირავს თამარაშენში „დიდ რუზედ“ არსებული წისქვილის მინდის ნახევარი, ასევე თორმეტი კაპიწი პური. თირის მონასტრისათვის გადაუცია ასევე დავით არზუაშვილის საალაპოდ ცხინვალში არსებული ორი ვენახი. აღსანიშნავია, რომ ცხინვალში მამულებს ფლობდა ასევე ხელა თავხელისძის მამა ასათი. ეს დასტურდება თირის მონასტრის საბუთზე არსებული ასათ თავხელისძის მინაწერით. ასათს მონასტრისათვის ცხინვალში ლალური შეუწირავს. ჩვენი აზრით ლალური ლალასძეების მამული უნდა ყოფილიყო. აღნიშნული გვარის ცხინვალში სახლობაზე საინტერესო ინფორმაციას გვაწვდის 1451 წლის მცხეთის სიგელი. აქედან ირკვევა, რომ მცხეთის საყდარს და ქართლის კათალიკოს–პატრიარქს დავითს გობელისძეებმა – ამირეჯიბმა რამინმა და მისმა ძმამ, მცხეთის საყდრის ამილახვარმა საჰამ შესწირეს ერთი ცხინვალელი გლეხი – ლალასძე მისი მამულით (ჟორდანია, 1897: 261; ცოტნიაშვილი, 1986: 52).

როგორც ჩანს, ცხინვალში ლალასძეების რამდენიმე კომლი არსებობდა და მათ მფლობელობაში არსებული მიწა ასათ თავხელისძემ თირის მონასტერს გადასცა. ასათს ცხინვალში სხვა გლეხიც ჰყავდა, ვინმე მაკარა (გვარი არ სახელდება), მაკარას ვიდრე ცოცხალი იქნებოდა ცამეტი კოკა ღვინო უნდა გაეღო მონასტრისათვის, ხოლო სიკვდილის შემდეგ მის ოჯახის წევრებს მონასტრისათვის ოცდასამი კოკა, ოთხმოცი პური და ორი თევზი უნდა მიერთმიათ. სიგელიდან ირკვევა ასევე, რომ ხელა თავხელისძეს „განუჩენია კ(ვალა)დაცა ორი ალაპი დედანაშვილი ქავთარისა და რუსთავსათვის ანდერძად დაგდებულის ქაიხოსროს ხელასადმი“. დედანაშვილ ქავთარს ღუერთეთში დოღლაძისაგან უყიდია „მამული შურტაული“. ხელას სწორედ დედანაშვილის საალაპოდ შეუწირავს ეს მამული თირის მონასტრისადმი თავისი ბეგარით. დოღლაძე ამ საბუთში შემთხვევით არ იხსენიება. დოღლაძე (დოღლისძის ფორმით) იხსენიება 1398 წლის დოკუმენტშიც. „ამირთ ამირა“ ლომი სუნღულისძეს და მის ძმისწულს ლაჩიას მცხეთისათვის გორში ზვარი შეუწირავთ, ხოლო სვეტიცხოვლისათვის სპონდიო (გალავანი) შემოუვლიათ, ამ საბუთს ამტკიცებს ვინმე ანინიკი დოღლისძე (ხუციშვილი, 2006: 31).

ნ. ხუციშვილის განმარტებით: „დოღლიძეების (დოღლაძეების, ან დალლაძეების) საგარაუდო სამფლობელო ადგილები

XIV-XV საუკუნეებში შეიძლება შემდეგნაირად შემოიფარგლოს: დვანის წყლის ხეობის ნაწილი (ღვერთეთი, ტახტისძირი, დირბი); ნაწილობრივ დიდი ლიახვის მარჯვენა სანაპირო (მიწები რხვითის ანუ ხვითის მახლობლად) და, აგრეთვე, ფრონეების ხეობის ქვედა, სამხრეთ ზოლი სურამის მიმართულებით (სოფ. დოღლაურა და დოღლაურის ჭალა)“ (ხუციშვილი, 2006: 32).

ზეპირსიტყვიერი გადმოცემით დოღლაძეები მაჩაბლებს ემეტოქეობდნენ. ს. მგალობლიშვილს ჩაუწერია გადმოცემა, რომლის მიხედვით, დოღლაძე უძეოდ გადაგებულა და მისი მამული მეფეებს ქრისტეს საფლავისთვის შეუწირავთ (ხუციშვილი, 2006: 30).

როგორც აღვნიშნეთ, ხელას თირის მონასტრისათვის დედანაშვილის მიერ დოღლაძეებისაგან ნასყიდი „მამული შურტაული“ შეუწირავს. შურტა საქართველოში გავრცელებული საკუთარი სახელი იყო. „მატიანე ქართლისაის“ ავტორი იხსენიებს კახეთის ქორეპისკოპოზის კვირიკეს ძმას – შურტას (X ს.) ამიტომ როგორც სიგელში გვხდება მამულის აღმნიშველი სახელები: მაგ. ლალური, ბერფუღაური, **შურტაული** (და არა მურტაული, როგორც ამას კითხულობდა ჯ. გვასალია, (მას მურტაულის ამოკითხვისას ეჭვი შეპარვია და გვერდით კითხვის ნიშნის თანხლებით მიუწერია შურტაული.) საკუთარი სახელის შურტასაგან, ან შურტასაგან ნაწარმოები გვარისაგან – შურტასძისაგან უნდა მომდინარეობდეს. სიგელში ერთ ადგილზე გაურკვევლად წერია „და რუსთავსათვის ანდერძად დაგდებულის ქაიხოსროს ხელასადმი“. სოფელი რუსთავი მდებარეობს ფრონეს ხეობაში, სადაც განვითარებული შუა საუკუნეებით დათარიღებული მთავარანგელოზის ეკლესიაა შემორჩენილი (შიდა ქართლი, 2002: 155). შესაძლოა სიგელში არსებულ წინადადებაში იგულისხმებოდეს ის, რომ რუსთავში არსებული მამული ვინმე ქაიხოსრომ ანდერძით ხელას გადასცა, რომელმაც შემდეგ ქაიხოსროსეული მამული თირის მონასტერს უბოძა. როგორც ზემოთაც ვნახეთ, 1432 წლის „დაწერილში“, არა მარტო ხელა თავხელისძე ჩუქნის მამულებს თირის თავდების ღვთისმშობელს, არამედ მისი ოჯახის წევრებიც. მეუღლე, მამა ასათი, ასევე ბორტა თავხელისძე, მას გარეჯვარში მცხოვრები დავით ბეშქენაშვილი საადაპოდ შეუწირავს მონასტრისათვის. ნ. ანდღულაძის განმარტებით: „სახე-

ლი „ბორტი“ დაკავშირებული უნდა იყოს ტოპონიმთან* შეიძლება ვიფიქროთ, რომ თავხელისძეებს ჰქონდათ „ბორტის ღვთისმშობლის“ ხატი, რომელიც ამ გვარის მფარველი ხატი იყო და რომელიც და მათ საგვარეულო საძვლეში იყო დასვენებული. მეტად საგულისხმო ფაქტია, რომ „ბორტი“, როგორც საკუთარი სახელის აღმნიშვნელი გვხვდება 1432 წლის გუჯრის მინაწერში, სადაც „ბორტი“ თავხელისძეთა სახლის ერთ–ერთი წარმომადგენლის საკუთარი სახელია: „თავხელისძის ბორტ[ი]სგან“–ვკითხულობთ ამ მინაწერში. აღსანიშნავია, აგრეთვე, რომ იგივე სიტყვა, როგორც სახელის აღმნიშვნელი, გვხვდება “ყმისა და მამულის წყალობის წიგნში“, რომელიც მეფე ალექსანდრეს მიუცია ვინმე „ბორტი მაჩაბლისათვის“. ის რომ სახელი „ბორტი“ – საკმაოდ იშვიათი სახელია ქართულ ონომასტიკონში – გვხვდება როგორც თავხელისძეების, ისე მაჩაბელთა გვარში, არ უნდა იყოს შემთხვევითი და ეს მომენტიც, ვფიქრობთ, მხარს უმაგრებს ჩვენს მოსაზრებას ამ ორი გვარის ურთიერთობის შესახებ“ (ანდღულაძე, 1976: 97). მაჩაბელთა გვარში გავრცელებული საკუთარი სახელი-ბორტის ხეგავლენით ცალკე საგვარეულო დანაყოფი ჩამოყალიბდა. მას ადასტურებს XVIII საუკუნის 70-80-იან წლებში შედგენილი ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთარში მოხსენიებული გვარი-ბორტიშვილი. დოკუმენტში, სადაც ჩამოთვლილია სოფ. თამარაშენში მაჩაბლების კუთვნილი გლეხები, აღნიშნულია: “ქ. აქავ ბარძიმ ბორტიშვილის ყმა გოგლიძე თამაზა, კომლი ა, თავი ა“ (თაბუაშვილი, 2013: 67). რაკი სოფ. ბორტის არსებობა დოკუმენტური წყაროებით დასტურდება და თირის მონასტრის საბუთის თანახმად ხელა თავხელისძეს სასაფლაო ეკვდერი ბორტის ღვთისმშობლის სახელზე აუგია. უნდა ვივარაუდოთ, რომ თავხელისძეების წარმომავლობა სწორედ სოფელ ბორტს უკავშირდება. თავხელისძეებმა, კერძოდ კი ხელამ, დიდი ლიახვის ხეობაში დამკვიდრების შემდეგ თირის მონასტერში ეკვდერი თავიანთი მამულში არსებული ბორტის ღვთისმშობლის სახელზე ააშენეს. წინაპრების საგვარეულო სალო-

---

* აღსანიშნავია, რომ სოფ. ბორტა გვხვდება 1790 წლით დათარიღებულ საბუთებში, სოფ. ბორტი მდებარეობდა მდ. თქმის პირას და იგი სამალალაშვილოში შედიოდა. იხ. ნ. ანდღულაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 97.

ცავის — ბორტის ღვთისმშობლის პატივსაცემად მათ გვარში „ბორტი“ საკუთარ სახელად იქცა. რაც შეეხება თირის სამრეკლოს წარწერაში დაფიქსირებულ საკუთარ სახელს „მაჩაბელს“ იგი იმ დროისათვის გვარის ფორმიდან ქცეული საკუთარი სახელია. წარწერაში მაჩაბელი რიგით წევრად იხსენიება.* ამ დროისათვის თავხელისძეთა საგვარეულოს ყველაზე გამოჩენილი წარმომადგენელი იყო ხელა, რომელიც მოლარეთუხუცესობას ფლობდა. სამეფო კარმა მას ძალზე დიდი ტერიტორიები გადასცა, რასაც ჩვენს მიერ განხილული სიგელიც ადასტურებს. დოკუმენტში დაფიქსირებული ფრაზა „ადრევე შეწირული მაჩაბელთაგან“ კიდევ უფრო ამყარებს ვარაუდს, რომ მაჩაბელთა ტერიტორიაზე დასახლებული თავხელისძეები, დიდი ლიახვის ხეობაში რაღაც განსაკუთრებული მიზეზით მოხვდნენ და ეს მიზეზი, როგორც უკვე ვთქვით მაჩაბელთა ფეოდალური სახლის ამოვარდნა უნდა ყოფილიყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანღულაძე, 1976: ანღულაძე ნ., თირის მონასტრის ხუროთმოძღვრული ანსამბლი, თბ., 1976.

ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: ბატონიშვილი ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973.

ბატონიშვილი იოანე, 1986: ბატონიშვილი იოანე, ქართლ–კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბედოშვილმა, თბ., 1986.

---

* ჩვენი აზრით, საკუთარ სახელს – მაჩაბელს ისეთივე წარმომავლობა აქვს, როგორც საკუთარ სახელს – ვირშელს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვირშელი თავდაპირველად გვარის აღმნიშვნელი უნდა ყოფილიყო, იგი დოკუმენტური წყაროებიდან ცნობილ სოფელ ვირშას უკავშირდებოდა. გვარის აღმნიშვნელი ვირშელი XV საუკუნის I ნახევარში საკუთარ სახელად არის ქცეული და გავრცელებულია ისეთ საგვარეულოებში, როგორიც არის იალღუზიშვილები, ჯავახიშვილები. ასევე გადაიქცა საკუთარ სახელად გვარის აღმნიშვნელი „მაჩაბელი“, რომელიც სხვა საგვარეულოებშიც გავრცელდა, მათ შორის თავხელისძეებში. თირის სამრეკლოს წარწერაში სწორედ ასეთ ფაქტთან უნდა გვქონდეს საქმე.

გვასალია, 1984: გვასალია ჯ., აღმოსავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ნარკვევები, თბ., 1984.

ბერძენიშვილი, 1940: დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, ნ. ბერძენიშვილის რედ. ტ. I, თბ., 1940.

თაბუაშვილი, 2013: თაბუაშვილი ა., ქალაქ ცხინვალისა და მისი მიმდებარე სოფლების აღწერის დავთრები XVIII საუკუნის II ნახევარი, თბ., 2013.

თოგოშვილი, 1962: История Юго-Осетии в документах и материалах, Под. ред. Тогошвили Г., Цховребов И., т. I, Цхинвал, 1962

კაკაბაძე, 1925: კაკაბაძე ს., საამილახვროს დავთარი მე–17 ს–ნის მეორე ნახევრისა, თბ., 1925.

კაკაბაძე, 1912: კაკაბაძე ს., ქრონიკა იკორთის # 6 ჟამნ–გულანისა, თბ., 1912.

მამისთვალიშვილი, 2007: მამისთვალიშვილი ე., საქართველოსა და სინის მონასტრის ურთიერთობის ისტორიიდან, "ლოგოსი", IV, საქართველოს საპატრიარქო. ისტორიის, ეთნოლოგიის, რელიგიის შესწავლისა და პროპაგანდის სამეცნიერო ცენტრი, თბ., 2007.

ანანია ჯაფარიძე, 2010: მიტროპოლიტი ანანია ჯაფარიძე, ქართველთა დენაციონალიზაცია XV-XX საუკუნეებში, თბ., 2010.

მეტრეველი, 1962: მეტრეველი ე., მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიიდან, თბ., 1962.

მეგრელიძე, 1984: მეგრელიძე ი., სიძველეები ლიახვის ხეობაში, ტ. I, თბ., 1984.

ნინიძე, 1995: ნინიძე დ., "პროვინციის მეფეები", XIV-XV საუკუნეების საქართველოში, თბ., 1995.

ოთინაშვილი, 2002: ოთინაშვილი ნ., ლიახვის ხეობის ონო-მასტიკა, თბ., 2002.

ოსეთი და ოსები, 1994 - Осетия и осетины, СПБ, 1994.

პირთა ანოტირებული, 1993: პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. II, თბ., 1993.

ჟორდანია, 1897: ჟორდანია თ., ქრონიკები, ტ. II, თბ., 1897.

სოსიაშვილი, 2005: სოსიაშვილი გ., სამაჩაბლოს ისტორია, თბ., 2005.

სოსიაშვილი, 2011: სოსიაშვილი გ., ნარკვევები ლიახვის ხეობის ისტორიიდან, თბ., 2011.

სოსიაშვილი, 2012: სოსიაშვილი გ., თავხელისძე–მაჩაბლების ურთიერთობა იერუსალიმის ქართულ სავანეებთან, გორის

სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ისტორიისა და არქეოლოგიის სასწავლო–სამეცნიერო ცენტრის შრომათა კრებული, #, 3, 2012.

სოსიაშვილი, 2014: სოსიაშვილი გ., ვირშას მონასტერი და ვირშელთა საგვარეულო(საკითხის შესწავლისათვის), ხელნ. 2014.

ქართლის ცხოვრება, 2006: ქართლის ცხოვრება, რ. მეტრეველის რედ. ტ. I, თბ., 2006.

ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, XIV-XV საუკუნეები, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თინათინ ენუქიძემ, ნინო თარხნიშვილმა, ბაბილინა ლომინაძემ, ტ. II, თბ., 2013.

შიდა ქართლი, 2002: შიდა ქართლი (პატარა და დიდი ლიახვის ხეობების არქიტექტურული მემკვიდრეობა), ტ. I, თბ., 2002.

ხუციშვილი, 2006: ხუციშვილი ნ., იერუსალიმის ჯვრის მონასტრის მიწათმფლობელობა საქართველოში, თბ., 2006.

Giorgi Sosiashvili

1432 TIRI DOCUMENT AND THE TAVKHELISDZE FAMILY

Summary

Early in the 15th century the Tavkhelisdze family obtained large estate in Shida Kartli. A representative of the Tavkhelisdze family – Asat Tavkhelisdze granted Catholicos slaves living in his estate Grani (maybe it was Grdani, mentioned by Vakhushti). Likely, he won the rights to build a chapel in Tiri monastery. According to Tiri monastery document, Asat Tavkhelisze had slaves in Tskhinvali. It is possible that he got those slaves after relocating in Shida Kartli, or maybe when Khela Tavkhelisdze became a treasurer, he granted his father peasants living in Tskhinvali. "Holy Mother of Tavdebi" in Tiri monastery used to be the Tavkhelisdzes' shrine, for which Khela Tavkhelidze gave a large donation. Before the Tavkhelisdzes, the Machabelis also donated slaves to Tiri monastery. Likely, Royal state granted Khela the Machabeli estate. Peasants donated by the Machabeli family were still alive during Khela's rise and imposed additional taxes for Tiri monastery. In the Tavkhelisdze family, Borti st. Mary was especially

respected. Likely, Borti st. Mary was situated in the village of Borti, located in Tedzami valley and belonging to the Tavkhelidzes. Otherwise, it's hard to explain that the Tavkhelisdzes built a prayer after Borti st. Mary next to Tiri monastery. In deference to abovementioned prayer, in the Tavkhelisdze family, Borti was very popular name. Later we come across the name in the Machabeli feudal house. This house belonged not to extinguished old surname "Machabeli" but the Tavkhelisdzes successor assigned as Machabeli. Likely, Khela Tavkhelisdze and his family members were buried in the Borti st. Mary prayer. Tavkhelisdze donated estate to Tavdebi st. Mary church of Tiri monastery located over Caucasus for the sake of his parents and a brother. Taxes from Dvaleti used to be collected even before Khela Tavkhelidze's career. Maybe, those taxes were imposed by estate owner the Machabelis for Tiri monastery before appearing of the Tavkhelisdzes. Along with Dvalety, Khela also taxed Zhghele valley. The Tavkhelisdzes' estates covered a large area, including Didi Liakhvi valley (Meghvrekisi, Sabatsminda, Achabeti, Kemerti, Maghran-Dvaleti. Later Magran-Dvaleti became the property of Ksani Eristavi), Dvaleti and Zhghele valley which was the part of Davleti. Famili members of the Tavkelisdzes owned estate in Tskhinvali, Garejvari, Phkhvenisi etc.

დალი ბეთხოშვილი

სიყვარულის გააზრებისათვის ალექსანდრე ყაზბეგის პოეზიაში
(„წერილი“, „ძნელია“, „შენ, შემოქმედო“)

ქართული მწერლობის განვითარებაში ალექსანდრე ყაზბეგმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა არა მარტო პროზით, არამედ პოეზიითაც, რომლის თითოეულ ნიმუშშიც ასევე ჩააქსოვა ის ვნებათა ღელვა, სიყვარული – ღვთიური თუ ადამიანური, ტკივილი თუ მწუხარება, რაც აწუხებდა შემოქმედს, საკუთარი ვნებათა ღელვა ზოგადად გარდაქმნა და ისე მიაწოდა მკითხველს, ყოველგვარ სატკივარს სიღრმისეულად სწვდება და მწერლის მიერ მხატვრული სიტყვის ძალით გარდაქმნილი ახლობელი ხდება ნებისმიერი ადამიანისათვის.

ალექსანდრე ყაზბეგის პოეზიაში წარმოჩენილია ღმერთის, მოყვასის და სამშობლოს სიყვარული, რაც, ამავე დროს, დიდ შემოქმედებით წვას მოითხოვს მწერლისაგან; მისი პიროვნების შინაგან სამყაროში მოქცეული გრძნობა მეტად იტვირთება, როგორც ხელოვანის გონებაში გატარებული, რის გამოც იგი მთელი განცდით გამოიხატება მის პოეზიაში. უნდა ითქვას, რომ ალექსანდრე ყაზბეგს, როგორც ტრაგიკულ პიროვნებას, მის პოეზიაში არსებული სათქმელიც ტრაგიკული ელფერითაა ნასაზრდოები.

სანამ უშუალოდ ჩვენ საკვლევ საკითხზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიმაჩნია დავიმოწმოთ ზოგიერთი მკვლევარის თვალსაზრისი ალექსანდრე ყაზბეგის პიროვნებისა და მისი შემოქმედების შესახებ, თუ როგორ აფასებენ მის ღვაწლს: „ალექსანდრე ყაზბეგი ქართულ ლიტერატურაში ცნობილია, როგორც ერთ-ერთი ტრაგიკული პიროვნება, რომელიც ცხოვრების ხანმოკლე მანძილზე (დაიბ. 1848 წლის იანვარში, გარდაიცვალა 1893 წელს) პირად ტრაგედიებს არ იყო მოკლებული... მას თანამედროვენი (მისი ერთ-ერთი ლიტერატურული მეგობარი იყო სერგეი მესხი) გვიხატავენ ნაადრევად დაბერებულ, დაღვრემილ, უკურნებელი სენით დაავადებულ ადამიანად... ის

თვითონ ეთიშება იმ საზოგადოებას, რომელიც მას გაურბის“ (ქიქოძე, 1958: 199).

როგორც გ. ქიქოძე აღნიშნავს, „ალექსანდრე ყაზბეგს, როგორც პოეტური ბუნების ადამიანს, ალბათ, გადაჭარბებულად მგრძნობიარე გარეკანი ჰქონდა, რომ მისი დიდი გული ვერ ეტეოდა მის ავადმყოფურად ჩავარდნილ მკერდს ქვეშ, რომ მოსკოვში უწესრიგოდ გატარებულმა ცხოვრებამ და თბილისში ხუთი წლის შემოქმედებითმა წვამ გამანადგურებელი გავლენა იქონია მის სუსტ ჯანმრთელობაზე. აუცილებლად საჭიროა იმ საზოგადოებრივი და ზნეობრივი ატმოსფეროს გახსენებაც, რომელშიც მოუხდა ცხოვრება ქართველ ბელეტრისტს“ (ქიქოძე, 1958: 199-200).

გ. კოტეტიშვილის აზრით: „მე-19 საუკუნის ქართულმა პოეზიამ მიაგნო ორ მწვერვალს, რომელნიც უცხოდ სდგანან საერთო ლიტერატურის სივრცეზე... ის სიმაღლეები კი, რომელზეც მათ აიყვანეს ქართული სიტყვა და პოეტური გზნება, დარჩებიან როგორც ქართული სულის გამძლეობის და სიდიდის ნიშნები... მსოფლიო ლიტერატურაში ვაჟა და ყაზბეგი განმარტოებით არიან, და მათთანვე არის მთას შეფარებული ქართული სულიც...“ (კოტეტიშვილი, 1988: 441).

ალექსანდრე ყაზბეგის დასახელებული ლექსები ერთად იმიტომ მოვაქციეთ, რომ სათქმელი ერთია – სიყვარულის მოაზრება ავტორის მიერ. ღმერთის სიყვარული, პოეტის სიტყვით რომ ვთქვათ, „ტრფიალი“, ლექსში „ძნელია“, ადამიანს წუთისოფლის მწუხარებას, მისგან მიყენებულ ჭრილობებსა და მძიმე განცდებს დააძლევინებს; თითქოსდა სიყვარულის ორგვლივ იყრის თავს ყველა ის მწარე რეალობა, რომელიც მოიცავს ადამიანის ცხოვრების თანამდევ განცდებს, სიხარულს და მწუხარებას, ნათელს და სიბნელეს, უიმედობას და იმედს, არსებობის რწმენას, სიცოცხლისა და სიკვდილის ღირებულებებს... თითოეული მათგანის გათავისება კვლავ და კვლავ ღმერთისაგან მომდინარე სიყვარულის წყალობით არის შესაძლებელი, მხოლოდ ამგვარად შეიძლება გამოვლინდეს სამყაროს და ადამიანის ცხოვრების არსი და დანიშნულება; ყოველივე ზემოთქმული, ალექსანდრე ყაზბეგის პოეზიას ამაღლებულ განწყობილებას და ღრმა შინაარსს სძენს.

ალექსანდრე ყაზბეგის ლექსი „წერილი“ გამოხატავს ღმერთის სიყვარულთან ზიარებას, სევდა-მწუხარების დასაძლევად. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ამ ლექსში ღმერთისადმი

უსაზღვრო სიყვარული მაღალ რეგისტრში, უმაღლეს მწვერვალზეა აყვანილი, როგორც თავად ღმერთი („ღმერთი სიყვარული არს“ - იოანე მახარებელი). ნათქვამის ნათელსაყოფად საჭიროდ მიმაჩნია დასახელებული ლექსის ორივე სტროფის დამოწმება:

„რას მერჩი, რისთვის მაწვალებ,
რისთვის მექცევი მწავადა?
რად მჩაგრავ, გულსა რად მიკლავ,
მზეს რად მიბნელებ შავადა?

რისთვის არ გჯერა? ცას ვფიცავ
რომ შენგანა ვარ ავადა!
რა რიგ მიყვარდი, ოჰ, ღმერთო!
ვერ გეტყვი... მიხვდი თავადა“ (ყაზბეგი, 1949: 69).

ავტორი თითქოს არ უმხელს გულის საიდუმლოს, რადგან ეშინია, შესაფერისად ვერ გამოხატოს სათქმელი, რადგან რიდი, კრძალვა, შიში, სიყვარული აქვს ღმერთისადმი და ვაითუ სათანადოდ ვერ გამოთქვას ის დიადი გრძნობა, რომელიც მისადმი აქვს შემოქმედს. გულთამხილავ ღმერთს კი შეუძლია დაინახოს, შეიცნოს და ამოიკითხოს ის სიყვარული, რომელიც არსებობს მის მიერ ქმნილი ადამიანის სულიერ სამყაროში.

ჩვენ მიერ მოტანილი ლექსის სტრიქონებში თითქოს ჩანს, რომ ავტორს ჰგონია ღმერთი მის მიერ განცდილს აწვალებს და ტანჯავს (აქ ალორძინების ეპოქის „წუთისოფლის მდურვა“ ირეკლება და სხვაგანაც კვლავ გამოვლინდება ალ. ყაზბეგთან), მკაცრად და მწავედ ექცევა, ჩაგრავს და გულს უკლავს, მზის სინათლეს შავად, ბნელად და გაურკვევლობად უქცევს. ეს ყოველივე კი წუთისოფლისგან მოწეული ხვედრია მოკვდავი ადამიანის თავზე, რადგან ცოდვა, სიავე და სიბნელე თავად ადამიანმა დაამკვიდრა საკუთარ მოკვდავ ბუნებაში და სწრაფწარმავალ წუთისოფელში; ავტორი, უფრო დამაჯერებელი რომ გახადოს თავისი სათქმელი და გამოხატოს არდავიწყებული და ღრმა სიყვარული უზენაესისადმი, ფიცითაც კი მიმართავს ღმერთს და შეახსენებს შემოქმედს და შემწეს, რომ ლამის ავად გახდა, თითქოსდა სიყვარულის მოკლების გამო, თუმცა უნდა შევნიშნოთ, რომ თვითონ ადამიანი დაშორდა უზენაესის სიყვარულს ცოდვის გაბატონების გამო, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ღმერთი ადამიანს არასოდეს მიატოვებს, რაც უნდა ცოდვებით დამძიმებული იყოს, - გკითხულობთ

ერთ-ერთ ფსალმუნში (ფს. 8, 4-6), – ე. ი. მასში გამოხატული აზრის თანახმად, ღმერთი ადამიანს სიყვარულს არ აკლებს, რადგან ღმერთმა უწყის, რომ მოკვდავს სავალ გზას მხოლოდ მისი სიყვარული, საოება, რწმენა უადვილებს და უმსუბუქებს; ადამიანთა სიყვარულისათვის, მთელი კაცობრიობის ცოდვებისათვის ეწამა იესო ქრისტე, ეწამა სწორედ ადამიანთა სიყვარულის გამო. „მან სული თჳსი ჩუენთჳს დადვა და ჩუენცა თანაგუაც ძმათათჳს სულთა ჩუენთა დადებად" (I იოან. 3, 16); ღმერთისადმი სიყვარული ადამიანმა უნდა დაამტკიცოს მოყვასისადმი სიყვარულით. იესო ქრისტემ დაუბარა თავის მოწაფეებს: „რამეთუ ესე არს მცნებად ჩემი, რაჲთა იყუარებოდით ურთიერთას, ვითარცა მე შეგიყუარენ თქუენ" (იოან. 15, 12). სიყვარულის მცნების დაცვის მოწოდება და გათავისება არა ერთ ჰაგიოგრაფიულ თუ სხვა ჟანრის ძეგლში დასტურდება. აქვე შევნიშნავთ, რომ, ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, სიყვარული უნდა არსებობდეს მტრის მიმართაც: „არამედ თქუენ გეტყჳ, რომელთა ეგე გესმის: გიყუარდედ მტერნი თქუენნი და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქუენთა. და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და ილოცევდით მათთჳს, რომელნი გმძლავრობენ თქუენ" (ლუკა, 6, 27-28).

ალექსანდრე ყაზბეგის შემოქმედებაში ასახული სიყვარული ქრისტიანული სიყვარულის არსის ანარეკლია. ავტორი ამ პრობლემის წამოჭრისა და ნააზრევის გადმოცემისას საფუძველს უთუოდ ბიბლიაში, წმიდა წერილში ჰპოვებს და მის კვალდაკვალ გვაწვდის საკუთარ ხედვას სიყვარულის არსისა და რაობის წარმოჩენისას, ე. ი. სიყვარულის გააზრებისას ალ. ყაზბეგის მსოფლმხედველობა ბიბლიურ-ქრისტიანულია.

ალექსანდრე ყაზბეგი სიყვარულის თემაზე დაწერილ მეორე ლექსში „ძნელია" თითქოს აგრძელებს იმ მწუხარებისა, სატკივარის ჩვენებას, რაც ღმერთის სიყვარულის წვდომასთან, მის ტკივილიან განცდასთანაა დაკავშირებული. დასახელებულ ლექსში ნათლად იგრძნობა ავტორის სწრაფვა, სურვილი მისწვდეს ღმერთის სიყვარულს, მაგრამ ეს რთულია და თითქმის შეუძლებელი, ამიტომ არ უნდა მისი სიყვარული დაივიწყოს, რათა მასთან სიახლოვე განხორციელდეს; ღმერთისადმი სიყვარულის ხდომას ავტორი „ტრფიალის წადილით „დაბნედილი", როგორც თავად წერს, განსაკუთრებული სიყვარულით, მაგრამ დიდი ტკივილის სანაცვლოდ მიიღწევა:

„ძნელია, როცა სანდომსა
ხედავ და ვერა სწვდებიო!
მასთან ტრფიალის წადილით,
გმინავ და ჰკვნესავ, ბნდებიო!" (ყაზბეგი, 1949: 69).

ალექსანდრე ყაზბეგის ტრფიალის ობიექტი არის ღმერთი, რომლის მოსაძიებლად და მასთან დასაახლოებლად ყოველგვარ გასაჭირს დასძლევს, რადგან ავტორისთვის ცნობილია, რომ ტრფიალის ობიექტთან მიახლოება მხოლოდ ამქვეყნიური ცოდვების გადალახვით და დაძლევით იქნება შესაძლებელი; ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი მოკვდავის ცოდვით დამძიმებული სულის კათარზისი, რაც სიმბოლურად გამოიხატება იმ გზის გავლაში, რომელიც მიემართება უფლის სულიერად საწყდომად:

„ფიქრობ დღეს ნახავ, აქცდება
და წმინდა სანთლად სდნებიო!
სულთმობრძავს დამგზავსებული
არც სცოცხლობ, ალარც კვდებიო!" (ყაზბეგი, 1949:70),

– ვკითხულობთ ლექსის მეორე სტროფში.

აღნიშნული სტრიქონების მიხედვით, ავტორს სურვილი აქვს ყოველდღე იხილოს ღმერთი, ანდა სიახლოვე იგრძნოს მაინც, მაგრამ ვერც იხილავს და ვერც მიუახლოვდები, თუნდაც სანთელივით წვა გამოიხატოს მოკვდავის მხრიდან და სანთელივით აალდე, ეს მხოლოდ მისკენ სწრაფვის სურვილის გამოხატულებაა, მიახლოების წადილია... ასეთ მდგომარეობაში მყოფი მოკვდავი სულთმობრძავს ემსგავსება, რაც გამოხატავს მყოფობის რაღაც ხლვარზე ყოფნას – წუთისოფელი – სასუფეველი, სიცოცხლე – სიკვდილი, რომელიც მეორე მარადიული, სულიერი სიცოცხლის დასაწყისია; ეს თვალსაზრისი მსჭვალავს საანალიზო სტროფის ბოლო სტრიქონს და ეხმიანება ზემოთ განხილული ლექსის „წერილი" სტრიქონებში გაცხადებულ სულისკვეთებას და ჩვენ მიერ გამოთქმულ თვალსაზრისს იმის თაობაზე, რომ ღმერთის სიყვარულით მიიღწევა წუთისოფლის, როგორც ამაოების, დაძლევა და სასუფევლის დამკვიდრება: „რამეთუ ესრეთ შეიყუარა ღმერთმან სოფელი ესე, ვითარმედ ძეცა თჳსი მხოლოდ-შობილი მოსცა მას, რაჲთა ყოველსა რომელსა ჰრწმენეს იგი, არა წარწყმდეს, არამედ აქუნდეს ცხორებაჲ საუკუნოჲ" (იოან. 3, 16).

სიყვარულის თემაზე დაწერილ ლექსთა რკალში, მიმაჩნია, უნდა მოექცეს ალექსანდრე ყაზბეგის მორიგი ლექსიც „შენ,

შემოქმედო", რომელიც, უპირველესად, ლოცვის შინაარსითაა აღვსილი და მის სტრიქონებში ღმერთისადმი ვედრება და თხოვნაა ჩადებული. ამ სავედრებელში, რა თქმა უნდა, უზენაესის სიყვარული არის ჩატვიფრული, რადგან ის არის მოკვდავთა შემწე, რაც ამ უზენაესი გრძნობიდან გამომდინარე ხდება; დასახელებულ ლექსში ავტორი ღმერთს სთხოვს, თავისი სიყვარული არ მოაკლოს უძლურ ადამიანს, აღადგინოს – ცოდვების შემსუბუქებაში თანაშეეწიოს. აგრეთვე, პოეტი ღმერთს თანაშეწევნას სთხოვს სამშობლოსათვის:

„...ან უძლურს უთხარ – აღსდეგინ,
დასტკბი და გაიხარეო" (ყაზბეგი, 1949: 10),

მაგრამ არა მხოლოდ ადამიანმა უნდა უპასუხოს ღმერთს სიყვარულზე, არამედ ნებისმიერმა სულდგმულმა:

„ბულბულო, ტკბილად დაჰყეფე;
ქვეყნად გაშუქდი, მთვარეო;
ვარდო, კოკობო, ნამცვრეცო,
სატრფოსკენ გადიხარეო" (ყაზბეგი, 1949: 10).

პოეტს იმედი აქვს, რომ ღმერთი სიყვარულს არ მოაკლებს მის მიერ შექმნილ და კეთილზე დაფუძნებულ ქვეყანას, კვლავ კეთილზე დაამყარებს მას და ყველა სულდგმულს:

„ოღონდაც ჩვენი ქვეყანა
კეთილზე დაამყარეო –
და მაშინ თუნდა იმ წუთში
გულს მიწა მომაყარეო!" (ყაზბეგი, 1949: 10).

შემოქმედი მზად არის ღმერთის სიყვარულს და მის თანადგომა-შემწეობას თავიც კი უძღვნას, ოღონდ ქვეყანა კარგად დატოვოს, თუნდაც გულზე მიწა მიაყაროს და სიკვდილითაც კი შეეწიროს უზენაესს.

ამდენად, სალვთო სიყვარული მოიპოვება ამქვეყნიური ვნებების დაძლევით და ალექსანდრე ყაზბეგიც, როგორც შემოქმედი და როგორც ცოდვილი ადამიანი, ღმერთთან საუბრით და მასთან ზიარებით ცდილობს ღმერთთან მიახლოებას და იმ სულიერი გზის გავლას, რომელიც საიდუმლოა, მიუწვდომელია. ალექსანდრე ყაზბეგის სიყვარულის თემაზე დაწერილი ლექსებიდან მთავარია ამოკითხულ იქნას ერთი აუცილებელი რამ: ადამიანისათვის მთავარი ჭეშმარიტება ღმერთის სიყვარულია, რომელიც ითავსებს ყოველივე მიწიერს – წარმავალს, ყოველგვარ ჭეშმარიტ არსობას, მარადიულობას და მას უკვდავებას სძენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

ყაზბეგი, 1949 – ყაზბეგი ალ., თხზულებათა სრული კრებული, ტ. III, თბ., 1949.

ახალი ალთქუმად, 1963 – ახალი ალთქუმად, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა, თბ., 1963.

კოტეტიშვილი, 1988 – კოტეტიშვილი გ., ალექსანდრე ყაზბეგი, წიგნში: ცხოვრება ალექსანდრე ყაზბეგისა, თბ., 1988.

ქიქოძე, 1958 – ქიქოძე გ., ეტიუდები და პორტრეტები, მეორე შევსებული და შესწორებული გამოცემა, თბ., 1958.

Dali Betkhoshvili

FOR COMPREHEND OF LOVE ALEKSANDRE KHAZBEGY'S POETRY

(„the letter", „it's difficult", „you are creator")

Summary

There are love of GOD, love of man, love of mother country in Aleksandre Khazbegy' poetry. With is filled with tragically content.

In Aleksandre Khazbegy's verse is written subject of love and there is one main idea:

The first truth for man is love of GOD, which is of the world and it gives eternity.

„სიამაყე და მცდარი აზრის“ სტილის თავისებურებანი

„მივიღე ლონდონიდან ჩემი ძვირფასი ჩვილი“ (my own darling child), - წერს ერთ წერილში ჯეინ ოსტინი დას, კასანდრას, „სიამაყე და მცდარი აზრის“ შესახებ. რომანის პირველი ვერსია ჯეინმა სრულიად ახალგაზრდამ გაასრულა, მაგრამ ხელნაწერი, სათაურით -„პირველი შთაბეჭდილება“, გამომცემლებმა ისე დაიწუნეს, არც კი წაუკითხავთ. მოგვიანებით, 1811 წელს, ჯეინი ისევ მიუბრუნდა კარგა ხნით მივიწყებულ ტექსტს და, ძირითადად, მოცულობითი და სტილური გადამუშავების შემდეგ გამოაქვეყნა კიდეც 1813 წელს. გამომცემლებმა ავტორი ორიგინალურად წარუდგინეს ინგლისელ წიგნის მოყვარულთ - „გრძნობისა და გონიერების ავტორისაგან“, რაც ამ ახლადგამოქვეყნებული რომანის, საყოველთაო მოწონებაზე მიუთითებს. „ძვირფასმა ჩვილმა“ კი ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა, რის დასტურადაც საკმარისია ჯეინის თანამედროვე ცნობილი დრამატურგის, შერიდანის, სიტყვები გავიხსენოთ: „არაფერი წამიკითხავს ამ წიგნზე ბრძნული და მახვილგონივრული“ (ანთოლოგია, 2003: 56). სწორად აღწევს ჯეინ ოსტინი აზრისა და ოსტატობის განსაკუთრებულ სიმწიფეს, გამოხატვის უშუალობას, ხალას იუმორს და, თუ შეიძლება ასე ვთქვათ, წერის ეპიგრამულ სტილს.

რომანის სტრუქტურა ზუსტი, ჰარმონიული და დასრულებულია. მოქმედება დაფუძნებულია უმთავრესი კომპოზიციური ხაზის სიმეტრიულ გამეორებაზე, ასე, რომ სათაურის სიტყვები - „სიამაყე“, „მცდარი აზრი“ ახასიათებს ორივე მთავარ გმირს - ელიზაბეტი და დარსი თითქმის ერთნაირად ამაყები, მცდარ აზრთა ტყვეობაში მყოფნი, ერთნაირად და ერთდროულად განიცდიან, თუ შეიძლება ითქვას, კათარზისს, შეიცნობენ საკუთარ შეცდომებს, მაღლდებიან მახინჯ და ყალბ პრინციპებსა და გრძნობებზე, ამიტომაც, საბოლოოდ, სიყვარულის მძლე ძალას ემორჩილებიან ერთნაირად, როგორც იტყვიან ასეთ შემთხვევებში, მთელი არსებით.

რომანში ჩანს ოსტინი, ბრწყინვალე ფსიქოლოგი, ცხოვრების ღრმად განმცდელი, დიდებული, ფხიზელი და რეალისტი მხატვარი კაცთა ყოფისა და ადამიანური განცდებისა. მისი აზრები აღწევს ადამიანის ქცევის ფარულ მოტივებსა და

მიზეზებში, რომლებსაც აღწერს ყოველგვარი ბუნდოვანი დაწვრილმანების გარეშე, დამაჯერებლად, ღრმა წვდომით. ამავე დროს, შეუბრალებელი, მაგრამ თანალმობით სავსე იუმორით აღწერს თავის საზოგადოებას, მის ყოველდღიურობას, „მარადიულ“ ზრახვებსა და ღირებულებებს, რომელიც მთლიანად მერკანტილურზე, პრაგმატულზე არის ორიენტირებული; - გავიხსენოთ საყოველთაო აღფრთოვანება დარსის მიმართ წვეულებაზე, გამოწვეული არა იმდენად მისი პიროვნული ხიბლით, წესიერად არც კი იცნობდნენ, რამდენადაც დარსის წლიური შემოსავლის შეტყობით. მოკლედ რომ ვთქვათ, ინგლისურ ლიტერატურაში პირველად ჩვენმა მწერალმა ქალმა მაღალოსტატურად დაასურათა ისინი, ვისაც მოგვიანებით თეკერეიმ სნობები უწოდა; ამ შემთხვევაშიც ჯეინ ოსტინი უსწორდება და გარკვეული აზრით, შეგვიძლია ვთქვათ, უსწრებს კიდეც XVIII საუკუნის თანამემამულე რომანისტებს.

ჯეინის თანამედროვენი მკვეთრად რეაგირებდნენ მწერლის შექმნილ ხასიათებზე. ოსტინი არაერთხელ გაუკიცხავთ, მაგალითად, სასულიერო პირების პატივმოყვარე სნობებად გამოსახვის გამო. მამისა და ძმის მეგობრები გადაწყვეტით არ ეთანხმებოდნენ მწერლის მძაფრ საჩირას, ხოლო ერთმა დაახლოებულმა ქალბატონმა, როგორც ოსტინის ბიოგრაფები გადმოგვცემენ, შენიშნა: „არ ღირს ასეთ დროში შექმნა მისტერ კოლინზისა და მისტერ ელტონის მსგავსი მღვდლის სახე“. ეს შენიშვნა ღირსსახსოვარი აღმოჩნდა დროის კონტექსტის გათვალისწინებით - ეს იყო საუკუნის დასაწყისი, რევოლუციური აღტკინებისა და ცვლილებების ხანა მთელს ევროპაში. ოსტინის საჩირა ასეთ ფონზე განსაკუთრებულად იგრძნობოდა და აღიქმებოდა. იგი იმდენად ოსტატური, ზუსტი და სახოვანი აღმოჩნდა, რომ სახელი „კოლლინზი“ ინგლისურში იქცა განზოგადებულ სახე-სიტყვად, ისევე, როგორც „დომბი“ ან „პიკვიკი“. კოლინზი - ესაა გაბღენძილობა, პომპეზურობა, პირმოთნეობა, აღტაცება ტიტულებითა და მდგომარეობით. დღეს არსებობს გამოთქმა „He sent me a „Collins“ - სადაც „კოლინზი“, მეტონიმიურად, ნიშნავს ისეთ წერილს, როგორსაც მხოლოდ მისტერ კოლინზი თხზავდა.

ჯეინ ოსტინი აიძულებს თავის გმირს დაფიქრდეს და გაიაზროს, პირველ რიგში საკუთარი თავი, საკუთარი არსება. მწერალი არ ხატავს სწორხაზოვან ხასიათებს, როგორც მისი

თანამედროვე მწერლების უმეტესობა, უარს ამბობს საკუთარი გმირების დაყოფაზე ბორტმოქმედებად ან წმინდანებად, პირიქით, ერთ-ერთი პირველი ინგლისურ ლიტერატურაში, ქმნის ე.წ. „რთულ ხასიათს“. ადამიანის ბუნება, მისი მთელი ცხოვრებით, პიროვნული შუქ-ჩრდილებით იქცა მისი სტილის ძირითად პრინციპად. თუმცა, უნდა ითქვას, რომ რომანის ზედაპირული კითხვისას ელიზაბეტი განასახიერებს ცრუ შეხედულებებს, დარსი - სიამაყეს, მისტერ კოლინზი ფარისევლობასა და ქედმოხრილობას, ლედი დე ბიერი – ამპარტავნებას, მისტერ ბენეტი - ცინიზმს, მერი - პედანტიზმს, ლიდია - კოკეტობას და ასე შემდეგ. მაგრამ ხაზგასმით ვიტყვით, რომ ასეთი განწყობა შეიძლება მხოლოდ ზერელე წაკითხვით შეიქმნას. მართალია, ჯეინთან ვხვდებით ასეთ სწორხაზოვნებას, მაგრამ მხოლოდ განსაკუთრებულ და ერთეულ შემთხვევებში, პერსონაჟთა მხოლოდ კომიკურ ან სატირული დახასიათებისას და ისიც მაშინ, როცა ეს პერსონაჟები მოქმედების პერიფერიაზე დგანან. ეს მეორეხარისხოვანი პერსონაჟებია, რომელთა მეოხებითაც მწერალი აჩვენებს ადამიანის ბუნების ქვენა, რომელიმე კონკრეტულ ინსტიქტს. მაგრამ არც ეს ხასიათებია ისეთი მარტივი და უბრალო, როგორც, შეიძლება, ერთი შეხედვით ჩანდეს. ე. ფორსტერის მარჯვე გამოთქმა რომ მოვიშველიოთ ეს ხასიათები „ნაკვეთია მთლიანობაში, მთლიანობიდან“ (დავიდოვა, 1961: 125). რომანის მთავარი პერსონაჟები ხასიათის სირთულითა და მრავალპლანიანობით გამოირჩევიან; მაგალითად, დარსი - მის ხასიათში იკვეთება სნობიზმიცა და წოდებრივი სიამაყეც, გულწრფელი, ერთგული სიყვარულიც, ოშვიათი ნიჭი მეგობრობისა, ცოდნა ადამიანებისა და საზოგადოებისა, ძლიერი გონება და დამოუკიდებლობა, ხასიათის ძალა; ყველა ეს თვისება შერწყმულია სხვადასხვა პროპორციით, რომელიც ცვალებადია და გმირის ხასიათის საბოლოო გამოკვეთას ემსახურება. მწერალს უყვარს თავისი გმირები, მაგრამ ეს არ უშლის ხელს ნათლად დაინახოს და აჩვენოს მათი ხასიათის შუქ-ჩრდილები და მსუბუქი იუმორით გადმოსცეს ის. ოსტინი დაჯილდოებულია უნარით შეამჩნიოს და აღწეროს ადამიანის სულის უინტიმესი მოძრაობა, რაც უდიდესი მიღწევაა XVIII – XIX სს. მიჯნაზე ინგლისის პროვინციაში მცხოვრები მწერლისა. ჯეინმა, უდავოდ, ბევრი რამ ისწავლა ფილდინგისაგან, მაგრამ ხასიათების შექმნის მხრივ იგი ბევრად უსწრებს წინამორბედებს, მან, შეიძლება ვთქვათ,

თავის თამნამედროვეთაგან განსხვავებით შეაღწია და გზა გაიკვლია იმ დაბურულ, გაუვალ ნაკრძალში, რომელსაც მეოცე საუკუნეში სულის დიალექტიკა უწოდეს. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ თანამედროვე ლიტერატურულ კრიტიკაში „რთული“ ხასიათების ხატვის თვალსაზრისით ჯეინ ოსტინს მომდევნო თაობის მწერლებზე (დიკენსი, თეკერეი, ელიოტი და სხვ.) წინაც კი აყენებს ზოგიერთი მკვლევარი (გზამკვლევი, 2003: 167).

მწერალმა თავის უკვდავ რომანში ადამიანური ხასიათის არა ერთ საპირისპირო მხარეს მიაპყრო მახვილი მზერა - თავდაჯერებულობა და მეტისმეტი ზვიადობა, გულგრილობა და მზრუნველობა-გულშემატკივრობა, პატივმოყვარეობა და თავმოყვარეობა. არანაკლებ საინტერესოა მისი თანამედროვე საზოგადოების მისწრაფებებისა და ღირებულებათა სისტემის პირუთვნელი აღწერა, გულშემატკივრის თვალით დანახული და გამოაშკარაებული - თუნდაც ქორწინების თემა რად ღირს, რომელსაც არაერთ ნაწარმოებში უბრუნდება მწერალი. ოსტინი ცხოვრობდა საზოგადოებაში, სადაც ქორწინება ერთგვარი „საბაზრო გარიგება“ იყო, ძირითადად პრაგმატულ გათვლებზე და არა სიყვარულსა და ვნებაზე დაფუძნებული. ოსტინი თითქმის პირველია ინგლისელ ლიტერატორთა შორის, რომელმაც გაილაშქრა უსიყვარულო, მხოლოდ ფულსა და ქონებაზე დამყარებული გარიგების წინააღმდეგ და იგი ლამის ამორალურ საქმედ დასახა. ფული არაა საზიზი ბედნიერებისა - ესაა მწერლის შეგონება. ოსტინისათვის, შესაძლოა საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე, მარტოხელობა ადამიანისა გაცილებით მისაღებია და იოლიც კი, ვიდრე მარტოსულობა ქორწინების საიდუმლოთი შეკრული წყვილებისა, რომლებსაც ერთმანეთთან მხოლოდ მატერიალური აკავშირებთ.

და ბოლოს, მწერალი, ეს ძალზე მნიშვნელოვანია, ყოველთვის აანალიზებს, ცდილობს ახსნას ის პირობა-გარემოებანი, რამაც მისი გმირები აქცია იმად, რადაც გვევლინებიან - გარემოცვა, აღზრდა, გავლენები, მემკვიდრეობა და სხვ. ესეც ოსტინის, როგორც მხატვრის სტილის გამორჩეული თავისებურებაა იმდენად, რამდენადაც ასეთი მიდგომა მხოლოდ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში იჩენს განსაკუთრებულად თავს ლიტერატურაში (დავიდოვა, 2003: 205).

ხასიათის აღზრდა შესაძლებელია, ამისათვის თვითშემეცნებაა საჭირო - ესაა ლაიტმოტივი ჩვენი რომანისა, რომელიც შემდეგ, ახალ, სიკვდილამდე ორიოდე თვით ადრე დასრულებულ, რომანში მთავარ იდეად იქცევა.

გამოყენებულილიტერატურა:

ამელინა, 1978 – Амелина Т. А. Стилистическое новаторство Джейн Остена (К вопросу о структуре образа автора)// Инновации на разных языковых уровнях. Межвузовский сборник научных трудов. Под Ред. Л.Я. Орловской. Рига: латв. гос. ун-т. им. П.Стучки, 1978.

ამელინა, 1973 – Амелина Т. А. Проблема реализма в творчестве Джейн Остен (Метод и стиль): Автореф. Дис. На соиск. Учен. степени канд. филол. Наук. СПб., 1973.

ანთოლოგია, 2003 – English and American Literature from Shakespeare to Mark Twain [Электронный ресурс] Антология содержит тексты, биографии авторов на англ. яз. - М. Директ Медиа Паблишинг, 2003, electronic tape cassettes (CD-ROM).

გზამკვლევი, 2003 – Путеводитель по английской литературе//под ред. М. Дрэббли Дж. Стрингоф, Москва, 2003.

ვასილევა, 1981 – Васильева И. Специалист по одиночеству. Предисловие// Пим Барбара. Осенний квартет/Пер. М. Волжиной. Москва, 1981.

დავიდოვა, 2003 – Давыдова Т. Т. Теория литературы: Учеб. Пособие, Москва, 2003.

დემუროვა, 1961 – Демурова Н. Роман Джейн Остин «Гордость и предрассудки». В кн.: J.Austen. Pride and Prejudice. Foreign Languages Publishing House, M., 1961.

ოსტინი, 2011 – ჯეინ ოსტინი, სიამაყე და მკვდარი აზრი, ინგლისურიდან თარგმნა ანა მაყაშვილმა, თბილისი, 2011.

Diana Mikeladze

STYLE PECULARITIES ACCORDING TO "PRIDE AND PREJUDICE"

Summary

Jane Austen's distinctive literary style relies on a combination of parody, burlesque, irony, free indirect speech, and a degree of realism. She uses parody and burlesque for comic effect and to critique the portrayal of women in 18th-century sentimental and gothic novels. Austen extends her critique by highlighting social hypocrisy through irony; she often creates an ironic tone through free indirect speech in which the thoughts and words of the characters mix with the voice of the narrator. The degree to which critics believe Austen's characters have psychological depth informs their views regarding her realism. While some scholars argue that Austen falls into a tradition of realism because of her finely executed portrayal of individual characters and her emphasis on "the everyday", others contend that her characters lack a depth of feeling compared with earlier works, and that this, combined with Austen's polemical tone, places her outside the realist tradition.

Austen's novels have often been characterized as "country house novels" or as "comedies of manners", however they also include fairy tale elements. Compared to other early 19th-century novels, Austen's have little narrative or scenic description—they contain much more dialogue. Austen shapes a distinctive and subtly-constructed voice for each character.

ტიმოთე გაბაშვილი შოთა რუსთველის შესახებ

შოთა რუსთველის ბიოგრაფიასთან დაკავშირებული ჩვენამდე მოღწეული წყაროები ძირითადად ორად შეიძლება დაჯგუფდეს: 1. ისტორიულ-დოკუმენტური და 2. ფოლკლორული მასალები. რასაკვირველია, ისინი ღირებულებითა და მნიშვნელობით ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავდება, ვინაიდან რამდენადაც ისტორიულ-დოკუმენტური წყაროები უმწირეს ცნობებს შეიცავს – სახელისა და ზედწოდების მოხსენიებით შემოიფარგლება, ფოლკლორული მასალა (თქმულებები, გადმოცემები, ხალხური ლექსები), საზოგადოდ, ხალხურ ფანტაზიას გადმოგვცემს, თუმცა, შესაძლოა, ისინი ისტორიული ფაქტებისა და მოვლენების ხსოვნასაც ინახავდეს; მათი ერთმანეთისაგან გამიჯვნა ამჟამად თითქმის შეუძლებელია. კვლევის საქმეს ისიც ართულებს, რომ არ მოგვეპოვება XVI საუკუნემდელი ხელნაწერი „ვეფხისტყაოსნისა“.

შოთა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ შემონახული მწირი ცნობები სამი რიგისაა: 1. ცნობები პოეტის ზედწოდების – **რუსთველის** შესახებ, რომლებიც ამოსავალია ამ პრობლემის საკვლევად, ვინაიდან „ვეფხისტყაოსნის“ დასაწყისსა და დასასრულში სწორედ რუსთველია მოხსენიებული, სახელის გარეშე; 2. ცნობები პოეტის სახელთან – **შოთასთან** – დაკავშირებით, რომელიც ზოგჯერ რუსთველთან ერთად მოიხსენიება, ზოგჯერ – ცალკე; 3. ცნობები **შოთა რუსთველის** შესახებ, რომელთაგან, უწინარეს ყოვლისა, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ფრესკის წარწერა იქცევს ყურადღებას. ამავე თვალსაზრისით საინტერესოა შოთას ფრესკულ გამოსახულებათა და ბარელიეფის წარწერების ცნობები: ქვაბისხევის ბაზილიკის ფრესკა, აძიკვის ბარელიეფი და იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ფრესკა; აგრეთვე, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის საალაპე წიგნის მონაცემები შოთა მეჯურჭლეთუხუცესის შესახებ; ჩვენამდე მოღწეული ისტორიული წყაროები და სიგელ-გუჯრები შოთა რუსთველის ეპოქიდან – „ქართლის ცხოვრების“ ცნობა შოთა თორელის შესახებ, ჭიაბერის დაწერილის, ანუ ჟინვანის სიგელის ხელისმომწერი შოთას ვინაობის შესახებ.

ჩემს სტატიაში განვიხილავ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მონაცემებს ტიმოთე გაბაშვილის თხზულების გათვალისწინებით: ტაძრის კედლის ფრესკაზე გამოსახულ შოთა რუსთველის პორტრეტს, წარწერას და აღაპთა წიგნში მოხსენიებულ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის შესახებ არსებულ ცნობას. ჩემი კვლევა განსხვავებული ვერსიების დამკვიდრებამ განსაზღვრა და იგი, ძირითადად, წყაროთმცოდნეობითი ხასიათისაა, რათა ერთმანეთისაგან გაიმიჯნოს რეალობა და ლეგენდა. ქართველ და საზღვარგარეთის მეცნიერთა მიერ (ს. ჯიჯინაძე, ვ. ცაფერისი, შ. ამირანაშვილი, ი. დავიდი, ე. მამისთვალიშვილი და სხვ.) გამოთქმულ შეხედულებებში შოთა რუსთველის ბიოგრაფიის შესახებ იერუსალიმურ წყაროთმცოდნეობით მასალათა რეალობა და მათზე დაფუძნებული ლეგენდა აღრეულია; სწორედ სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულ შეხედულებებში რეალობისა და ლეგენდის გამიჯვნა მიმაჩნია საჭიროდ, რაც შეადგენს ამ სტატიის უმთავრეს მიზანს.

უწინარეს ყოვლისა იმის თაობაზე, თუ რამ მოაღწია ჩვენამდე იერუსალიმის ჯვარის მონასტრიდან შოთა რუსთველის შესახებ. ესაა ფრესკა, მასთან განთავსებული წარწერა და საალაპე წიგნის ჩანაწერი, რაც მისი ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის აღსადგენად ცოტა არაა.

ფრესკისა და წარწერის შესახებ. ჯვარის მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის სვეტზე არსებულ ფრესკაზე, რომელიც ზომით პატარაა, დაახლ. 70 სმ-მდე სიმაღლისა, სიგანე 50 სმ-მდე, გამოსახულია მოხუცი ქართველი დიდებული ერისკაცი ძვირფას საერო სამოსელში, იგი მუხლმოდრეკილია ეკლესიის უდიდესი მამების – წმ. მაქსიმე აღმსარებლისა და წმ. იოანე დამასკელის ფრესკათა წინაშე, რომლებიც დიდი ზომისაა – 3 მეტრს აღწევს, ისინი ფეხზე მდგომები მთლიანად არიან გამოსახული კედელზე. მათ ფეხებთან ფრესკაზე გამოსახულ საერო სამოსელში ჩაცმულ ქართველ დიდებულს მხრებზე ყარყუმის ბეწვისსაყელოიანი მეწამული ფერის მანტია აქვს მოსხმული, რომელიც ცრუ სახელოებით თავისუფლად ეშვება; თავზე შავი ფერით გაწყობილი თეთრი ბეწვის ქართული ქუდი ახურავს; მოსასხამი მოყვითალო-მოთეთრო საყელოთია დამშვენებული, ასეთივე ფერისაა სარჩულიც; შეინიშნება, რომ ქსოვილი ძვირფასია, მასზე მაქმანების სახით წითელი ფერის რომბებია გამოყვანილი, რომლებშიც თეთრი მარგალიტებია

ჩასმული. შიდა ჩასაცმელი მომწვანო-მოლურჯო ფერისაა, შემორტყმული აქვს ტყავის ქამარი (ვირსალაძე, 1973: 67).

ფრესკაზე გამოსახული პირი მუხლმოდრეკილი და ხელებაპყრობილი (ვედრების კომპოზიცია) დგას წმ. მაქსიმე აღმსარებლისა და წმ. იოანე დამასკელის წინაშე. წარწერის აკაკი შანიძისეული წაკითხვა ქარაგმების გახსნის შემდეგ ასეთია: „ამისა დამხატავსა შოთა[ს] შეუნდვნეს ღმერთმან ამინ“. სურათის ზემოთ და წარწერის ქვემოთ, ქარაგმითვე წარწერილია „რუსთველი“. არსებობს სხვაგვარი წაკითხვაც: „ამისა დამხატავსა შეუნდვნეს ღმერთმან ამინ“. წარწერის ზემოთ კითხულობენ „შოთა[ს]“, რაც არასწორია, ხოლო წარწერის ქვემოთ – „რუსთველი“. წარწერა ერთ დროს და ერთი ხელითაა შესრულებული. ჩანს, რომ იგი აღდგენილია და შეცდომებიც ამით უნდა იყოს გამოწვეული. გ. არაბულმა ქარაგმაში „შ~ს“ ივარაუდა, რომ შესაძლოა ქარაგმა სხვაგვარადაც გაიხსნას: „შეიწყალნეს“ (არაბული, 1992: 94-96), რაც წარწერაში კიდევ უფრო მეტი შეცდომის საფუძველს ქმნის, ამიტომ ყველაზე სწორ წაკითხვად აკაკი შანიძისეულ ვარიანტს მივიჩნევ.

წარწერა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ შოთა არის მონასტრის მომხატველი, ე. ი. მომხატვინებელი, და მისთვის ღვთისაგან შენდობის თხოვნაა ასახული. წარწერის მეორე ნაწილი მხოლოდ ერთი სიტყვისაგან შედგება: რუსთველი, რაც პორტრეტზე გამოსახული პირის ვინაობაზე მიუთითებს. წარწერის ორივე ნაწილი შეეხება სვეტზე გამოსახულ პირს და მის ღვაწლს ასახავს: ეს პირი ჯვარის მონასტრის მომხატვინებელი შოთა რუსთველია; ე. ი. საეჭვო არაა, რომ ამ წარწერის „შოთა“ სწორედ შოთა რუსთველს გულისხმობს. წარწერის სიტყვა „დამხატავი“ ნიშნავს მომხატვინებელს, რომელმაც მონასტრის ფრესკების მოხატვისათვის ხარჯი გასწია.

გადმოცემების საფუძველზე სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრება, რომ პოეტი სიცოცხლის მიმწუხრს იერუსალიმში გაემგზავრა, ბერად აღიკვეცა, იქვე აღესრულა და იქვეა დასაფლავებული, დოკუმენტურად ვერ მტკიცდება, ვერ ვიტყვით, თუ რამდენად შეესაბამება იგი სიმართლეს, რადგან ფრესკაზე გამოსახული ქართველი დიდებული ერისკაცის სამოსელშია გამოწყობილი. თანაც რუსთველს, როგორც ერთ-ერთ დიდ ვაზირს, მეჯურჭლეთუხუცესს, შეეძლო საქართველოდანვე წარემართა მონასტრის შეკეთება-განახლე-

ბისათვის საჭირო საქმიანობა. როგორც მეჯურჯლეთუხუცესს, მას ევალებოდა კიდეც ქართულ ეკლესია-მონასტრებზე, მათ შორის ჯვარის მონასტერზე, ზრუნვა. ამას სხვადასხვა პირის მიერ სხვადასხვა მონასტრისათვის გაწეული ღვაწლიც მოწმობს, მაგრამ ამისთვის მეცნიერის მონასტერში ყოფნა და მის მიერ მონახულება აუცილებელი არ იყო, რადგან მისი გაღებული ხარჯით მის ჩაუსვლელადაც საკმებით შესაძლებელი იყო ტაძრის აშენებაც და განახლებაც. იერუსალიმში შოთა რუსთველის ჩასვლა შეიძლება ვივარაუდოთ, მაგრამ საამისო დამამტკიცებელი საბუთები არ მოგვეპოვება.

ყველაზე მნიშვნელოვანი წყარო, პირველი ცნობა ჯვარის მონასტერში შემორჩენილი შოთა რუსთველის ფრესკისა და წარწერის ინტერპრეტაციისათვის XVIII საუკუნის შუა ხანების ქართველ სასულიერო პირს, თბილელ ეპისკოპოსს ტიმოთე გაბაშვილს ეკუთვნის. მან 1757-1758 წლებში იმოგზაურა ახლო აღმოსავლეთში, შემოიარა ქართული მონასტრები და პალესტინის ქართული ტაძრების აღწერისას ჯვარის მონასტერში არსებული ფრესკის შესახებ აღნიშნა: „ჯვარის მონასტერი დაძველებულა და გუმბათს ქვეით სვეტნი გაუახლებია და დაუხატვინებია შოთამს რუსთველს, მეჯურჯლეთ უხუცეს[ს], თითონაც შიგ ხატია მოხუცებული“ (გაბაშვილი, 1956: 80). იგი შოთა რუსთველის ფრესკის ზუსტ ადგილს არ უთითებს, არც წარწერას იმოწმებს. მან სხვაგანაც აღნიშნა: „მუნ ხატია შოთა რუსთველი, მეჯურჯლეთუხუცესი“ (გაბაშვილი, 1956: 82). მიუხედავად იმისა, რომ ტ. გაბაშვილის ეს ცნობები ძალზე მოკლე და ძუნწია, მაინც რამდენიმე მნიშვნელოვან ფაქტს გვამცნობს: 1. შოთა რუსთველის ფრესკა მოთავსებულია ჯვარის მონასტერში; 2. ფრესკაზე გამოსახული პირი მოხუცია; 3. იგი მას მიიჩნევს მეჯურჯლეთუხუცესად; ე. ი. აიგივებს პოეტ შოთა რუსთველს და მეჯურჯლეთუხუცეს შოთას, რის საფუძველი ჯვარის მონასტრის სვინაქსრის წიგნში არსებული აღაპია, რომელშიც მოხსენიებულია შოთა მეჯურჯლეთუხუცესი; ეს ფაქტი კი იმასაც მოწმობს, რომ XVIII საუკუნის შუა წლებში არსებობდა ტრადიცია შოთა რუსთველისა და შოთა მეჯურჯლეთუხუცესის იგივეობის შესახებ; 4. შოთა რუსთველს ჯვარის მონასტრის მთავარი ტაძრის სვეტები განუახლებია და მოუხატვინებია, ტექსტში დამოწმებული სიტყვა „სვეტნი“ მრავლობით რიცხვშია, რაც იმას ნიშნავს, რომ გუმბათის ქვეშა ოთხივე ძირითად, საყრდენ სვეტზეა საუბარი; ე. ი. ტ. გაბაშვი-

ლი შოთა რუსთველს ჯვარის მონასტრის შემკეთებელ-მომხატვინებლად (რესტავრატორად) მიიჩნევს; 5. ყველაზე მთავარი ისაა, რომ, მისი აზრით, ფრესკაზე გამოსახული შოთა რუსთველი არის, როგორც თავად ამბობს, „ლექსთა ბოროტთა მთქმელი“ და ქრისტიანობის გამრყვნელი, რაშიც, ცხადია, „ვეფხისტყაოსანს“ და მის მცდარად, უფრო სწორად, თავის ინტერპრეტირებულ ტექსტს გულისხმობს; იგი რუსთველს სასიკეთოს არაფერს (გულისხმობ შოთა რუსთველის მიერ ჯვარის მონასტრის ფრესკათა განახლებას) მიაწერდა, თუ საამისო უტყუარი საბუთი არ ექნებოდა; მეტიც, მან ვახტანგ მეექვსე, „ვეფხისტყაოსნის“ პირველი გამომცემელი და კომენტატორი, უდიერად მოიხსენია, როდესაც განაცხადა და ქართლის მეფე უმეცრად მიიჩნია: „უწინარეს ჩვენსა უმეცართა სალმრთოდ თარგმნეს ბოროტი ლექსი მისი“; 6. ტ. გაბაშვილის ზემოთ დამოწმებული ცნობა შოთა რუსთველის იერუსალიმში ყოფნის, ბერად აღკვეცისა და იქ დაკრძალვის შესახებ არაფერს გვეუბნება.

დაისმის კითხვა, საიდან მოიპოვა ეს ცნობები ტ. გაბაშვილმა? განსაკუთრებით მნიშვნელოვანი მის მოხსენიებაში შოთას მეჯვრეთუხუცესობაა. რაკი ტ. გაბაშვილმა აღნიშნა, რომ შოთა რუსთველი მეჯვრეთუხუცესია, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპებს, უფრო ზუსტად, აღაპთა წიგნს, რომელშიც ერთ-ერთი მოსახსენებელი შოთა მეჯვრეთუხუცესის სახელზეა შეტანილი, უთუოდ გაეცნობოდა. ამავე დროს, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ტ. გაბაშვილისთვის ჯვარის მონასტრის ცნობები, თვით ჯვარის მონასტერიც, მანამდე უცნობი იყო. ამას მისი ჩანაწერების სხვა ეპიზოდებიც მოწმობს, რადგან იგი გაკვირვებას და აღფრთოვანებას გამოთქვამს მონასტრის ხილვის გამო მისი აღწერა-დახასიათებისას, გაკვირვებულია შოთა რუსთველის ღვაწლითაც, მისადმი კრიტიკული დამოკიდებულების მიუხედავად. ყოველივე ეს ის პოზიტიური დებულებებია, რომლებიც ნათელი ხდება ტ. გაბაშვილის შრომის გაცნობისას, მიუხედავად იმისა, რომ სხვა წყაროებით მათი გადამოწმების საშუალებას მოკლებულნი ვართ. ტ. გაბაშვილის ცნობათა სისწორე შემდგომი ხანის მეცნიერულმა კვლევებმა ეჭვმიუტანლად დაადასტურა.

შოთა რუსთველის ფრესკის, წარწერისა და აღაპთა წიგნში მისი მოხსენიების შესახებ ტიმოთე გაბაშვილის ცნობების

შემდეგ, ვფიქრობ, რომ საკითხის უკეთ გასააზრებლად მნიშვნელოვანია თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა შოთა რუსთველის ჯვარის მონასტერთან კავშირის შესახებ. ცნობილია, რომ თეიმურაზ ბაგრატიონი იერუსალიმში არ ყოფილა, მაგრამ მაინც მეტად ღირებულია მისი მოსაზრება, რომ შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში დაემკვიდრა, უამრავი რამ შესწირა მას, დიდი სათნოებით აღესრულა ერისკაცობაშივე და იქვე დაკრძალეს. მისი სიტყვით, შოთა რუსთველი, მეჯურჯლეთუხუცესი, – ისიც აიგივებს პოეტ რუსთველსა და მეჯურჯლეთუხუცეს შოთას, – „წარვიდა წმიდად იერუსალემად, და შევიდა მონასტერსა შინა ქართველთასა, რომელიცა აღშენებულ არს სახელსა ზედა ცხოველსმყოფელისა ჯუარისასა, და განაახლა მონასტერი იგი და იყოფოდა იგი მონასტერსა შინა ჯუარისასა ვიდრე აღსრულებადმდე მისსა, თუმცა სახითა ერისკაცისათა და დაეფლა მუნვე ჯუარის მონასტერსა შინა დიდსა ეკლესიასა, სადაცა შინაგან ეკლესიისა კედელსა ზედა გამოხატულ არს სახეი მისი და ჰსჩანს ვიდრე მოდღეინდელად დღედმდე“ (ბაგრატიონი, 1960: 18). თეიმურაზ ბაგრატიონის ამ მსჯელობაში საყურადღებო რამდენიმე ფაქტია: 1. შოთა რუსთველი წავიდა იერუსალიმში და ჯვარის მონასტერში იმყოფებოდა; 2. მან განაახლა მონასტერი; 3. იგი იქ დარჩენილა აღსრულებამდე, ე. ი. შოთა რუსთველი იერუსალიმში აღესრულა; 4. შოთა რუსთველი საერო პირად აღსრულებულა; 5. იგი დაკრძალულია ჯვარის მონასტერში, დიდ ეკლესიაში; ეს პირველი წერილობითი ცნობაა შოთა რუსთველის იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ერისკაცად ცხოვრება-მოღვაწეობის, გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ; 6. შოთა რუსთველის ფრესკა გამოსახულია ჯვარის მონასტრის კედელზე; 7. თეიმურაზ ბაგრატიონის სიცოცხლეში ეს ფრესკა ჯერ კიდევ იხილვებოდა.

ტ. გაბაშვილისა და თეიმურაზ ბაგრატიონის მიერ მოწოდებულ ცნობათა შორის განსხვავებაა: ტ. გაბაშვილი არაფერს ამბობს შოთა რუსთველის იერუსალიმში ყოფნის, იქ ცხოვრება-მოღვაწეობისა და გარდაცვალების შესახებ, არც ჯვარის მონასტერში მისი საფლავის შესაძლო არსებობის შესახებ საუბრობს, რაზეც თეიმურაზ ბაგრატიონი ამახვილებს ყურადღებას. ჩვენთვის უცნობია, თუ რას ემყარება თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობა შოთა რუსთველის იერუსალიმში ცხოვრების, იქ გარდაცვალებისა და დაკრძალვის შესახებ.

ტ. გაბაშვილის შემდეგ შოთა რუსთველის ფრესკა აქ XIX საუკუნეშიც უნახავთ, ოღონდ წარწერა შებღალული ყოფილა. 1845 წელს ნიკოლოზ ჩუბინაშვილმა ჯვარის მონასტერი და პალესტინის სიძველეები მოინახულა, სწორედ ამ დროს მას ფანქრით გადმოუხატავს შოთა რუსთველის გამოსახულება. ასევე, 1883 წელს რუსთველის ფრესკა უნახავს პროფ. ალ. ცაგარელს, რომელიც იერუსალიმში სამეცნიერო მიზნით იმყოფებოდა, მან პალესტინის სიძველეები აღწერა და ჯვარის მონასტერში დაცული ქართულ ხელნაწერთა კოლექციის კატალოგი შეადგინა. ალ. ცაგარელმა თავისი დროისათვის გავრცელებულ შეხედულებათა საფუძველზე განაცხადა, რომ თამარ მეფემ სალადინს, მის მიერ 1187 წელს იერუსალიმის აღების შემდეგ, მის მიერ დაპყრობილ ჯვარის მონასტერში 200 ათასი დინარი შესთავაზა და ყველა იმ ქართული წმინდა რელიქვიის დაბრუნება მოსთხოვა, რომლებიც მუსლიმებმა ქართველებს იერუსალიმის აღების დროს წაართვეს. ალ. ცაგარელი ფიქრობდა, რომ შოთა რუსთველმა ჯვარის მონასტერი თამარ მეფის ნება-სურვილითა და მხარდაჭერით მოხატა (ცაგარელი, 159-163). მეცნიერთა ნაწილის ვარაუდით, რომლებიც 1192 წელს იერუსალიმში ქართველი ელჩის ჩასვლის შესახებ არაბულ წყაროებში დაცულ ცნობებს იმოწმებენ, თამარმა იერუსალიმში ელჩად შოთა რუსთველი წარგზავნა (მენთეშაშვილი, 1958: 19). ალ. ცაგარელის შემდეგ ეს მოსაზრება ს. კაკაბაძემაც გაიზიარა. თუმცა, როგორც მკვლევარები მიუთითებენ, არც ერთ წყაროში სახელდებით ელჩის ვინაობა დასახელებული არაა. ამიტომ ეს მხოლოდ მეცნიერთა ვარაუდად უნდა მივიჩნიოთ და არა დოკუმენტურ ცნობაზე დამყარებულ დასკვნად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ღვთის წყალობით წმ. მეფე თამარმა სალადინთან და მის შვილებთან კარგი ურთიერთობის დამყარება მოახერხა, ამიტომ მისი მეფობის პერიოდში ქართველთა მოღვაწეობა წმინდა მიწაზე არც შეწყვეტილა და არც შეზღუდულა.

პლატონ იოსელიანს მიაჩნდა, რომ შოთა რუსთველი იერუსალიმში გარდაიცვალა 1215 წელს; ხაქარია ჭიჭინაძის აზრით, რუსთველი საქართველოდან „ვეფხისტყაოსნის“ დაწერის გამო განდევნეს და იგი იერუსალიმში გარდაიცვალა (ჭიჭინაძე, 1887: 34). მოგვიანებით ამ საკითხთან ერთად ფრესკის შესახებაც გამოთქვა მოსაზრება (ჭიჭინაძე, 1918: 10-11). 1887 წელს შოთა რუსთველის იერუსალიმური ფრესკისადმი დამოკიდებულება

ოლივერ უორდროპმაც გამოხატა; ცნობა შოთა რუსთველის შესახებ მოგვაწოდა ალ. ცაგარელმა (ცაგარელი, 1888: 94-95). ა. ქუთათელაძემ გაზეთ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ჯვარის მონასტრის ფრესკების აღწერილობა; იგი წერდა, რომ მონაზონმა ნისიმემ მას გადასცა იერუსალიმიდან ჩამოტანილი ხელნაწერი, რომელშიც ფრესკების აღწერილობა იყო დაცული, მათ შორის იყო შოთა რუსთველის ჯვარის მონასტრისეული ფრესკა (ქუთათელაძე, 1889: 3-4). 1896 წელს მ. ჯანაშვილმა მრავალრიცხოვანი ლეგენდის საფუძველზე შოთა რუსთველის შესახებ საკმაოდ ვრცელი მონოგრაფია გამოაქვეყნა (ჯანაშვილი, 1896). 1899 წელს იერუსალიმის ჯვარის მონასტერი მოუხილავს დეკანოზ პეტრე კონჭოშვილს და ფრესკაც უნახავს. თვითმხილველთა გადმოცემით, უკვე XX საუკუნის დამდეგიდან აღარც წარწერა ჩანდა და აღარც ფრესკა. 1902 წელს იერუსალიმში სამეცნიერო მივლინებით მყოფ ნიკო მარს ფრესკა აღარ დახვედრია, იგი ზეთის საღებავით ყოფილა დაფარული (მარი, 1903: 120). მან იპოვა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის აღაპთა ხელნაწერი წიგნი და გამოაქვეყნა იგი. მასში მოხსენიებულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესი: „ამასვე ორშაბათსა აღაპი შოთაასა მეჭურჭლეთუხუცესისაჲ. ვინ შეცვალოს, შე-მცა-ცვალებელ არს სჯულისაგან ქრისტეანეთაჲსა“ (მარი, 1914: 78, VIII). მეცნიერთათვის მოულოდნელი იყო, რომ ნიკო მარს ამ აღაპის კომენტარი არ გაუკეთებია. კორნელი კეკელიძის აზრით, ეს სააღაპე მოსახსენებელი XIV საუკუნეზე ადრე არ უნდა ყოფილიყო შეტანილი წიგნში (კეკელიძე, 1958: 111-114), რის შემდეგაც საკითხის ხელახლა კვლევა გახდა საჭირო.

წმ. მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე ფიქრობდა, რომ შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში ცხოვრობდა როგორც ბერი, იქ გარდაიცვალა და იქვე დაასაფლავეს.

1956 წელს ელენე მეტრეველმა გამოსცა ტიმოთე გაბაშვილის „მიმოსვლანი“, რომელსაც დაურთო გამოკვლევა. მან შოთა მეჭურჭლეთუხუცესის აღაპის ტიშენდორფისეულ ხელნაწერზე დაკვირვების შედეგად დაასკვნა, რომ აღაპის დათარიღება XIII საუკუნის პირველი ნახევრით შესაძლებელი ხდება მასთან ერთად მოხსენიებულ ისტორიულ პირთა ვინაობის დადგენით. მკვლევრის ეს მოსაზრება სარწმუნოდ მიიჩნია ალ. ბარამიძემ (ბარამიძე, 1961: 409). 1962 წელს ელენე მეტრეველმა გამოაქვეყნა ჯვარის მონასტრის აღაპები გამოკვლევითურთ,

რომელშიც თავისი ადრე გამოთქმული მოსაზრება ახლად მიკვლეული დოკუმენტების საფუძველზე კიდევ უფრო მეტად გაამყარა.

1960 წლამდე პოეტის ეს უნიკალური გამოსახულება დაკარგულად ითვლებოდა, ოღონდ ჯვარის მონასტრის ბერძენ მოწესეთა შორის გავრცელებული ყოფილა ლეგენდა შოთა რუსთველის საფლავის ჯვარის მონასტერში არსებობის შესახებ. XX საუკუნის 40-იან წლებში უკრაინელ ტურისტთა ჯგუფს ცოცხალი ყვავილებით მოურთავს შოთა რუსთველის სავარაუდო საფლავის ადგილი. ამ ჯგუფის წევრი მწერალი გრ. პლოტკინი მოგვითხრობს, რომ ჯვარის მონასტერში მოსმენილი ლეგენდის თანახმად, რუსთველს კარისკაცობა დაუტოვებია, ბერად შემდგარა, იერუსალიმში „ფეხშიშველი“ მისულა, ქართველთა ჯვარის მონასტერში დამკვიდრებულა, იქაური ბერების დახმარებით მონასტრის შიდა კედლები მოუხატავს, იქვე, იერუსალიმში გარდაცვლილა და მონასტერში, მარჯვენა სვეტის ძირას დაუსაფლავებიათ. სწორედ ამ ლეგენდის გაცოცხლება გახდა შემდეგში სამეცნიერო ექსპედიციის იერუსალიმში წასვლის საფუძველი. ექსპედიციამ აკადემიკოსების ირაკლი აბაშიძის, აკაკი შანიძისა და გიორგი წერეთლის შემადგენლობით მიაკვლია და ზეთის საღებავის სქელი ფენით დაფარულ კედელზე საღებავის მოცილების შემდეგ კვლავ გამოაჩინა რუსთველის ფრესკა და წარწერა. მათ აღადგინეს და საქართველოში ჩამოიტანეს ამ ფრესკის ფერადი და შავ-თეთრი ფოტოპირები. აღდგა ფრესკის წარწერაც, რომელიც მანამდე სწორად გაშიფრული არ იყო; ისიც დადგინდა, რომ ჯვარის მონასტერზე მუსლიმთა მრავალგზის თავდასხმის გამო კედლის მხატვრობა რამდენჯერმე დაზიანდა, რის შემდეგაც იგი რამდენიმეჯერ ისე განუახლებიათ, რომ ძველი მოხატულობა და წარწერები შენარჩუნებულიყო. ამიტომ შოთა რუსთველის ფრესკის წარწერა (ქარაგმის გახსნით) – „ამისა დამხატავსა შოთა[ს] შეუნდვნეს ღმერთმან ამინ“ – რეალობას უნდა ასახავდეს. პორტრეტის ზემოთ, წარწერის ბოლო სტრიქონად მიწერილია „რუსთველი“. სამეცნიერო მივლინების მონაწილეთა დასკვნით, შოთა რუსთველი იყო თუ არა იერუსალიმში, ან არის თუ არა მისი საფლავი ჯვარის მონასტერში, საბუთების უქონლობის გამო გადაჭრილად ვერ ჩაითვლება (აბაშიძე, შანიძე, წერეთელი, 1961: 80).

სამეცნიერო ექსპედიციის მონაპოვართა საქართველოში ჩამოტანის შემდეგ სამეცნიერო მიმოქცევაში შევიდა იერუსალიმური ცნობები შოთა რუსთველის შესახებ. შ. ნუცუბიძის მოსაზრებით, რუსთველი დასაფლავებულია ჯვარის მონასტრის შიგნით, იმ სვეტის ძირას, რომელზედაც პორტრეტია გამოხატული. ეს შეხედულება, ჩანს, ემყარებოდა ძველთაგან მომდინარე იმ საეკლესიო ტრადიციას, რომლის მიხედვით გამოჩენილი მოღვაწის პორტრეტი მისი საფლავის ზემოთ იხატებოდა. იგივე მოსაზრება გამოთქვა შ. ამირანაშვილმა, რომელიც ფიქრობდა, რომ თამარ მეფემ იერუსალიმში სალადინის კარზე ელჩად შოთა რუსთველი წარგზავნა (ამირანაშვილი, 1961: 70), მაგრამ წყაროების მიხედვით ეს მოსაზრება ჯერჯერობით ვერ მტკიცდება; ვ. ცაფერისმა წყაროების დაუმოწმებლად თამარ მეფის მიერ შოთა რუსთველის ელჩად წარგზავნისა და იქ სამონასტრო საქმეთა მის მიერ მოწესრიგების, მათ შორის, ტაძრის განახლების შესახებ წარმართა მსჯელობა; იცხაკ დავიდმა ლეგენდებზე დაყრდნობით, ჯვარის მონასტერში არქეოლოგიური კვლევა დაიწყო; მისი აზრით, შოთა რუსთველის ფრესკა, სხვა ქართველ საერო და სასულიერო პირებთან ერთად, ისეთ შთაბეჭდილებას ტოვებს, რომ ისინი ჯვარის მონასტრის ფრესკების მეორე ფენა უნდა იყოს, ე. ი. დამატებულია XII-XIII საუკუნეებში (დავიდი, 1976: 21, 279). ელდარ მამისთვალიშვილმა, ასევე, ლეგენდების საფუძველზე ივარაუდა შოთა რუსთველის იერუსალიმში მოღვაწეობა, მის მიერ პალესტინისა და ეგვიპტის ქართულ მონასტერთა აღდგენა, რის გამოც არის მისი სახელი უკვდავყოფილი ჯვარის მონასტრის ფრესკით (მამისთვალიშვილი, 2002).

პავლე ინგოროყვამ განსხვავებული თვალსაზრისი გამოთქვა. მისი აზრით, შოთა რუსთველის იერუსალიმს ყოფნა, იქ გარდაცვალება და დაკრძალვა არასწორია (ინგოროყვა, 1958: 58, 114, 117). ივანე სურგულაძემ შოთა რუსთველის სამოსლის ანალიზის საფუძველზე დაასკვნა, რომ ფრესკა უნდა შესრულებულიყო XIV საუკუნემდე, ვიდრე „ხელმწიფის კარის გარიგება“ დაიწერებოდა (სურგულაძე, 1961: 3). მთავარეპისკოპოს პაპადოპულოსის ცნობით, ჯვარის მონასტერი აღადგინა შოთა რუსთველმა და მისი ფრესკა ამიტომაცაა გამოსახული წმ. მაქსიმე აღმსარებლისა და წმ. იოანე დამასკელის ფეხებთან. მისივე აზრით, ფრესკა XVII საუკუნეშია აღდგენილი (პაპადოპულოსი, 1905: 650; პაპადოპულოსის შრომა მითითებულია

ნინო თომაძის სადისერტაციო ნაშრომიდან: თომაძე, 2004). ცნობები შოთა რუსთველის ჯვარის მონასტერში მოღვაწეობის, ბერად აღკვეცის, გარდაცვალებისა და იქ დაკრძალვის შესახებ არ შემონახულა, ამას მხოლოდ ლეგენდები გვიამბობენ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მეცნიერთა ნაწილმა თქმულებებში შემონახული ლეგენდების საფუძველზე შოთა რუსთველის საფლავის არსებობა ჯვარის მონასტერში შესაძლებლად მიიჩნია.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ლეგენდის თანახმად, შოთა რუსთველს ჯვარის მონასტერში უნდა ემოღვაწა და იქვე უნდა გარდაცვლილიყო, რაც სამეცნიერო ლიტერატურაში სადავოდ არის მიჩნეული. ლეგენდების შექმნის საფუძველი მონასტერში დაცულმა მასალებმა განაპირობა. ამ ლეგენდებს საქართველოშიც იცნობდნენ. გადმოცემა-ლეგენდებიდან ყველაზე საეჭვო შოთა რუსთველის საფლავზე მინიშნებაა, რომლის სასარგებლოდ არავითარი ხელშესახები საბუთი არ არსებობს. რა თქმა უნდა, შესაძლებელია, რომ შოთა რუსთველი ბერად აღკვეცილიყო, ჯვარის მონასტერში დამკვიდრებულიყო და იქვე გარდაცვლილიყო. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია და ფანტაზიის სფეროს განეკუთვნება. გადმოცემები რუსთველის ბერად შედგომის, ჯვარის მონასტერში დამკვიდრებისა და იქ მისი დასაფლავების შესახებ ლეგენდურია, დოკუმენტურად არ დასტურდება.

არის თუ არა შოთა რუსთველის საფლავი მონასტერში, ამისთვის საჭიროა რამდენიმე პრობლემის გადაწყვეტა: 1. უნდა დადგინდეს, იყო თუ არა საერთოდ შოთა რუსთველი იერუსალიმში, რის შესახებაც ხელშესახები საბუთები არ გვაქვს; 2. იყო თუ არა ბერად აღკვეცილი; 3. ცხოვრობდა//მოღვაწეობდა თუ არა ჯვარის მონასტერში; 4. თუ ჯვარის მონასტერში იმყოფებოდა, რა სტატუსი ჰქონდა, რომელ წოდებას მიეკუთვნებოდა, საერო პირი იყო თუ სასულიერო, რადგან XIX-XX საუკუნეების მეცნიერები//ავტორები ხან ერთ ვერსიას უჭერენ მხარს, ხან – მეორეს; 5. თუ იგი ბერად აღკვეცილი იყო, მაშინ ფრესკაზე რატომ არის გამოსახული საერო პირის სამოსლით; 6. თუ ბერად აღკვეცილი არ იყო, შეიძლებოდა თუ არა, როგორც საერო პირს ეცხოვრა მონასტერში, იძლეოდა თუ არა მონასტრის განმაახლებელისა და მისი ერთ-ერთი მზრუნველმეცნიერის სტატუსი საამისო საფუძველს. თითოეული აქ დასმული პრობლემა პასუხს მოითხოვს, მაგრამ დოკუმენტების

უქონლობის გამო თითოეულ მათგანზე ჯერჯერობით საბოლოო სიტყვის თქმა შეუძლებელია.

მკვლევართა ნაწილი ფიქრობს, რომ ფრესკა ავტოპორტრეტია, რაც საეჭვო ჩანს, რადგან წარწერა მესამე პირად გულისხმობს შოთას, ხოლო თუ მეცნიერი თავისი თანდასწრებით აკეთებინებს წარწერას, მასში ეს აისახება. ფიქრობენ, რომ ფრესკა XII საუკუნეში იერუსალიმის ჯვარის მონასტრის შოთა რუსთველის-მეჭურჭლეთუხუცესის მიერ რესტავრირების ხანას განეკუთნება, რაც სარწმუნოდ შეიძლება მივიჩნიოთ. მეცნიერთა ნაწილი მიიჩნევს, რომ 1643 წელს, ნიკიფორე ხოლოყაშვილის მიერ ჩატარებული რესტავრაციისას, ტაძრის კედლებზე ის პიროვნებები გამოსახეს, რომლებიც მონასტრის ისტორიასთან იყვნენ დაკავშირებულნი და შოთა რუსთველის ფრესკაც XVII საუკუნეში უნდა შექმნილიყო. მაგრამ ელენე მეტრეველის კვლევამ აჩვენა, რომ XVII საუკუნეში სვეტებზე გამოსახულ ფრესკათა რესტავრაცია არ მომხდარა. მისი აზრით, XIV საუკუნის დამდეგს „ფრესკებს გაუცხოველეს დაზიანებული წარწერები და ამ გაცხოველების დროს უწიგნურმა მწერალმა ბევრი რამ გააფუჭა“ (მეტრეველი, 1956: 67).

შოთა რუსთველი-მეჭურჭლეთუხუცესი. ზემოთ ვახსენე, რომ ტ. გაბაშვილი აიგივებს შოთა რუსთველს, პოეტს, და მეჭურჭლეთუხუცეს შოთას, რის საფუძველი ჯვარის მონასტრის სვინაქსრის წიგნში დაცული ცნობა უნდა გამხდარიყო, სადაც წიგნში მოხსენიებულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესის სახელი: „ამ[ა]სვე ორშაბათსა. აღაპი შოთ[ა]ძსა. მეჭურჭლეთ უხუცესის[ა]ჲ. ვინ შეცვ[ა]ლოს, შე-მცა-ცვ[ა]ლებულ [ა]რს სჯ(უ)ლისაგ[ა]ნ ქ[რისტ]ეანეთ[ა]სა“ (მეტრეველი, 1962: 50-58; 179). როგორც ჩანს, დოკუმენტების საფუძველზე ჯვარის მონასტერში შეხედულება შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობაზე ადრევე ყოფილა დამკვიდრებული. ამ პრობლემის შესახებ ტ. გაბაშვილმა თავის ნაშრომში სპეციალურად აღნიშნა, რის გამოც უფრო დამარწმუნებელი გახადა შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იგივეობის ვარაუდი. ზოგიერთი ავტორიტეტული მკვლევარი მიიჩნევდა, რომ ჩანაწერი შოთა მეჭურჭლეთუხუცესზე არ შეიძლება XIV საუკუნეზე ადრინდელი ყოფილიყო. ე. მეტრეველმა დოკუმენტურად გაარკვია, რომ შოთა მეჭურჭლეთუხუცესის მოსახსენებელი აღაპი დაწერილია არა უგვიანეს XIII საუკუნის პირველი ნახევრისა (მეტრეველი, 1962: 50-58; 179); ხსენე-

ბული საკითხის თაობაზე თავიანთი მოსაზრებები გამოთქვეს აკაკი შანიძემ (შანიძე, 1961: 94), ს. ყაუხჩიშვილმა (ყაუხჩიშვილი, 1961: 114-119), პ. ინგოროყვამ (ინგოროყვა, 1963: 540). ფრესკის წარწერა გვაუწყებს, რომ შოთა რუსთველს [მეჭურჭლეთუხუცესს], XIII საუკუნის I ნახევარში შეუკეთებინებია და მოუხატვინებია ჯვარის მონასტერი. მისი ამ დიდი დამსახურების გათვალისწინებით, მოსახსენებელი მის სახელზე საალაპე წიგნში შეუტანიათ, ხოლო ტაძარში მისი მცირე ზომის ფრესკა წარწერითურთ წმ. მაქსიმე აღმსარებლისა და წმ. იოანე დამასკელის ფრესკებს შორის, მათ ფეხებთან მოუთავსებიათ. ფრესკა განახლებულია XVII საუკუნეში. ფრესკის სიძველეს მონასტერშივე არსებული საალაპე წიგნის მონაცემები მოწმობს. ჯვარის მონასტერშივე დამკვიდრებული ტრადიციიდან მომდინარე ტ. გაბაშვილის ვარაუდი სრული ზედმიწევნილობით დასტურდება. ფრესკაზე გამოსახული შოთა რუსთველი და ალაპებში მოხსენიებული „შოთა მეჭურჭლეთუხუცესი“ ერთი და იგივე პირია. იდენტიფიკაციას ხელს უწყობს დროის თანხვედრა და ამასთან ფრესკის წარწერის ცნობა, თუ რა ღვაწლის გამო შეუტანიათ მისი მოსახსენიებელი მონასტერში არსებულ საალაპე წიგნში. ამასთანავე, როგორც ე. მეტრეველმა მიუთითა, საალაპე წიგნში შეტანის წესის თავისებურებით დასტურდება (მოსახსენიებელი შეტანილია დიდ საუფლო დღესასწაულზე. მეტრეველი, 1962: 53), რომ შოთას მოსახსენიებელი, როგორც ჩანს, მის სიცოცხლეშივე შეუტანიათ. ამავე ხანებში არის იგი გამოხატული მონასტრის სამხრეთ-დასავლეთის სვეტზე. ყოველივე ამაზე დაყრდნობით შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობის ვარაუდს მყარი საფუძველი მოეძებნა.

დაისვა კითხვა, თუ რომელ საგვარეულოებს ეპყრათ მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა, რათა გარკვეულიყო შოთა რუსთველის მეჭურჭლეთუხუცესობის პერიოდი. ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, საკითხის გასარკვევად ორიენტირი შოთას მეჭურჭლეთუხუცესობა გახდა და კვლევამ მეცნიერები თორელთა საგვარეულომდე მიიყვანა (შოშიაშვილი, 1966; ცაიშვილი, 1966); კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ თამარ მეფის ეპოქაში მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა თორელებს ეჭირათ, თამარის გარდაცვალების შემდეგ – თორელებსა და ჯაყელებს. საისტორიო დოკუმენტები მიუთითებენ, რომ მესხეთის რუსთავს თორელები ფლობდნენ, რაც იმას

გვავარაუდებინებს, რომ რუსთველობა შეიძლებოდა ამ საგვარეულოს წარმომადგენელს მიელო. იმასაც ვარაუდობენ, რომ სახელი „შოთა“ ამ საგვარეულოში ერთ-ერთი გავრცელებული სახელი ყოფილა. თუმცა, თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობაც, რომ რუსთველი თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავის მფლობელობას უნდა ნიშნავდეს, შესაძლოა რაღაც რეალურს ასახავდეს, რადგან ფეოდალთა საგვარეულოები არა მხოლოდ თავიანთ მშობლიურ მხარეში ფლობდნენ მამულებსა და ციხე-ქალაქს, არამედ სხვა კუთხეში მდებარე მამულებსა და ციხე-ქალაქსაც, რომელსაც მეფე უბოძებდა მას სამფლობელოდ და საგამგებლოდ. მაგრამ აქ სხვა საკითხი დაისმის, ვის ეკუთვნოდა XIII საუკუნის დასაწყისში თბილისთან ახლოს მდებარე რუსთავი, რაზეც სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია შეხედულება, რომ რუსთავს თორელები არ ფლობდნენ, იგი სხვადასხვა დროს სხვადასხვა საგვარეულოს სამფლობელო იყო; წყაროების მიხედვით, თამარის მეფობისას რუსთავის მფლობელი ზაქარია მხარგრძელი ყოფილა.

მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობას ვაწყდებით იმის თაობაზეც, თუ როდის უნდა სჭეროდა შოთას მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა. ნაწილი ფიქრობს, რომ მას ეს სახელო თამარის მეფობის პერიოდში ეჭირა, რადგან ლაშა-გიორგიმ დედის გარდაცვალების შემდეგ მისი ერთგული ვაზირები თითქმის ჩამოიცილა და ვარაუდობენ, რომ შოთასაც ჩამოართმევდა მეჭურჭლეთუხუცესობას. მეცნიერთა მეორე ნაწილი სხვა თარიღს ვარაუდობს, კერძოდ, 1189-1221 წლებს, რაც ლაშა-გიორგის მეფობის წლებსაც მოიცავს, თუმცა ეს სათანადოდ არგუმენტირებული არაა. ვფიქრობ, მეორე თვალსაზრისი საყურადღებოა იმის გამო, თუ გიორგი IV-ის პირად ცხოვრებას გავადევნებთ თვალს. მისი პირადი ცხოვრება ტრაგიკულად წარიმართა, მას ველისციხელი ქალი შეუყვარდა და უფლისწული დავითიც სწორედ მისგან შეეძინა; კანონიერად არ უქორწინია, რადგან სამეფო კარმა მეფეს მდაბიო ქალზე ქორწინების უფლება არ მისცა, ხოლო ლაშა-გიორგიმ უსიყვარულოდ ქორწინება, რასაც მისი წინაპრები მისდევდნენ და, შეიძლება ითქვას, უსიტყვოდ აღასრულებდნენ, არ ისურვა. ლაშა-გიორგის ცხოვრებისეულ ამ რთულ ეპიზოდში შოთა რუსთველის „ვეფხისტყაოსნის“ გავლენა შეიძლება დავინახოთ, რაც სიყვარულისათვის ბრძოლით გამოიხატება. ამიტომ დასაშვებია, რომ შოთა რუსთველ-მეჭურჭლეთუხუცესს, როგორც

პროგრესულად მოაზროვნესა და სამეფო ოჯახის მოწყობის ახალი იდეის ავტორს, სიახლის დამამკვიდრებელს, მეფემ სახელო, თანამდებობა შეუნარჩუნა 1221 წლამდე, რა დროიდანაც ივანე (ყვარყვარე) ციხისჯვარელი იმყოფებოდა ამ თანამდებობაზე (შესაძლოა, შოთა რუსთველ-მეჭურჭლეთუხუცესი 1221 წელს გარდაცვლილიყო და ახალი მეჭურჭლეთუხუცესიც ამიტომ დაინიშნა). აქ კიდევ ერთი საკითხი იჩენს თავს, როდიდან შეიძლებოდა შოთა რუსთველს მეჭურჭლეთუხუცესის თანამდებობა მიეღო? ვარაუდობენ, რომ 1189 წლიდან ეს თანამდებობა თავისუფალია და სწორედ ამ წლიდან შეიძლებოდა მას ეს სახელო სჭეროდა. მაგრამ აქ კიდევ ერთი პრობლემაა: თუ ჭიაბერის დაწერილზე ხელისმომწერი შოთა ჭიაბერის ძეა და იგი შოთა რუსთველია, თუ ის დოკუმენტის შედგენის დროს უკვე იყო მეჭურჭლეთუხუცესი, მაშინ ამ დაწერილში მისი თანამდებობა აღნიშნული იქნებოდა, რასაც საბუთში ვერ ვხვდებით, ხოლო ჭიაბერის დაწერილი დაახლ. 1189//1190 წლებითაა დათარიღებული. ეს ჩემი ვარაუდია და იგი შემდგომ კვლევას მოითხოვს. თუმცა, სამეცნიერო ლიტერატურაში ჭიაბერის სიგელზე ხელისმომწერი შოთა ზოგ მეცნიერს შოთა რუსთველად მიაჩნია, ზოგს – არა.

იერუსალიმის ჯვარის მონასტრის მასალებმა შოთა რუსთველის ბიოგრაფიისათვის რამდენიმე ძვირფასი ცნობა გამოავლინა, რამაც მნიშვნელოვან შედეგებამდე მიგვიყვანა: იერუსალიმის ჯვარის მონასტრიდან შოთა რუსთველის შესახებ ჩვენამდე მოაღწია ქართველი მოხუცი დიდებულის ფრესკამ, რომელსაც ახლავს წარწერა, და საამაპე წიგნის ჩანაწერმა, რაც პოეტის ბიოგრაფიის ზოგიერთი დეტალის აღსადგენად ცოტა არაა. წარწერა ორი ნაწილისაგან შედგება: პირველში აღნიშნულია, რომ შოთა არის მონასტრის მომხატველი, ე. ი. მომხატვინებელი, და მისთვის ღვთისაგან შენდობის თხოვნაა ასახული. წარწერის მეორე ნაწილში მხოლოდ ერთი სიტყვაა: „რუსთველი“, რაც პორტრეტზე გამოსახული პირის ვინაობაზე მიუთითებს; საეჭვო არაა, რომ ამ წარწერის „შოთა“ „რუსთველის“ სახელია. წარწერის ორივე ნაწილი შეეხება სვეტზე გამოსახულ პირს და მის ღვაწლს ასახავს: იგი ჯვარის მონასტრის მომხატვინებელი შოთა რუსთველია; წარწერის სიტყვა „დამხატავი“ ნიშნავს მომხატვინებელს, რომელმაც მონასტრის ფრესკების მოხატვისათვის ხარჯი გასწია. აღაპთა წიგნში ორშაბათ დღეს განწესებულია შოთა მეჭურჭლეთუხუცესის

მოსახსენებელი, რაც იერუსალიმის ჯვარის მონასტრის წინაშე მის ღვაწლზე მიუთითებს. ამ საბუთების საფუძველზე ჯვარის მონასტერში ადრევე დამკვიდრდა შეხედულება შოთა რუსთველისა და შოთა მეჭურჭლეთუხუცესის იგივეობაზე, რაზეც XVIII ს. 50-იანი წლების თბილელმა ეპისკოპოსმა ტ. გაბაშვილმა თავის ნაშრომში სპეციალურად აღნიშნა, რის გამოც შოთა მეჭურჭლეთუხუცესისა და შოთა რუსთველის იგივეობის ვარაუდი, რაც ფრესკის, წარწერისა და ალაპის ურთიერთშეჯერების მიხედვით ეჭვმიუტანლად დგინდება, უფრო დამარწმუნებელი გახადა. ყოველივე ამან შოთა რუსთველი ჩვენ წინაშე წარმოაჩინა, როგორც თავისი დროის ერთ-ერთი მაღალი თანამდებობის პირი, რომელსაც წვლილი შეუტანია იერუსალიმის ჯვარის მონასტრის, ერთ-ერთი ქართული საგანმანათლებლო ცენტრის მოვლა-პატრონობაში, კონკრეტულად, მის განახლება-რესტავრირებაში. ხშირად ქართველი საერო პირები და სასულიერო მოღვაწეები საქართველოდანვე უბრძანებდნენ შეწირულებას სახლვარგარეთ არსებულ ქართულ სამონასტრო კერებს. იგივე შეიძლება ვიფიქროთ შოთა რუსთველთან დაკავშირებით; კითხვის ნიშნები რჩება თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობებთან დაკავშირებით, რადგან ისინი არც ერთ სხვა დოკუმენტში არ არის დამოწმებული. იგივე ითქმის მის შემდგომ გამოთქმულ მოსაზრებებზეც შოთა რუსთველის იერუსალიმში ყოფნასთან დაკავშირებით, ე. ი. სააბისო წყაროები არაა გამოვლენილი. ლეგენდები, რომელთა მიხედვით შოთა რუსთველმა იერუსალიმში თავადვე იმოგზაურა და მონასტრის აღსადგენი სამუშაოებიც მისივე ხელმძღვანელობით ჩატარდა, საბუთებით არაა განმტკიცებული და ლეგენდად დარჩება მანამ, სანამ არ გამოჩნდება რაიმე დამადასტურებელი საბუთი შოთა რუსთველის იერუსალიმის ჯვარის მონასტერში ყოფნის, იქ მოღვაწეობის, გარდაცვალებისა და მონასტერში დაკრძალვის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

აბაშიძე, შანიძე, წერეთელი, 1960 – ი. აბაშიძე, ა. შანიძე, გ. წერეთელი, შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში//„საბჭოთა ხელოვნება“, 1960. №12.

ამირანაშვილი, 1961 – შ. ამირანაშვილი, შოთა რუსთველი ჯვარის მონასტერში//„საბჭოთა ხელოვნება“, 1961. №4.

არაბული, 1992 – გ. არაბული, შოთა რუსთველის ბიოგრაფია ქართულ მეცნიერებაში, თბ., 1992.

ბაგრატიონი, 1960 – თ. ბაგრატიონი, განმარტება პოემა ვეფხისტყაოსანისა, გ. იმედაშვილის რედაქციით, გამოკვლევითა და საძიებლით, თბ., 1960.

გაბაშვილი, 1956 – ტ. გაბაშვილი, მიმოსლვანი, ე. მეტრეველის გამოც., 1956.

დავიდი, 1976 – ი. დავიდი, თხზულებანი, I, თელ-ავივი – იერუსალიმი, 1976.

ვირსალაძე, 1973 – Т. Вирсаладзе, Роспись Иерусалимского К.м. и портрет Шота Руставели, Тб., 1973.

თომაძე, 2004 – ნ. თომაძე, იერუსალიმის ჯვარის მონასტერი ისტორიოგრაფიასა და საზოგადოებრივ ცნობიერებაში, სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2004.

ინგოროყვა, 1958 – პ. ინგოროყვა, შოთა რუსთველი, I ნაწილი, თბ., 1958.

ინგოროყვა, 1963 – პ. ინგოროყვა, თხზულებათა კრებული, I, თბ., 1963.

კეკელიძე, 1958 – კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, II, თბ., 1958.

მამისთვალიშვილი, 2002 – ე. მამისთვალიშვილი, იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ისტორია (ქართული პერიოდი), გორი, 2002.

მარი, 1903 – Н. Марр. Предварительный отчет о работах на Синае и в Иерусалиме. «Сообщение Православного Палестинского общества», т. 14. №1. 1903.

მარი, 1914 – ადაპნი ჯუარის მონასტრისანი იერუსალიმსა შინა, გამოსცა ნ. მარმან, ს.-პეტერბურგი, 1914.

მენთეშაშვილი, 1958 – ა. მენთეშაშვილი, საქართველოს და ეგვიპტის ისტორიული ურთიერთობიდან, „დროშა“, 1958, №9.

მეტრეველი, 1962 – ე. მეტრეველი, მასალები იერუსალიმის ქართული კოლონიის ისტორიისათვის, თბ., 1962.

მუსხელიშვილი, 1965 – დ. მუსხელიშვილი, კახეთ-ჰერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხები, „ცისკარი“, 1965, №2.

ჟანენი, 1921 – რ. ჟანენი, ქართველები იერუსალიმში, ავტორის წინასიტყვაობით, ფრანგულიდან თარგმნა შალვა ვარდიძემ, სტამბოლი, სამბეჭდავი კათოლიკე საკანისა, 1921.

ყურგულაძე, 1961 – ივ. ყურგულაძე, შოთა რუსთველის პორტრეტის შესახებ, გაზ. თბილისი, 1961, 20 აპრილი, № 94.

ქუთათელაძე, 1889 – ა. ქუთათელაძე, საისტორიო და საბიბლიოგრაფიო წერილი (ჯვარის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე), გაზ. „ივერია“, 1889, 1 აპრილი, № 70.

ყაუხჩიშვილი, 1961 – ს. ყაუხჩიშვილი, შოთა რუსთაველი და ჯვარის მონასტერი, „მნათობი“, №2, 1961.

Шанидзе, Абашидзе, Церетели, 1961 – А. Шанидзе, И. Абашидзе, Г. Церетели. Поездка в Иерусалим, к вопросу о портрете Ш. Руставели. «Вестник академии наук СССР». М. №8. 1961.

შოშიაშვილი, 1966 – ნ. შოშიაშვილი, თორელთა საგვარეულო სახლის ისტორია და შოთა რუსთაველი, კრებ.: „შოთა რუსთველი“, ხელნაწერთა ინსტიტუტის გამოც., თბ., 1966.

ცაგარელი, 1888 – А. Цагарели, Памятники груз. старины в Святой Земле и на Синае. //ППС. 1888.Т.4.Вып.1.

ცაიშვილი, 1966//1974 – ს. ცაიშვილი, შოთა რუსთაველი – დავით გურამიშვილი, თბ., 1974.

ცაფცრისი, 1993 – ვ. ცაფცრისი, იერუსალიმის წმ. ჯვრის მონასტერი, „რელიგია“, 1993, №6-7.

ჭიჭინაძე, 1887 – ზ. ჭიჭინაძე, ქართული მწერლობა მეთორმეტე საუკუნეში, თბ., 1887.

ჭიჭინაძე, 1918 – ზ. ჭიჭინაძე, შოთა რუსთაველის სურათის ამბავი, ჟურნ. „რუსთაველი“, №2, 1918.

ჯანაშვილი, 1896 – ჯანაშვილი, შოთა რუსთველი, ტფ., 1896.

Nestan Sulava

TIMOTHE GABASHVILI ABOUT SHOTA RUSTVELI

Summary

Shota Rustveli's biography is obscure due to lack of documented information. Those few documented sources, where Shota Rustveli, or only the last name, Rustveli or the first name Shota is mentioned are not enough to restore d his biography. The sources survived till present can be divided into two groups by their value and significance: 1. Historical-documentary materials and 2. Folklore materials. Historical-documentary sources contain very scarce information, limited to the name and title, while the folklore materials (legends, myths, folk poetry) generally depict the folklore fantasy, though might be memorising

historic facts and events as well. Drawing a dividing line between these two is almost impossible today. The situation is even more difficult since we do not have an original manuscript of the „ The Knight in the Panther's Skin" dated earlier than 16th century

Studying Shota Rustveli's biography, apart from having the value in itself, is needed for getting historical aspects of the „ The Knight in the Panther's Skin ", behind which the allegories, symbols and enigmatic essence of the epic poem can be found.

The limited documentary materials about Shota Rustveli's biography can be divided into three groups: 1. Notes about the title - Rustveli, which should be the main focus for research, since this very name is mentioned in the prologue and epilogue of the poem, without mentioning the first name; 2. Notes about the name Shota, which is sometimes mentioned together with the last name Rustveli and sometimes separately; 3. Notes about Shota Rustveli, from those the inscription made underneath the Jerusalem fresco in Holy Cross Monastery is worth mentioning first of all, since others were made later. In this regard, the most interesting are the inscriptions made to the frescos and bas-reliefs of Rustveli such as the fresco in Kvabiskhevi basilica, Adzikvi bas-relief and the Jerusalem Holy Cross Monastery fresco, also the notes made to the Jerusalem repast book about Shota, a household keeper; as well as the historical sources and deeds from the Shota Rustveli's epoch – a note from the „Life of Kartli" about Shota Toreli written by Chiaberi, i.e. the one made by the author of the signature on Zhinvani deed.

In my work I will discuss the documented sources survived in the Jerusalem Holy Cross Monastery, namely regarding the Shota Rustveli's fresco and the notes about Shota as a household keeper, mentioned in the repast book on the base of notes kept in Timote Gabashvili's work, The validity of Jerusalem source study materials about Shota Rustaveli's biography produced by Georgian and foreign scholars (Z. Chichinadze, V. Tsaferis, Sh. Amiranashvili, I. David, E. Mamistvalishvili and others) and a legend based on them are not clearly defined. Therefore the aim of my work is to divide the reality and a legend when it comes to scientific discourse. This viewpoint is based on the notes in Timote Gabashvili's work.

აჰმედ ჰამდი თანფინარის შეხედულებები თურქულ მუსლიმურ ცივილიზაციაზე

აჰმედ ჰამდი თანფინარი (1901–1962) რესპუბლიკის პერიოდის თურქული ლიტერატურის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელია. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება – თანფინარი – ცნობილია როგორც მხატვრული სიტყვის დიდოსტატი, ლიტერატურის კრიტიკოსი, მეცნიერი-მკვლევარი, პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე. მისი მრავალფეროვანი მემკვიდრეობა – რომანები, მოთხრობები, ლექსები, პუბლიცისტიკა, სამეცნიერო შრომები – დღესაც არ კარგავს თავის მნიშვნელობას. ა. ჰ. თანფინარის შემოქმედების ცალკეული საკითხების შესწავლას არაერთი ნაშრომი მიეძღვნა (კაპლანი, 2000; ენგინუნი, 2010 და სხვა).

ა. ჰ. თანფინარის მსოფლმხედველობა ყალიბდებოდა ბობოქარი XX საუკუნის 20-იან წლებში, ოსმალეთის იმპერიის ნგრევისა და ახალი სახელმწიფოს – თურქეთის რესპუბლიკის შექმნისა და განვითარების წლებში. თავისი მსოფლგანცდით იგი, შეიძლება ითქვას, რესპუბლიკის პირმშოცაა და მისი ერთ-ერთი ინტელექტუალური მშენებელთაგანიც, რადგან მისმა თაობამ, საზოგადოდ, ახალ ეპოქაში ეროვნული იდეოლოგიის ფორმირებაში დიდი როლი ითამაშა. XX ს. დამდეგი, ისევე როგორც XIX ს. მეორე ნახევარი, ეროვნული თვითშეგნების გამოღვიძებით ხასიათდება. ამის მიზეზი იყო ოსმალეთის იმპერიის რთული პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო ვითარება როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საერთაშორისო სარბიელზეც. იგი ევროპის წამყვან სახელმწიფოთა შორის გამუდმებული დაპირისპირების ასპარეზად გადაიქცა, რადგან ისინი თავიანთი გავლენის გაფართოებისათვის იბრძოდნენ. სასულთნოსა და სახალიფოს გაუქმება და რესპუბლიკური წყობილების დამყარება ნიშნავდა აწ უკვე ახალ ნაციონალურ საზოგადოებაში საკუთრივ თურქული იდეოლოგიის განმტკიცებას განსხვავებულ კულტურათა სინთეზის ჭრილში.

დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა მტაცებლური ეკონომიკური პოლიტიკის მიუხედავად, მათი მიღწევების, იდეების, საზოგადოდ, კულტურის შესწავლა ახალგაზრდა თურქეთის რესპუბლიკის ინტელექტუალური წრეებისათვის კიდევ უფრო

აქტუალური გახდა. საზოგადოებას, რომელიც ქვეყნის განვითარების ახალ გზებს ეძიებდა, თავისი არჩევანი ან ტრადიციულ აღმოსავლურ ან დასავლურ ღირებულებებს შორის უნდა გაეკეთებინა.

თურქეთის რესპუბლიკად გამოცხადებისას ა. ჰ. თანფინარი 22 წლის თურქული ლიტერატურის ახალგაზრდა მასწავლებელია. მისი ბიოგრაფის, ორჰან ოქაის დახასიათებით, მომავალი მწერალი ამ დროისათვის „რადიკალი მესამოცეული“ იყო. დროთა განმავლობაში „ზომიერ მეაღმოსავლეთედ“ გადაიქცა (ოქაი, 2010: 178–180).

„ახალგაზრდა თურქების“ 1908 წ. რევოლუციის შემდეგ ითიჰადისტებმა თურქიზმის იდეები გაიზიარეს. მათი ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგი, „ითიჰადისა და თერაქის“ პარტიის მთავარი ბეჭდვითი ორგანოს „იენი მეჯმუას“ მთავარი რედაქტორი ზია გოქალფი პანთურქიზმის იდეებს ქადაგებდა. „თურქიზმის“ ცნებას იგი შემდეგნაირად განსაზღვრავდა: თურქიზმი თურქი ერის აღზევებას ნიშნავს“. თავის წიგნში „თურქიზმის საფუძვლები“ ("Türkçülüğün Esasları") მან განმარტა, თუ რა უნდა გახდეს თურქი ერის აღზევებისათვის აუცილებელი საშუალება და პრინციპი. იგი ყურადღებას ამახვილებს „კულტურასა“ და „ცივილიზაციაზე“. მისი აზრით, კულტურა ეროვნული, ცივილიზაცია კი საერთაშორისო უნდა იყოს. „ჩვენ უნდა დავიცვათ ჩვენი ეროვნული კულტურა. გავიდეთ აღმოსავლური ცივილიზაციიდან, მაგრამ მთლიანად დასავლურ ცივილიზაციაში არ უნდა შევიდეთ. ერთი ერი ან აღმოსავლურია, ან დასავლური. როგორც ერთი პიროვნება ვერ იქნება ორი რელიგიის მიმდევარი, ისე ერი ვერ იქნება ორი ცივილიზაციის მაღიარებელი. ეროვნული კულტურა ხალხშია, ცივილიზაცია – ინტელექტუალებში. ინტელექტუალები, განათლებული ადამიანები ხალხში უნდა გავიდნენ, კულტურა მისგან აიღონ, ცივილიზაცია კი მას წაუღონ“. თურქული წყაროების მიხედვით, ათათურქმა, თავისი შეხედულებების რაციონალური მარცვლები გოქალფისაგან აიღო. გოქალფმა თავისი მთავარი აზრი ლაკონურად ჩამოაყალიბა: "Türk milletindenim, İslam ümmetindenim, garp medeniyetindenim" – „ტომით, ეროვნებით, თურქი ვარ, თემით – მუსლიმი, ცივილიზაციით [კი] დასავლელი“ (კაბაკლი, 1994: 338–350; გარბუზოვა, 1975: 54–58).

ა. ჰ. თანფინარზე, ახალგაზრდა მოქალაქეზე, რომელიც აქტიურად ეცნობოდა იმ დროის ლიტერატორთა და მკვლე-

ვართა ნაშრომებს, გოქალფის მსგავსი შეხედულებები დიდ გავლენას ახდენდა. თურქულენოვანი სამყაროს, ოსმალეთის იმპერიის გმირული წარსული, ისლამის მთავარ იდეოლოგიურ ცენტრებზე – მექასა და მედინაზე – თითქმის ოთხი ასწლეულის მანძილზე ბატონობა – 1517–1916 [სვანიძე, 1999: 127–132; ლარუსის დიდი ენციკლოპედია, 1986: 7913–7914; 7954–7955] მწერალს – და არა მხოლოდ მას დიდი სიამაყისა და უპირატესობის განცდით ავსებდა. ამასთან ერთად სამშობლოს კრიზისული მდგომარეობა XIX–XX საუკუნეების მიჯნაზე, თანზიმათის ლიტერატურისა და დასავლური და მუსლიმური აღმოსავლური ცივილიზაციების ურთიერთობის პრობლემები მკვეთრად წინწასული დასავლეთ ევროპისა და ჩამორჩენილი აღმოსავლეთის ფონზე მისი შესწავლისა და კვლევის საგანი გახდა.

ა. ჰ. თანფინარის შეხედულებები თურქულ მუსლიმურ ცივილიზაციაზე სხვადასხვა მხატვრულ ნაწარმოებებში, წერილებსა და სამეცნიერო ნაშრომებშია გამოთქმული. იგი მსჯელობს ცივილიზაციის შეცვლაზე, ამ დროს ადამიანის შინაგანი სამყაროს მდგომარეობაზე, სტამბოლსა და თურქულ ცივილიზაციაზე. საილუსტრაციოდ მიზანშეწონილად მივიჩნიეთ მისი ზოგიერთი მოსაზრების ჩვენეული თარგმანის მითითება. იგი წერს, „ჩვენთვის (ე. ი. თურქებისათვის – მ. შ.) ნამდვილი მემკვიდრეობა არც წარსულშია, არც დასავლეთში. ის ჩვენს ცხოვრებაშია“.

ა. ჰ. თანფინარი იმედოვნებს, იმპერიის ნანგრევებზე აღმოცენებული რესპუბლიკა წინამორბედივით ძლიერი და ანგარიშგასაწევი სახელმწიფო გახდება. „ჩვენ მოვიპოვებთ იმ დიდ როლს, რომელსაც ისტორია და ჩვენი განსაკუთრებული გეოგრაფია გვაკისრებს, როცა მის პრობლემებს ჩვენი ცხოვრების იძულებით შეჩერებად კი არა, საფუძვლად მივიღებთ. მაშინ შეუპოვრობის ჯაჭვი კვლავ ჩვენს სულში შეიკვრება და თანამედროვე სამყაროში ჩვენ გამაერთიანებლის სახითა და ამ სახის შემქმნელი ცხოვრებით ჩვენთვის ღირსეულ ადგილს დავიკავებთ. გაჭირვება და სირთულეები, ცხოვრებამ რომ დაგვაკისრა საკვანძო პუნქტში ორ სამყაროს შორის, რომელთაც ერთმანეთისა არ ესმით, ანაზღაურებული იქნება“.

მწერალი ამაყობს მუსლიმური აღმოსავლეთით და მის ჭეშმარიტ მშვენებად თავის სამშობლოს მიიჩნევს. „სიმართლე თუ გინდათ, მუსლიმური აღმოსავლეთი არასოდეს, არსად [არ]

ყოფილა ისეთი წინდახედული, გემოვნებიანი, წარმტაცი, როგორც ჩვენში. ბერძნულთან შედარებით რომის სიდიადესა და ძლევამოსილებას რენესანსული სინატიფით ჩვენსავით ვერც ერთი არქიტექტურა ვერ დააკმაყოფილებს. ასე მისტიციზმი და რელიგია ცხოვრების ნგრევის გარეშე ცოტა ადგილას თუ შერწყმულა. ჩვენი მუსიკის სულის მხიარულება, ძველების თქმისა არ იყოს, ექსტაზია. ძალიან იშვიათია ქვის კედელი, მოვარაყებული წარწერა, მელოდია და პოეზია იყოს მთელი ცხოვრების სიმდიდრე. ერთ-ერთი გამორჩეული ცივილიზაციის მქონენი სწორედ ჩვენა ვართ".

ა. ჰ. თანფინარის ყურადღებას იქცევს ცივილიზაციის შეცვლის პრობლემა, ადამიანის შინაგანი სამყაროს გარდაქმნა ამ დროს, მათი ურთიერთკავშირი. მისი აზრით, ცივილიზაცია ერთი მთლიანობაა და მისი ინსტიტუტები და ღირებულებათა მნიშვნელობა ერთად ვითარდება.

„...ყოველთვის, როცა იცვლება ცხოვრება, ცივილიზაციაც იცვლება თავისი ინსტიტუტებითა და ღირებულებების მნიშვნელობით. ზოგჯერ მათი ნაწილი ისპობა. მაგრამ ყველა ეს ცვლილება ადამიანთან ერთად ხდება. დიდი თუ მცირე კრიზისები, კონფლიქტები და შფოთი, ნახტომისებურ ეპოქებში რევოლუციები, ტექნიკური პროგრესი, აღმოჩენები აწესრიგებენ ან რაღაცას სპობენ. დასავლეთში, შუა საუკუნეების ადამიანი, რენესანსის ადამიანი თუ მანქანური მრეწველობის ეპოქის ადამიანი, დღევანდელი ადამიანი თავისი ცივილიზაციით, ერთად შექმნილი ინსტიტუტებით რეალური და ისტორიული მოვლენაა.

ჩვენც, ჩვენს ძველ ცივილიზაციაში ასეთნაირები ვიყავით. სელჯუკთა ეპოქაში ადამიანები, რომლებმაც ანატოლიის კარიბჭე გადალახეს, პირველი, დამაარსებელთა თაობა, ახალი სამშობლო რომ დაისაკუთრა, ოსმალთა დაპყრობები, ყველა პოლიტიკური არეულობის მიუხედავად ითრის გენია და ნაილის ენა რომ გვაჩუქა, აყვავებისა და სტაბილიზაციის ხანის, მე-17 საუკუნის დასასრულის ადამიანი – ნამდვილად ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, მაგრამ, იმავდროულად, ერთმანეთის გამგრძელებლები იყვნენ" (მერიჩი, კარიშმანი, 2006: 197).

„...ჩვენი საზოგადოება დასავლურ იდეებსა და ხელოვნებას შეეჩვია, ჩვენმა ხალხმა მანქანა გაიცნო, ქვეყანა გაევროპელდა.

ვერ უარვყოფთ, რომ ამათი ნაწილი განვითარდა არა მხოლოდ ახალთან დაკავშირებული აღფრთოვანების გამო, არამედ ძველის ნგრევის მიზეზით; რომ წარმოქმნილში შემთხვევითობის წილი მეტი იყო, ვიდრე ჩვენი ნება. ერთი თაობის დაწყებულ საქმეს ხშირად მომდევნო თაობა კი არა, ისტორიული პირობები ასრულებს. მაგრამ მთავარი ისაა, რომ ამ ახალი ქმნადობის საპირისპიროდ არსებული ჩვენი მდგომარეობა ეჭვზე წინ ვერ მიდის. ვერც ქალთა საკითხი, ვერც ჩვენს კანონებში არსებული ცვლილებები, ვერც საფუძვლიდანვე დასავლური კულტურა და ხელოვნება ჩვენ ცხოვრების ფორმად ვერ ვაქციეთ. მუდამ შინაგანად გაორებულად ვცხოვრობდით, არ გვჯეროდა იმისა, რასაც ერთი სიტყვით ვაკეთებდით. ჩვენთვის ყოველთვის არსებობდა და არსებობს სხვა, სხვანაირი. აი, ეს არის ის სულიერი მდგომარეობა, რაც დასავლეთისაგან, ჩვენი ძველი მუსლიმი წინაპრებისაგან განგვასხვავებს“ (მერიჩი, კარიშმანი, 2006: 199).

თავის წერილში, რომელიც სტამბოლის ხუთასი წლის იუბილეს მიეძღვნა და „სტამბოლი და თურქული ცივილიზაცია“ ეწოდება, თანფინარი წერს, „როცა ფათიჰმა სტამბოლი აიღო, მას დიდებული ძველი კედლები ერტყა და თავისი მოსახლეობით საცოდავ ნანგრევებს წარმოადგენდა. თურქების გამარჯვების შემდეგ კი ქალაქი უცბად წელში გაიმართა. თავისი კარები ფართოდ გაუღო ჰინტერლანდს. უზარმაზარი იმპერიის აღებ-მიცემობამ საზღვაო და სახმელეთო გზებით ოქროს წვიმის მსგავსად მისკენ იწყო დინება. უეცრად ყველაფერი შეიცვალა. ძველი ხე აყვავილდა, გალავანს შიგნით ახალმა ცხოვრებამ ამოჩქეფა. ქალაქმა იხილა ახალი თეოლოგია, ახალი მისტიციზმის, ახალი ესთეტიკის დაბადება. ახლად აშენებულ მედრესეში სხვა პრობლემებზე ბჭობდნენ, გალავნებზე სხვა სიმღერებს მღეროდნენ. ფათიჰის არმიის ნაალაფარ აკვნებში გამარჯვების გვირგვინი – დედებისაგან ნაშობი შვილები გაიზარდნენ და მედრესეებში განათლება მიიღეს. მაშინ ანატოლიიდან, რუმელიის ქალაქებიდან, რომლებიც სტამბოლთან შედარებით უფრო თურქული იყო, დალესტნიდან, ხორასნიდან ბევრნი ჩამოვიდნენ. მეცნიერთაგან სიმშვიდის, მორჩილების, რწმენის დიდი გამოცდილება შეიძინეს. ბაზრებში, წყალდაშრეტილ წისქვილებს რომ ჰგავდნენ, მთელი აზია, ფერად-ფერად, თვალწარმტაც, ნაჭიუ საქონელს ჰყიდდა“ (მერიჩი, კარიშმანი, 2006: 200–203).

ა. ჰ. თანფინარისათვის ქალაქს (სტამბოლს – მ.შ.) სამი უნიშვნელოვანესი ეტაპი აქვს გავლილი. ესენი შემდეგია: პირველი, ფათიჰის გარდაცვალების შემდგომი – ამ დროს სტამბოლი ნამდვილი თურქული ქალაქია. ფათიჰის ეპოქა სტამბოლში დასახლების, დაფუძნების ხანაა; მეორე, ბაიაზედ II – თურქული არქიტექტურის, ქალაქთმშენებლობის, რელიგიური და სუფიური მოძრაობების. მესამე, სინანის ეპოქაა. სულეიმანისა და მისი მემკვიდრეების დროს სტამბოლი და ბოსფორი თავისი ძეგლებითა და დაწესებულებებით აშენდა და XVI ს. ევროპის ყველაზე მოწესრიგებული საზოგადოებრივი ცხოვრების პირობების შესატყვის ქალაქად გადაიქცა. იგი ასევე იხსენებს XVI–XVII სს. სტამბოლის ისეთ ღირსშესანიშნაობებს, როგორიცაა აჰმედ I მეჩეთი, უსკუდარში ვალიდეი ჯელილის მეჩეთი, ნეფის, ნეშათის, ნაილის, ითრის მიერ ხოტბაშესხმული ქალაქი.

მწერლისათვის ყველაფერი, რაც სტამბოლში შექმნილა, ეროვნული სიამაყის განცდის მომგვრელია და გამოკვლევის, შესწავლის ობიექტი.

წერილში „სინთეზის სასწაული“, რომელიც ნაწყვეტია რომანიდან „ხუთი ქალაქი“ (მერიჩი, კარიშმანი, 2006: 203–204; თანფინარი, 1969: 150–158), ავტორი ხატოვნად აღწერს, როგორ ხდებოდა გათურქულება და გამუსლიმება ყველაზე უმნიშვნელო ნივთისაც კი, რომელიც მსოფლიოს ყველა კუთხიდან სტამბოლში საბაჟოდან შემოდიოდა, „არათუ ფუფუნების საგნები, იქნებოდა ეს ლიონიდან შემოსული ქალის თავსაბურავი, ინგლისური შალის ქსოვილი ყაზიასკერის ტანზე, ფრანგული ტუმბო, ბოჰემური ლამფა და მისთ“. იგი იხსენებს არა მარტო ყოფით საგნებს, არამედ სტამბოლის ვიწრო მიხვეულ-მოხვეულ ქუჩებს, ძველ უბნებს, „სადაც ხეტიალისას შეუძლებელია გარდასული დრო არ შეიგრძნოთ და ჯადოსნურ ჭაში არ ჩავარდეთ. სტამბოლს ჰქონდა წყება უცვლელი ტრადიციებისა, წესებისა, რომელსაც ვერც ერთი ცერემონიალი ვერ ჩაიწერდა და ამით ქმნიდა განუმეორებელ სახეს“.

თურქიზაციისა და ისლამიზაციის შედეგად მცირე ახიის განვითარების შესახებ ა. ჰ. თანფინარის მოსაზრებებსა და შეფასებებზე მსჯელობა კიდევ შეიძლება, მაგრამ ამჯერად აღნიშნულით შემოვიფარგლებით.

დასკვნის სახით აღვნიშნავდით, რომ თურქული, არაბულ-სპარსული და დასავლეთევროპული – განსაკუთრებით ფრან-

გული – ლიტერატურისა და ისტორიის ჩინებული მცოდნე ა. ჰ. თანფინარი თავის მხატვრულ ნაწარმოებებსა თუ ლიტერატურულ-კრიტიკულ წერილებში ხშირად მსჯელობს თურქულ მუსლიმურ ცივილიზაციაზე, რომელიც დასავლური ცივილიზაციის ღირებულებებსა და მონაპოვარს უშუალოდ ეხება, ეცნობა და რაღაც მოცულობით ითავისებს. მწერლის აზრით, მისი სამშობლოს ისტორიის გათვალისწინებით, კულტურათა სინთეზი გარდაუვალი რეალობაა. ამ რთულ პროცესში მისთვის მთავარია თურქული ეროვნული თვითმყოფადობა იყოს შენარჩუნებული და დაფასებული. ა. ჰ. თანფინარი ხშირად იხსენებს მისთვისა და თურქული საზოგადოებისათვის საამაყო გმირებს, მოვლენებს, ადგილებს, ნივთებსაც კი. თხრობის ერთგვარი ნოსტალგიური, მშვიდი ფორმით, ხატოვანებითა და ტევადი ფრაზით იგი ცდილობს მკითხველში ეროვნული ღირსების, თვითმყოფადობისა და მემკვიდრეობითობის განცდა გააძლიეროს, რაც, თავის მხრივ, შემდეგ გახდება საფუძველი მისი გაფრთხილებისა და პოპულარიზაციისა.

ჩვენთვის ა. ჰ. თანფინარის შეხედულებები ფასეულია არა მხოლოდ როგორც ერთი კონკრეტული მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ნააზრევი, არამედ როგორც ის ეროვნული ინტელექტუალური მემკვიდრეობა, რომელიც დღესაც ქმედითია თურქულ საზოგადოებაში.

წყაროები:

თანფინარი, 1969 – Tanpınar A.H. Beş Şehir, "Devlet Kitapları". Istanbul. 1969.

მერიჩი, კარიშმანი, 2006 – Meric, Ü., Karışman, S. Ahmet Hamdi Tanpınar Ebediyetin Huzurunda. "Etkileşim Yayınları". Istanbul. 2006.

ლიტერატურა:

ლარუსის დიდი ენციკლოპედია, 1986 – Büyük Larousse Ansikloperisi, c. 15. "Milliyet". Istanbul. 1986.

ენგინუნი, 2010 – Enginün İ. Yeni Türk Edebiyati. Tanzimat'tan Cumhurıyet'e (1839–1923). "Dergâh Yayınları". Istanbul, 2010.

კაბაკლი, 1994 – Kabaklı A. Türk Edebiyatı. c. III. "Türk Edebiyatı Vakfı Yayınları". Istanbul. 1994.

კაპლანი, 1994 – Kaplan M. Şiir Tahlilleri, c. II. "Dergâh Yayınları". Istanbul. 1994.

კაპლანი, 2000 – Kaplan M. Hikâye Tahlilleri. "Dergah Yayınları". Istanbul. 2000.

ოკაი, 2010 – Okay, O. M. Bir Hülya Adamin romanı. Ahmet Hamdi Tanpınar. "Dergah Yayınları". Istanbul. 2010.

გარბუზოვა, 1975 – Гарбузова, В. С. Поэты Турции первой четверти XX века. Изд. Ленинградского Университета, Ленинград, 1975.

სვანიძე, 1999 – სვანიძე, მ. ოსმალეთის ისტორია, ტ. I, „ქრონოგრაფი“, თბ., 1999.

Marine Shonia

AHMED HAMDI TANPINAR'S OPINIONS ABOUT TURKISH MUSLIM CIVILIZATION

Summary

Ahmed Hamdi Tanpinar's (1901–1962) worldview was forming in the 10th–20th years of the tempestuous 20th century, during the years of the break-down of the Ottoman Empire and creation and development of a new state – Republic of Turkey. With his sense of the world, we may say, he is both, the son of the Republic, and one of its intellectual builders, as his generation, in general, in the new epoch played a great role in the formation of the national ideology.

Tanpinar, who knew Turkish, Arabian-Persian and European literature, and history of culture in general, in his works or literary-critical articles often discourses upon Turkish Moslem civilization from the point of view of direct contact, familiarization and adoption of the Western civilization, its acquirements and values.

In opinion of the writer, taking into account his homeland's history, the synthesis of the cultures is an inevitable reality. In this complicated process, the main thing is not to forget the national identity. He often remembers the heroes, events, places, the Turkish society is proud of. In this way he tries to strengthen the sense of national dignity and identity in his readers. A.H. Tanpinar's opinions are valuable as the intellectual heritage, which is highly important in the Turkish society even today.

ირინა ჯიშკარიანი

მიხეილ ლერმონტოვი რუსულ სიმბოლისტურ კრიტიკაში

XIX-XX საუკუნეების ზღვარზე რუსულ საზოგადოებაში გაჩნდა სახელისუფლო, საზოგადოებრივი და კულტურული ცხოვრების მოსალოდნელი კრიზისის მწვავე შეგრძნება. ქვეყანაში მიმდინარეობდა ძველი ტრადიციების ნგრევის პროცესი, პიროვნული და საზოგადოებრივი ცნობიერების, სულიერი კულტურის ესთეტიკური და ეთიკური ღირებულებების შეცვლა, რომლებიც XIX საუკუნის საზოგადოების ცნობიერებასა და კულტურას ასაზრდოებდნენ. მაგრამ ამავე კრიზისმა განაპირობა რუსული ლიტერატურის და კულტურის, ფილოსოფიის ინტენსიური ინტელექტუალური აღმავლობა. თავისი სიმრავლითა და მნიშვნელობით ამ პერიოდის ლიტერატურა გამოცხადდა XIX საუკუნის რუსული კლასიკური ლიტერატურის ღირსეულ გამგრძელებლად.

ვერცხლის საუკუნემ შემოქმედებითად აღიქვა XIX საუკუნის რუსული კლასიკური ლიტერატურის ტრადიციები. ამ ეპოქის სულიერი და ფილოსოფიურ–ესთეტიკური ძიებანი ორგანულად უკავშირდებოდნენ წინა ეპოქის რუსულ ლიტერატურას. პუშკინის, დოსტოევსკის, ტოლსტოის შემოქმედებასთან ერთად, რომელიც განიხილებოდა ახალი ეპოქის ფილოსოფიურ და იდეოლოგიური ძიების ჭრილში, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა მიხეილ ლერმონტოვის შემოქმედებას. ლერმონტოვის მემკვიდრეობა იქცა იმ ორიენტირად, რომელთან მიმართებაში მიმდინარეობდა ვერცხლის საუკუნის ხელოვანთა – ი. ანენსკის, დ. მერეჟკოვსკის, ვ. ბრიუსოვის, კ. ბალმონტის, ა. ბლოკის, ა. ბელის, ვიაჩ. ივანოვის და სხვ. თვითგამორკვევის პროცესი. ახალი სოციოკულტურული სივრცის პოეტები თითქოს პირველად კითხულობდნენ ლერმონტოვის ცნობილ ნაწარმოებებს და პოულობდნენ მასში თავის დროსთან თანახმიანობას, აღიარებდნენ მისი შემოქმედების მნიშვნელობას ცხოვრების მომავალი სულიერი განახლების საქმეში.

XIX-XX საუკუნეების ზღვარზე მხატვრულ ცნობიერებაში ლერმონტოვის მნიშვნელოვნობა დიდი იყო. ვერცხლის საუკუნემ გამოავლინა ესთეტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური,

ფსიქოლოგიური მიდგომების მრავალფეროვნება პოეტის შემოქმედებისადმი, ჩართო პოეტი კულტურული განვითარების ახალ კონტექსტში. ლერმონტოვის სულიერი გამოცდილება იქცა ეპოქის კულტურულ სიმბოლოდ.

XIX-XX საუკუნეების ზღვარზე, ლერმონტოვის რომანტიკულმა შემოქმედებამ და მისმა ფილოსოფიურ–ესთეტიკურმა ტრადიციებმა მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს სიმბოლიზმის მხატვრული პრინციპების და მის წარმომადგენელთა პოეტური ცნობიერების განვითარებაში. ლერმონტოვის პოეზიამ, რომელიც ახლებურად იქნა წაკითხული XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში, მიიპყრო სიმბოლიზმის წარმომადგენელთა – ვლადიმერ სოლოვიოვის, დიმიტრი მერეჟკოვსკის, ანდრეი ბელის, ალექსანდრე ბლოკის და სხვ. ყურადღება. ლერმონტოვის შემოქმედებისათვის დამახასიათებელი მოტივები აღიქმებოდა და ფილოსოფიურად საბუთდებოდა სიმბოლისტურ კრიტიკაში და აისახებოდა სიმბოლისტთა მხატვრულ შემოქმედებაში.

რუსული სიმბოლისტური კრიტიკის რელიგიურ–ფილოსოფიური მიმართულების წარმომადგენლები ლერმონტოვის პიროვნებას და ლიტერატურულ მემკვიდრეობას განიხილავდნენ როგორც ნიშნად მოვლენას, რომელმაც არა მხოლოდ რუსული ლიტერატურის განვითარებაზე მოახდინა გავლენა, არამედ რუსული საზოგადოების სულიერი განვითარება განაპირობა. ვლ. სოლოვიოვმა, დ. მერეჟკოვსკიმ, ვ. როზანოვმა თითქმის ლეგენდა შექმნეს მათი დიდი წინამორბედის წინასწარმეტყველური ნიჭის შესახებ. მიუხედავად განსხვავებული პოზიციებისა, ავტორები თანხმდებოდნენ მთავარზე - ისინი ლერმონტოვის სულის და შემოქმედების ძლიერ, ზებუნებრივ ძალას აღიარებდნენ.

ლერმონტოვის შემოქმედების ერთ–ერთი მკვლევარი დ. მაქსიმოვი 1964 წელს აღნიშნავდა: „ლერმონტოვი წარმოადგენდა მნიშვნელოვან ეტაპს რუსეთის სულიერ განვითარებაში. ბევრი რუსი მწერალი, დაწყებული XIX საუკუნის 40-იან წლებიდან, მჭიდროდ იყო დაკავშირებული მის მხატვრულ ტრადიციასთან. ისინი ლერმონტოვისგან სწავლობდნენ სამყაროს ხედვას და მხატვრულ მეთოდს. ისინი გრძნობდნენ თავიანთ პასუხისმგებლობას იმ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც პოეტმა ასეთი ტკივილით და მგზნებარებით დააყენა რუსეთის საზოგადოების წინაშე“ (მაქსიმოვი, 1964: 247).

დ. მაქსიმოვმა გამოვლინა სამი ტენდენცია, რომელიც სიმბოლისტებისათვის დამახასიათებელი იყო ლერმონტოვის ლიტერატურულ მემკვიდრეობასთან მიმართებაში: 1) მათ პოეტი არ მიაჩნდათ მეამბოხედ, მის პოეზიაში კი ხედავდნენ „მიდრეკილებას“ ღრმა რელიგიურობისაკენ, „მის მწუხარებას განსაზღვრავდნენ, როგორც პრაქტიკული რუსული ქრისტიანული მწუხარების მხატვრულ გამოძახილს, რომლის წყაროა „არა პროტესტი, არამედ შეგუება სამწუხარო რეალობასთან; 2) ცდილობდნენ (დ. მერეჟკოვსკი) ერთმანეთთან დაეკავშირებინათ ლერმონტოვის მიერ ღმერთის უარყოფა და ღმერთისკენ სწრაფვა; 3) უარყოფდნენ მორჩილების პათოსს ლერმონტოვის შემოქმედებაში, მაგრამ მას ამის გამო კიცხავდნენ (ვ. სოლოვიოვი)

ცნობილი რუსი ფილოსოფოსისა და პოეტის ვლადიმერ სოლოვიოვის სტატიებში წარმოდგენილია ლერმონტოვის შემოქმედების პრინციპულად ახალი კონცეფცია. სტატიაში „ეროვნული საკითხი რუსეთში“ (1883–1888) სოლოვიოვი ლერმონტოვის ლირიკას მიაკუთვნებს „სუფთა პოეზიის სფეროს“ და თვლის, რომ ასეთი პოეზიით შეუძლია „იამაყოს ნებისმიერმა ევროპულმა ლიტერატურამ“. სტატიაში „გრაფ ა. კ. ტოლსტოის პოეზია“ (1895), მან რუსული პოეზია სამ ჯგუფად დაყო: „ორგანული ხელოვნების“, „იმედგაცრუების ლირიკა“ და „დადებითი აზრის“ პოეზია“. ლერმონტოვი მან მეორე ჯგუფის სათავეში დააყენა. სოლოვიოვის აზრით, ამ მიმართულების პოეტების შემოქმედებისათვის დამახასიათებელი იყო რეფლექსია, ხოლო უარყოფითი დამოკიდებულება საკუთარი ცხოვრების და სამყაროს მიმართ ასახვას პოულობდა მათ პოეზიაში.

90–იანი წლების ბოლოს, სოლოვიოვის დამოკიდებულება ლერმონტოვის მიმართ იცვლება და კრიტიკოსი სულ უფრო ხშირად უსვამს ხაზს პოეტის შემოქმედების დემონურ ხასიათს და აღნიშნავს, რომ ლერმონტოვი „ღვარძლიანი სასოწარკვეთით მიისწრაფოდა“ ღვთაებრივისკენ და მაინც ვერ მიაღწია მას.

სტატიაში „ლერმონტოვი“ (1899) სოლოვიოვი აღნიშნავდა, რომ ლერმონტოვი პოეზიაში ნიცშეანური განწყობის „პირდაპირი წინაპარია, რაც გამოიხატა ზეადამიანის იდეაში“. როგორც გენიალურ ადამიანს, ე.ი. დაბადებიდან ზეადამიანთან მიახლოებულს, მას გააჩნდა ნიჭი დიდი მი'ხნების შესასრულებლად. მას შეეძლო, და, შესაბამისად, უნდა შეესრულებინა ისინი. პოეტმა სიყმაწვილეშივე იცოდა, რომ რჩეულთა რიცხვს

ეკუთვნოდა, მაგრამ, როდესაც „იგრძნო თავისი გენიალურობა, ეს მიიღო მხოლოდ როგორც უფლება და არა როგორც მოვალეობა, როგორც პრივილეგია და არა როგორც მოვალეობა“. მან თავის სულში შეუშვა ჯერ „სისხლმოწყურებული დემონი“, შემდეგ „უწმინდურების დემონი“ და ბოლოს „სიამაყის დემონი“, ხოლო პოეზიაში შექმნა ბოროტების იდეალიზებული სახე. სოლოვიოვის აზრით, ლერმონტოვის შემოქმედების „კაცთმოძულე სიცრუემ“, „უწმინდური დემონის“ გავლენით შექმნილმა ნაწარმოებებმა დაჩრდილეს „მისი პოეზიის ზოგიერთი ჭეშმარიტი მარგალიტი“, რელიგიური გრძნობით განმსჭვალული ლექსები. პოეტი, დასძენდა კრიტიკოსი, „წავიდა შეუსრულებელი მოვალეობის ტვირთით დამძიმებული“ და სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხების საბოლოო გადაწყვეტა ფანტალიზმში ჰპოვა (სოლოვიოვს მხედველობაში ჰქონდა ლერმონტოვის რომანი „ჩვენი დროის გმირი“). სოლოვიოვის აზრით, ლერმონტოვმა ვერ გაიგო თავისი მოწოდება „ყოფილიყო ხალხის ბელადი ჭეშმარიტ ზეადამიანისკენ მიმავალ გზაზე“, და ამიტომ დასაღუპად იყო განწირული.

როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ვ. სოლოვიოვის სტატია იყო ტენდენციური და უსამართლო, რადგან ლერმონტოვს აკრიტიკებდა ნეოქრისტიანული პოზიციებიდან. ის აღიარებდა ლერმონტოვის გენიალურობას, მაგრამ ადანაშაულებდა ღვარძლიანობაში, ეგოიზმში, სიამაყესა და თვითგაღმერთებაში, ღმერთთან დაპირისპირებაში; მან ვერ აპატია ლერმონტოვს ის, რასაც ღმერთის უარყოფას უწოდებენ. „უკვე თავის ადრეულ ნაწარმოებებში, – წერდა სოლოვიოვი, – ლერმონტოვი საუბრობს უზენაესს ნებაზე როგორც პირად შეურაცხყოფაზე. თითქოს თვლიდა მას დამნაშავედ, მის წინააღმდეგ მიმართულსა და ღრმად შეურაცხმყოფელს“. სოლოვიოვის განსაკუთრებული გულისწყრომა გამოიწვია ლერმონტოვის პოემამ „დემონი“ და მასთან დაკავშირებულმა „დემონიზმის“ ტენდენციამ. „ამ პოემის გმირი იგივეა, რაც ლერმონტოვის მთავარი დემონი - სიამაყის დემონი, რომელიც ჩვენ ვნახეთ მის ადრეულ ლექსებში. მაგრამ პოემაში ეს სახე ზედმეტად იდეალიზებულია...“ სოლოვიოვი მოითხოვდა „ხოტბა კი არ შეეასხათ მის ნიჭს, არამედ“... ვამხილოთ „მისი ხოტბით შესხმული დემონიზმი“, „შევუმსუბუქოთ დამძიმებული სული, ვაღიაროთ, რომ მან თავისი მოვალეობა არ შეასრულა“.

ანენსკის დამოკიდებულება ლერმონტოვისადმი გამოიხატა მის გამოსვლებსა და კრიტიკულ სტატიებში. სტატიის „ბუნებისადმი ლერმონტოვის ესთეტიკური დამოკიდებულების შესახებ“ (1891) მნიშვნელოვანი ნაწილი მიეძღვნა ლერმონტოვის პოეტიკაზე დაკვირვებებს. ანენსკი განსაკუთრებით გამოყოფდა ლერმონტოვის „ანგელოზს“, „სამი პალმას“, „ლოცვას“: „ლერმონტოვის პოეზიაში არის განსაკუთრებული, პედაგოგიური ხიბლი: მას ახასიათებს ასახვის ისეთი სიწმინდე, თითქმის კრისტალურობა, რომელსაც ჩვენ ვხედავთ პოესაში „ანგელოზი“, „სამი პალმა“, „ლოცვა“,... მე დარწმუნებული, რომ ჩვენ პოეტს მხოლოდ ეს ოთხი ლექსი რომ დაეტოვებინა, რომლის გარეშე არ არსებობს არცერთი ქრესტომათია, რუსულ სკოლაში მაინც დიდი პატივით და მადლიერებით ახსენებდნენ მის სახელს“. ავტორი ლერმონტოვს უწოდებდა „ბუნების ფსიქოლოგს“ და აღნიშნავდა, რომ პოეტის სიყვარული ბუნებისადმი განსაკუთრებით განამტკიცა კავკასიამ: „ყველა რუსი პოეტიდან ლერმონტოვს, შესაძლოა, ყველაზე უშუალოდ და განუყოფლად უყვარდა ბუნება... მრავალმა მიზეზმა შეუწყო ხელი ლერმონტოვში ბუნების შეგრძნების განვითარებას. კავკასიის ბუნებამ მასზე გავლენა მოახდინა მის ადრეულ ბავშვობაში, როდესაც ჯერ კიდევ ყალიბდებოდა მისი სულიერი სამყარო; აქ ისწავლა მან ოცნება და ფიქრი...“

ანენსკი ასევე შეეხო საკითხს, რომელიც ხშირად ჩნდებოდა ვერცხლის საუკუნის კრიტიკაში. ეს არის ლერმონტოვის რელიგიურობის საკითხი. მიუხედავად იმისა, რომ მკვლევარები ხშირად მიუთითებდნენ ღმერთის უარყოფის განწყობაზე პოეტის ლირიკაში, ანენსკის, პირიქით, მიაჩნდა, რომ ლერმონტოვი „ნამდვილად რელიგიურია. რელიგია მისი სულის მოთხოვნილებაა. მას უყვარდა ღმერთი, და ეს სიყვარული მნიშვნელოვნობას ანიჭებდა მის პოეზიაში სილამაზეს, ბუნების ჰარმონიულობას და იდუმალებას“.

სტატიაში „რუსი მწერლების სილამაზის სიმბოლო“ (1909), ანენსკი განიხილავს სილამაზის კონცეფციას ლერმონტოვის ლირიკაში, რომელიც პუშკინის პოეზიის „გასხივოსნებული, მაგრამ ადამიანების მიმართ გულგრილი“ სილამაზისგან განსხვავებით, წარმოგვიდგება „შემაშფოთებელი სიმბოლოების“ სახით. „ლერმონტოვის პოეზია ძალიან ადრე შეწყდა... ჩემი აზრით, მას დროც არ ჰქონდა თვითგამორკვევისათვის. მაგრამ

პოეტმა გზა თვითგამორკვევისათვის ნამდვილად უჩვეულო აირჩია - ეს იყო მამაცთა გზა“.

სტატია „ლერმონტოვის იუმორი“ (1909) წარმოადგენს ანენსკის ნააზრევის მოკლე და ლაკონურ განზოგადებას პოეტის შემოქმედების ესთეტიკური და ფილოსოფიური საფუძვლების შესახებ. ლერმონტოვის მხატვრულ მსოფლმხედველობაში ანენსკი აფასებდა მისი შემოქმედებითი „მეს“ თავისუფლებას, რომელიც „არ აპირებდა ცხოვრებასთან კაბალაში ყოფნას“, არ ეთანხმებოდა „იმ ცხოვრებასთან კომპრომისს“, რომელიც განაპირობებდა გარდაუვალ ტრაგედიას საკუთარ თავთან და სამყაროსთან ურთიერთობისას.

ლერმონტოვის კონცეფცია დიმიტრი მერეჟკოვსკის შემოქმედებაში საკვარაუდოდ ყალიბდება XX საუკუნის დასაწყისში. მერეჟკოვსკის შეხედულებები ლერმონტოვის შესახებ 1880-1890-იანი წლების ბოლოს ფრაგმენტულ ხასიათს ატარებს. სტატიაში „ვლ. კოროლენკოს მოთხრობები“ (1889) კრიტიკოსი აღნიშნავს, რომ ლერმონტოვის პოეზიაში ისმის „თავისუფალი, მშობლიური თვალუწვდენელი რუსული სტეპების განსაკუთრებული, სტიქიური ხასიათის შეგრძნება“. სტატიაში „დაცემის მიზეზები და თანამედროვე რუსული ლიტერატურის ახალი ტენდენციები“ მერეჟკოვსკი ლერმონტოვს უწოდებდა უჩვეულო ძალის და სიამაყის მქონე „მარადიულ პოეტს“.

ცალკეული გამონათქვამების გარდა, მერეჟკოვსკიმ ლერმონტოვს 20 საუკუნის დასაწყისში მიუძღვნა სპეციალური სტატია – „მ. ლერმონტოვი. ზეკაცობრიობის პოეტი“ (1908), რომელშიც მოცემულია ლერმონტოვის პიროვნების და პოეზიის რელიგიური და იდეალისტური ინტერპრეტაცია. მარადიული მოუსვენრობა და ქედმოუხრელობა როგორც ლერმონტოვის პიროვნების და შემოქმედების დომინანტური თვისებები საფუძვლად დაედო მერეჟკოვსკის შეხედულებებს ლერმონტოვის შესახებ. მის მიერ ჩამოყალიბებული საზოგადოებრივი და რელიგიური განახლების კონცეფციის თანახმად, კრიტიკოსი განიხილავდა ლერმონტოვს, როგორც „რუსული ლიტერატურის კაენს“, როგორც „ერთადერთ ადამიანს რუსულ ლიტერატურაში, რომელიც ბოლომდე ქედმოუხრელი დარჩა“, რომლის მეამბოხე, მებრძოლი სული უპირისპირდება პუშკინს, გოგოლს, ტოლსტოის და დოსტოევსკის. მერეჟკოვსკი წერს: „ღმერთის მოწოდება: „აღსდექ, წინასწარმეტყველო!.. სიტყვითა გულებს უნთებდე კაცთა“ – პუშკინმა გაიგონა, მაგრამ არ გაჰყვა მას,

არ გახდა წინასწარმეტყველი, რომელიც ხალხთან მიდის, არჩია დარჩენილიყო ჭურუმი, რომელიც ხალხს განერიდა ... ლერმონტოვი კი, პირიქით, სიცოცხლეში მარტოა, თავისი შემოქმედებით კი ხალხთან მიდიოდა; მართალია, ვერ მიაღწია, მაგრამ მაინც მიდიოდა“.

მერეჟკოვსკისთვის მიუღებელი აღმოჩნდა ის მკაცრი შეფასება, რომელიც სოლოვიოვმა მისცა ლერმონტოვის შემოქმედებას. მერეჟკოვსკი მიიჩნევს, რომ სოლოვიოვის ეს შეფასება განპირობებულია ბოროტების საკითხით, რომელიც წითელ ხოლად გასდევს პოეტის შემოქმედებას და რომელიც რელიგიური თვალსაზრისიდან გამომდინარე სოლოვიოვის მიერ არასწორად იქნა გაგებული. ლერმონტოვის ბოროტებას, რომელიც სოლოვიოვმა გააიგივა „ჩვეულებრივ ადამიანურ უმსგავსოებასთან“, მერეჟკოვსკი „სხვა სახის ბოროტებად“, „მტკივნეულ ირონიად, გიჟურ აღგზნებულობად“ მიიჩნევს. ლერმონტოვი, როგორც მისი დემონი, მერეჟკოვსკის ტრაგიკულად გაორებულ და, ამავე დროს, „დიდი და ძლიერი სულის“ მატარებელ პიროვნებად მიაჩნია. პოეტისადმი საყოველთაო სიძულვილი, მერეჟკოვსკის აზრით, გაჩნდა იმიტომ, რომ მისი სული უცხო იყო რუსული „ფსევდო-ქრისტიანული თავმდაბლობისათვის“, თუმცა მწერლის ბუნებაში მაინც იგრძნობოდა „გარკვეული რელიგიური სიწმინდე“.

ბრიუსოვის როგორც სიმბოლისტის დამოკიდებულება ლერმონტოვისადმი ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში ცვალებადობით გამოირჩეოდა. შემოქმედებითი მოღვაწეობის დასაწყისში ლერმონტოვს მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა ბრიუსოვის ცხოვრებაში და დიდ გავლენას ახდენდა მის შემოქმედებით ფორმირებაზე. როგორც თვითონ ბრიუსოვი აღნიშნავდა, ერთ-ერთი პოემა „მეფე“ (1890—91) მან დაწერა როგორც „დემონისადმი“ მიბაძვა, ხოლო წიგნში „ჩემი ცხოვრებიდან“ აღნიშნავდა, რომ „პატარა ლექსები, რომლებშიც ლერმონტოვმა ჰპოვა ასახვა, უთვალავი აქვს“. ახალგაზრდა ბრიუსოვის ლირიკას ეხმიანებოდა ლერმონტოვის ადრეული ლირიკის ისეთი მოტივები, როგორიცაა მარტოობის და იმედგაცრუების მოტივი. ახალგაზრდა ბრიუსოვს იტაცებდა ლერმონტოვის დემონიზმი და აპირებდა დაეწერა „დიდი ნაშრომი დემონის ტიპის შესახებ ლიტერატურაში“ (მაქსიმოვი). „დემონიზმი“ რამდენიმე წლის განმავლობაში ხდება ბრიუსოვის ლირიკული გმირის „ნიღაბი“, თუმცა პოეტი ხაზს უსვამს არა მხოლოდ მის მეამბოხე და

ამაც სულს, არამედ მას თანამედროვე მოვლენების მონაწილეც აქცევს („ქუჩის მიტინგი“, „ოცდამეათე თვე“, „დემონსტრაციების დემონი“ და სხვ.).

ლერმონტოვი ბრიუსოვისთვის გახდა პოეტური ოსტატობის პირველი მაგალითი, მას „აოცებდა ლერმონტოვის უცნაური ლაკონურობა“ და ფსიქოლოგიურობის მკაფიო გამოვლინება. ამავე წიგნში ბრიუსოვი ლერმონტოვს პუშკინზე მაღლა აყენებს, ხოლო თავის ავტობიოგრაფიაში აღიარებს: „მხოლოდ ლერმონტოვის შემდეგ დადგა ჩემთვის დრო, როდესაც შევძელი შემეფასებინა პუშკინის სიდიადე და მნიშვნელობა“.

სტატიაში „ცილ დაწამებული ლექსი“ (1903) ბრიუსოვი დეტალურ კომენტარს აძლევს ლერმონტოვის ლექსს „არ ენდო, არ ენდო საკუთარ თავს“ და იცავს პოეტს კრიტიკოსების თავდასხმებისგან. ბრიუსოვის ყურადღებას ასევე იპყრობს ლექსი „სამი პალმა“, რომელშიც ის ხედავს ალეგორიულ შედარებას პალმის დალუპვასა და ლერმონტოვის სურვილს შორის არ გაუმხილოს ხალხს თავისი ოცნება, რადგან „ხალხი ისევე მოექცა მის ოცნებებს, როგორც პალმის ხეს“.

სტატიაში ძალიან საინტერესოდ არის მოცემული პუშკინისა და ლერმონტოვის პოეზიის შედარება–შეპირისპირება. ამ პოეტებს შორის არსებულ განსხვავებას ბრიუსოვი ხედავდა ლექსზე მუშაობის თავისებურებებში: „ლერმონტოვი თავის თავის პოეტი იყო. ამაშია არსებითი განსხვავება ლერმონტოვის პოეზიისა პუშკინის პოეზიისგან. პუშკინს უყვარდა იმის გამეორება, რომ ის წერს თავისთვის, ხოლო ბეჭდავს ფულისთვის, მაგრამ მისი ლექსი ყოველთვის მკითხველისკენ იყო მიმართული; მას ყოველთვის უნდოდა სხვისთვის რაღაცის თქმა. ლერმონტოვისთვის კი მნიშვნელოვანი იყო თვითონ გარკვეულიყო თავის გრძნობებში. პუშკინი მუშაობდა ლექსებზე, შეიძლება ითქვას, რომ აკეთებდა მათ. ხშირად პროზით წერდა ჩაფიქრებული ნაწარმოების შინაარსს, შემდეგ პროზა გადაჰყავდა მოუქნელ ლექსში – ზოგჯერ რითმასა და ზომის გარეშე – და უკვე მერე ხვეწდა და ასწორებდა... ლერმონტოვის ლექსებს თავიდანვე ჰქონდა დასრულებული სახე. მისი ვარიანტები, როგორც პირველი, ასევე მოგვიანებით შექმნილი, თანაბრად მშვენიერი და თანაბრად ღირებულია. ის არ მუშაობდა, ის გამოხატავდა. მელექსე არასოდეს ყოფილა, მხოლოდ პოეტი. პუშკინს სურდა, რომ მის შესახებ ხმა მთელ რუსეთში გავრცელებულიყო. ლერმონტოვი კი იმაზე ფიქრობდა, უკეთესი

ხომ არ იქნებოდა თავისი ოცნება სამუდამოდ ჩაემარხა გულში, როგორც განძი, რომლის ღირსი ხალხი არ არის“.

მრავალრიცხოვან სტატიებში, რომლებიც ბრიუსოვმა პუშკინს მიუძღვნა, ის თითქმის ყოველთვის აღნიშნავდა ლერმონტოვის როგორც პოეტის მნიშვნელობას, მიუთითებდა პუშკინისა და ლერმონტოვის განსხვავებულ შემოქმედებით მეთოდებზე აფასებდა მათ მიერ შექმნილ მხატვრულ სახეებს, რომლებიც არ მოძველებულან, „დღემდე ცოცხლობენ და მშვენიერები რჩებიან“. თანამედროვე პოეტების შემოქმედების შეფასებისას ბრიუსოვი ხშირად ავლებს ანალოგიებს ლერმონტოვის პოეტურ გამოცდილებასთან.

შემდგომ, როდესაც ბრიუსოვი ჩამოყალიბდა როგორც სიმბოლიზმის ლიდერი, ის ლერმონტოვის შემოქმედებასა და პიროვნებაში ვეღარ პოულობდა პასუხს მისთვის საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებზე და „მეოთხეხარისხოვან პოეტთა“ რიცხვსაც კი მიაკუთვნა ის. მაგრამ მოგვიანებით ბრიუსოვი ხშირად იყენებდა ლერმონტოვის ტექსტებს ეპიგრაფების, მიკროციტატების და რემინესცენციების სახით.

1914 წელს ლერმონტოვის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სტატიაში (შესავალი სტატია ლერმონტოვის სრული თხზულებების მეორე ტომისათვის) ბრიუსოვმა დეტალური დახასიათება მისცა ლერმონტოვის შემოქმედებით მემკვიდრეობას, ხოლო თვითონ პოეტს აღიქვამდა როგორც მეამბოხე რომანტიკოსს, რომელიც ყოველთვის მიისწრაფოდა „სასწაულებრივისკენ“ და „ზემიწიერ იდეალისკენ“. სტატიაში ვითარდება ადრე გამოთქმული მოსაზრებები იმის შესახებ, რომ ლერმონტოვი რომანტიკოსი პოეტია, რომელმაც თავის შემოქმედებაში ასახა მიწიერი რეალობის სიძულვილი და სწრაფვა ამაღლებული იდეალებისაკენ. კრიტიკოსი წინააღმდეგი იყო ლიტერატურათმცოდნეობაში არსებული მოსაზრებისა ლერმონტოვის შემოქმედება განეხილათ, როგორც „დამოუკიდებლად განვითარებული პუშკინის პოეზიის ერთ-ერთი ნაწილი“. ბრიუსოვი არ უარყოფდა პუშკინის გავლენას ლერმონტოვის ნიჭის ფორმირებაზე, მაგრამ ხაზგასმით მიუთითებდა ლერმონტოვის ინდივიდუალობაზე. ბრიუსოვმა ყურადღება გაამახვილა იმაზე, რომ მიუხედავად იმისა, რომ „პუშკინის შემოქმედება ადრე შეწყდა, ის მაინც მოიცავს ოც წელზე მეტ პერიოდს. ხოლო მკითხველისაკენ მიმართული ლერმონტოვის ლიტერატურული შემოქმედება ძირითადად შემოიფარგლება სამნახევა-

რი წელიწადით, რადგან ადრე მისი მხოლოდ ორი ნაწარმოები იყო დაბეჭდილი“.

კონსტანტინე ბალმონტმა სტატიაში „მწყობრში“ ლერმონტოვს უწოდა ბაირონის „უმცროსი ძმა“, პუშკინის მოსწავლე, „რომანტიკოსი თემატიკით და რეალისტი შესრულებით“, სიმბოლიზმის წინამორბედი. მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო ლექსად მას მიაჩნდა ლერმონტოვის „მთის მწვერვალი“, რომელიც ასევე დაკავშირებულია ბალმონტის წიგნის სათაურთან. გარდა ამისა ბალმონტმა ლერმონტოვს მიუძღვნა რამდენიმე ლექსი, მათ შორის – „არა, ამიტომ, არ შეგიყვარე“, „ზეცასთან დაშორებული შერისხული ანგელოზი“ და სხვ.

ა. ბელიმ თავის კრიტიკულ თხზულებებში დასახა რუსული პოეზიის ორი ნაკადი: ერთი, რომელიც პუშკინიდან მომდინარეობს, მეორე ლერმონტოვიდან, და ხაზგასმით აღნიშნა კლასიკოსის შემოქმედებითი მემკვიდრეობის და მისი პიროვნების მნიშვნელობა რუსულ ლიტერატურაში. ლერმონტოვი, ა. ბელის აზრით, აღმოჩნდა ის „ფანჯარა“, „რომელშიც უბერავს (ქროლავს, ქრის) მომავლის ქარი“, მომავლის ბედი კი დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ გადაწყდება დავა „ინდივიდუალიზმსა და უნივერსალიზმს“ შორის, რომლებიც ერთმანეთს დაუპირისპირდნენ ლერმონტოვის პოეტურ სამყაროში.

სტატიაში „წმინდა ყვავილები“ ბელი აღნიშნავდა, რომ ლერმონტოვი „ყოველთვის იყო განწირული, რადგან მისი ტანჯული განწყობა ყოველთვის მცდარად იყო გაგებული, როგორც ... პოზა, თვითკმაყოფილი პესიმიზმი, მსოფლიო სევდა, „პოეტური“ მწუხარება, მაშინ როდესაც ყველაფერი ატარებდა წმინდა წინასწარმეტყველური ტანჯვის ანაბეჭდს“.

რუსი პოეტი სიმბოლისტი, ლიტერატურის ისტორიკოსი და თეორეტიკოსი ვიაჩესლავ ივანოვი იტალიურ ენაზე დაწერილ ნარკვევში „ლერმონტოვი“ (1947—48) პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის მთავარ თვისებად მიიჩნევს გაორებას: „ლერმონტოვის ორად გახლეჩილ და ნაწამებ სულს მგზნებარედ სწყუროდა ჰარმონია, ერთიანობა და მთლიანობა, მაგრამ ვერასოდეს ვერ მიაღწია ამას“. უკიდურესი ინდივიდუალიზმი, რომანტიკული სიამაყე, „ისევე როგორც ლერმონტოვი, არ არის თავისუფალი, რადგან ვერ პოულობს თავისუფლებას, რწმენას იმისათვის, რომ აირჩიოს სასურველი გზა“.

პოეტის ზოგიერთ ლექსში ივანოვმა დაინახა ღვთისმშობლის კულტი, ხოლო თვით პოეტში „მარადიული ქალურობის“

თაყვანისმცემელი და, აქედან გამომდინარე ვლ. სოლოვიოვის და „უმცროსი სიმბოლისტების“ წინამორბედი: „...ის იყო მარიამის ერთგული რაინდი. ლოცვაში, რომელიც აღსავსე იყო რელიგიური ექსტაზით და სულიერი სინაზით, მან ღვთისმშობლის წყალობას სიცოცხლის ბოლომდე ანდო არა თავისი მიტოვებული და გაუხეშებული სული, არამედ უბიწო ქალწულის რჩეული და უმანკო სული, რომელიც უმწეოა სამყაროში არსებული ბოროტების წინაშე“.

და ბოლოს ივანოვი წერდა: „ვინც შეეცდება ჩაწვდეს ლერმონტოვის ჭეშმარიტ სახეს, არ უნდა დაკმაყოფილდეს იმით, რისი თქმაც მან მოასწრო სამყაროსათვის. მისი ლექსები იძლევიან მისი თვისებების გარჩევის, მაგრამ არა მისი სულის სიძლიერის გამოვლენის საშუალებას. მის სულში არსებული ადამიანი უფრო მეტი იყო, ვიდრე რომანტიკული მელექსე, მისი ჩუმი მწუხარება ოდნავ გასაგებ ოხვრაზე უფრო მწუხარე იყო, თუმცა მას უფრო დიდი ნუგეში ჰქონდა, ვიდრე ის ნუგეში, რომელსაც ჩუქნიდნენ მას ოქროს ღრუბელი ან მომაჯადოებელი სიმღერები“.

ლერმონტოვის პიროვნება და შემოქმედება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ალექსანდრე ბლოკისათვის. ანდრეი ბელი მიუთითებდა „ლერმონტოვის ნაკადზე“ ბლოკის პოეზიაში და აღნიშნავდა, რომ ბლოკი თავის ლექსებში განაგრძობდა ლერმონტოვის ნააზრევის „წარმოჩენას“. ბლოკის თანამედროვენი ხედავდნენ მასში თავისი დროის ლერმონტოვს. კორნეი ჩუკოვსკი წერდა: „ის იყო ჩვენი დროის ლერმონტოვი. მას ჰქონდა ისეთივე მძიმე დავა სამყაროსთან, ღმერთთან, საკუთარ თავთან, ისეთივე საბედისწერო დემონური ტონი, შეუგუებლობა სამყაროსთან (როგორც ლერმონტოვს – ი.ჯ.), რომელიც მძიმე ტვირთად აწვა მას“.

ლერმონტოვის გავლენა ჯერ კიდევ ბლოკის ადრეულ ლირიკაში აისახა, რომელშიც შეიძლება გამოიყოს ლერმონტოვის პოეზიით შთაგონებული მხატვრული სახეები. ეს გავლენა ბლოკის შემოქმედებაში ასევე ვლინდება მრავალრიცხოვან ეპიგრაფებში, რემინესცენციებში ლერმონტოვიდან, თუმცა, როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, ბლოკი თავს არიდებდა ლერმონტოვიდან ციტატების გამოყენებას. მაგალითად, ლერმონტოვის რემინესცენციები ლექსიდან „დუმა“ (1838) მკაფიოდ ეცერს ბლოკის ლექსებში „მე ადამიანი ვარ და ღმერთს ვერ

გავუტოლდები“, „როდესაც ბრბო კერპებს ტაშს უკრავს“, „XX საუკუნის დასაწყისში“.

ბლოკისა და ლერმონტოვის თემატური გადაძახილი იგრძნობა დემონიზმის, ღმერთის უარყოფის, მასკარადის და „ნიღბის“ მოტივებში. დემონიზმის თემა განსაკუთრებით დამახასიათებელია ლექსების ციკლისათვის „ქალაქი“ (1904–1908), შურისძიების მოტივი ლექსისათვის „მფარველი ანგელოზი“ (1906), მასკარადის სიმბოლური სახეები კრებულისათვის „თოვლის ნიღაბი“ (1905). მაგრამ ერმონტოვთან პირდაპირ და უშალო კავშირში მაინც „დემონიზმის“ თემა რჩება. თუ სოლოვიოვი საკითხს უდგებოდა ქრისტიანულ–მისტიკური მსოფლმხედველობის პოზიციიდან და დემონიზმში ხედავდა მხოლოდ დამანგრეველ სტიქიას და აბსოლუტურ ბოროტებას, ლერმონტოვისა და ბლოკისათვის დემონურ ბრძოლას ფესვგადგმული უმეცრების წინააღმდეგ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა. ლერმონტოვს და ბლოკს დემონიზმი გააზრებული ჰქონდათ როგორც ტრაგიკულად განცდილი ინდივიდუალიზმის ფორმა, ბუნჩი ულირსი რეალობის წინააღმდეგ და განუსაზღვრელი პირადი თავისუფლების განტკიცების საშუალება. ბლოკს დემონი წარმოდგენილი ჰქონდა როგორც „ჩვენი დროის სიმბოლო“, როგორც დამცველი „სულიერი მოდუნებისგან“, როგორც მარტოსული, საკუთარ თავზე კონცენტრირებული მამაცი სულის პირველსახე.

ბლოკის შეხედულებები ლერმონტოვზე არა მარტო ეწინააღმდეგებოდნენ სოლოვიოვის შეფასებას, არამედ თავისი არსით წარმოადგენდენ ფარულ პოლემიკას მასთან, თუმცა, როგორც მკვლევარები ამტკიცებენ, ბლოკი ყოველთვის თავს არიდებდა დაპირისპირებას თავისი მასწავლებლის შეხედულებებთან.

ბლოკის და სოლოვიოვის განსხვავებული შეხედულებების შესახებ მეტად საინტერესო მასალას იძლევა ბლოკის რეცენზია „პედანტი პოეტის შესახებ“ (1906). აღნიშნული რეცენზია პოეტმა დაწერა ნ. კოტლარევსკის იმ დროისათვის ცნობილ წიგნზე „მ. ლერმონტოვი. პოეტის პიროვნება და მისი ნაწარმოებები“ (1891), და მოიცავს წიგნის ავტორის მძაფრ კრიტიკას. ამ რეცენზიაში ბლოკი, სოლოვიოვისგან განსხვავებით არ ფიქრობდა იმაზე, რომ დაეგმო დიდი პოეტი, არამედ, პირიქით, კმაყოფილებით აღნიშნავდა, რომ „ბოლო წლების ლიტერატურა ... კვლავ მიისწრაფის ლერმონტოვისკენ; ... მას პატივს სცე-

მენ მგზნებარედ, მდუმარედ და მოწიწებით". სტატიაში „ჯამთა სიავე" (1906), ბლოკი კვლავ უპირისპირდება სოლოვიოვს და ლერმონტოვს „სიბრძნის" მასწავლებელს უწოდებს და, უფრო მეტიც, დოსტოევსკიზე წინ აყენებს უკომპრომისო იდეალების გამო.

ამრიგად, ვერცხლის საუკუნის პოეტთა ინტერესი ლერმონტოვის პიროვნებისა და შემოქმედებისადმი მიუთითებს იმაზე, რომ ეს ინტერესი იყო სტაბილური და მრავალმხრივი. ამ ტრადიციამ შემდგომაც ჰპოვა თავისებური გაგრძელება, როდესაც ვერცხლის საუკუნის მრავალი მოღვაწე აღმოჩნდა ემიგრაციაში.

XIX საუკუნის ბოლოსა და XX საუკუნის დასაწყისის რუსულ ლიტერატურაში ლერმონტოვის მემკვიდრეობა წარმოადგენდა თანამედროვე ლიტერატურული და ზოგადკულტურული პროცესის განუყოფელ ნაწილს. მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ამ ეპოქის სიმბოლისტურმა კრიტიკამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ლერმონტოვის რთული მხატვრული სამყაროს გააზრებაში, მისი შემოქმედების კრიტიკული ანალიზის ახალი გზების ძიებასა და განვითარებაში. სიმბოლისტური კრიტიკისათვის არ იყო დამახასიათებელი ლერმონტოვის ისტორიული ადგილის შესწავლა რუსული ლიტერატურის განვითარებაში, არამედ მისი პიროვნული თვისებების შეფასება და შემოქმედების ინტერპრეტაცია.

გამოყენებული ლიტერატურა:

აიხენვალდი, 1910 – Айхенвальд Ю. Лермонтов . http://dugward.ru/library/lermont/ aihenv_lerm.html

ანენსკი, – Анненский И.Ф., Избранное. М., 1987

ბალმონტი, 1989 – Бальмонт К. Д. Избранное. – М., 1989.

ბელი, 1994 – А. Белый, Символизм как миропонимание. М., 1994.

ბლოკი, 1983 – А.Блок, Собрание сочинений в 6 томах. М., 1983. Т.6.

ბრიუსოვი, 1973-1975– Валерий Брюсов. Собрание сочинений в семи томах. М., 1973-1975. Т.6,7.

ივანოვი, 1987 – Вячеслав Иванов. Собрание сочинений в 4 томах. Том 4. Брюссель, 1987,

იგოშევა, 2013 – Игошева Т.В. «Рукоположен Лермонтовым» (Блок и лермонтовская традиция). Вестник Новгородского государственного университета 2013, #72 http://www.novsu.ru/file/1080109

ენციკლოპედია, 1981 – Лермонтовская энциклопедия М., 1981
მაქსიმოვი, 1964 – Максимов Д. Е. Поэзия Лермонтова. М.-Л., 1964.
მერეჟკოვსკი – Мережковский Д. С. М. Ю. Лермонтов. Поэт сверхчеловечества. / Д. С. Мережковский// В тихом омуте. Статьи и исследования разных лет. М., 1991.
სოლოვიოვი, 2009 – Вл. Соловьев. Лермонтов// «Нева», 2009, №10.

Irina Jishkariani

MIKHEIL LERMONTOVI IN RUSSIAN SYMBOLIST CRITICISM

Summary

In the Article "Mikheil Lermontovi in Russian Symbolist Criticism", is discussed perception of the creative heritage of famous Russian writer and poet Mikheil Lermontovi. It should be noticed that Lermontov creativity has been become as a landmark, which was followed by the prominent representatives of the silver centuries, Annenski, Merezhkovski, Bryusov, Balmont, Belli, Bloke, Viach and others. These authors' creative works analyze took an important place. In the Article also noticed that Lermontov's romantic creations and its philosophical-esthetical traditions has plaid significant role in development of symbolism artistic principles and poetic consciousness of its representatives.

უჩა ბლუაშვილი

სოხუმის დაცემა: ფაქტები, მოვლენები, ანალიზი

22 წლის წინათ, 1992 წლის 14 აგვისტოს, აფხაზეთის ომი დაიწყო.ძირძველი ქართული მიწისთვის ბრძოლა 13 თვესა და 13 დღეს გაგრძელდა და ათიათასობით ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. საკუთარ ქვეყანაში დევნილად იქცა 300 ათასი მოქალაქე. ქართულ-აფხაზური კონფლიქტი თავიდან ბოლომდე რუსული სცენარით წარიმართა. რუსეთმა ჯერ უხვად მოამარაგა იარაღით ქართული ჯარი, საშუალება მისცა მას მიეღწია დროებითი უპირატესობისთვის, შემდეგ კი აფხაზი სეპარატისტების ფარული თუ აშკარა მხარდაჭერის გზით შეუდგა საქართველოსთვის აფხაზეთის ჩამოცილების გეგმის პრაქტიკულ რეალიზაციას.

1993 წლის დასაწყისისთვის სეპარატისტები უკვე აფხაზეთის ტერიტორიისნახევარს აკონტროლებდნენ. გაგრის შემდეგ მათ მთავარი ყურადღება სოხუმზე გადაიტანეს. 1993 წლის მარტში საქართველოს წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაება სომხებისგან დაკომპლექტებული ბაგრამიანის სახელობის ბატალიონი. სეპარატისტთა რიგებს სულ უფრო მეტი დაქირავებული ემატებოდა. მათ უმრავლესობას ჩრდილო კავკასიელები და ყაზაკები შეადგენდნენ.

1993 წლის 16 მარტს აფხაზმა სეპარატისტებმა გუმისთის ხაზზე შეტევა წამოიწყეს. ჰაერიდან მათ მხარს რუსული ავიაცია უჭერდა. განსაკუთრებით მძიმე ვითარება შეიქმნა აჩადარასთან, სადაც სანგრებში ხელჩართული ბრძოლა მიმდინარეობდა. სოხუმის გარეუბანში შემოჭრილი მოწინააღმდეგე ქართველებმა ალყაში მოაქციეს და მთლიანად გაანადგურეს. გადამწყვეტი სიტყვა თქვეს ქართველმა არტილერისტებმა, რომელთა ცეცხლის შედეგად აფხაზთა უკანა ეშელონებმა უდიდესი დანაკარგები განიცადეს. შუადღისთვის სეპარატისტებმა უკანდახევა დაიწყეს.

სოხუმის აღების ცდა ჩაიშალა. აფხაზურმა მხარემ მარტო მოკლულთა სახით ათას კაცზე მეტი დაკარგა. ამან სეპარატისტთა რიგებში პანიკა გამოიწვია. საჭირო იყო ამ მომენტის

გამოყენება და იერიშზე გადასვლა. თუმცა, ქართული ჯარი შეტევაზე გადასვლის ბრძანებას ამაოდ ელოდა.

რუსეთმა გადაწყვიტა მორიგი შესვენება აეღო. 14 მაისს რუსეთის შუამავლობით ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება დაიდო. ეს დრო რუსეთმა აფხაზეთში ცოცხალი ძალისა და ტექნიკის შეყვანისთვის გამოიყენა.

აფხაზ სეპარატისტებს მათთვის ამ მძიმე დღეებში დამხმარედ კვლავაც საქართველოს ექსპრეზიდენტის მომხრენი მოევლინნენ. „ზვიადისტებმა“ ისევ გააააქტიურეს თავიანთი ძირგამომთხრელი და დივერსიული საქმიანობა ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ. ისინი აფეთქებდნენ ხიდებს, გვირაბებს, ელექტროგადამცემ ხაზებს, ყრიდნენ სარკინიგზო ლიანდაგებს. მათ ხუთჯერ ზედიზედ ააფეთქეს სომხეთში გამავალი გაზსადენი, ლოთი ქობალიას შეიარაღებული რაზმები ძარცვავდნენ საბრძოლო საჭურველითა და სხვა აუცილებელი ტვირთით ფრონტის ხაზისკენ მიმავალ ეშელონებს. ეს ყველაფერი, ძირითადად, აფხაზეთისა და სამეგრელოს ტერიტორიაზე ხდებოდა.

მარტის ბოლოს, გალში, კიტოვანსა და ქობალიას შორის გამართული შეხვედრის დროს, მოხერხდა შეთანხმების მიღწევა. სამეგრელოს რაიონში გამოცხადდა წინასამობილიზაციო მზადყოფნა და ჩატარდა ლოკალური მობილიზაცია. რამდენიმე დღეში ფოთისა და ხობის ბატალიონები სოხუმში ჩავიდნენ და სამთავრობო ნაწილების გვერდით განლაგდნენ. მაგრამ ამან სამეგრელოს მოსახლეობის ნაწილის უკმაყოფილება გამოიწვია. ლოთი ქობალია მოღალატედ იქნა გამოცხადებული. 27 მარტს ზუგდიდში, „ჭყონდიდელის“ პირველ კონფერენციაზე, ლოთი ქობალიამ, აშკარად სამეგრელოს მოსახლეობაში მის მიმართ გაჩენილი მტრული განწყობის ზეგავლენით, განაცხადა, რომ ვიდრე საქართველოს შევარდნაძე და მისი პარლამენტი ხელმძღვანელობენ, მანამდე ის და მისი შეიარაღებული დაჯგუფება სოხუმის დასაცავად „ხუნტის“ სტატუსით არ წავიდოდა.

2 ივლისს სეპარატისტებმა მეორე შეთანხმებაც დაარღვიეს და დაბა ტამიშთან საზღვაო დესანტის გადმოსხმით ახალი იერიში წამოიწყეს. აფხაზთა დესანტს ზღვიდან რუსეთის სამხედრო ხომალდი უჭერდა მხარს. შეტევა იმდენად მოულოდნელი იყო, რომ პირველი სამი საათის განმავლობაში ქართველებმა სამასი კაცი დაკარგეს. მთლიანად ამოწყდა სანა-

პიროს დაცვის ქართული რაზმი. დესანტმა სარკინიგზო ხაზი გადაჭრა და ოჩამჩირე-სოხუმის მაგისტრალზე თავისი კონტროლი დაამყარა. აფხაზები ანუა-არხეს სტრატეგიული სიმაღლეების ხელში ჩაგდებას ისახავდნენ მიზნად. ქართველებმა კონტრშეტევა განახორციელეს და გზა გაწმინდეს. თუმცა აფხაზების მხრივ ეს მოწინააღმდეგის ყურადღების გადასატანი მანევრი იყო. იმავე ღამით მათ სწრაფი შეტევა განახორციელეს შრომა-კამანის მიმართულებით და სოხუმს ჩრდილოეთიდან მოუარეს. აფხაზური დესანტი კი ტყვარჩელისკენ გაემართა. მან მთლიანად შეასრულა თავისი მისია - გადაიტანა მოწინააღმდეგის ყურადღება ოჩამჩირეზე, მაშინ როდესაც მთავარი მიმართულება შრომა-კამანი იყო. ამ სტრატეგიული მნიშვნელობის სოფლების აღება მათ შესაძლებლობას აძლევდა სოხუმზე იერიში წამოეწყოთ. პარალელურად სეპარატისტებმა გუმისთის შემოვლა დაიწყეს. ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმება მათ სოხუმის ჩრდილოეთით შემოვლითი გზის მშენებლობისთვის გამოიყენეს.

დესანტის ლიკვიდაციის ოპერაციაში მონაწილეობა ლოთი ქობალიას შეიარაღებულმა რაზმებმაც მიიღეს (ლოთი ქობალიას რაზმები აფხაზეთში სულ ორჯერ ჩავიდნენ: პირველად ორი დღით, მეორედ - სამით. ეს იყო და ეს).

5 ივლისს მოწინააღმდეგემ კამანი აიღო და მშვიდობიანი მოსახლეობა მთლიანად გაულიტა. სოხუმამდე მტერს 12 კილომეტრიღა აშორებდა. ამის შემდეგ ანუა-არხეზე შეტევა განაახლეს, თუმცა უშედეგოდ. სამაგიეროდ, მათ მოახერხეს სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე სოფელ შრომის დაკავება.

ქართულმა მხარემ კი დესანტის ლიკვიდაცია შეძლო. მან 17 ივლისს სოხუმთან არსებული სტრატეგიული სიმაღლეების დასაბრუნებლად იერიში წამოიწყო, თუმცა, წარმატებას ვერ მიაღწია. ასეთ ვითარებაში სოხუმის დაცვა სულ უფრო პრობლემური ხდებოდა.

27 ივლისს სოჭში რუსეთის შუამავლობით კიდევ ერთი შეთანხმება იქნა დადებული. შუამავლობდა პასტუხოვი, რომელმაც გუდაუთადან თბილისში ფაქტობრივი კაპიტულაციის გეგმა ჩამოიტანა. შევარდნაძემ გეგმა უხმოდ მოისროლა. ამის შემდეგ შევარდნაძის კაბინეტში შეიკრიბნენ: სახელმწიფოს მეთაური შევარდნაძე, თბილისის მერი კოტე გაბაშვილი, პარლამენტის სპიკერი ვახტანგ გოგუაძე, რუსეთის ელჩი საქართ-

ველოში ვლადიმირ ზემსკი. აი, როგორ აღწერს ამ შეხვედრის მსვლელობას გიორგი წიქარიშვილი:

„გაბაშვილმა ყვირილით მიმართა ზემსკის:

- დააფიქსირეთ, რომ რუსეთი აწარმოებს ომს საქართველოს წინააღმდეგ!

- კი ბატონო, ვთქვათ დავაფიქსირე, მერედა, რას მოგცემთ ეს თქვენ, - თქვენ ხომ ზრდასრული ადამიანი ხართ!

გაბაშვილი განაგრძობს ყვირილს:

- გავიდეთ ტყეში, დავიწყოთ პარტიზანული ომი, მივმართოთ ხალხს!

მას ვახტანგ გოგუაძე მიმართავს:

- რა გაყვირებს? ის ხალხი ჩვენ გაგვრეკავს ჯერ! პარტიზანად რომ გახვალ ტყეში, იმ ღამით კოღო გიკბენს ცხვირზე და მეორე დღესვე დაბრუნდები სახლში. ბატონო ედუარდ, სად არის პასტუხოვი?

- სად არის და გავაგდე. აბა, ამის (შეთანხმების პროექტის – უ. ბ.) ხელმოწერა როგორ შეიძლება? ტყვიასაც ალარ გვაძლევენ ეს დამპალი რუსები!

- რას ჰქვია „გააგდეთ?“ ვერაფერი გამიგია, რა ლოგიკაა: რუსო მომეცი ტყვია, უნდა გესროლო ტყვია! რა თქმა უნდა, არ მოგცემს“ (წიქარიშვილი, 2003: 446);

აი, ასეთ, ან დაახლოებით ასეთ ვითარებაში დაიდო 27 ივლისის ხელშეკრულება.

ახალი შეთანხმების მიხედვით აფხაზეთს ტოვებდა ყველა დაქირავებული მებრძოლი, აგრეთვე საქართველოს შეიარაღებული ძალების დიდი ნაწილი. ქართულ მხარეს სოხუმიდან უნდა გაეტანა მთელი ჯავშანტექნიკა და არტილერია. აფხაზურ ტექნიკაზე კონტროლი აფხაზეთში დისლოცირებულ რუსულ ნაწილებს ევალებოდათ.

ალნიშნულმა ხელშეკრულებამ კიდევ ერთხელ გაითიშა რის ვაი-ვაგლახით შეკოწიწებული ქართველთა მყიფე ერთობა. შეთანხმების მოწინააღმდეგეთა პირველ რიგებში, ცხადია, ახლაც ექსპრეზიდენტის მომხრენი მოგვევლინნენ. სწორედ ეს ადამიანები გაჰკიოდნენ „შევარდნაძის მიერ ქართველთა მიმართ მოწყობილი გენოციდის“, „ქართველი ხალხის ფიზიკური განადგურების მიზნით საქართველოს ფაქტობრივი ხელისუფლების მიერ მისთვის განზრახ თავსმოხვეული უაზრო ომის“ შესახებ. და აი, საკმარისი იყო საქართველოს ხელისუფლებას კონკრეტული ნაბიჯი გადაედგა ცეცხლის შეწყვეტის გზაზე,

რომ ზვიადისტთა განწყობაში კარდინალური გარდატეხა მომხდარიყო. ახლა ისინი „საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისთვის უკანასკნელ სისხლის წვეთამდე ბრძოლის“ გაგრძელების მხურვალე მომხრეებად მოგვევლინნენ და ხელისუფლების კრიტიკა საწინააღმდეგო მიმართულებიდან გააჩაღეს.

ექსპრეზიდენტის მომხრეთა ასეთი მეტამორფოზა ადვილი ასახსნელია: მათთვის კარგი იყო ყველაფერი, რაც ცუდი იყო ხელისუფლებისთვის. აი, ამ მარტივ ფორმულას ექვემდებარებოდა მთელი მათი სტრატეგია და ტაქტიკა.

თუმცა 27 ივლისის სოჭის შეთანხმებას სხვა მოწინააღმდეგენიც ჰყავდა. მკრეხელობა იქნებოდა ყველა მათგანის პოზიციის ახსნა რაღაც პიროვნული თუ ჯგუფური მოტივებითა და ინტერესებით. სოჭის შეთანხმება ქართული მხარისგან მართლაც მძიმე კომპრომისს მოითხოვდა და მისი თავგამოდებული მომხრეებისთვისაც კი იგი მხოლოდ დიდი შინაგანი წინააღმდეგობის გადალახვის ფასად იქნა გახიარებული. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, თუნდაც აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ძველი ხელისუფლების აღდგენის მუხლი იწვევდა მძაფრ პროტესტს. ან რა პირით უნდა ჩამოსულიყო არძინბა თავის მიერვე დანგრეულ ქალაქში, ან როგორ უნდა ეყურებინათ სოხუმელებს თავიანთი ახლობლების მკვლელებისთვის ... ეყურებინათ კი არა, დამორჩილებოდნენ მათ ბრძანებებს...

მაგრამ, რა ალტერნატივა ჰქონდა ამ შეთანხმებას?

ბოდიშს ვიხდი ვრცელი ციტატისთვის, რომელიც 1993 წლის 5 აგვისტოს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებული ჩემი წერილიდან უნდა მოვიყვანო: „ხელშეკრულებაზე ხელმოწერის ერთადერთი ალტერნატივა ომის გაგრძელებაა. რას მოგვიტანს იგი?

ხომ ყველამ კარგად ვიცით, რომ აფხაზეთში აფხაზებს კი არა, რუსეთს, მის ყველაზე შავბნელ ძალებს ვებრძვით. სწორედ ამიტომ აქვთ აფხაზებს ჩვენზე უკეთესი და უახლესი იარაღი, უფრო უხვი მომარაგება, დიდძალი ფული. ამიტომაა, რომ ჩვენი სამხედრო ძლიერების ზრდის კვალობაზე ადეკვატურად და უფრო მეტადაც იზრდება მოწინააღმდეგის სამხედრო პოტენციალი. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ ჩვენი რესურსები არ ამოიწურება. უგუნურებაა იმაზე ფიქრი, რომ ჩვენ შევძლებთ რუსეთის წელში გატეხას და მასთან ომის მოგებას. თუ გვესმის და ვალიარებთ, რომ გვებრძვის რუსეთი, მაშინ

ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ამ ომის მოგება ჩვენ არ ძალგვიძს.

რუსეთიდან მძლავრი მხარდაჭერის უგარანტიოდ არც აფხაზები და არც ოსები ჩვენთან კონფლიქტს, უკეთეს შემთხვევაში, არც წამოიწყებდნენ, უარეს შემთხვევაში კი საქართველო ამ კონფლიქტებს რამდენიმე დღეში დაუძაბავად დაარეგულირებდა. რატომ ეხმარება ოსებს და აფხაზებს რუსეთი? ცხადია, იმიტომ, რომ ეს უკანასკნელნი რუსეთს მისი იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილებას აღუთქვამენ. და სანამ ასეა, სანამ ჩვენ რუსეთის ლანძღვა-გინებით ვიქარწყლებთ დარდს, ოსები და აფხაზები კი ქართულ მიწაზე ეპატიჟებიან რუს გენერლებს, მანამ იარაღის ძალით ოსურ-აფხაზური კონფლიქტების ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტაზე ფიქრი ფუჭი ოცნებაა. დროა, დიდი ხანია დროა ხმამაღლა ითქვას: ამ კონფლიქტებს მოიგებს ის, ვინც უკეთ შეძლებს რუსეთის იმპერიული ამბიციების დაკმაყოფილებას. ჩვენ კი ამის გაცილებით უკეთესი შესაძლებლობები გაგვაჩნია, ვიდრე აფხაზ და ოს სეპარატისტებს. უნდა შევიგნოთ, რომ სრული სუვერენიტეტი ერთბაშად, ერთი ხელის დაკვრით არასოდეს და არავისთვის მოდის. დიდმა დავით აღმაშენებელმა გამეფებიდან ათი წლის განმავლობაში თურქ-სელჯუკებს ხარკი იმიტომ კი არ უხადა, რომ ჩვენზე ნაკლებად თავისუფლებისმოყვარე იყო, არამედ იმიტომ, რომ ჩვენზე დიდი პოლიტიკოსი იყო და ესმოდა, რომ თავისუფლებას შემზადება, შესაფერისი დროის შერჩევა სჭირდებოდა. რუსეთი დღეს დასუსტებულია, მაგრამ არა იმდენად, რომ უბრძოლველად დათანხმდეს თავის ყოფილ სამფლობელოში სხვათა გავლენის გაძლიერებას.

იგი არასოდეს გამოირჩეოდა ხერხებისა და მეთოდების დახვეწილობით და სიფაქიზით. მით უმეტეს, განსაკუთრებით საშიშია დღევანდელი დაჭრილი და გაავებული რუსეთი. დასავლეთზე ჩვენი ნაადრევი ორიენტაცია რუსეთს ალიზიანებს და ისიც, მთელი მსოფლიოს დასანახად, სამაგალითოდ გვსჯის. არ კმარა ვამაყობდეთ ჩვენი ისტორიით. იგი უნდა გავითვალისწინოთ კიდეც. თავის დროზე ობიექტური აუცილებლობა იყო თურქეთსა და ირანს შორის ლავირების პოლიტიკიდან რუსეთზე ორიენტაციის პოლიტიკაზე გადასვლა. ერეკლე მეფის მიერ ხელმოწერილი გეორგიევსკის ტრაქტატი უდავოდ სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი იყო, მაგრამ მას შემზადება აკლდა და ირანმა მოახერხა ჩვენი

დასჯა. შეცდომა კი აღარ უნდა გავიმეოროთ. დღეს შექმნილი მდგომარეობიდან გამოსავალს ჩვენ ოსი და აფხაზი სეპარატისტების მიმართ კომპრომისში ვეძებთ, იგი კი რუსეთთან კომპრომისში ძევს. დიახ, ემოციურად რაოდენ მძიმეც არ უნდა იყოს ჩვენთვის ამის აღქმა, ჩვენ უნდა დავუშვათ გარკვეული კომპრომისი სწორედ რუსეთთან, აღვუთქვათ მას იმაზე მეტი, ვიდრე აფხაზი და ოსი სეპარატისტები ჰპირდებიან. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რუსეთთან კომპრომისი არის არა ჩვენი სურვილი, არამედ რეგიონში და მთელ მსოფლიოში დღეს ჩამოყალიბებული ძალთა თანაფარდობის ანალიზიდან გამომდინარე იძულებითი აუცილებლობა.

მხოლოდ ასე შეიძლება საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება, ჩვენი საშინაო და საგარეო პრობლემების მოგვარება.

სამწუხაროდ, ასეთი კომპრომისისთვის არც ქართული პოლიტიკური ელიტა და არც ქართველი ხალხი მაშინ მზად არ იყო. ვფიქრობ, ასეთი კომპრომისის აუცილებლობა ჩვენ არც დღეს გვაქვს გაცნობიერებული.

ზემოთ ჩვენ დავინახეთ, რომ საქართველოს ხელმძღვანელობა კარგად აცნობიერებდა რუსეთის ჭეშმარიტ როლს ქართულ-აფხაზურ დაპირისპირებაში. ის მხარე იყო და არა ობიექტური შუამავალი. რუსეთის თვითმფრინავები ქართულ პოზიციებს ბომბავდნენ, რუსი ინსტრუქტორები აფხაზ სამხედროებს წვრთნიდნენ, რუსი გენერლები გეგმავდნენ და ხელმძღვანელობდნენ ქართული ჯარის წინააღმდეგ სეპარატისტთა საბრძოლო ოპერაციებს, რუსეთის სამხედრო შენაერთები მონაწილეობდნენ სამხედრო ოპერაციებში და ა. შ.

შევარდნაძეს, შესაძლოა, არც თუ უსაფუძვლოდ, სჯეროდა ელცინის, რომელიც, მისი აზრით, რუსეთში ყველაფერს ვერ აკონტროლებდა. მოგვიანებით, 1994 წლის 5 იანვარს, შევარდნაძე ამის შესახებ იტალიელ კორესპონდენტთან საუბარში აღნიშნავდა: „ჩემი აზრით, ელცინმა ვერ შეძლო სიტუაციის გაკონტროლება, რადგან მაშინდელი უმაღლესი საბჭო დიდ წინააღმდეგობას უწევდა და დეპუტატების უმრავლესობა მხარს უჭერდა აფხაზთა სეპარატისტულ მოქმედებას. ამ ხალხთან კონფლიქტში მყოფმა ელცინმა ვერ შეძლო ამ წინააღმდეგობის დაძლევა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 6 იანვარი, 1994). ეს, ერთი მხრივ, ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ მეორე, პირველზე არანაკლებ მნიშვნელოვან მიზეზზე - გამოუვალ

მდგომარეობაზე, რომელშიც ქართული სახელმწიფო იმყოფებოდა. ქართულმა მხარემ მესამედაც დადო შეთანხმება აფხაზ სეპარატისტებთან და, თავის მხრივ, პატიოსნად შეასრულა იგი - გაიტანა სოხუმიდან მძიმე ტექნიკა, მაშინ როდესაც პირველი ორი შეთანხმება აფხაზებისა და რუსების მიერ მუხანათურად იქნა დარღვეული. ქართულ სახელმწიფოს მაშინ შინაგანი წინააღმდეგობანი ღრღნიდა. სამოქალაქო ომისგან, ეთნოკონფლიქტებისგან დასუსტებულ და გაჩანაგებულ ეკონომიკას აფხაზური კონფლიქტი უმძიმეს ტვირთად აწვებოდა. ჯარის აღჭურვა და გამოკვება სულ უფრო ძნელი ხდებოდა. აფხაზ სეპარატისტებთან დადებული შეთანხმებები საქართველოს ხელმძღვანელობას ამოსუნთქვის შესაძლებლობას აძლევდა. ამიტომ ის მიზერულ იმედსაც ხავსივით ებღაუჭებოდა.

ზუგდიდის გზა ზვიადისტებს ჰქონდათ გადაკეტილი. ამიტომ ქართული მძიმე ტექნიკა ფრონტის ხაზიდან ფოთისკენ რუსული ფლოტის მეშვეობით ზღვით გაჰქონდათ, რაშიც რუსები ქართულ მხარეს ათიათასობით დოლარს ახდევინებდნენ.

ცინიზმი ამაზე შორს ვერარ წავიდოდა: რუსი გაიძულებდა ფრონტიდან მძიმე ტექნიკა გაგეტანა, ამ გატანაში კი ფულს ისევ შენ გახდევინებდა.

27 ივლისის შემდეგ ხელისუფლებამ სოხუმიდან გახიზნულ მოსახლეობას დაბრუნებისკენ მოუწოდა. 1 სექტემბერს სოხუმის სკოლებში სწავლა განახლდა. შემდეგში ბევრი ამ ფაქტში პირდაპირ ღალატს დაინახავს. მართლაცდა, როგორ შეიძლებოდა ასეთი მიამიტობა? თუმცა, ფაქტი ფაქტად რჩება: რუსეთისგან ორჯერ მწარედ მოტყუებული შევარდნაძე კიდევ ერთხელ მიენდო მათ.

სოხუმზე შეტევის გეგმა რუსეთის გენშტაბში შემუშავდა. ამ გეგმის თანახმად შეტევის დაწყებიდან ქალაქი ოთხ დღეში უნდა დაცემულიყო. სოხუმის შტურმისთვის სეპარატისტები საგულდაგულოდ მოემზადნენ.

14 სექტემბერს საქართველოს პარლამენტის სხდომა დაძაბულად დაიწყო. განიხილებოდა ქვეყანაში საგანგებო მდგომარეობის შემოღების საკითხი. მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ თემურ ხაჩიშვილი გაათავისუფლა შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან (ამის საბაბად იქცა ხაჩიშვილის მიერ რუსთავის „საძმოს“ ხელმძღვანელის - თემურ ტალახაძის წინასწარ გაფრთხილება მისი მოსალოდნელი დაპატიმრების

და, შესაბამისად, „მხედრიონის“ რუსთავის დაჯგუფების განადგურების შესახებ) ჯაბა იოსელიანი მკვეთრად დაუპირისპირდა შევარდნაძეს. იოსელიანი საგანგებო წესების შემოღების წინააღმდეგ გამოვიდა. „როცა მოსკოვში 1991 წლის 19 აგვისტოს გადატრიალება მოხდა, მთელ მსოფლიოში მხოლოდ ორად-ორმა ადამიანმა სთქვა - ეს თავად გორბაჩოვის მოწყობილია. ერთი ზვიად გამსახურდია იყო, მეორე - ედუარდ შევარდნაძე. მე მაშინვე დავეჭვდი და ვიფიქრე: როგორ შეიძლება კაცს საკუთარი თავის წინააღმდეგ ასეთი რამ მოეწყომეთქი...“

აღშფოთებულმა შევარდნაძემ იოსელიანს მიმართა:„ამას როგორ მიბედავო!?

იოსელიანი ადგილიდან წამოხტა: „რას ჰქვია გიბედავ? რას ჰქვია გიბედავ?“

შევარდნაძემ დარბაზი დატოვა და გადადგომის შესახებ განცხადება გააკეთა. დეპუტატებმა მას დაბრუნება სთხოვეს. შევარდნაძემ საჯაროდ განაცხადა: „ჩემს გადაფურთხებულს ალარ ავლოკავ. არ გეგონოთ მსოფლიოში მოგზაურობას და ლექციებით ფულის გროვებას ვაპირებ, თბილისიდან არსადაც არ წავალ“ (წიქარიშვილი, 2003: 452-453).

ვიცე-სპიკერი ირინა სარიშვილი პარლამენტის წინ გავიდა და იქ შეკრებილ ხალხს მოუწოდა - ყველამ დავიჩოქოთ და შევარდნაძეს გადადგომის გადაწყვეტილებაზე უარის თქმა ვთხოვოთო.

ხალხმა დაიჩოქა.

ამის შემდეგ შევარდნაძე და იოსელიანი შეხვდნენ ერთმანეთს. შევარდნაძე ხალხის წინაშე გამოვიდა და განაცხადა, რომ უკან მიაქვს თავისი სიტყვები გადადგომის შესახებ.

შევარდნაძის მოძულენი მოვლენების ამგვარ განვითარებაში სპექტაკლს ხედავენ. სხვანი ფიქრობენ, რომ სახელმწიფოს მეთაურს უმძიმეს გარემოში უხდებოდა ქვეყნის მართვა. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცხადია: ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ყველას ნერვები უკიდურესად ჰქონდა დაძაბული, ქვეყანაში შექმნილი სიტუაცია კი მართლაც ტრაგიკული იყო.

15 სექტემბერს ლოთი ქობალიამ სენაკი აიღო. ეს ქვეყნისთვის, და არა მხოლოდ ხელისუფლებისთვის, ზურგში ლახვრის ჩაცემა იყო. იმავე დღეს პარლამენტის სხდომაზე თედო ნინოძემ დაწვრილებით ისაუბრა, თუ მისი აჭარაში ყოფნის

დროს როგორ შეხვდა რუს გენერალს, რომელმაც მას ასლან აბაშიძის თანდასწრებით უთხრა: „შევარდნაძეს საბჭოთა კავშირის დაშლას არ ვაპატიებთ და უახლოეს მომავალში სასტიკად დავსჯითო“ (წიქარიშვილი, 2003: 453).

16 სექტემბერს სეპარატისტებმა მესამე შეთანხმებაც დაარღვიეს და ტყვარჩელთან იერიში წამოიწყეს. მათ გაარღვიეს ფრონტის ხაზი და კოდორის შესართავი დაიკავეს. სეპარატისტებმა ქართული სოფელი გადაწვეს, მოსახლეობა კი წამების შემდეგ ერთიანად გაწყვიტეს. ამავდროულად აფხაზებმა სოხუმს კამანიდანაც შეუტიეს. აფხაზურმა არტილერიამ, რომელიც, შეთანხმების თანახმად, რუსებს უნდა გაეკონტროლებინათ, სოხუმის დაბომბვა დაიწყო. სეპარატისტთა იერიშებს ჰაერიდან რუსული ავიაცია უჭერდა მხარს.

საქართველოს ხელისუფლებამ რუსეთის ხელისუფლებას საპროტესტო ნოტა გაუგზავნა. მოსკოვმა თავი იმართლა: ჩვენ სამშვიდობო შეთანხმების მხოლოდ შუამავალი ვიყავით და არა გარანტიო. რუსეთის პრეზიდენტს მიმართა შევარდნაძემაც. „უკვე აღარა მაქვს იმის თავი, რომ რაიმე გთხოვოთ და გაცნობებთ: სოხუმთან თავს იყრიან გუდაუთის დაჯგუფების ტანკები და მძიმე საბრძოლო ტექნიკა. ყოველი წუთი გადამწყვეტია. წუთი-წუთზე მისი ძალები შემოიჭრებიან დაუცველ, თავდაცვის მინიმალურ საშუალებებს მოკლებულ ქალაქში. იგივე ხდება ოჩამჩირის რაიონში, საიდანაც ჩვენ, პატივს ვცემთ რა სოჭის შეთანხმებით ნაკისრ ვალდებულებებს და თქვენს კეთილ ნებას, გამოვიყვანეთ ცოცხალი ძალა და ტექნიკა. ამის შედეგად თარეშობს უხეში, არაადამიანური ძალა, რომელმაც ფეხქვეშ გათელა სამმხრივი შეთანხმების ფორმა და შინაარსი და რუსეთის - მათი განუხრელი დაცვის გარანტის როლი. უკვე მესამედ მოატყუეს ჩვენი ხალხი იმათ, ვინც ხელი მოაწერეს მორიგებებს და არაფერს აკეთებსმათი შესრულებისთვის.

რა ბრალი მიგვიძღვის რუსეთისა და მსოფლიოს წინაშე? ის ხომ არა, რომ უკვე მერამდენედ ქართველი ერის ისტორიაში ვისურვეთ თავისუფლება და დამოუკიდებლობა?...

ჩვენ განგვაიარაღეს და ეს იმიტომ მოხდა, რომ დაგიჯერეთ თქვენ... და მე ახლა ისღა დამრჩენია, რომ გავფრინდე სოხუმში და მის უიარაღო მოქალაქეებთან ერთად შიშველი ხელებით დავიცვა ქალაქი“ („საქართველოს რესპუბლიკა“. 17 სექტემბერი, 1993).

ამ უდიდესი იმედგაცრუებისა და სასოწარკვეთის გამომხატველი წერილის გაგზავნის შემდეგ შევარდნაძე დაუყოვნებლივ სოხუმში ჩაფრინდა. ამ დროს რუსებს სითბური რაკეტებით უკვე ორი სამგზავრო თვითმფრინავი ჰქონდათ ჩამოგდებული.

აფხაზურმა მხარემ ომების ისტორიაში კარგად ცნობილ ხერხს მიმართა: ეთერში ღიად დაიწყო საუბარი იმაზე, რომ ტყვია-წამალი უთავდებოდა. ქართულმა მხარემ ეს წმინდა წყლის სიმართლედ მიიღო და იმედოვნებდა, რომ მოწინააღმდეგის შეტევა ხანმოკლე გამოდგებოდა.

17 სექტემბერს სოჭში პავლე გრაჩოვი შეხვდა შევარდნაძეს, რომელსაც თან ყარყარაშვილი და ბათიაშვილიც ახლდნენ. გრაჩოვმა ქართველებისა და აფხაზების შერიგებაზე დაიწყო საუბარი. შევარდნაძემ მას უხეშად შეაწყვეტინა: „...იცით რა, თუ რაიმე რეალური წინადადება გაქვთ, გვითხარით, აქ საქმისთვის ჩამოვედით და არა ზღაპრების მოსასმენად“ (წიქარიშვილი, 2003: 457). მაშინ გრაჩოვმა ქართულ მხარეს რუსეთის ორი დივიზიის აფხაზეთში, ფოთში, ქუთაისსა და ზუგდიდში შეყვანა შესთავაზა, რის შემდეგაც, ის ვითარების სტაბილიზაციის გარანტიას იძლეოდა. ბათიაშვილმა და ყარყარაშვილმა შევარდნაძეს განუცხადეს, რომ ამ შეთავაზების მიღების შემთხვევაში ისინი გადადგებოდნენ. შევარდნაძემ რუსების წინადადება უარყო და თბილისში დაბრუნდა. აქ მას ქართულმა პოლიტიკურმა ელიტამ უსაყვედურა - გრაჩოვის შეთავაზება რატომ არ მიიღეო. შევარდნაძემ გრაჩოვს უდეპეშა: „თანახმა ვარ“. პასუხი: „უკვე გვიანია“. რუსების მიერ ამ წინადადების შეთავაზებიდან კი სულ რამდენიმე საათი იყო გასული.

ცხადია, გრაჩოვი თვალთმაქცობდა. მან განგებ შეთავაზა შევარდნაძეს მისთვის მიუღებელი წინადადება (სოხუმის დაცვასთან რა შუაში იყო ქუთაისი და ფოთი?), ხოლო როდესაც, რამდენიმე საათის შემდეგ, შევარდნაძე მაინც დათანხმდა მის წინადადებას, ყურით მოთრეული საბაბით მას უარი უთხრა.

იმავე დღეს გროზნოდან გამსახურდია ტელეფონით ბესარიონ გუგუშვილს ესაუბრა. გუგუშვილმა მას შეატყობინა, რომ წინა საღამოს ყარყარაშვილი თავისი რაზმით მიადგა აფხაზეთის საზღვარს და ლოთი ქობალიას სთხოვა, რომ გაეტარებინა... „მაგრამ იმ პატარა რაზმსაც არ ატარებენ.

ჩვენების პატარა ნაწილი გაეშურა სოხუმისკენ. ესენი არიან სოხუმელები ძირითადად...“

გამსახურდია: „სოხუმში არაფერი სერიოზული ბრძოლები არ მიმდინარეობს და გატყუებენ თქვენ“.

გუგუშვილი: „ჩვენ ავუხსენით შტაბსაც და ოფიცრებსაც, რომ სინამდვილეში ყველაფერი კეთდება იმისთვის, შეიტყუონ ჩვენები შიგ და მერე მახეში მოახვედრონ. ეს ოფიცრებმა იციან, მაგრამ იქ გავიდნენ ისინი, ვისაც ოჯახის წევრები სოხუმში ჰყავთ და რომ შედარებით წყნარ რაიონში გადაიყვანონ...“

გამსახურდია: „გავიდნენ უკვე სოხუმში?“

გუგუშვილი: „ნაწილი გასულია, ნაწილი საწვავს ელოდება...“

გამსახურდია: „იქ სერიოზული არაფერია, აღარავინ აღარ წავიდეს.“

18 სექტემბერს გამსახურდია ტელეფონით კვლავ ესაუბრა გუგუშვილს:

გამსახურდია: „ლოთი სად არის?“

გუგუშვილი: „ლოთი არის სენაკში.“

გამსახურდია: „აფხაზეთში ხომ არ აპირებს წასვლას?“

გუგუშვილი: „აფხაზეთში გარკვეული ნაწილები წავიდნენ, როგორც ადრე იყვნენ მოლაპარაკებულნი.“

გამსახურდია: „თვითონ ლოთი თუ მიდის?“

გუგუშვილი: „თვითონ წავა თუ არა, არ ვიცით. დღეს გავიგებთ.“

გამსახურდია: „უთხარი, არავითარ შემთხვევაში არ წავიდეს... არ გაუშვათ იქით ჩვენი მებრძოლები“ (ჭანტურიშვილი, 1999: 308-210).

აქ ერთი წუთით შევწყვიტოთ თხრობა და კარგად გავიაზროთ, რასთან გვაქვს საქმე.

საქართველოში დღეს საყოველთაოდ მიღებული აზრია: „გამსახურდია იქნებ, პოლიტიკაში მოიკოჭლებდა, შეცდომებს, მათ შორის, სერიოზულ შეცდომებსაც უშვებდა, მაგრამ უდავოა, რომ ის დიდი პატრიოტი, დიდი ქართველი იყო.“ ასე, ან დაახლოებით ასე ფიქრობს ქართველთა აბსოლუტური უმრავლესობა. ამ თეზისის დასაბუთებას დღევანდელ საქართველოში არავინ ცდილობს. უბრალოდ, ითვლება, რომ ეს აქსიომატური ჭეშმარიტებაა და დასაბუთებას არ საჭიროებს.

ახლა მოდით, ისეთ რიტორიკულ კითხვებსაც ერთად ვუპასუხოთ, როგორიცაა: რა არის პატრიოტიზმი? ვინ არის პატრიოტი?

ცხადია, პატრიოტიზმი სამშობლოს სიყვარული, პატრიოტი კი ის ადამიანია, ვისაც სამშობლო უყვარს. მაგრამ, კაცმა რომ თქვას, ინსტიქტის დონეზე თავისი მამულის, თავისი ხალხის სიყვარული ნებისმიერი ინდივიდისთვის არის დამახასიათებელი. ის კი არადა, თუ უხერხულ შედარებაში არ ჩამომერთმევა, ყველა ძაღლს თავისი ხუხული ყველა დათვს თავისი ბუნაგი ურჩევნია სხვისას, 100 კილომეტრით თავის სახლს მოშორებული კატა კი ინსტიქტით შეუცდომლად ბრუნდება უკან. ჩუქჩამ, რა თქმა უნდა იცის, რომ მისი სამშობლოს გაყინულ მიწას და თოვლწაყრილი ბუჩქების „პეიზაჟს“ საქართველოს წალკოტი სჯობს, მაგრამ მას გული ძალუმად მაინც ის ყინულოვანი მიწა უჩქროლებს, რადგან ის მისი მშობლიური მიწაა. ამ თვალსაზრისით, სამშობლოს სიყვარული ერის დონემდე განვრცობილი ეგოიზმია. ეროვნული სტადიონის ტრიბუნაზე მსხდომ ქართველებს, რა თქმა უნდა, გვიხარია, თუ სასწაული მოხდა და ჩვენმა გუნდმა გოლი გაიტანა (სხვის კარში, თორემ საკუთარში, იცოცხლეთ, ემარჯვებათ). არის თუ არა ეს პატრიოტიზმი? ინსტიქტის, ეგოიზმის დონეზე, რა თქმა უნდა, არის. მაგრამ პიროვნული და ეროვნული ინტერესების ყოველი დაპირისპირებისას იგივე ქართველები, როგორც წესი, უპირატესობას პირადულს ვანიჭებთ. ვთქვათ, მებაღე, რომელიც ქრთამის ნაცვლად თანხმდება საზღვარზე ნარკოტიკების გადმოტანას, ან საკუთარ ქვეყანაში უკანონოდ მოჭრილ ხე-ტყეს გაატარებს საზღვარზე, ან ხელმძღვანელი თანამდებობის პირი, ასევე ქრთამის სანაცვლოდ, სამსახურში იღებს ყოველად უნიჭოს, მართლაც ნიჭიერს და ღირსეულს კი უარით ისტუმრებს, შეიძლება პატრიოტად ჩაითვალოს? რით განსხვავდება მათი საქციელი ჩვენი დიდგვაროვანი ფეოდალების საქციელისგან, რომლებიც პირად ინტერესებზე ახურდავებდნენ ეროვნულ ინტერესებს?

პატრიოტიზმი გაცილებით ამაღლებული, კეთილშობილური გრძნობაა, რომლის დონემდე ამაღლება ბევრს არ ძალუძს. პატრიოტიზმის გრძნობის სიღრმე, მისი ჭეშმარიტება განისაზღვრება პიროვნების მხადყოფნით - პირადულ ინტერესებზე მაღლა აყენებდეს საერთო-ეროვნულ, საერთო-საქვეყნო ინტერესებს.

გამსახურდიამ კი თავის ამბიციებს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა გადააყოლა. სხვა რა შეიძლება ეწოდოს იმას, რასაც გამსახურდია აფხაზეთის ომის დროს აკეთებდა? 1993 წლის სექტემბრის მეორე ნახევარში ხომ ყველასთვის ნათელი იყო, რომ სოხუმი და აფხაზეთი იკარგებოდა. ამას გამსახურდიას თანამებრძოლებიც გრძნობდნენ და ფრონტისკენ მიუწევდათ გული. ყოფილი პრეზიდენტი კი მათ ურცხვად ატყუებდა - სოხუმში ისეთი არაფერი ხდება, ნუ წახვალთო.

ჩემთვის ეს პატრიოტიზმი არაა. ეს სწორედ ის შემთხვევაა, რომელზეც ცხონებული მერაბ კოსტავა იტყოდა: ეროვნული მოძრაობა კი არ უყვარს საკუთარ თავში, არამედ - საკუთარი თავი ეროვნულ მოძრაობაშიო.

22-23 სექტემბრიდან ქართველმა მებრძოლებმა პოზიციების თვითნებური მიტოვება დაიწყეს. ოჩამჩირის დაჯგუფებამ ვერ შეძლო ადზი-უბჟას ზღუდის გარღვევა და სოხუმის დამცველებისთვის საბრძოლო ტექნიკის მიშველება.

24 სექტემბერს, სოხუმის დაცემამდე სამი დღით ადრე, გროზნოდან ზუგდიდში ჩამოვიდა ზვიად გამსახურდია. ადგილობრივ მოსახლეობას მან „ხუნტის დამხობისკენ“ მოუწოდა. გამსახურდიას ჩამოსვლით ქვეყანაში არსებული სამამულო ომის განწყობა სამოქალაქო ომის განწყობით შეიცვალა, რამაც, ცხადია, მადესტაბილიზირებელი როლი შეასრულა.

პრაქტიკულად დაუცველი სოხუმის აღება კი მხოლოდ დროის საკითხი იყო. საქართველოს სამთავრობო ჯარს და ტექნიკას ქობალიას რაზმებმა გზა გადაუკეტეს, კოდორზე გადმოსასვლელ ხიდს აფხაზები აკონტროლებდნენ. სხვა გზა სოხუმში შესასვლელად პრაქტიკულად არ არსებობდა. ჯ. შარტავას კაბინეტიდან ბიზნესმენი ნუგზარ გოგია შევარდნაძის თანდასწრებით ქობალიას ტელეფონით ელაპარაკა. მერე უიულიც დაელაპარაკა ქობალიას. ეს საუბარი არაერთხელ გადაიცა ტელევიზიით და მთელმა საქართველომ ნახა. ქობალიამ შევარდნაძესთან დალაპარაკება ითხოვა, ჯ. შარტავამ ყურმილს ხელი დააფარა და შევარდნაძეს სთხოვა - იქნებ დაელაპარაკოთო. შევარდნაძემ კატეგორიულად უარყო. საუბარი უიულიმ გააგრძელა. ქობალია მას შეჰპირდა, რომ თავისი რაზმით ის აუცილებლად დაიძრებოდა სოხუმისკენ. „თუ ასეთი მძიმე მდგომარეობა იყო, აქამდე არ ვიცოდი, თორემ რა გამაჩერებდაო“, - უთხრა შარტავას. ამ საუბრების შემსწრე ლონდერ ცაავა განაგრძობს: „ამ დღეს ქობალიასთან ოთხი

საუბარი შედგა. მეოთხე ლაპარაკის დროს შარტავამ ქობალიას უთხრა: ახლა ბატონ ედუარდ შევარდნაძეს დაგალაპარაკებთო და ყურმილი ედუარდს გადასცა. სმენად ვიქეცით. „ალო“! - მეტი არაფერი. ხომ არ მიმართავდა სახელით, ან მით უფრო - ბატონო ლოთი?! ტელეფონის ხაზის მეორე ბოლოდან მოახსენეს რამდენი კაცი, ტექნიკა, როდის წამოვიდოდნენ სოხუმის მოსაშველებლად. თუ თქვენ ასე იმოქმედებთ, დიდ საქმეს გააკეთებთო, უთხრა ბატონმა ედუარდმა. ეს იყო და ეს.

ბოლოს (პირველი საუბრიდან მესამე დღეს) ქობალიას ლონდერ ცაავა დაელაპარაკა: „პირდაპირ ვუთხარი, რომ აშკარად ჩანს, სოხუმის გადარჩენაში არ დაგვეხმარებით. ერთი თხოვნა მაქვს მხოლოდ - ასი ათასი ქალი, ბავშვი და მოხუცი გულრიფშსა და კოდორს არის მომდგარი, ეს ხალხი მაინც გაიყვანეთ და გადით-მეთქი. ჩავთვალე, რომ ეს ის ვარიანტი იყო, რომელსაც ნებისმიერი ქრისტიანი კაცი უნდა დათანხმებულიყო. მიპასუხა: არ ვიცოდი, რომ ასეთი სიტუაცია იყო (ეს წინადადება ყოველთვის რეფრენივით მეორდებოდა), ერთ საათში 100 ათას კაცს მე თვითონ ჩავუდგები სათავეში, მთავრობის ჯართან ერთად გავარღვევთ აფხაზების თავდაცვას და გამოვიყვანთ ხალხსო.

ზუსტად ერთი საათის შემდეგ ისევ ვრეკავ ზუგდიდში. იქიდან მიპასუხეს: „ბატონი ლოთი აქ არ არის, სენაკში წავიდაო“ („საქართველო რესპუბლიკა“, 18 მაისი, 1994 წ.).

ჟიული შარტავა და აფხაზეთის მთელი მაშინდელი ხელმძღვანელობა მთავრობის სახლში ალყაშემორტყმული აღმოჩნდა. მოგვიანებით ბოროტი ხმები დაიწყებენ მტკიცებას, თითქოს შარტავა და მისი მთავრობა შევარდნაძემ განგებ გაწირა. აი, როგორ აღწერს ამ ამბავს უშუალო მომსწრე, „ავლანელთა“ რაზმის მეთაური, პოლკოვნიკი გურამ ჯანიშვილი: „ბატონმა ედუარდმა რომ გაიგო ჟიული შარტავა ალყაშიაო, მანქანაში ჩაჯდა, დაცვა არ მჭირდებაო და მძღოლს სოხუმის ცენტრისკენ წასვლა უბრძანა. თავისთავად ცხადია, მივყვარდით ჩვენც და დაცვაც. ვუმტკიცებდით, რომ ასე არ შეიძლება, რომ ეს უეჭველი სიკვდილი იყო. მაგრამ ახლოს არ გაგვიკარა, ძალიან გაბრაზებული იყო და განერვიულებული. კაცს რომ თავი აქვს სასიკვდილოდ გადადებული, ძნელად გააჩერებ.

ამ დროს გადაუდგა გიორგი ქავთარაძე და უთხრა: თუ საქართველოს დალუპვა გინდათ, ჩემზე გადაიარეთ, მე აქედან

ფეხს არ მოვიცვლიო. ... მძღოლს ვუბრძანე გადმოსულიყო. ჩვენებს კატეგორიულად ავუკრძალე მანქანაში ჩაჯდომა. ბატონი ედუარდი ისე იყო აღელვებული, რომ მშიშრები და ლაჩრები გვიწოდა.

- ვინც ვაკაცები ხართ, წამომყევითო, - მიმართა იქ მყოფთ. ... თავისი რომ ვერ გაიტანა, კორპუსის შტაბში შებრუნდა. იქ, ჩანს, მოელაპარაკა ამ დროს მოსულ ჯაბა იოსელიანს. ორივენი ერთად გამოვიდნენ. ბატონი ჯაბას დაკვის უფროსი ჯდება მანქანაში და წითელი ხიდისკენ წავიდნენ. ეს ისე მოულოდნელად მოხდა, რომ ვერაფრის გაკეთება ვერ მოვასწარით. სასწრაფოდ დავედევნეთ.

წითელ ხიდთან მასირებულ ცეცხლში მოვყევით, რამდენიმე მანქანა დაიცხრილა. ყველა დარწმუნდა, რომ გზის გაგრძელება უაზრო სიკვდილი იქნებოდა. ბატონმა ჯაბამაც ასე უთხრა სახელმწიფოს მეთაურს" („საქართველოს რესპუბლიკა", 23 აპრილი, 1994 წ.).

შარტავამ და მასთან ერთად მყოფმა პირებმა შენობის დატოვება სცადეს, მაგრამ მოწინააღმდეგის ძლიერ ცეცხლში მოყვნენ და უკანვე შებრუნდნენ. „ავღანელთა" ბატალიონის ასმეთაური ელგუჯა გორდაძე იგონებს: „შენობიდან გამოსულ შარტავას და მის გარემოცვას ცეცხლი გაუხსნეს. დაცვამ ისინი სასწრაფოდ უკან შეაბრუნა. ...ეს იყო შეცდომა, რომელიც ბრძანების შეუსრულებლობას მოჰყვა: უნდა გავსულიყავით ალყიდან, გვესარგებლა ჯანაშვილის მიერ გაკეთებული „დერეფნით". კი, იქნებოდა სროლა, დავიღუპებოდით ნაწილი, მაგრამ სხვები ხომ გადარჩებოდნენ? აქ, მინისტრთა საბჭოში კი ყველანი განწირულები ვიყავით. ...მივედით ბატონ ჟიულისთან და ვუთხარით, რომ აქ გაჩერება უაზრობა იქნებოდა, თუ დამხმარე ძალა არ მოვიდოდა.

- ბავშვი ხომ არ ვარ, მოგატყუოთ, - გვიპასუხა, - შტაბში დარეკილია და დაგვპირდნენ დახმარებას. აუცილებლად მოვლენ.

ვფიქრობ, ბატონ ჟიულის ორი რამის იმედი ჰქონდა. პირველი, რომ დამხმარე ძალა მართლაც მოვიდოდა ... მეორე, რომ მას, ახლად დანიშნულ მაღალი თანამდებობის პირს, რომელსაც, ვთქვათ ასე, აფხაზების წინაშე არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა, აფხაზები ანგარიშს გაუწევდნენ.

მაშინ, როდესაც კრიტიკული წუთები იდგა, ბატონმა ჟიულიმ კიდეც გვითხრა ამის შესახებ: „მე თვითონ წავალ

მოლაპარაკებაზე, ნუ გეშინიათ, თქვენც გადაგარჩენთ, არ დაგხვრეტენო". მას მხარი დაუჭირეს ქალაქის მერმა - ბატონმა გაბისონიამ და სხვებმაც" („საქართველოს რესპუბლიკა", 23 აპრილი, 1994 წ.).

არ გამართლდა ჟიული შარტავას იმედები. მან ვერ გაითვალისწინა, რომ საქმე ჰქონდა არა ომის კანონებთან, თუნდაც, კავკასიაში ოდითგან მიღებული რაინდული კანონებით მებრძოლ ღირსეულ ძალასთან, არამედ გავეშებულ ბრბოსთან, რომლისთვისაც უცხო იყო კანონებიც და რაინდობაც.

მინისტრთა საბჭოს შენობაზე იერიში ყაბარდოელთა ბატალიონმა მიიტანა. ამ იერიშის მონაწილე ერთ-ერთი ყაბარდოელის თქმით (გამოქვეყნდა ინტერნეტში, ავტორის გვარი არ სახელდება), ოთხსაათნახევრიანი შტურმის შემდეგ ქართველებმა თეთრი ნაჭერი გადმოფინეს და შენობიდან გამოსულმა პარლამენტარმა ჟიული შარტავას სახელით კორიდორი მოითხოვა. მას განემარტა, რომ მოლაპარაკება შეიძლებოდა მხოლოდ ტყვედ დანებებაზე. ასეთ შემთხვევაში მათ სიცოცხლის გარანტიას ვაძლევდით. პარლამენტარი შენობაში შებრუნდა, 15-20 წუთის შემდეგ კვლავ გამოვიდა და ჟიული შარტავას დანაბარები გადმოგვცა: ტყვედ მხოლოდ ყაბარდოელებს ჩავბარდებით. მას უპასუხეს, რომ შენობის შტურმს მხოლოდ ყაბარდოელები ახორციელებდნენ. ამის შემდეგ ჩვენ მეორე სართულზე ავედით, სადაც 25 ქართველი დაგვხვდა. ქართველმა სპეცრაზმელებმა და მთავრობის წევრებმა იარაღი იატაკზე დაყარეს. „რომელია აქ ჟიული შარტავა?" - იკითხა ჩვენმა მეთაურმა. შარტავამ უპასუხა. „თქვენ დაპატიმრებული ხართ", - წარმოსთქვა მეთაურმა. შარტავამ მოითხოვა, ეთქვათ, თუ ვის აჰყავდა ის ტყვედ. „ყაბარდოელთა ჯგუფის უფროსი, აფხაზური არმიის მაიორი შოროვი", - მიიღო პასუხი. შარტავამ მას გადასცა თავისი პირადი იარაღი - გენერლის ვერცხლისფერი პისტოლეტი და მოკლე ავტომატი. აგრეთვე, საქართველოს პარლამენტის წევრის მოწმობა. სწორედ ამ დროს მეორე ოთახიდან გამომავალ ღია კარებში გამოჩნდა ქართველი სპეცრაზმელი, რომელსაც ცალ ხელში გახსნილი „ლიმონკა", მეორეში კი ჯვარი ეჭირა. „მესროლეთ, ჩემი რწმენა უფლებას არ მაძლევს თავი მოვიკლა," - მშვიდად წარმოთქვა მან. მერაბის (ასე ერქვა ქართველ სპეცრაზმელს) მოკვლა „ლიმონკის" აფეთქებას ნიშნავდა, რაც იქ მყოფთა შორის დიდ მსხვერპლს გამოიწვევდა. ხანგრძლივი მოლაპარაკების შემდეგ

მერაბი დაგვნებდა. ჩვენ მას იარაღი დავუტოვეთ და სიცოცხლის გარანტია მივეცით. შარტავამ რამდენჯერმე გაიმეორა: „მე ძალიან ბევრი რამ ვიცი, გამიფრთხილდით (და აქ მან დაასახელა აფხაზი მოხელის გვარი, რომელსაც დღესაც მაღალი თანამდებობა უკავია). ეს ძალზე მნიშვნელოვანია.“ ტყვეები ეზოში ჩავიყვანეთ, სადაც გავეშებული ადამიანების გარემოცვაში აღმოვჩნდით. ბრბოსგან ტყვეების დაცვა გაჭირდა. სამი მათგანი იქვე მოგვიკლეს. დანარჩენები „რაფის“ ტიპის მანქანაში შევყარეთ და ბრბოს გავაშორეთ. რამდენიმე კილომეტრის გავლის შემდეგ აფხაზებმა გზა გადაგვიჭრეს და იარაღის მუქარით გვაიძულეს ტყვეები მათთვის გადაგვეცა. მათ ქართველები იქვე დახვრიტეს. აფხაზებს შორის ერთ-ერთი ანქვაბი უნდა ყოფილიყო. არძინბა საშინლად აღშფოთდა, მაგრამ შარტავა უკვე ცოცხალი აღარ იყო. გადარჩა მხოლოდ მერაბი, რომელიც ეზოში მყოფმა ბრბომ თავისიანად ჩათვალა (http://abkhazeti. info/);

სოხუმი დაეცა.

იდგა 1993 წლის 27 სექტემბერი.

იმავე დილით შევარდნაძეს დაუკავშირდა ელცინი და სოხუმის უსაფრთხო დატოვებაში დახმარება შესთავაზა. ამჯერად შევარდნაძე აღარ ენდო რუსეთის პრეზიდენტს. სოხუმის აეროდრომზე საქართველოს სახელმწიფო მეთაურის დაცვამ პატარა სამგზავრო თვითმფრინავი აღმოაჩინა. გაფრენა ძალზე სახიფათო იყო, მაგრამ შევარდნაძემ გადაწყვეტილება მიიღო. „იაკ-40“-მა სიმაღლე აკრიფა და გეზი ბათუმისკენ აიღო. თბილისში დაბრუნებულმა შევარდნაძემ განაცხადა: „სოხუმის გადარჩენა შეიძლებოდა ჯერ კიდევ გუშინ. ეს შეეძლო მხოლოდ რუსეთს - ასეთი თხოვნით მივმართე მოსკოვს, გავუგზავნე თანხმობის დეპეშა რუსეთის ხელმძღვანელობას საქართველოს „სნგ“-ში შესვლის თაობაზე, რომლის წინააღმდეგი ვიყავი ბოლო დრომდე. თანხმობა განვაცხადე რუსეთის თავდაცვის მინისტრის წინადადებაზე - შემოეყვანა საქართველოში შეიარაღებული ძალები აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით. ფაქტობრივად, საქართველომ დაიჩოქა. ესეც საკმარისი არ აღმოჩნდა. სამწუხაროა, მაგრამ გულახდილად უნდა ვთქვა, რომ გარეშე ძალთა ინტერესები ვერაფერს დაგვაკლებდა, რომ არა შინააშლილობა და თანამოქალაქეთა ღალატი. აფხაზეთი დავკარგეთ, მაგრამ აუცილებლად დავიბრუნებთ... თუ დღევანდელი თაობა ვერ შეძლებს ამას, - მომა-

ვალი თაობა მაინც უეჭველად გააკეთებს... სოხუმის აღების გეგმა რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალურ შტაბში შემუშავდა“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 29 სექტემბერი, 1993 წ.).

აფხაზეთის ქართულმა მოსახლეობამ ჭუბერის უღელტეხილით სვანეთის მიაშურა. თოვლიან გზაზე უამრავი ადამიანი გაიყინა და დაიღუპა. აფხაზები სასტიკად გაუსწორდნენ ადგილზე დარჩენილ ქართულ მოსახლეობას. ქართველთა ეთნიკური წმენდა აფხაზეთში ადამიანების წამებისა და საშინელი შეურაცხყოფის ფონზე განხორციელდა. საქართველოს ხელისუფლებამ ზემო სვანეთი უბედურების ზონად გამოაცხადა. შევარდნაძემ გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულ ფორმირებებს მიმართა და მათ უბედურების ზონიდან - ზემო სვანეთიდან – ლტოლვილთა გამოყვანამდე საბრძოლო მოქმედებების შეჩერებისკენ მოუწოდა. „ეთნიკურმა წმენდამ, რომლის განხორციელებაც სეპარატისტებმა მეთოდურად დაიწყეს მდინარე ფსოუდან, ახლა მთელი აფხაზეთი მოიცვა. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ეთნიკურმა უმცირესობამ პირველად დაამკვიდრა თავისი ძალაუფლება მასობრივი ძალადობისა და ტერორის მეთოდით... აფხაზური სეპარატიზმი იმპერიული რუსეთის, ეროვნულ-კომუნისტური რევანშის რუსეთის მიერ არის გამოზრდილი, ნასაზრდოები, წახალისებული და წარმართული,“- წერდა ის თავის 30 სექტემბრის განცხადებაში“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 30 სექტემბერი, 1993 წ). მაგრამ სვანეთის მთებში სამხედრო და სამოქალაქო ხიზნებს სხვა საფრთხეც ელოდათ - დმანისის, ბოლნისის, მარნეულის, გარდაბანის, წყალტუბოს, მარტვილის, ზუგდიდის, ზოგიერთი სხვა რაიონიდან საგანგებოდ მათ გასაძარცვად ჩასული, კარგად შეიარაღებული რაზმები. თემურ ფიფია, რომელმაც საკუთარი თვალით ნახა საკენი-ჭუბერის უღელტეხილზე მომხდარი საშინელებები, წერდა: „...ქუთაისის მერმა თემურ შაშიაშვილმა ჯვარი-ხაიშის გზით გამოგვიგზავნა 40 ავტობუსი ლტოლვილების გადმოსაყვანად. ცაიშთან ავტობუსების კოლონას დახვდნენ ლოთი ქობალიას რაზმის წევრები. ავტობუსების ნაწილი დაიტაცეს, მძღოლები სცემეს და უკან გაყარეს...“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 17 აგვისტო, 1994 წ.); ლტოლვილთა ძარცვამ ისეთი მასშტაბები მიიღო, რომ რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტისა და შსს-ს ხელმძღვანელობის განკარ-

გულებით ზემო სვანეთის რეგიონში დამატებით პოლიციის 60 კაციანი ჯგუფი გაიგზავნა.

29 სექტემბერს დაიწყო აფხაზთა შეტევა ოჩამჩირეზე. ჩვენი ძალები მდინარე ღალიძგასთან განლაგდნენ. პანიკით შეპყრობილი ოჩამჩირელები გალს მოაწყდნენ. გამსახურდიას მომხრე შეიარაღებულმა ფორმირებებმა უკანდახეული სამხედრო ნაწილების განიარაღება დაიწყეს. 30 სექტემბერს, ოჩამჩირისთვის გაცხარებული ბრძოლების დროს, ლოთი ქობალიას სამხედრო ფორმირება თავს დაესხა ქაქუცა ჩოლოყაშვილის სახელობის პოლკს და განაიარაღა იგი.

ოჩამჩირე დაეცა.

მეორე დღეს აფხაზურმა შენაერთებმა გალიც დაიკავეს.

მოგვიანებით, თავის ერთ-ერთ რადიოინტერვიუში შევარდნაძე იტყვის: „საქართველოს მთავარი შეცდომა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ რუსეთთან ურთიერთობის უგუნური კურსის ფორმირება იყო. ეს გახლდათ, თუ შეიძლება ასე ითქვას, არა სახელმწიფოებრივი, არამედ ქუჩური დიპლომატია. სწორედ, ეს კურსია ამ სფეროში ყველა ჩვენი უბედურების მიზეზი“ („საქართველოს რესპუბლიკა“, 21 ივნისი, 1994 წ.).

ეს სიტყვები კომენტარს არ საჭიროებს.

აფხაზური მონაცემებით, კონფლიქტის შედეგად 4 ათასი აფხაზი დაიღუპა. აფხაზეთის ზარალმა 11 მილიარდი დოლარი შეადგინა. ქართული მხარის მონაცემებით, ომში დაიღუპა 25 ათასამდე ადამიანი, მათ შორის 10 ათასამდე მშვიდობიანი მცხოვრები, საქართველოსთვის მიყენებულმა ზარალმა 2, 5 მილიარდი დოლარი შეადგინა. საკუთარ ქვეყანაში იძულებით ადგილნაცვალ პირად იქცა 300 ათასამდე კაცი.

სამარი მოქმედებების შედეგად უდიდესი ზარალი განიცადა ქვეყნის ეკონომიკამ, პირველ რიგში კი აფხაზეთის ავტონომიურმა რესპუბლიკამ. მთლიანად განადგურდა რკინიგზა, დაინგრა 32 ხიდი, 500 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზები, 49 ათასი შენობა, მათ შორის სოხუმში 10 ათასი სახლი და ა. შ.

რუსეთის სპეცსამსახურებმა და არმიამ შეძლეს დასახული მიზნის მიღწევა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ დაკარგა კონტროლი ამ რეგიონებზე. მიღწეული რეალობის შესანარჩუნებლად რუსეთს სჭირდებოდა არსებული სტატუს-კვოს დიპლომატიური არხებით გაფორმება, რაც მოახერხა კიდეც ცეცხლის

შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების გაფორმებით. 1994 წლის 14 მაისს დაიდო ხელშეკრულება აფხაზეთში „ცეცხლის განუახლებლობისა და ძალთა დაშორიშორების შესახებ“.

ამრიგად, რუსეთმა მოახერხა დაესაკუთრებინა რეგიონში მოქმედი ერთადერთი ორგანიზებული ძალის სტატუსი და თავის მიერვე ინსპირირებულ კონფლიქტში „შუამავლისა“ და „მშვიდობისმყოფლის“ მანტია მოირგო. დიპლომატიური შენიღბვის მიზნით სამშვიდობო კონტინგენტს აფხაზეთში ეწოდა „დსთ“-ს „სამშვიდობო კონტინგენტი“, ფაქტობრივ კი იგი მხოლოდ რუსული სამხედრო მოტომსროლელი ქვედანაყოფებისგან იყო დაკომპლექტებული. ცხინვალში საქართველოსთან ერთად განლაგდნენ რუსეთისა და ჩრდილოეთ ოსეთის „სამშვიდობოები“. ეს კი ნიშნავდა, რომ ფაქტობრივ რუსეთი აქ ორი კონტინგენტით იყო წარმოდგენილი.

გამოყენებული ლიტერატურა:

სანებლიძე, 1994 – სანებლიძე ა., 1993-ის 27 სექტემბერი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 18 მაისი, 1994.

სანებლიძე, 1994 – სანებლიძე ა., 1993-ის 27 სექტემბერი. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 23 აპრილი, 1994.

წიქარიშვილი, 2003 – წიქარიშვილი გ., ჟამი ჭეშმარიტი. დამარცხებული მოძრაობის ქრონიკა; თბ., 2003.

ჭანტურიშვილი, 1999 – ჭანტურიშვილი თ., სიმართლე ზვიად გამსახურდიას შესახებ, თბ., 1999.

Ucha Bluashvili

FALL OF SOKHUMI. FACTS, EVENTS, ANALYSIS

Summary

Georgian-abkhazian conflict in total was provided by the Russian scenario. Russia first abundantly supplied Georgia with army, gave ability to gain temporary advantage, after that by hidden or evident support of abkhazian separatists, started the practical realization of its plan to deliver abkhazia from Georgia.

The most tragic moment for abkhazia was the battle for Sukhumi. In the middle of the 1993 September, the abkhazian separatists insidiously abolished the third agreement of July 27th and started the decisive invasion of Sukhumi. At that time all the heavy technics had been taken out of Sukhumi and Georgian troops were struggling with their bare hands. At that critical moment the fatal role was accomplished by the expresident's supporters. They didn't help themselves Sukhumi's defenders and also didn't gave ability to Georgian army to enter Sukhumi. The main reason of Sukhumi's overthrow and lose of abkhazia was the disconnection between Georgians and mutual discord.

ნინო მეგენეიშვილი

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ქრონიკები (XIX საუკუნის 30-იან წლები)

ნებისმიერ სახელმწიფოს არსებობის დღიდან აუცილებლად ჰყავს მეზობელი, აქვს სტრატეგია და, რაც ძალზედ აუცილებელია ქვეყნის შენებაში, აქვს იდეოლოგია. ცხადია, სტრატეგიას სწორედ სახელმწიფოს იდეოლოგიური კონცეფცია განსაზღვრავს. ჩვენ მეზობელი ვახსენეთ, საქართველოს ერთერთი ისტორიული ტრაგედია მეზობლებთან ჭიდილი გახლდათ, ამიტომაც ქართველი სახელმწიფო მოღვაწეები მუდმივად იყვნენ სტრატეგიული პარტნიორის ძიებაში. ბიზანტია ერთერთი „სასურველი“ მართლმადიდებელი ქვეყანა გახლდათ, რომელსაც ამ მიზეზის გამო ხშირად „მესიადაც“ მიიჩნევდნენ საქართველოში, გამონაკლისი პიროვნებების – „ორ კურაპალატს შორის მოქცეული მეფეებისა“ თუ ზოგიერთი ქართველი საზოგადო მოღვაწის გარდა. ხშირად, ერთი შეხედვით, არასასურველი პარტნიორიც „კურაპალატობის არმოსურნეთათვისაც“ სანატრელი ხდებოდა, ასე მოხდა საქართველოში კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ. კონსტანტინეპოლი დაიკარგა სრულიად მართლმადიდებელი სამყაროსათვის.

ქართველებმა აქტიურად დაიწყეს ახალი პოლიტიკური „პარტნიორის“ ძიება. უახლოესი მართლმადიდებელი ქვეყანა რუსეთი ჯერ ვერ იდგა იმ პოლიტიკურ სიმაღლეზე, საკუთარი სახელმწიფოს შენებასთან ერთად სხვა ქვეყანასაც „დახმარებოდა“. სწორედ ამ მიზეზით გააქტიურდა ქართული დიპლომატიური კორპუსი დასავლეთში. როგორც ჩანს, ამ ურთიერთობას არც დასავლეთი ეწინააღმდეგებოდა, მხოლოდ თავის პოლიტიკურ და იდეოლოგიურ კონტექსტში. ასე მომრავლდნენ საქართველოში ევროპელები, კათოლიკე მრევლი და აშენდა კათოლიკური ეკლესია.

ამ სტატიაში საუბარია ერთი ქალაქის, კერძოდ, ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ქრონიკებზე, რომელიც მხოლოდ კონკრეტულ ფაქტებსა და ისტორიულ წყაროებს ეყრდნობა. აღნიშნული მასალა თითქმის ხედმიწევნით ასახავს დაპირისპირებას დასავლეთსა და რუსეთს შორის საქართველოში გავლენების მოპოვებაზე. აქვე დავსძენთ, რომ სტატიაში მოყვანილი წყაროები, ისტორიული დოკუმენტაცია სადღეისოდ

გამოუქვეყნებულია და არ არის სამეცნიერო მიმოქცევაში. ასევე, დაცულია ხელნაწერების წერის სტილი, ფორმა.

მსჯელობა განაპირობა ერთი ლათინური დოკუმენტის, კერძოდ, Var-53-ის აღმოჩენამ. ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში დაცულია დოკუმენტი **Qd-305** „მიწერილობა კათოლიკე ეკლესიების და მლოცველების რაოდენობის ცნობის წარდგენის შესახებ“. იგი წარმოადგენს რუსულ-ქართულ პარალელურ ტექსტს, დათარიღებულია 1839 წლის 11 დეკემბრით. წერილის ავტორია ქუთაისის კომენდანტი, ხოლო ადრესატი კათოლიკე პატრი **ხეროვიმა**. მოგვყავს ტექსტი სრულად, დაცულია სტილიც:

Die 17 Decemberrecepi

Его припадовsю почтсинишему Господину Римско-католическому патеру Херувиму.

Вследствис предписания Госпадина Управляющаго Имеретию и кавалераот 10 декабря его года №7649 для донесения его превасходительству нужно иметь мне верние сведение по управлению вашему 1., сколько состоить церквей католики человек католическаго исповедения в Кутаис; 2., Число Свяшенников; 3.,Число прихожань об оего пола; 4., Кристьянь принадлежащих церквами богосдельням; 5., Капитал овобеспечениых на именах или вкакових учреждениях; 6., Необеспеченных; 7., откуда и как иепатераполучають содержаниіе; 8., сколько учебных заведениійивних училищи учащихся; и 9., сколько Богаделени ползующихся вних призрением. Каковое сведеніе всегопарнеише, прошу Ваше Преподобіе доставить внепродолжительном времени.

Кутаиский Камендантъ (xelwera)

№2548

16 декабря. 1839 Г.

Кутаис.

მისს ღირსებას უპატივცემულეს საუფალს რიმს კოკათოლიკე საპატერს ხერუვიმას.

ძალისა გამო მიწერილობისა უფლისა მმართებლის იმერეთისა დეკემბრიდგან ამა წლისა №7649ში მოსახსენებელად მისის აღმატებულებისადმი საჭიროდ ვრაცხ ქონებად სარწმუნოისა ცნობისასა საგამგებლოისა თქუნისათუს, ა რაოდენი მდგომარეობენ ეკლესიანი კათოლიკისა სარწმუნოებისა ქუთაისშიდ სამღუდელოთ პირთ სასხლეში და საფასალმუნე ადგილნი, ბ რიცხუნი მღვდელთა გ რიცხუი მრევლთა ორი სავსქესისა, დ ქმებთა საკუთუნელთა ეკლესიებთა და საზოგადო საზრუნაეთა გლახაკთა, ე რაოდენობათა კაპიტალთა მიხდეულთა მამულთა ანუ ვითართამე სახელმწიფოთა დაწესებულებაში, ვ მიუხდეველთა, ზ მისთუს თუ სიდგან და რაოდენთა საზრდოთა ღებულობენ პატრი, თ რაოდენ არიან სასწავლებელნი და მათ შინა მოსწავლე დამწაფენი, ი რაოდენარს სახლი გლახაკთა თუსდა მას შინა გლახაკნი; უმორჩილესად ვსთხოვთ ქუნისა მაღალ ღირსებას აესე ვითარნი ცნობანები წარმომიგზავნით და უკუნებელსად რო'შიდ.

დეკემბრის ჩვიდ წელსა

ქ ქუთაისი

ტექსტის მიხედვით, კომენდანტი ავალებს პარტს იმერეთის უმაღლესი მთავარმართებლის თხოვნისა თუ ბრძანების დაუყოვნებლივ შესრულებას, ქუთაისის კათოლიკე მრევლისა დამოძღვრების, ტაძრებისა და სასწავლებელთა ზუსტი ციფრის დასახელებას, შემოსავლის წყაროს მითითებას და ა. შ. ამავე დოკუმენტისთვის მოგვიანებით ვიღაცას, შესაძლოა კათოლიკე პატრს, ლათინურად მიუწერია „Die 17 Decembris 1839 recepi", ანუ „1839 წლის 17 დეკემბერს მივიღე". ძიების შემდეგ აღმოჩნდა პატრის პასუხი ლათინურ ენაზე (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის უცხოურ ხელნაწერთა ფონდი, Var-53). ამ ორის ხვადასხვა საბუთის თარიღი და ბრძანების ნომერი ერთმანეთს დაემთხვა, განსხვავებული იყო მხოლოდ ქაღალდის მასალა. ტექსტის თარგმანმა მიჩვენა, რომ ეს იყო პასუხი ქუთაისის კომენდანტის თხოვნაზე.

გთავაზობთ ლათინურ ტექსტს ჩემი თარგმანით და კომენტარით:

Excellentia

die 17 decembris huius anni 1839 mandatum Superioris Generalis in Emeretina Provinkcia a te mistum, atqve ad me directum sub #2548 accepi; quo mihi prescipitur, ut velationem mittam de numero Ecclesiorum Catholikorum in Kutais existentium; item de numero sakerdotum,redditum Ecclesies Catholices Kutaissensis ete-Ut itaqve voluntatem dicti Generalis Superioris fidelitan edimpleam, hocque mihi (odibilis prius omnibus postibilibus diligentiis) constans refero, ac attestor.-

1. Una est tautum in Kutais Ecclesia Catholica, cui in susper eddictum est parvum saccelum sou Cappelam in Cemetorio Catholico situm, ac ad usum functionum illius loci tautum destinatam.

2. Sacerdotes Catholici in hoc Paroccia sumus tres. idest, ego, et Pater Emanuel Itali, ac Pater Antonius ex Monacus Armenus.

3. Families Catholices sub mea Spirituali jurisditione posites sunt # nonaginta et octo.

Individui earum simul, sunt # quantuorcentum qiadraginta septem, quorum sexsus masculini, sunt # duocentum, et sex. Sexsus feminini sunt # duocentum qudraginta et unus.

Morantur insuper in hoc mea Parocia alies families Catholices alienigenes # quinque scilicet familia Alexsandres Camcocassi, Italiko Galle: 2. Familia Carolinas Gamba. Galles, 3. familia Patri Covacci, 4.

Familia Antonii lanscovoschi, militetem. 5. et Familia Iulies Friderici Medici: omnes hi tres Poloni. Denique duo individui, Uioannes nempe Lado Hispanus, et Ihomos Gallus. Hi omnes simul sunt Individui # scxdccim individui autcm scxsux masculin # octo scxsus fcmini # octo

4. Familics manipiorum ad Ecclcsiam, scu patrcs pcrtncntum sunt # decem. Individui Sexus masculini sunt # vigintionem. Hi omnes non Catholiki-Ex Catholikis nullum inveni mancipiorum, neque inter ipsos, neque apud alies Religionis alumnos.-

5. Ecclesia Kutaisis Catholicce habet pro redditibus, quidquid percipit a suis mancipiis in Regut constitutis, idest 1. 496 cepos vini; dico quatuorcentum nonaginta sex. 2. Centum viginti octo latinianos frumenti; 3. Agnos #10, Gallinos-# 16 ac in super tenetur tertio quoque mense, octo diebus pro Patribus Laurdotibos operari. 4. Percipit quotannis quinquaginta nullos argenteos ex parva taberna in Bazari posita. 5. Habet circum sei quamdam terram nunc sterilam, cum parvo horba.

Hec sunt omnia bona Ecclesies, et quidem immobilia, ex quibus suos rcddibus ostinct supra #4 ct 5 cnumcratos.

6. Rcdditus non firmatos nullos habct.

7. nullam habent statutam pensionem sacerdotes, sed in communi substentur ex supra enumeratis reditibus, (quibus pro videndum est etiam manutentioni Ecclesios) et ex certum viginti rublis argentois, qui tamen minini, ac etiam auferri possunt ad nutum Patris Superis Prefeqti; quia hoc cum libertate accipit ipse a lovona.

8. Una tantum cst schola Catholica, a nobis in nostra domo grantis, ct absque ullo obligatione intitute, eam que nunc frequentant decem circiter pueri, qui grantis erudiartur.

9. Pauperes in mea Paroccia simul spectati sunt jndividui #66 quorum masculini sexus #25 sexus feminini sunt #41 -

Isti dividuntur in familias 18 sunt omnes vere pauperes; sed triplici gradu nempe 1. Pauperes; 2 Pauperiores, 3 Pauperiuies.

Pauperes sunt families #7 nempe:

1. Familia Elenes vid. coggiuranovi,et sunt in eadem domo persones #3.

2. Ioannis sciminarovi, persones... #1.

3. Melchues Ericovi, person... #8.

4. Antonii Chimiasi, person... #2.

5. Simones Varanovi, viduo persones... #5.

6. Annes Iesasciuili, vidues person... #3.

7. Stefani Scruteli, persones... #3.

Pauperiores sunt #4 families, idesti:

1. Familia Sofia Naribegovi,vid. pers...#3.
2. Simonis Andriasovi, Person... #4.
3. Casanes Otescheli, person... #3.
4. Filiorum quamdam Piralovi, per... #3.

Familics Paupcrrimcs sunt #7:

1. Iheresies vid. quandan Papasciuili pers...#3.
2. Elenes Cochociovi, person...#3.
3. Annes Dutiasciuili, person...#4.
4. Et Annes = Canuma person.. #3

Tertia et quarta familia in eodem domo ad Ecclesiam Catholicam perinente moracitur.

5. Ioannis Iocomaggi, person...#8.
6. Martes Chertusemi, pers...#4.
7. Maries Ahali Christiani, pers...#2.

Denique quedam mulier nomine Anna Udelianti, a suis expulsa, que moratur apud quemdam piralovi.

Omnes isti vivunt portum proprio labore, portium mendicatione. Fiunt interdum pro ipsis collectes, et aliis etiam modis adsine arturur; verum nilla est satuta cum obligatione subventio.

„თქვენო აღმატებულებავ!

მივიღე შენ მიერ ჩემთვის გამოგზავნილი იმერეთის პროვინციაში მყოფი დიდი მთავრის ბრძანება №2548, რათა ფარულად გამოგიგზავნო ქუთაისში კათოლიკურ ეკლესიათა რაოდენობა, მასში მოღვაწე კათოლიკე მღვდელთმთავართა რიცხვი, ასევე კათოლიკური ეკლესიის შემოსავალი და ა.შ.

ამგვარად, ერთგულად ვასრულებ დიდი მთავრის თხოვნას (რადგანაც უპირველესი ღირსება კეთილსინდისიერება და კეთილშობილებაა), მოგახსენებ შემდეგ ინფორმაციას და ვადასტურებ:

1. ქუთაისში არის ერთადერთი კათოლიკური ეკლესია, რომელსაც ექვემდებარება მასთან არსებული მცირე სამლოცველო ან კაპელა და მისი უფლებები, ფუნქცია და ვალდებულებები შემოიფარგლება მხოლოდ ამ ადგილით.

2. ჩვენს ეპარქიაში მოღვაწეობს სამი კათოლიკე მღვდელი: მე, მამა ემანუელი იტალიიდან და მამა ანტონიუსი, სომეხი მონაზონი.

3. ჩემი სულიერი იურისდიქციის ქვეშ არის 90 ოჯახი.

მათი ზუსტი რიცხვი კი არის 447, აქედან 206 მამაკაცი და 241 ქალბატონი.

ამას გარდა, ჩვენს ეპარქიას ემატება 5 კათოლიკური ოჯახი უცხოეთიდან:

1. ალექსანდრე კამპოკასის ოჯახი, იტალიელი გალიიდან; 2. კაროლინა გამბას ოჯახი გალიიდან; 3. პეტრე კოვაკის ოჯახი; 4. ანტონ ლანშის ოჯახი, სამხედრო პირია; 5. იულიუს ფრედერიკის ოჯახი, ექიმი; ბოლო სამი პოლონელია, ხოლო დანარჩენი ორიდან ერთი ესპანელი და ერთიც ფრანგი. ყველანი ერთად კი შეადგენს 16 სულს, 8 მამაკაცსა და 8 ქალბატონს.

4. კათოლიკურ ეკლესიას ექვემდებარება 10 მსახური, ყველანი მამაკაცები, სულ 29 სული, მათგან არც ერთი არ არის კათოლიკე.

კათოლიკეებიდან არც ერთი არ ემორჩილება მომსახურის რანგში სხვა რელიგიების წარმომადგენლებს.

5. ქუთაისის ეკლესიის შემოსავალს, რასაც ის თავისი მრევლიდან ღებულობს, წარმოადგენს საკუთრება: 1. 496 ჩაფი ღვინო; 2. 130 ბათმანი ხორბალი; 3. 10 ბატკანი, 16 ქათამი; ამას გარდა, დამატებით მათ მართებთ სამი თვე და ათი დღე პატრებისათვის იღვაწონ; 4. ბაზარში მას აქვს მცირე სახელოსნო, საიდანაც ყოველწლიურად ღებულობს 500 ვერცხლის რუბლს; 5. ასევე ეკლესიას თავის ირგვლივ აქვს ამჟამად დაუმუშავებელი (უნაყოფო) მიწა მცირე ქერით.

ყველა ეს არის ეკლესიის საკუთრება და უძრავი ქონება, დამატებით 4-5 შემოსავლის წყარო.

6. შემოსავალი მყარი, სტაბილური არ არის.

7. სასულიერო პირებს არა აქვთ დადგენილი ანაზღაურება, ამიტომ ზემოთ ჩამოთვლილი და დამატებითი შემოსავალი, 120 ვერცხლის რუბლი, მღვდელთმთავრის გადაწყვეტილებით ნაწილდება როგორც სამღვდელოებაზე, ასევე სამოქალაქო პირებზეც.

8. ეკლესიას აქვს მხოლოდ ერთი სკოლა, რომელიც ჩვენს სახლშია განთავსებული. აქ სწავლობს 10 ყმაწვილი. ჩვენ ვალდებულები ვართ კეთილსინდისიერად აღვზარდოთ ისინი და მივცეთ კარგი განათლება.

9. ჩვენს ეპარქიას ემორჩილება 66 ღარიბი: 25 მამაკაცი და 41 ქალი.

ისინი დაყოფილები არიან სამ კატეგორიად: ღარიბები, უფრო ღარიბები და ძალიან ღარიბები.

ღარიბი არის 7 ოჯახი:

1. ელენე კოგიურანოვის ოჯახი, მათი რაოდენობაა 3 სული;
2. იოანე სკიამინაროვი, 4 სული;
3. მალხაზ ერიკოვი, 8 სული
4. ანტონ ჩინიაზი, 2 სული;
5. სიმონ ვარანოვი, 5 სული;
6. ანნა ხესაშვილი, 3 სული;
7. სტეფანე სკრუტელი, 3 სული.

უფრო ღარიბი არის 4 ოჯახი:

1. სოფია ნარიბეგვი, 3 სული;
2. სიმონ ანდრიანოვი, 4 სული;
3. ცისანა ოტიაშვილი, 3 სული;
4. ვინმე ფირალოვის შვილები, 3 სული.

კიდევ უფრო ღარიბი 7 ოჯახი:

1. იერემია პაპაშვილი, 3 სული;
2. ელენე კოხოკიოვი, 3 სული;
3. ანნა დათიაშვილი, 2 სული;
4. და ვინმე ანნა, 3 სული.

ამათგან მესამე და მეოთხე ოჯახი სახლიდან ეკლესიამდე მოწყალებისთვის ყოვნდება.

5. იოანა იოკომაგი, 8 სული;
6. მარტა ჩერტუსენი, 4 სული;
7. მარია ახალი ქრისტიანი, 2 სული.

ასევე ქალბატონი, სახელად ანნა უდელიანტი, თავისი სახლიდან იქნა გაძევებული ვინმე ფირალოვთან მსუბუქი ყოფაქცევის გამო.

ყველა ესენი ცხოვრობენ თავშესაფარში, მძიმე პირობებში, ნაწილი არსებობს საკუთარი შრომითა და ჯაფით, ნაწილი კი მათხოვრობით, სხვა არავითარი საშუალება მათ არა აქვთ და არც არავინ იღებს ვალდებულებას მათ დახმარებაზე".

ეს გახლდათ ლათინურენოვანი პასუხი კომენდანტის თხოვნასა თუ ბრძანებაზე.

ხელნაწერს 1r-ზე აქვს რუსული წარწერა „Описание кутаиского прихода", ასევე 2r-ზე ამავე პირს, პირველი მინაწერის ავტორის (ჩვენ ასე ვფიქრობთ, რადგან ხელწერა ძალიან ჰგავს ერთმანეთს), ღარიბი ოჯახების ჩამონათვალის გვერდით გაუკეთებია მცირე კომენტარი „То однаго разделиль на 3 категории" და მიწერილი აქვს თარიღი „1905 г". ფაქტია,

ევროპულ-ქართული ურთიერთობა ამ დრომდე უმნიშვნელო არ ყოფილა რუსული ხელისუფლებისათვის.

მსგავსი შინაარსის საპასუხო წერილი ამავე მოძღვრის - ქერუვიმა სარავეცელისა გურია იმერეთის ეპისკოპოს სოფრონიოსადმი მოჰყავს მ. თამარაშვილს თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის“. სავარაუდოდ, ეს წერილი უნდა ყოფილიყო პასუხი მღვდელ სოფრონიოსის გაგზავნილ შეკითხვაზე. სამწუხაროდ, მ. თამარაშვილს ამავე წიგნში სოფრონიოსის წერილი არ მოჰყავს. შესაძლოა, ის არ იცნობდა მართლმადიდებელი მოძღვრის წერილს, ამიტომ მისი შინაარსი ჩვენთვის უცნობია. მოგვყავს პადრეს პასუხი სრულად:

„ყოვლად უსამღვდელოესობავ იმერეთის და გურიის გამგეს ეპისკოპოსს სოფრონიოსს.

ქუთაისის კათოლიკე ეკკლესიის გამგის მღვდელ-მონაზონის მისიონერის პატრი ქერუბინა სარავეცელისაგან.

უპატივცემულეს მოწერილობასა ზედა თქუჱნსა მაღალ ყოვლად უსამღვდელოესებასა, 10 აპრილისა ნომერის ქუჱშე 413. მაქვს პასუხის გება, ხოლო ა) ბ-დ, ახალი ეკკლესია დაწყებულ არს მაღლისა ფილიპესგან წელსა შინა ათას რვას ოცდა ექვსსა: - სიღრმე საძირკვლისა როგორათაც დამარწმუნეს ზოგთა კათოლიკეთაგან ერთს საუნს გარდასცილდება. – შიგნეული სიგრძე კარიდგან მოკიდებული ხორნიანათ არის ოცდა თორმეტი არშინი, შუაშიდ ტრაპეზიდგან მოკიდებული სამწირველოიანათ და სხვა აქვს სიგრძისა ოცდა თექვსმეტი არშინი. – სიგრძე მრევლისათვის ცარიელი არის ოცდა ოთხი არშინი. – სიგანე თანასწორეთ შიგნით არის ოცი არშინი. – წინა პირის კედლის სიგანე არის ორი არშინი და ათი ვერშოკი – ზემოხსენებული ეკკლესიის შენობა დაყენდა მის მიზეზით რომელ დაწყობა მისი იყო სურვილითა მრევლისათა, რომელნი მზად იყვნენ შეწევნად თვისის ქონებისაგან, გარნა რადგან შემდგომად ჟამში მდგომარეობა მრავალთა მათგანთა შეუარდა სიღარიბესა, ამის გამო მიერ არა შემძლებელ იქმნა რათა ეკკლესია იგი მოეყვანათ სისრულეში. ხოლო თვით ეკლესიას არავითარი ღონისძიება არა აქვნდა რათა სისრულე მიეცა. ბ-დ – ქუთაისსა შინა მოსახლედ მცხოვრებნი მდგომარენი კათოლიკენი არიან ორმოცდა თუთხმეტი. გ-დ – სიგრძე მთლივ შიგნეული ძველის ეკკლესიისა არის ცხრამეტი არშინი—სიგრძე ცარიელი მრევლისათვის არის თოთხმეტი არშინი და ორი ვერშოკი – სიგანე ამისივე არის თვრამეტი არშინი და შვიდი

ვერშოკი – ჯ-დ. ქუთაისის კათოლიკეთ ეკკლესიას ყვანან ყმანი მოსახლენი ათი – ხის ხის დუქანი ერთი – ყმებისაგან იღებს შემოსავალსა ბეგარისასა ღვინისასა ოთხას ორმოც ჩაფსა – კაკალ პურისასა ასოც ბათმანსა – ქათმისასა ოცსა – ხოლო თვითეულსა მოსახლესა მათგანს გლეხთასა მართებს მუშაობა სალდრისათვის ოცდა თორმეტი დღე ყოველს წელიწადში — დუქნისაგან ახლა იღებს წლიურს ქირასა ორმოცდა ათ მანეთს ვერცხლისასა. შემოსავალი ესე დანწესებული აქვსთ საზრდოდ ქუთაისის ეკლესის ეკლესიაზე მდგომარეთა პატრებთა: სხვა შემოსავალი ეკლესიას არა აქვს რა. №13 ჭე'შმარიტის პატივის-ცემით დავშთები თქვენი მალალს ყოვლად უსამღვდლეობისა.

„წელსა 1840. აპრილისა 30-სა. ქუთაისით.“

რადგანაც მართლმადიდებელი სასულიერო პირისა და სახელმწიფოს მოხელისადმი მიწერილი პასუხების შინაარსი ემთხვევა, როგორც ჩანს, სრული ინფორმაციის შეგროვება კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობაზე სახელმწიფოსა და მართლმადიდებელი ეკლესიის მხრიდან ერთობლივი „აქცია“ უნდა ყოფილიყო.

აქ დასაფიქრებელი მრავალი ფაქტია: საინტერესოა, რატომ მისწერა პატრმა კომენდატს პასუხი ლათინურად (მ. თამარაშვილს თავის წიგნში წერილი ეპისკოპოსისადმი მოჰყავს ქართულად, ამიტომ ჩვენთვის უცნობია დედნის ენა), მაშინ როცა, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, კომენდანტი მათ ორენოვან, ქართულ-რუსულ, წერილს უგზავნის? რატომ არ არის საუბარი ინფორმაციის კონფიდენციალობაზე მ. თამარაშვილთან მოყვანილ წერილსა და კომენდანტის გაგზავნილ წერილებში და ამას აღნიშნავს კათოლიკე მოძღვარი? თუ ეს სიმართლეა, რატომ ითხოვს კომენდანტი ინფორმაციის ფარულად მიწოდებას? რამდენად სარწმუნოა კათოლიკე პატრის მიწოდებული ინფორმაცია და ა. შ.

პატრის არჩეულმა საპასუხო ენამ და შეუსაბამობამ მართლმადიდებელი მოძღვრისადმი გაგზავნილ პასუხში, გარკვეული ეჭვი გააჩინა მიწოდებული ფაქტების უტყუარობაზე. ამის საილუსტრაციოდ გვინდა მოვიშველიოთ ამავე ცენტრში დაცული სხვა დოკუმენტები. განსაკუთრებით საკამათოა ინფორმაცია მრევლის რაოდენობასა და შემოსავლის წყაროსთან დაკავშირებით. საჭიროა პუნქტობრივად მივყვეთ პატრის პასუხს.

მსგავსი ტიპის რამდენიმე დოკუმენტი აღმოჩნდა ამავე ცენტრში, სადაც კომენდანტი ანალოგიურ დავალებებს აძლევს კათოლიკე მოძღვრებს სხვადასხვა დროს. სამწუხაროდ, მიმოწერის მხოლოდ ერთი „წყვილი“ დოკუმენტი აღმოჩნდა **Qd-304**, 1836 წლის 5 აპრილით დათარიღებული კომენდანტის წერილი და **Qd-308**1836 წლის 10 აპრილით დათარიღებული პატრეს პასუხი. საილუსტრაციოდ მოგვყავს ორივე დოკუმენტი სრულად:

1. **Qd-304**–ინფორმაციული ცნობა რომის კათოლიკეთა რაოდენობის შესახებ დასავლეთ საქართველოში, მოსამსახურე ანდრეა პაცოვსკისაგან ქუთაისელ პატრ ჩელესტინეს:

„თქუენო სამღუდელოებისაც მოწყალეო პატრო

განკარგულებისამებრ უპირატესის საქართველოს მართებლობისა ვიცავ ვალდებულ წარგზავნად მართლად ცნობათასა რომის კათოლიკეთა და სომეხთათვის შეერთებულთა რომის ეკლესიასა თანა და ამათ სამღდელოთა, მცხოვრებთა იმერეთსა შინა, გურიასა და მინდრელიასა, მე მაქვს პატივი თხოვნად თქვენ მოწყალევო ხელმწიფევო მაუწყოთ მე, რამდენი არიან აქაურს მხარესა შინა რომის კათოლიკენი და სომეხნი შეერთებულნი რომის ეკლესისა თანა და სამღვდელონი და ეკლესიანი, მაჩვენოთ მაინც რიცხვი სულთასა ორივეს სქესისა საკუთრად ქალაქსა ქუთაისსა და მაზრათა და სხვათა ადგილთა.

ჭეშმარიტის პატივითა და სრულიადითა ერთგულებითა მაქვს პატივი ყოფად თქვენის სამღდელოების მოწყალეს მწყემსმთავარს.

უმორჩილესი მოსამსახურე
ანდრეა პეცოვსკი

აპრილის 5, 1836 წელი
წინამძღვარს ქუთაისის კათოლიკის
ეკლესის პატრი ჩელესტინეს.
№1676”

როგორც ხედავთ, ეს გახლდათ კომენდანტის შეკითხვა. ახლა გაგაცნობთ პატრის პასუხს: **Qd-308** - ქუთაისში კათოლიკე რომის ეკლესიის მიმდევართა რაოდენობის შესახებ ცნობა, პატრი ჩელესტინესაგან ანდრეი გრიგოლის ძეს:

„თქუენო აღმატებულებავ
მოწყალეო ჰელმწიფევ

ანდრეი გრიგორის ძევ

აღსასრულებლად უპატივცემულესისა მოწერილობისა თქუენის აღმატებულების ე(10)-სა ამა აპრილიდგან №ჩქოვ (1836)-თა მოვახსენებ თქუენს აღმატებულებას რომელ სამწყოისა ჩემისანი ა-დ ქუთაისსა შინა მცხოვრებნი მამრნი არიან სით(219) სულნი და მდედრნი არიან სმხ(249) სულნი, ეკლესია ერთი და პატრნი კაპუცინის რიგისანი ორნი და სომხის რიგის კათოლიკე მღვდელი ერთი; ბ-დ სამთავროსა შინა გურიასა მამრნი იდ(14) სულნი და მდედრნი ი(10) სულნი ეკლესია ერთი, და სომხის რიგის კათოლკე მღდელი ერთი; გ-დ რედუთ კულევს მამრნი ვ(6) სულნი და მდედრნი ჱ(8) სულნი, და დ-დ აფხაზეთსა შინა მამრნი არიან იბ(12) სულნი მდედრნი ი(10) სულნი; ყოველნი ესე მცხოვრებნი არიან რომის კათოლიკე სარწმუნოებისანი; ხოლო რაოდენი არიან აქაურს მხარესა შინა რომის კათოლიკენი და სომხენი შეერთებულნი რომის ეკლესიას თანა მე არა უწყი, ვინადთგან წინაპარნი სამწყოსსა ჩემისა კათოლიკეთანი ყოფილან მოქცეულნი ვითარცა ცხად არს რაოდენთამე საუკუნობათა უწინ.

ჭეშმარიტის პატივისცემითა
და სრულიად ერთგულებითა მაქვს პატივი ყოფად
თქუენის აღმატებულების
უმორჩილესი მოსამსახურე და მლოცველი პატრი ჩელესტინე

აპრილი 10 დღესა
ქორონიკონს 1836 წელსა
ქ. ქუთაისსა“

აღნიშნულ დოკუმენტებში მითითებული მონაცემებით Var-53-თან მიმართებაში ეჭვგარეშე მხოლოდ ეკლესიისა და პატრების რაოდენობაა, თუმცა განსხვავებაა პატრების ეთნიკურობაში სომხური და ფრანგული რიტის მიხედვით. ისტორიულად ცნობილია ქართულ-სომხური რელიგიური უთანხმოება. ეს შეეხებოდა კათოლიკე ქართველებსაც კი, როგორც ამას ლუკა ისარლოვი წიგნში „ქართველი კათოლიკენი“ შენიშნავს: „ამ რამდენიმე წლის წინად სომხურ გაზეთებში ბევრი წერილები იბეჭდებოდა საქართველოს კათოლიკეთა და იმათ ეკკლესიათა შესახებ. გაზეთები ამ მწერლების შემწეობით ცრუ და სიმართლეს მოკლებულ ამბებს ავრცელებდნენ ხალხში. საქართველოს კათოლიკენი კი, რადგანაც სომხური ენა არ იცოდნენ,

არა კითხულობდნენ სომხურ გაზეთებს. უმთავრესი მიზანი გაზეთისა ის იყო, რომ ყველა ქართველი კათოლიკენი სომხებად გადაექმნათ“. ამ დაპირისპირებას, რა თქმა უნდა, გამოიყენებდა მოწინააღმდეგე პოლიტიკური მხარე. ასეც მოხდა, თუმცა ხშირად ამგვარ შემთხვევებს მ. თამარაშვილი აქ მოღვაწე მისიონერებსაც აბრალებს: „სამწუხაროდ, თვით იმ დროებშიც ბევრნაირად შევნიშნეთ მათი შეუსაბამო მოქცევა. ისინი მუდამ ისე არ იქცეოდნენ, როგორათაც მოითხოვდა მათი მოვალეობა. ზოგჯერ ერთმანეთში უთანხმოება ჰქონდათ; ზოგჯერაც თავიანთი ცუდი ყოფაქცევით ერს დაბრკოლებას აძლევდნენ“. ამ დაპირისპირებაში, ფრანგულ და სომხურ კათოლიკურ რიტს შორის მ. თამარაშვილი რუსეთის მიზანმიმართულ პოლიტიკურ აქტივობას ასახელებს. იმავე წიგნში იგი შენიშნავს, „1844 წლის 2 ივნისის №105 ბრძანებით: 1) კავკასიაში მყოფი ლათინის მღვდლებს სრულებით აეკრძალოსთ სომეხ-კათოლიკების საქმეში გარევა; 2) ლათინის მღვდლები დაექვემდებარონ მოგზაურობის კონსისტორიას და რუსეთის ტახტის სამუდამო ქვეშევრდომობა აღიარონ, თუ უნდათ დარჩნენ თავიანთ სამსახურში და განშორებულნი ყოფილიყვნენ რუსეთის საზღვრიდგან ყველანი, ვინც ამ პირობას არ აღასრულებდნენ; 3) შესწყვიტონ ყველა გვარი მიმართობა საზღვარ გარეთის სასულიერო პირებთან“. აღნიშნავს თამარაშვილი, რომ ეს იყო რუსეთის სამეფო კარის იძულება, კათოლიკური მისიის გავლენის შესავიწროებლად. ამან შედეგი გამოიღოო, რომ „ასე სამწუხაროდ დასრულდა საქართველოში კაპუცინების მისიონი, რომელმაც დაიწყო თავისი მოქმედება ქართველთა ერის სასარგებლოდ 1662 წელს“. როგორც ჩანს, რუსული „ოპერაცია“ კათოლიკური ეკლესიის გავლენის შესავიწროებლად საქართველოში ბევრად უფრო შედეგიანი აღმოჩნდა, ხოლო ვატიკანი კი უძლური მის წინააღმდეგ. ერთმორწმუნეობას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ქართულ-რუსულ ურთიერთობაში.

დავუბრუნდეთ ზემოაღნიშნულ წერილს. სამწუხაროდ, ხეროვიმა კათოლიკური ეკლესიის „დიდ სარგებლობასა და კარგ შემოსავალს“ საკმაოდ დაამცირებს და შენიღბავს, რაზედაც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

რაც შეეხება კათოლიკე მრევლის რაოდენობას, მხოლოდ ქალაქ ქუთაისში (და არა მთელს იმერეთის გუბერნიაში), 1836 წლის წერილში პატრი 468 კათოლიკე მრევლს ასახელებს. ცდომილება 1839 წლის მონაცემებთან სულ რაღაც 22

სულია, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ არსებობს 3-წლიანი ქრონოლოგიური სხვაობა, შესაძლოა ასეთი სხვაობა რეალურიც ყოფილიყო, რადგან მრევლად ითვლება საზოგადოების მონათლული ნაწილი, მცირეწლოვანი ბავშვიც კი და სხვადასხვა დროს ახალშობილ მონათლულ კათოლიკეთა რაოდენობაც ვერ იქნებოდა ერთნაირი. საინტერესო სხვა დეტალებია: კერძოდ, განსხვავებით წინამდებარე დოკუმენტისა, აღნიშნული წერილით ირკვევა, რომ კომენდანტი არ ითხოვს ინფორმაციის გასაიდუმლოებას და ასევე, მისი ინტერესი მოიცავს არა კონკრეტულად ერთ ქალაქს, არამედ ქუთაისის გუბერნიას სრულად. თუმცა აქვე აღვნიშნავ, ქუთაისელი საერო ჩინოვნიკები ხშირად ინტერესდებოდნენ კათოლიკური ეკლესიის მდგომარეობითა და მრევლის რაოდენობით. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ამის დამადასტურებელი სხვა წერილობითი წყაროა დაცული. ასეთია შემდეგი დოკუმენტები:

1. Qd-301 ქუთაისის კომენდანტის მიწერილობა კათოლიკე პატრ ფრანჩისკოსს 1 იანვრიდგან 1 სექტემბრამდე დაბადებულთა და გარდაცვალებულთა ცნობის წარდგენის თაობაზე.

„ქუთაისის კომენდათისაგან კათოლიკის პატერს ფრანცისკოს №

ზ-სა სექდემბერის

ჩყლზ-სა წელსა

იბ-ის გავლილსა აგვისტოსა იყვნენ უწყებულნი ყოველნი სასულიერონი გვამნი ქუთაისსა შინა მყოფნი ცნობითა რომელთა რიცხვთ შორის თქვენი ღირსებაცა წარმოდგენისათვის ცნობისა ოცის რიცხვისათვის იმა თვისასა დაბადებულთათვის და გარდაცვალებულთა პირველის იანვრიდგან პირველის სექდემბრადმდე ხელწერილითა ყოველნი გვამნი სასულიეროთა, მაგრამ აქამომდე თქვენგან არავითარი ცნობაჲ არა იქონიების, და ამისათჳს უმორჩილესად ვსთხოვ მიღ ბისა შემდგომად ამისსა დაუყოვნებლივ წარმოადგინოთ ჩემთანა თხოვნილნი ცნობანი ვითარ საჭირო არს ამა რიცხვს წარუდგინო უფალს იმერეთის მმართებელს.“

2. Qd-309 ქუთაისის სამოქალაქო პოლიციაში კათოლიკეთ დაბადებულთ და მიცვალებულთა რაოდენობის შესახებ ცნობის წარდგენის გამო, პოლიციის უფროსისგან ფრანგის პატრს.

„ფრანგის პატრს

სამოქალაქო პოლიცია უგზავნის ყოველ თვე უდიმოსტს ქუთაისის უეზდნის ნაჩალნიკს რიცხვთა ყმაწვილებისა რომელიცა ეჭირვების დაცვისათვის ყვავილისა ასრე როგორც საჭირო არის ეს ვნობა რიცხვთა შობილისა და მიცვლილისა ყოველს თვითეულს თუ რა შინა სამოქალაქო პოლიცია უმორჩილესად სთხოვს თქუენს ღირსებას დაუყოვნებლივ წარმოადგინოს პოლიციასა შინა."

3. Qd-317 ქუთასის კომენდანტის ცნობა ქუთაისში კათოლიკეთა რაოდენობის და სხვათა ცნობების წარდგენის შესახებ, ქუთაისის კომენდანტისგან ქუთაისის კათოლიკეთა ეკლესიის გამგეს პატრი ჩელესტინეს:

„ქუთაისის კომენდანთისაგან ძალისა გამო მოწერილობის უმაღლესის საქრთველოს შინა მთავრობის საჭირო არს თქვენის ღირსებისისაგან შემდგომნი ცნობანი:

რაოდენნი არიან ქალაქს ქუთაისს კათოლიკეებს და სომეხთ კათოლიკეს მღვდლები რომელნი ასწავლიან ჭაბუკთ;

წოდება და სახელი მათი;

გ. რაოდენნი არიან, ესე ჯთარნი მასწავლებელნი, რომელთა აქვთ პენსიონერები ანუ ჰყავთ შინ სახლში შაგირდები, გარდა მათს რომელნი დღისით დადიან;

დ. რას სახელდობ თჯთოეული ასწავლის;

ე. უკეთუ არის კათოლიკეს მონასტერი მასთან ჯთარნი სასწავლებელნი არსებობენ;

ვ. რაოდენნი სახელდობ ამა სასწავლებელში რიცხჯთ იყვნენ შაგირდნია-ი სეკტემბრამდინ ამა წელს არას აძლევთ ანუ საჯილდაოთი სარგებლობენ მასწავლებელნი სახოგადოებისაგან, სასულიეროს თქვენიუს მთავრობისაგანდა მშობელთაგან შაგირდებს;

ზ. აძლევენაა ჯთარსამე ანგარიშს ოსტატნი თვს მთავრობას და ეძლევაა ჯითარიმე ცნობა სომეხთ კათოლიკეს მასწავლებლისაგან კათოლიკეს პატრი უფროსს პატრი ფილიპესს.

ჱ. რაოდენნი მომდინარეობა შინა ჩყლგ წლის შეჯდა თჯთოეულის აღწერილის სასწავლებლისაგან სასულიერო კათოლიკეს წოდებაში და რაოდენი ა-იანვრამდინ ამა ჩყლდ წელს დაშთენ შაგირდები.

ჯთარნი ცნობანი კეთილ ინებეთ თქვენო ღირსებავ მოიტანოთ ჩემთან მოუცილებრივ და არა უშორეს კთ რიცხვს ამა თვეს."

4. Qd-319 ქუთაისის კათოლიკეთა, მათი მღვდლებისა და ეკლესიების რაოდენობის შესახებ ცნობების წარმოდგენის გამო, ქუთაისის კომენდანტისაგან ქუთაისის პატრს ჩელესტინეს:

„კომენდანთისაგან
გამგეს კათოლიკეს ეკკლესიისსა
ქ. ქუთაისსა შინა პატრი ჩელესტინეს.

ძალისა გამო მოწერილობისა ჩემდა უფლის მართებლის იმერეთის იბ- თებერულიდგან № ღლბ-თა მოწერილობისამებრ მინისტრის შინაგანთა საქმეთა უფლის მთავარმართებლისადმი საქართველოს საჭირო არს ჩემდა ცნობად თქვენის მაღალ ღირსებისაგან ვითარ შეიძლებოდეს დაშურვებით და საჩქაროდ მდგომარეობა მომდინარეობასა შინა ჩყლდ-ს წლის ქალაქს ქუთაისს რომის კათოლიკეს და შეერთებულის მასთან სომხის მღვდელობას და კუთვნილის თჯთოეულის ამათგანისადმი ერისა შემოსავლის და განწესებას რიცხჳ სულთა ორისავე სქესის რმის კათოლიკეს და სომეხთ კათოლიკისა მათის მღუდლებს და ეკკლესიებს ვითარი ცნობა გამომიგზავნეთ თქვენო მაღალ ღირსებავ ხვალინდელს რიცხვადმდე".

სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვიძიეთ აღნიშნული დოკუმენტების საპასუხო წერილები. ამდენად, ფაქტების რიცხობრივი შედარება შეუძლებელია. ეს დოკუმენტები მხოლოდ ერთ საინტერესო ინფორმაციას შეიცავს: კათოლიკე მრევლის რაოდენობა, როგორც ჩანს, საკმაოდ „კონტროლირებადი" ყოფილა რუსული ხელისუფლებისაგან.

კათოლიკე მრევლის რაოდენობის დასაზუსტებლად ჩვენ მოვიშველიებთ კიდევ ერთ საბუთს **Qd-303** - დასავლეთ საქართველოს კათოლიკეთა სიას. იგი, სავარაუდოდ, 1822 წლით თარიღდება.

აქ ცალკეა გამოყოფილი ქუთაისის, გურიის, ყულევისა და აფხაზეთის კათოლიკეთა რაოდენობა. მთლიანად მთელი დასავლეთ საქართველოს კათოლიკე ოჯახების რაოდენობაა - 109, ხოლო სულადობრივი რიცხვი - 519, აქედან მამაკაცი - 250, ქალ. - 169. კონკრეტულად ქალაქ ქუთაისში კი დასახელებულია 95 ოჯახი, სულ - 459 სული, მათ შორის მამაკაცი - 218, ხოლო ქალ. 241. აქ აღმწერს მრევლი არ დაუჯგუფებია არც სოციალური და არც ეთნიკური ნიშნით, მოგვიანებით დასმული კათოლიკური ეკლესიის ბეჭდის გარდა, ხელნაწერს არა აქვს სხვა, კონკრეტული ჩინოვნიკის ხელმოწერა ან ბე-

ჭედი, ამიტომ რთული გასარკვევია, თუ ვინ არის მისი ავტორი ან ადრესატი. ეს საბუთი ვერ გვაძლევს შეკამათების საფუძველს იმ კათოლიკე პატრთან, რომლის ინფორმაციულ ობიექტურობასაც ვადგენთ, რადგან მითითებული ორი დოკუმენტის ქრონოლოგიური სხვაობა თითქმის 16-17 წელია.

ჩვენ დავინტერესდით კიდევ ერთი დეტალით, Var-53-ში კათოლიკე პატრი რაოდენობის დასახელების დროს მრევლს განაცალკავებს სოციალური ჯგუფების მიხედვით, რაც ხემოთ დასახელებულ სხვა დოკუმენტებში არ შეგვინიშნავს. საინტერესოა ისიც, რომ ღარიბი ოჯახების დაჯგუფების დროს ის უფრო კონკრეტდება და მათ სამ კატეგორიად ჰყოფს. საინტერესოა, აქ დასახელებული ღარიბი ოჯახების რაოდენობა იმ 90 ოჯახის რიცხვში შედის თუ ცალკეა დასახელებული? თუ იგი ცალკე მოაზრებულია, მაშინ კათოლიკე ოჯახების რიცხვი იქნება 18-ით მეტი, სულ 108 ოჯახი, და შესაბამისად, სულადობრივადაც ქუთაისში უფრო მეტი გამოდის კათოლიკე მრევლის რიცხვი. პატრე 1839 წლის ლათინურ დოკუმენტში არ აზუსტებს, ღარიბი მრევლი საერთო რაოდენობაში იგულისხმება თუ არა.

Var-53 –ის მიხედვით საინტერესოა ღარიბთა ეთნიკური სურათიც. კერძოდ, ღარიბი ქართველი კათოლიკე ყოფილა 4 ოჯახი, სულ 11 სული, აქედან ერთი ოჯახი ღარიბი, ერთიც უფრო ღარიბი და ძალიან ღარიბი 2 ოჯახი, ხოლო დანარჩენი სხვა ერის წარმომადგენლები ყოფილან.

ბოლოს, კათოლიკეთა სულადობრიობის გარკვევისას შევნიშნავთ ერთსაც, ქუთაისური კათოლიკური ეკლესიის დოკუმენტაცია თემატურად მეტად მრავალფეროვანია, მათ შორის არის დაკრძალვის ნებართვა, სხვადასხვა თხოვნა კათოლიკე პატრთან, ასევე, მითითებულია დამნაშავე კათოლიკე ჯარისკაცთა დასჯის სამართლებრივი ნორმებიც. მაგ: 1.**Qd-291**— ჯარისკაცი კასტილინსკის მიერ სინანულის აღსრულების თანხმობის წიგნი, ანდრია პაულევსკისაგან პატრი ჩელესტინეს, 1836 წელი;

„თქვენო სამღვდელოებავ

მოწყალეო მწყემსო

თანახმად პატივცემულისა წერილის ჩემდა თქუენის სამღვდელოების კე წარსულის იანვრით ე ერთად ამისსა ვქმენ განკარგულება რომელ სალდათი კოსტილიანოვმა აღასრულოს დადებული მასზედა თქუენ მიერ სინანული ესე იგი

ყოველ დილას და სალამოს დროსა ღვთისმსახურებისა მოდიოდეს ეკლესიაზედ სალოცავად.

უკუხოვ როცა სალდათმან კასტილიანოვმა აღასრულა განწესებული სინანული ნუ დამიტევებთ შეუწუხებლად.

ჭეშმარიტი პატივისცემითა და
სრულითა ერთგულებითა პატივი მაქუს გებად.
თქუენო სამღვდელოებავ
მოწყალეო მწყემსო
მორჩილ-მოსამსახურედ
ანდრია პაკოვსკი
№671
11 თებერვალსა ჩყლვ წელსა
მისს სამღვდელოებას მოწყალის
მწყემსს პატრს ცელესტინეს".

2. Qd-311—პრინც ალბერტის სახელობის პოლკის ჩინმოხდილი ჯარისკაცის მიხაილ ბლანერბერგის სინანულის დადებისა და აღსრულების შესახებ, ეკატერინოსლავსკის სასულიერო კონსისტორიისაგან ბლაღოჩინის თანამდებობის აღმასრულებელს, 1873 წლის 4 აპრილი;

„უქაზი მისის იმპერატორობის იმპერატორობის დიდებულებისა თვითმპყრობელის სრულიად რუსეთისა ეკატერინოს დაცვის სასულიერო კონსისტორიიდგან, ბლაღოჩინის თანამდებობის აღმასრულებელს პროტუგრეი იოანე პოღორელოვს, კონსისტორიამა ამან ვასილი კუტანევიჩის, რომელს ეწყა, რომელი უქაზითა უწმიდეს უმმართებელოსი სინოდი კა წარსულის დეკემბრიდგან №14850 მიწერილობას კარნეტობას ჩინმოხდილი რიადოვოი, კრასირის პრინც ალბერტ პრუსის პოლკის მიხაილ ბლანერბერღი დუელში გასვლისათვის პორუჩიკ იმა პოლკის სინდალეევთან რომელს დაუჭრია იგი დამბაჩის ტყვიით რომლისგან სინდალეევი მამკვდარა რა დღეზედ, კანონისამებრ 59 წმიდის დიდის ვასილის შევრდომილ იქმნეს ეკკლესიურს სინანულში ათს წელს; აღასრულოს იგი ზედამხედველობის ქუეშე პოლკის მღვდლისა თავისუფალ დროში სამსახურისაგან; თხოულობს მყოფობის გამო მღვდლისა კრასირის პრინცი ალბერტ პრუსიის პოლკის უწყებასა ქუეშე ეკატერინოსლავის ეპარხიონალნის მთავრობას ქმნას დამოკიდებულისა განკარგულებისასა დაცვისათვის რათა აღასრულოს რედავოი ბლანერბერღმან დადებული მაზედ სინანული და

შემდგომზედ აეწყონ. ვბძანეთ ჯეროვან დაცვისათვის რათა აღასრულოს დადებული სინანული პრაპორშიკობა ჩინმოხდილმან სალდათმან პრინცის ალბერტ პრუსის პოლკის ბლანერბერღმან თქუენ ბლაღოჩინობას თანამდებობის აღმასრულებელს დეკანოზს იოანე პოღორელოვს გამოგეგზავნოს უქაზი და გებრძანოს თვითოეულს ნახევარს წელს მოახსენოთ მაზედ ვითარ განატაროს ესე სინანული რიადავოი ბლანერბერღმან კონსისტორიას, ამაზედ ობერ სვიაშენიკის ჯარისას და გემების მიეწეროსთ აპრილის თ. ღღეს ჩყლზ. ამღვილზედ ხელმოწერილ არს მღვდელი პეტრე ხასიმოვიჩი, სეკრეტარი იოვანე ოსიპოვსკი, სტოლნაჩალნიკი სტეცკეევიიჩი კოპიოზედ ხელს აწერს ბლაღოჩინის თანამდებობის აღმასრულებელი დეკანოზი ივანე პოღორელოვი, კოპიო შეამოწმა უხუცესმან ადუტანტმან იასაულმან ოხრომენკომ და პოლკოვნიკმან კნიაზ ალრუთინცკიმ დოლღორუკოვმა“.

3. Qd-312—მეფის რუსეთის ჯარისკაცის მიხეილ ბლანერბერგის გაგზავნა ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში სინანულისათვის პორუჩიკ ხანდალევთან დუელის გამო, ექიმ უსპეხოვისაგან პატრი ფრანჩისკეს, 1838 წლის 3 თებერვალი;

„თქუენო სამღვდელოებავ
მოწყალეო მწყემსო

ნებისამებრ უფლის კორპუზის კომანდირის, განცხადებულის მოწერილობასა შინა ჩემდამო ნაჩალნიკის კორპუზის შტაბის თანამდებობის აღმასრულებელის უფლის ღენერალმაიორის ბარონ ფონდერ ხოვენის იგ წარსულის იანვრიდგან №ოიგ-თა ჩინმოხდილი ესე კორნეტოვმა კარასირის პრინცის ალბერტ პრუსის პოლკის რიადოვოი მიხაილ ბლანერბერღი გასვლისთვის დუელში პორუჩიკ ხანდალეევთთან რომელ ესე უკანასკნელ დაჭრილ იყო ტყვიით დამბაჩის სროლით და მოკუდა იწ დღემდინ რადგან მსახურებას იგი ჩერნომორის ლინეიკის №10 ბატალიონში გამოიგზავნელმან ქუთაისის კათოლიკე ეკკლესიაში აღსრულებისათვის დანიშნულის უქაზით ეკატერინესლავცკის სასულიერო კონსისტორიის მიერ ამასთანავე შთადებულის პირით: ათი წლოვანებით საეკკლესიო სინანული ოდესცა თავისუფალი დრო ჰქონდეს სამსახურისაგან ამაზედ პატივი მაქუს უწყებულ ვჰყო თქუენო სამღვდელოებავ უმორჩილესად გთხოვ თანახმად ზემო თქმულის

უქაზის ამასთანავე შთადებულის მოახსენოთ თქუენს სასულიერო მთავრობას თვითოეულს ნახევარს წელსა რათა მიწერილ იქმნეს მისგან საქართველო – იმერეთის სინოდალნი კანტორას რათა გაატაროს ბლანერბერღმა დადებული მმაზედ სინანული.

ჭეშმარიტების პატივისცემით და ერთგულებით პატივი
მაქუს ყოფად
თქუენის სამღვდელოების მოწყალის მწყემსის
მორჩილი მოსამსახურე ექიმ ესპეხო
№ეოვ

გ თებერვალს ჩყლზ
ქ. ქუთაისს

მინაწერი: მისს სამღვდელოებას ქუთაისის რომის კათოლიკის ეკკლესიის პატრი უფროს პატრი ფრანჩისკეს“.

4. Qd-313—ჯარისკაცის გამილევსკის მიერ თოფით მეორე ჯარისკაცის ვოიდოზა ღალაშევსკის შემთხვევით მოკვლის გამო სინანულის დადების შესახებ, ანდრეა პაცოვსკისაგან პატრი ჩელესტინეს, 1836 წლის 23 თებერვალი;

„თქუენო სამღვდელოებავ
მოწყალეო მწყემსო

სამართლისამებრ წარმოებულისა კომმისიასა შინა სამხედრო სულის ქალაქსა შინა ქუთაისსა დაწესებულისა სალდათისა ზედა ჩერნომორსკის ლინეინის მეექუსე ნომრის ბათალიონის ივანე კობილიანსკისა. განსჯილისა უეცრად სიკვდილისათვის თოფით სალდათის ვოიცესა ღალაბეკოვისა მომოჩნდა, რომელ განსჯილმან კაბილინოკიმ კე რიცხვისა, დეკემბრისასა წარსულის ჩყლდ წლისა აიღო თავისი თოფი გასასინჯავად არ იცოდა სრულიად თუ ის გატენილი იყო და არცა აქუნდა მიზეზი მისის ფიქრისა, ამისათვის რომ ფალიზედ სრულიად წამალი არ ეყარა დააცემინა ჩახმახი რაისაგან თვინიერ ყოვლისა ფიქრის წარმოსდგა გასროლა და მოხვდა მდგომარეს მასთან ზურგით სალდათს ვაიცესსა მარცხენა ბეჭზედ რომელიცა იქვე დაეცა და მოკვდა და რომელ ესე სიკვდილი მოხვდა სრულიად უგანგებოდ და რომელ შოკი განსჯილისა და მოკლულისა არა რაიმე ჩხუბი და მტერობა არა იყო და წინააღმდეგ მისსა იყვნენ იგინი მეგობრულად ესე დამტკიცებულ არს მოწმეებისა ჩვენებითა რომელთაგან აგ-

რეთვე ჩანს, თუმცა არა დამტკიცებითად ისიცა რომელ თოკი განსჯილისა გატენილ უნდა ყოფილიყო თვით მოკლულისა მიერ რომელიცა ღილით იმ კე რიცხვისა დეკემბრისასა მიდიოდა სანადიროდ ხოლო თოფი აღმოჩნდა უფალმან კორპუსის კომანდირმან ვერა იპოვა რა ამისგან ვერარად განზრახვა და გაუფრთხილებლობა განჯილის კობილიანსკის მხრით წარმოებასა შინა თოფის სროლისასა შემთხვევისათვის ამხანაგისა მისისადმი სიკვდილისა, განუწესა მას კობილიანსკის განთავისუფლება სასამართლოსაგან და ტყვეობისასა ამას საქმისამებრ თვინიერ ყოვლისა შტრაფისა გარნა განსაწმედელად სვინდისისამებრ მის მიერ პყრობილსა სარწმუნოების განკარგულებისამებრ სასულიერო კათოლიკის მთავრობისსა ქუთაისსა და აღსრულებისათვის მისსა წინა დამიდებს ქმნასა ჩემის დამოკიდებულის განკარგულებისასა რაისთვის მოწერილობისა ძალით ჩემდა მისის მაღალ აღმატებულებისა უფლის კორპუსის კომმანდირისა კა დეკემბრით წარსულის ჩვლე წლისა №ჩიდ მაქუს პატივი ვავუწყო თქუენსა სამღვდელოებასა უმორჩილესად ვითხოვ მაუწყოთ მე რას სინანულსა და რამდენს ხანს კანონისამებრ კათოლიკისა სარწმუნოებისა თქუენ დაუდებთ მას სალდათსა კაბილიანსკისა.

ჭეშმარიტი პატივისცემითა და სრულიად ერთგულებითა
პატივი მაქუს გებად
თქუენის სამღვდელოებისა
მოწყალის მწყემსის
მორჩილ მოსამსახირედ
ანდრია პაცოვსკი

იანვრის ჩვლვ
ქუთაისს

მისს სამღდელოებასა მოწყალის მწყემსსა კათოლიკის ეკლესიის ქ. ქუთაისის პარტს ჩელესტინეს“.

5. Qd-322—მიწერილობა თურქეთის ქვეშევდრომ კათოლიკე პეტრე მეფისოვის მიერ მთავრობის განკარგულების აბუჩად აგდების დეტალური გამოძიების შესახებ, პოდპოლკოვნიკი მინგრელის ქვეითი ჯარისა ტიხონ ლისაევიჩისაგან პატრი ჩელესტინეს, 1828 წელი;

„თქვენო ღირსებავ
პატიოსნესო მმამაო ჩელესტინე

ქუთაისის კამენდათის თანამდებობისა აღმასრულებელმა უფალმა კაპიტანმა გრიშკოვმნა რაპორტითა ით-ს ამა ივლისიდამ ნომრითა 742-თა მოახსენა იმერეთის მმართებელს ღენერალ-მაიორს და კავალერს ღესსეს, რომელ ძალისა გამო მოწერილობისა ვ-ს რიცხვიდამ ამა ივლისისთვისა ნომრითა 3183-თა მისდამი აღსასრულებელად განჩინებისა მის მმართებლობისა საქმისა გამოძიებისა კათოლიკე ანტონა ბალდამსკისაგან ოსმალთ ქუეშევრდომით კათოლიკეს პეტრე და იოსებ მეფისოფთაგან ფულისა ვითარითაცა განჩინებითა დაედვათ მათ ფიცი განწმენდისა, რომელიცა უნდა აღესრულებინათ მათ ეკკლესიასა შინა ხალხისა თანდასწრებით მღუდლის შეგინებით და დარიგებით, და ამისთანა განჩინებისა აღსრულებას შეუდგა ისი გრიშკოვი, სახელდობ იწ-სა რიცხვი ამა თვისასა სადამოს ხალხის მოგროვებისა და შებრძანებისა შემდგომ თქუენისსა ეკკლესიაში სალოცავად მწუხრისა გამოგიცხადათ თქუენ და ხალხს მეფისოფებისთან და შემდგომ გთხოვათ თქუენ რაითამც დაწერილი ქართულის ენაზედ შეგონების წერილი წარუკითხოთ მეფისოებს და ეგრეთვე სიტყვიერათაცა უყოთ მათ დარიგება რომელზედაც თქუენ გიპასუხნიათ კამმენდანთისათვის, რომელ ქართულის წერილის წაკითხუა კარგათ არ შეგიძლიანთ და ამისთვის დარიგება ისი ქართულათ დაწერილი უბრძანა მან წაკითხვად მყოფსა მასთან პერეოჩიკისა მაგიერათ თავისას პისმოვოდიტელს ღოღაბერიძეს, ხოლო მეფისოვებს უბრძანა, რათამცა მათ მოესმინათ ისი ყურადღებით, გარნა მეფისოვებით მაგიერ მათსა დაუწყეს სიცილი ღოღაბერიძეს და არა თუ მოისმინეს ყურადღებით კითხვა მისი, არამედ ამაყის ლექსით და ხმითა მბობდენ ჩუენ დარიგება არ გვინდაო, ჩუენ თვითონ სხუებს ვარიგებთო და მათგანი პეტრე ამაყად უძახდა ღოღაბერიძეს, რათამცა მან არ წაიკითხოს დარიგების ფურცელი, არამედ გავიდეს ეკკლესიისგან შემდგომ გათავებისა ღოღაბერიძისაგან კითხვისა, კაპიტანმა გრიშკოვმა გთხოვათ თქუენ შეგონება მეფისოვებთა, გარნა პეტრე მეფისოვმა კუალად ამაყურათ და ხმამაღლად იწყო ლაპარაკი ჩუენ არ გვეჭიერება დარიგება ჩუენ თვითონ ვიცით სხუაზე უფრო და თვითონ ვარიგებთ სხუასა და არ სურდა მოსმენა თქუენის დარიგებისა და ამის გამო ვერც თქუენ შეიძელით მისდამი დარიგებისა და შეგონებისა მიცემა, და ამის გამო ითხოვს უფალი კამენდანთი გარდახდევინებასა მათგან კანონთასა. მისგან აღმატებულებათგან მიწერილობისა

თანა თვისისა კა-სა ამა იგლისსა ნომრითა ჩღზ-თა წარმომიგზავნა რამე განცხადებული რაპორტის პირი წარმომიწერა მე ჰქმნა ყოვლითა გარემოებათა ზედა დაწვლილებითა გამოძიება ერთად კაპიტნის გრიშკოვითურთ და შემდგომ შესრულებისა მათისა წარუდგინოთ მას განსახილველად.

ვითარისა მოწერილობისამებრ მე შეუდექ რა ამგვარსა გამოძიებასა გთხოვთ თქუენო ღირსებავ მაუწყოთ მე ამასაგანსა ზედა ვინ სახელდობ ჩინებულნი მოქალაქენი იყვნენ ეკკლესიასა შინა დროსა კითხვისასა მეფისოვებითადმი შეგონებისასა და ვითარის სახელდობ გამოხატულებასა შინა მდგომარეობდა მათი უშუერი სიტყვები.

ჭეშმარიტითა პატივისცემითა და ქუჱშევრდომილებითა მაქუს პატივი გებად.

თქუჱნი ღირსების
მორჩილი მოსამსახურე

მინგრელიის ქუეითის ჯარის პოდპოლკოვნიკი ტიხონ ლინასევიჩი ბ კამენდათის თანამდებობის აღმასრულებელი კაპიტანი პეტრე გიშკოვი

№გზ
ივლისის კდ დღესა
ჩყლჱ წელსა
ქუთაისი.

მინაწერი: უსაჭირო წიგნები რუსების გამოცხადებისა თუ სხუა.

6. Qd-333—მიწერილობა საავადმყოფოში გარდაცვალებული ჯარისკაცთა კათოლიკეთა დასაფლავების შესახებ, ქუთაისის კომენდანტისაგან პეტრი ჩელესტინეს, 1835 წელი.

„ქუთაისის კომენდათისაგან

გამგებელს კათოლიკის სამღვდელოებისა ქალაქსა ქუთაისსა შინა პარტს ჩელესტინეს.

კანტორამ ქუთაისის ვოენნის ღოშპიტლისა ოტნოშენიითა კ ამა მაისიდამ №411 მაუწყა რა მე რომელმან გთხოვათ თქუენს მაღალ ღირსებავ განკარგულება გამოგზავნასა ზედა სამღვდელოებისა კაცის აღსრულებისათვის საჭიროისა წესდებისა დამარხვაზედ თანახმად კათოლიკის სარწმუნოებისა, მაგრამ თქუენ გარდაწყუეტილებითად უარჰყავთ რა მისვლაც ღოშპიტალ'ში განსუენებულისათვის მიცვალებულის ითხოვთ თქუჱ

მოუტანოს მათსა კათოლიკის ეკკლესიაზედ, ითხივი ჩემსა განკარგულებასა რათამცა გვამნი გარდაცვალებულთაცა იყავნ დამარხულ საზოგადოს სასაფლაოზედ ქალისა გამო რადსა მე გთხოვ თქუენო მაღალ ღირსებავ მაუწყოთ მე გვამნი გარდაცვალებულთანი მდაბალთა ჩინთანი კათოლიკისა სარწმუნოებისანი შეიძლება დამარხვად საზოგადოს ღოშპიტლის სასაფლაოზედ მიცემულსა განკარგულებისამებრ მთავრობის მით მეტადრე ზაფხულის დროს, როდესაც მალიად განხრწნადი გვამნი განტარრებასა შინა მათსა ქალაქით შეიძლება იმქონიოს სავნებელი მხედულობა მაცხოვრებელთასა და თუმცა არა, მაშ რაისათვის თანასწორე ამისასა ნუ დუტევებთ განუკარგველად დაუყონებელ გამოგზავნისათვის სამღვდელოებასა გვამისა აღსრულებისათვის საჭიროების მოთხოვნისამებ კანტორისა.

ქუთაისის კომენდათი.”

როგორც ვხედავთ, ამ დოკუმენტების ქრონოლოგიური ჩარჩო 1828-1873 წლებია, საიდანაც ნათელი ხდება, რომ რუსულ არმიას ჰყავდა სხვადასხვა კონფესიის აღმსარებელი, მათ შორის კათოლიკე მრევლი, რომელიც არ ყოფილა დამალული. აღნიშნულმა წერილებმა ჩვენი ყურადღება ამ შემთხვევაში მიიქცია ერთი თვალსაზრისით, პატრე იმ ლათინურ დოკუმენტში არც ცალკე ჯგუფად გამოყოფს მათ და არც უცხო ტომთა რაოდენობაში მიუთითებს. რატომ? იქნებ მან ჩათვალა, რომ საერო ხელისუფლისათვის მათი რაოდენობა ისედაც ცხადი იყო და არ მიიჩნია საჭიროდ მათი მითითება? ერთი კი ფაქტია, იმ დროის ქუთაისში მცხოვრებ კათოლიკეთა ზუსტ რაოდენობას კათოლიკე მისიონერები ან არ იცნობდნენ, ან შეგნებულად მალავდნენ, კონკრეტული, გასაგები მიზეზების გამო. აქვე დავუმატებთ ერთ მოგვიანო ცნობასაც, 1903 წელს საქართველოში უმოგზაურია ტირასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსს ედუარდ ბარონ-დე როპპს და ქალაქ ქუთაისში მას 500-600-მდე კათოლიკე უზიარებია და „მირონი უცხია“. „საქართველოს ისტორიის ნარკვევების“ V ტომში აღნიშნულია ქუთაისის 1865 წლის მოსახლეობის რაოდენობა — 11807, აქვე ავტორს მითითებული აქვს, რომ „დასავლეთ საქართველოს ქალაქების მოსახლეობაზე სრული ცნობები არ აქვთ“. მართალია, როპპის მოგზაურობასა და აღნიშნულ პერიოდს შორის დაახლოებით 40 წელი, მაგრამ როგორც წესი, ძნელბე-

დობის ჟამს ერის დემოგრაფიული სურათი რთულად იცვლება, ასე რომ, დიდი სხვაობა ქუთაისელთა რაოდენობაში, სავარაუდოდ, ვერ იქნებოდა, აქედან გამომდინარე 500-600 კათოლიკე, ქუთაისის მოსახლეობის 4-5 % შეადგენდა. თუ გავითვალისწინებთ იმასაც, შესაძლოა ქალაქში ეცხოვრა სხვა რელიგიის აღმსარებლებსაც, მივალთ ერთ დასკვნამდე, მცირერიცხოვანი ერის ერთი პატარა ქალაქისთვის ეს ციფრი არც თუ ისე სახარბიელო იქნებოდა. კიდევ უფრო საგანგაშო ინფორმაციას შეიცავს Сборн. статист. свед. о Кавказе, т. I. отд. 2 გვ. 63, რომლის მიხედვით: კათოლიკენი ქუთაისის მოსახლეობის, დაახლოებით, მეოთხედს შეადგენენ. სწორედ ამიტომ შეშფოთდებოდა მართლმადიდებელი მოძღვარი და გასაგებია მათი სურვილიც, დაეზუსტებინათ კათოლიკეთა რიცხვი ქუთაისში.

ბევრად უფრო საკამათო აღმოჩნდა პატრის ცნობა ეკლესიის შემოსავლისა და საარსებო წყაროს შესახებ. კათოლიკური ეკლესიის კაპიტალი საკმაოდ მწირად გამოიყურება პატრეს მონაცემებით. პატრე აზუსტებს, რუსული მმართველობის შიშით ქართველები ერიდებოდნენ კათოლიკე პატრებისა და ეკლესიების დახმარებას. ფაქტია, ტაძრის ქონების გადარჩენის მიზნით, რაც ეკლესიის, როგორც სახელმწიფოში არსებული ერთ-ერთი ორგანიზმის აუცილებელი პირობაა, ის იძულებული გახდა, სწორი მონაცემები დაემალა ან შეენიღბა.

ამ ფაქტების გასარკვევად ჩვენ მოვიშველიებთ ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულ ერთ ხელნაწერს **-529 „დავთარი ქუთაისის ჰრომის კათოლიკეთ ეკკლესიისა, რომელსა შინა იწერების ყოველი შემოსავალი და გასავალი ამავე ეკკლესიისა. დაწყობილი 1845-სა წელსა იანვრის 14-სა დღესა. და არს წელთათვის. 1845-სა და 1846-სა“**. აღნიშნულ ხელნაწერსაც აქვს კათოლიკური ეკლესიის ბეჭედი. ხელნაწერი დაყოფილია ორ ჯგუფად „შემოსავალი და გასავალი და ხარჯი“. როგორც ხელნაწერის ანოტაციიდან ჩანს, მსგავსი დავთარი ეკლესიას უნდა ეწარმოებინა ყოველ წელს, სავარაუდოდ, ასე იქნებოდა 1839 წელსაც. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე ჩვენ აღნიშნული ჟურნალი ვერ მოვიძიეთ, მაგრამ ეს დავთარიც ბევრ საინტერესო ფაქტს ჰფენს ნათელს. კერძოდ, პატრი არსად ახსენებს ტაძარში გაყიდული საეკლესიო ნივთების შემოსავალს, არადა აღნიშნული ხელნაწერი სავსეა მსგავსი შემთხვევების დასახელებით, პირველივე ფრაზა სწორედ ამით იწყება: „საღდარში

გაყიდული სანთლისა და განზანაკისა შემოვიდა 1 მანეთი და 68 თეთრი“ (2r).

თუმცა აღვნიშნავ, რომ Var-53-ში მას მოჰყავს ერთი საინტერესო და ორაზროვანი ფრაზა, რომ ტაძრის შემოსავალი არ არის სტაბილური და რომ მას ჰქონია დამატებით 4-5 შემოსავლის წყარო. თუ რა დამატებით „კაპიტალზეა“ საუბარი ის არ აკონკრეტებს. ვივარაუდოთ, რომ ეს შეიძლება იყოს სწორედ ეკლესიის მაღაზიიდან მიღებული თანხა. ასევე არ არის ყურადღება გამახვილებული შესაწირავებზე მრევლისა და ჩამოსული სტუმრების მხრიდან, არადა ქართული ხელნაწერი სავსეა მსგავსი ფაქტებით: 7r-ზე წერია: „1846 წლის იანვრის 6-სა დღესა დღესასწაულისა შინა ნათლის-ღებისა შემოვიდა ჯვრის შესაწირავი ფულათ თუ კაცებში და თუ ქალებში ერთიანათ ოცდა ჩვიდმეტი მანეთი და თორმეტი კაპეიკი“, არის შესაწირავები საეკლესიო ინვენტარისა და ნივთების შესაძენად: „იაკობ ზუბალოვის მეუღლემ შესწირა ზეთისათვის სამი მანეთი“ (8r);

არის საუბარი სხვა ტიპის ფულად შემოწირულობასა თუ დაწესებულ გადასახადზე, ამავე წლის „იანვრის 15-სა დიმიტრი თუმანოვმა ნათლობისა 1 მანეთი გადაიხადა“(7v); ამ ხელნაწერის მიხედვით, შესაწირავებს არ აკლებდა მრევლი ტაძარს სხვადასხვა დღესასწაულებზე, რელიგიური რიტუალების აღსრულებისას, აქვე წავაწყდით ერთ საინტერესო ფაქტსაც: „1846 წელსა აპრილის 7-სა დღესა ქუთაისის კათოლიკე ეკლესიასა შეწირულის ვექსილისათვის იოსებ ზუბალოვისაგან სარგებელში მიიღო დღეის ამა ქუთაისის კათოლიკეთა ეკკლესიის დეკანოზმან დონ ანტონ გლახოვმან ქუთაისის უეზდნის კაზნაჩეისტკიდამ სამოცდახუთი და ოცდაათი კოპეიკი ვერცხლისა“ (9v). თამამად შეგვიძლია ვაღიაროთ, რომ ეს იმ დროისთვის საკმაოდ დიდი თანხაა. ეს ფაქტი საინტერესოა პოლიტიკური თვალსაზრისით. თუ გავითვალისწინებთ, რომ საუბარია კათოლიკური ეკლესიისათვის საკმაოდ მძიმე, რეპრესირებულ პერიოდზე, სახელმწიფო მოხელის მხრიდან ან გაბედულებაა ეს ქველმოქმედება, ან აკრძალვა არ უნდა ყოფილიყო ისეთი კატეგორიული, როგორც კათოლიკე პადრე მიუთითებს.

ამავე ხელნაწერში წავაწყდით ასეთ ფაქტსაც: „1846 წლის ივლისის 21-სა შთაწერილ არს შემოსავლად ეკკლესიისა რვა მანეთი ვერცხლისა მოცემული ანგლიჯანის მარისაგან, მის

მიერ წაღებულის კირისა ამა თვეში რომელიც იყო ოთხმოცი კოდი, კოდი ორ შაურათ (დონ ანტონის ნებით ესე)“ (10v), სულ საუბარია 8 მანეთზე, მეორე დღეს ხდება ერთი საინტერესო ფაქტი, რომელიც სხვა ინფორმაციასაც აცხადებს, კერძოდ: „პეტრე მღებროვისაგან მიღებული იქმნა ერთი წლის სრული ქირა ორმოცდა თუთხმეტი მანეთი ვერცხლი იმ დუქნისა რომლისა შინაცა თვითონ დგას ეკკლესიის დუქანში, ამა რაოდენობასა შინა ფულისა შერიცხულ იქმნა ხუთი კვიტანცია შემადგენელი რვა მანეთისა და თუთხმეტი შაურის ვერცხლისა 1845-ისა და ამა წლის 1846 –ის წლისათვის პოლიციის და მის მიერ მიცემული; და ესრედ ამის გამორიცხვით დღეს მიღებულ იქმნა ორმოცდა ექვსი მანეტი და ხუთი შაური ვერცხილა (ამასა ზედა მიღების წერილი მისცა უფალმან დონ ანტონ გლახოვმან ამავე რიცხვში დაწერილი)“ (იქვე), ე. ი. ტაძარს ჰქონია დუქანი, საეჭვოა, ეს 1839 წლის შემდეგ გაეხსნათ, რადგან სწორედ ამ პერიოდში ძლიერდება წნეხი კათოლიკურ ეკლესიაზე, განსაკუთრებით ისეთ რეგიონებში, სადაც ის ძლიერი გახლდათ, როგორც ჩანს, ქირის აღება'ში ეკლესიას ეხმარება პოლიცია. ისიც ჩანს, კათოლიკურ ეკლესიას უფრო მეტი მატერიალური ბაზა ჰქონია და უფრო დაცულიც ყოფილა სახელმწიფო კანონმდებლობით, ვიდრე ამას ოფიციალურად აცხადებს ტაძრის წინამძღვარი.

1846 წლის 12 საქტემბერს ხდება ჩვენთვის ერთი მეტად საინტერესო ფაქტი, „ერთი ტრეტისა ამა სექტებრისათვის პირველამდი მხვედრსა გამორიცხულის ლომინ ერისთავის პენციისაგან რომელიც ეძლევის ამა ქუთაისის კათოლიკეთ ეკკლესიასა შეწირული ვექსილისათვის იოსებ ზუბალოვისაგან; სარგებელში მიიღო დღეს ამა ქუთაისის კათოლიკე ეკკლესიის დეკანოზმან დონ ანტონ გლახოვმან ქუთაისის უეზდნის კაზნაჩეისტკიდამ სამოცდა სამი მანეთი და ოცდა ათი ვეცლისა ხოლო ორი მანეთი მიცემული იქნა იმავე კაზნაჩეისადმი“ (11v), ე. ი ეკლესიის მსახურები გარკვეულ ანაზღაურებას თუ „სარგებელს“ ღებულობდნენ სხვადასხვა მომსახურებისათვის და არც თუ მწირს. ლათინურ Var-53-ში კი რატომღაც სასულიერო პირების ამგვარი ფინანსური სარგებელი აღნიშნული არაა, პირიქით, საუბარია მეტად „შეიწროებულ“ მატერიალურ შესაძლებლობებზე.

გვინდა აღვნიშნოთ ერთი ფაქტიც: 1846 წლის 13 დეკემბერს საეკლესიო ჟურნალში ჩაუწერიათ: „შთაწერილ არს შემოსა-

ვალად ჩვიდმეტი მანეთი და ათი შაური ვეცხლისა შეწირული გარდაცვალებულის ტერ ანტონ თუმანოვის მიერ, რომელიცა ანდერძითა თვისითა დაეტოვებინა, რომელ დაშთა რა მას საათი, გაყიდვისა თანა მისისა მიეცათ ეკკლესიისათვის ნახევარი ფასი, მამისათვის ძმამან მისმან გასპარ თუმანოვმან დღეს მისცა 17 მანეთი და 50 კაპიკი“ (14v), ანუ მრევლი ანდერძსაც კი ტოვებდა, რომ მის ოჯახს მისი გარდაცვალების შემდეგ რამე ნივთი ან შესაბამისი თანხა შეეწირათ ეკლესიისათვის.

როგორც ვხედავთ, ამ ჟურნალმა პატრის მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე ბევრი ეჭვი გააჩინა.

ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში დაცულია კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საბუთი, **Qd-977 კათოლიკური ეკლესიის დანახარჯისა და გასავლის წიგნი, 1839 წელი.** თუმცა მას ახლავს გრაფა: „ამას ქვემო სწერია რაც ეკლესიის ფულები არს ჩემოწ. ხარების საქმეზე“.

ამ დოკუმენტშიც შემოწირულობების სხვადასხვა ვარიანტია ჩამოთვლილი, კერძოდ, სხვადასხვა მოხელეთა სავალდებულო გადასახადები. Var-53-ში პატრე ახსენებს მოჯამაგირეებს, როგორც მათდამი დაქვემდებარებულ პირებს და არა მრევლს, სხვა არაფერია ნათქვამი მომსახურე პირებზე, თუმცა მათდამი გაფორმებულ ხელშეკრულებებში გამოჩნდა კათოლიკური ეკლესიის შემოსავლის სხვაგვარი წყაროც. ეს საბუთებია:

1. Д-316—ეკლესიის მოჯამაგირის გრიგოლას ჯამაგირის 9 მანეთის გარდაწყვეტილების წიგნი, პატრე ბონავენთურასგან ნამოჯამაგირალ გრიგოლას, 1839 წლის 13 ივლისი

„1838-სა წელსა აგვისტოს 13-სა ეს წერილი მოგეცი მე ამის ქვემორე ხელის მომწერელმა შენ გრიგოლას რომელიც ერთ წელიწადს იყავი ჩემთან ეკლესიისათვის მოჯამაგირეთ და გაგითავდა მაისის ჩვიდმეტსა და ამ წელშიდ გერგებოდა ოცდაოქვსმეტი მანეთი და სხვა გასტუმრებული ხარ და დარჩა ცხრა მანეთი და მე უნდა მოგცე.

პ. ბონავენთურა.

ამ ცხრა მანათსი უნდა ავიღოთ ერთი ხარი რომ დაკარგეთ იმისი და რაც რომ ერთი კაცი დააფასებს მესამედი უნდა გადახდეს ამ ცხრა მანათიდამ“.

2. Д-972--წერილი კათოლიკეთა რვა ხარისა და ორი კამბახის მიბარების შესახებ, ანდრია ვარდანიძისაგან პატრს ქეროვიმას, 1840 წელი 22 ოქტომბერი.

„წელსა 1840-ს ოქტობრის 22-სა დღესა მე ქვემორე ამისა ჴელისა მომწერელი ვარციხეს მცხოვრები სახაზინო ყმა ანდრია ვარდანიძე გაძლევ ამ წერილსა, თქვენ უსამღვდელოეს პატრი ქერუბინე სარაველს, მას შინა რომელ შენ მომაბარე თქვენის **ეკკლესიის რვა ხარი და ორი კამბეჩი** შესანახვათ დღედამ მომავლის 1841-ის წლის აპრილის პირველამდი, რომელთ მოვლისა და **შენახვისათვის უნდა მომცე თვეში სამიმანეთი და ნახევარი და ერთი თვის ქირა წინდაწინ მივიღე**, კარგათ ერთგულებით უნდა მოუარო, და ვინ იცის თუ რომელიმე ჭირით ანუ სხვა ანაზღის შემთხვევით მოკვდეს, მაშინ უნდა შეგატყობინო გაჩვენო, და მე იმაში არაფერი ზარარი მექნება და თუ ჩემის ყურის უგდებლობით დავკარგო, და ან მიუვლელობით გაუჭირვო რამე, მაშინ უნდა გარდავიხადო. **ამასთანავე არის დაკარგული ერთი ხარი ტყეში თუ იპოვნე საპოვნელა უნდა მომცე, და ისივ ამ რვა ხართან და ორ კამბეჩთან შევინახო**. რასა შინა ჴელს ვაწერ (აქ არის ხელწერა)“.

ამაგვ ტიპისაა სხვა დოკუმენტებიც, **3. Д- 973**—მოჯამაგირეობის წიგნი ქუთაისის ეკლესიის პატრი ბერნარდე ბოლონიელისაგან ს. შხეფს მცხოვრებს ივანე შაფათავას, 1841 წლის 21 მაისი;

„წელსა 1841-სა მაისის 21-ას დღესა, ეს წერილი მოგეცი მე ქვემორე ამისა ხელის მომწერელმა ქუთაისის კათოლიკეთა მღვდელ მონაზონმა პატრი ბერნარდე ბოლონიელმა შენ შხეფს მცხოვრებს ნიკოლად გრიგოლის ძეს დადიანოვის კაცს იოვანე შაფათავას, მას შინა რომელ შენის ნებით დამიდექი მოჯამაგირეთ ამ პირობით რომ თუ **ერთს ულელს კამბეჩს და ერთ ულელ ხარს** მოუარე თვის თავზედ უნდა მოგცე ცამეტი აბაზი და ერთი ქალაბანი, და **უკეთუ ვერ მოუარე, მარტო, მაშინ ერთი თვის თავზემოგცე თერთმეტი აბაზი და ერთი ქალაბანი ყოვლის უმიზეზოთ, და თუ რამე დამიშავე ან დამაკლე, ან ცხვეფრ, ყოველა უნდა შემისრულო, რომლისა ზედაც ჩემს საკუთარს** ხელს ვაწერ ღ. ერნადო ლა ალოგნა.

ბატონი პატრი ბერბარდესი და ივანიკა შაფათავას თხოვნით ვწერ და მოწამეც ვარ სიმონ ყაუხჩიშვი.“

4. Д-976—პირობის წიგნი კათოლიკეთა 7 ხარისა და 2 კამეჩის მიბარების გამო, ივანე წულაიასაგან კათოლიკური ეკლესიის გამგეს, 1843 წლის 11 ნოემბერი.

„წელსა 1843-სა ნოემბრის 11-სა დღესა 3 ქვემორე ამისა ჴელის მომწერელი, სკურალს მცხოვრები ნიკოლად დადია-

ნოვის ყმა, ივანე წულაია ამ წერილს გაძლევ, თქვენ ქუთაისის კათოლიკეთ ეკლესიის გამგეს და უფროს უსამღვდელოეს პატრი პალისანცილას, მას შინარომელ თქვენ მომაბარე ეკლესიის **შვიდი ხარები და ორიკამბეჩი,** ამ ზამთარში შესანახავათ და მოსავლელათ და თქვენ უნდა მამცეთ თვეში ორი მანეთი ქირა, ერთი ქალაბანი და რვა აბაზი თვეში სასმელ საჭმელისათვის, და ორი კვირას სასმელ-საჭმლისა 4 აბაზი წინდაწინ მივიღე; კარგათ ერთგულობით უნდა მოუარო და ვინ იცის თუ რომელიმე ჭირით ანუ სხავ ანაზდის შემთხვევით მოკვდეს, მაშინ უნდა შეგატყობინო და გაჩვენო და მე იმაში არაფერი ზარარი მექნება და თუ **ჩემის ყურის უგდებლობით დავკარგო და ან მოუვლელობით დაუშავდეს რამე, მაშინ უნდა გარდავიხადო** რასა შინა ხელს ვაწერ და ყაბული მაქვს ამ პირობის ივანე წულაია, და რადგან ივანემ წერა არ იცოდა და იმას თხოვნით დაწერილი ჩამოვართმევით ხელს ვაწერ და მოწამეცა ვარ სილვა აფშილავა.

ივანე წულაიას თხოვნით ვწერ წერილსა ამას და მოწამეცა ვარ სიმონ ყაუხჩიევი.

ამის სასმელ-საჭმელში მივეცით რვა აბაზი კიდევ, რომ შევუსრულეთ თვე ნახევარი საჭმლისა 20 ნოემბერს.

ამ თვეს მივეცით დეკემბრის 19-სა დღესა ერთი თვისა რვა აბაზი, რომ შევუსრულეთ მომავალ წლის თებერვლის 5-ამდე. იანვრის 31-ს დღესა მივეცით რვა აბაზი კიდევ მომავალი მარტის 5-ამდი შევუსრულეთ.

ამ იოვანეს წულაიას ანგარიში გაუსწორეთ 1844-ის წლის აპრილის 6-ს დღესა, რომელმანაც სრულებით ჩაგვაბარა ხარკამეჩი და მივეცით სულ ერთიანათ 10 მანეთი 60 კაპეიკი (აქ არის ხელწერა, გაურკვეველია ვისია)".

საბუთში დასახელებული რაოდენობა ჩამოუვარდება ლათინურ საბუთში მოყვანილ პირუტყვის რაოდენობას. ქრონოლოგიური სხვაობა დოკუმენტებს შორის უმნიშვნელოა.

არის რამდენიმე დოკუმენტი, რომლებშიც ჩამოთვლილია მიბარებული ნივთების სია და აღნუსხულია პირთა ვალი ეკლესიისა თუ პატრის წინაშე.

5. Д-956—დათიკა ქორქაშვილთან მიბარებული ნივთების სია (თარიღი მითითებული არ არის).

„დათიკა ქორქაშვილთან არის ორი ბაჯალის ოქრო გაბრიელის ხელით წაღებული **ოცი ცხვარი და თხა სამოცდაათ მარჩილათ გამოართვა** ცაგერელს.

ორას ორმოცდათოთხმეტი მარჩილი ცაბერლიც ერთი სატევარი, ერთი კუდა ხარი, (ერთი ცხენი ერთი-ორი ყავს-ეს წაუშლია), **სხვა წვრილი ნახარჯი თითონ უწერია** და ზოგი ჩანს დავთარზე სწერია და თითონაც აქ იმ ცხრა სხმალს ქვსას გარედა შემოტანილი რომელიც თითონ გითხრა გიწერია და მე კი არ ვიცი ერთი ვიცი ოცი მარჩილი ყასბებსათ ვინ გამოერთმია ვნა ასორმოცდაათ მარჩილათ ჯორის ფასად

ქ. ერთი ცხენი გიორგი გელოვანმა გამოგზავნა ასორმოცდაათ მარჩილათ ჯორის ფასად.

დათიკას ანაწერი ქორქაშვილისა“.

6. Д-959 – ვალის წიგნია, სია დასავლეთ საქართველოდან, (აქ მითითებულია საუკუნე 18-19);

„ქ. ბიჭვია დოისყულს მართეფს ცხრამეტი ყურეში კიდევ მართებს ოცდაექვსი ყურეში

ქ. ვახტანგა ვავალაშვილს მართებს ცხრა ყურეში და ექვსი ფარა

ქ. მაშეიას აფხანაკს მართებს ათი ყურეში

ქ. ქიხოსრო ქორქიას მართებს ხუთი რემა ერთი ორი ყურეში

ქ. რვა მარჩილი წულაია ახტოულას მართებს რვა მარჩილი

ქ. ბებუია წულაიას მართებს ცხრა ყურეში

ქ. ვახტანგას ძმას კაკალაშვილს მართებს ათი რემი ჩითის

ქ. გაბუციას მართებს რემი ჩითის სამოცი ფარა. სასწრფოსი ხუთი მარჩილი ჩითის

ქ. ბეჟანიკა გეგეჭკორს მართებს სამი ყურეში ლაფჩინის სამი ლაღარიკონი რკინა

ქ. ივანიკა გოგიჯანაშვილს მართებს ორმოცდაერთი ყურეში და ნახევარი

ქ. ათი რები გოგიას ცოლს მართებს

ქ. კაცია დისაძეს მართებს ოცდასამი ყურეში

ქ. გიორგი ქორთეს გურულს მართებს ოცდათრამეტი ყურეში

ქ. როსტომა ჩანჩკას მოყვარე ჯაყელს მართებს თორმეტი ყურეში

ქ. ნიკოლოზ წინამძღვარს მათ წაღებინა ექვსი ლაღარიკი მატყლი ერთი სასწრაფო სასწრაფოს ფასი ოთხი ყურეში კიდევ ერთი ლინი ოთხი ყურეში კიდევ სამი მანათათ გამოგიგზავნენიკილოზ არქიმანდრიტს მართებს თერთმეტი ყურეში

ქ. ნიკოლოზს ერთი ცხენი აბარია თეთრი ცხენი

ქ. როსტომა მოურავს აქ ერთი ხარის კაბა
ქ. როსტომას აქ ერთი კარგი ლეკური
ქ. მოურავს ყავს სინო ცხენი დედა-შვილს აბარია
ქ. ერთი ცხენი წყალთა შუა იყო და წაიყვანა მოურავმა
ქ. ერთი ცხენი ჩოხა რომ მისცა იმას ყავს".

7. Д-964 – ხალხის აღწერის ნუსხის ნაწყვეტი (აქ მითითებულია ჩამოთვლილი ხალხის ვალი);

დოკუმენტში ჩამონათვალი შეადგენს 125-ს, მაგრამ რომელ ერთეულზეა საუბარი ან რა მართებს აქ დასახელებულ ხალხს, გაუგებარია.

8. Д-982 – ვალების ნუსხა (აქაც მითითებულია 19 საუკუნე)

„ქ. ვასილ ივანიჩ კაპიტანს მართებს ათი ასფარკანი
ქ. ერშოს აქ ოცდა რუა ასფარკანი
ქ. ივან პეტროვიჩს მართებს ექვსი ასფარკანი და ოთხმოცდა თერთმეტი ფარა
ქ. ბულაკოვიჩს მართებს სამი ბაჯაღლო
ქ. არევიანცკს მართებს თვრამეტი ასფარკანი
ქ. ანჯინერს მართებს ოცდათუთხმეტი ასფარკანი და სამოცდათოთხმეტი ფარა
ქ. ცურკოვს კაპიტანს მართებს ოცდაერთი ასფარკანი და ათი ფარა
ქ. ორმოცი ყურუში მიქელა აფცრის მართებს
ქ. ცურკოვ კაცი (დაწვა) მაგცა".

გაურკვეველია ამ დოკუმენტებში მითითებული ნივთები და თანხა რატომ „მართებს" აქვე ჩამოთვლილ ადამიანებს. შესაძლოა, ეს არის ხარკის მსგავსი სავალდებულო გადასახადი. ერთი კი ფაქტია, ყველა ეს ნივთი თუ თანხა ეკლესიის ყულაბას მნიშვნელოვნად ავსებდა.

მ. თამარაშვილს თავის წიგნში „ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის" მოჰყავს პატრი ფილიპეს წერილი პროპაგანდის წინაშე, რომელიც 1815 წლით თარიღდება და საკმაოდ ვრცელია, სადაც საუბარია ზოგადად საქართველოში არსებულ მდგომარეობაზე და ქუთაისთან მიმართებაში აღნიშნავს: „იქაური ეკლესია ხისაა, მაგრამ სუფთა და ადამიანს ღვთის სასოებას უნერგავს გულში. სახლის კედლები ზოგი ხისაა, და ზოგიც ქვისა; იქვე საბალო ადგილი აქვს. გარდა ამისა, იმ მონასტერს აქვს ერთი პატარა სოფელი შვიდი ანუ

რვა მოსახლით, რომელიც სოლომონ მეფემ მიცვალებულ პატრი ნიკოლას აჩუქა. რუსის მთავრობამ დღევანდლამდე შეგვარჩინა. იმ სოფლიდგან მთელი წლის საყოფი ღვინო შემოდის და ეგრეთვე სხვა რამეებიც“. იგივე პატრი 1822 წელს ალნიშნავს: „ქუთაისის მონასტერი ხისაა და აქვს ორი ბაღი, რომელიც ეკლესიას და მონასტრის მოშორებით არის. ეგრეტვე ქუთაისის ახლოს აქვს ერთი ხუთ-კომლიანი სოფელი. ეს სოფელი სოლომონ უკანასკნელმა მეფემან აჩუქა მიცვალებულ პატრი ნიკოლა ლუთოლიანელს. ის ხუთი მოსახლე ჭირნახულის ერთ ნაწილს პატრებს აძლევს, რა შემოსავალიც დიდი არაფერია, რადგან იმერლებმა ხვნა-თესვისა ხელობა არ იციან, მასთანავე საკმაოდ ზარმაცნიც არიან“. 1839 წელს კი პატრი ხეროვიმა ალნიშნულ სოფლებსა და იქიდან შემოსავალზე არაფერს ამბობს.

როგორც ვხედავთ, არც ერთ დოკუმენტში არც ერთი პატრე არ საუბრობს იმ „დიდ სარგებელსა და კარგ შემოსავალზე“, რაზედაც ინდოეთიდან მიანიშნებდა საქართველოში ნამყოფი კაპუცინი იოსებ-ანტონ ლივორნელი რომში გაგზავნილ წერილში 1841 წელს, რომელიც სომხური და ფრანგული კათოლიკური რიტის დაპირისპირებას შეეხება. ის წერს: „სომხის კათოლიკე მღვდლებს უნდათ, არა მარტო იუფლონ ულათინოდ, არამედ ეგრეთვე უნდათ, რომ კაპუცინების ეკკლესიები და მონასტრებიც თვით დაიპყრან, მარტო იმიტომ იქ დიდი სარგებლობა და კარგი შემოსავალია”.

ალნიშნული დოკუმენტის, კერძოდ Var-53-ის, განხილვისას ჩემი დაეჭვება კომენდანტის თხოვნამ ინფორმაციის ფარულობასა და მოპასუხის არჩეულმა ენამ გამოიწვია, რატომ აირჩია პატრე ხეროვიმამ საპასუხოდ „მკვდარი“ ენა – ლათინური? იქნებ საერო მოხელეებსაც აწყობდათ ინფორმაციის გაყალბება, ან ადგილი ჰქონდა კორუფციულ გარიგებას? ეს საკამათოა. ერთი კი ცხადია, პატრემ არაჩვეულებრივად იცოდა, სახელმწიფოს მართავს ორი უდიდესი ძალა – ადამიანი და კაპიტალი. სწორედ ამ რესურსების მართებული განკარგვაა სახელმწიფოს შენებაში უმთავრესი, ამიტომ ასეთ საიდუმლოს გონიერი მმართველი არ გასცემდა. ეს არის დოკუმენტურ მასალებში ამგვარი უზუსტობების უმთავრესი მიზეზი. ამავე მიზეზით პატრე ხეროვიმამ, რომელიც, სხვათა შორის, კარგად ფლობდა ქართულ ენას, სახელმწიფო მოხელეს თავის ქვეყანაში ოფიციალურ მოთხოვნაზე უპასუხა არა

სახელმწიფო ენით, არამედ იმ ენით, რომელიც რამდენიმე მწიგნობარმა თუ გიმნაზიელმა იცოდა ქუთაისში. ყოველივე ეს, კერძოდ, დაპირისპირება ორ უდიდეს ძალას შორის, იდეოლოგიური ჭიდილი იყო თუ პოლიტიკური, ხაზს უსვამს საქართველოს მნიშვნელობას მაშინდელი მსოფლიო თანამეგობრობაში, პოლიტიკურ ცხოვრებაში, რასაც, როგორც ჩანს, ჩვენი უცხოელი „სტრატეგიული პარტნიორები" უფრო ობიექტურად ხედავდნენ და აფასებდნენ, ვიდრე მაშინდელი ქართული პოლიტიკური თუ არაპოლიტიკური ელიტა.

გამოყენებული ლიტერატურა:

არქანჯელო ლამბერტი, 1901: არქანჯელო ლამბერტი, სამეგრელოს აღწერა, ტფ., 1901.

ბარონ-დე რომპი, 1903: ყოვლად სამღვდელო რომის კათოლიკეთა, ტირასპოლის ეპარხიის ეპისკოპოსი ედუარდ ბარონ-დე რომპი და მისი მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1903.

გულანი, 1989: გულანი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი, თბ., 1989.

თამარაშვილი, 1902: თამარაშვილი მ., ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, თბ., 1902 წელი.

ისარლოვი, 1898: ლ. ისარლოვი, ქართველი კათოლიკენი, ტფ., 1898.

ნარკვევები, 1970 – საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970.

ოგიცკი, 2000: დ. ოგიცკი, მღ. მაქსიმ კოზლოვი, რომაული კათოლიციზმი, თბ., 2000.

პავლიაშვილი, 1990: ქ. პავლიაშვილი, კათოლიკური ეკლესია და საქართველო, XVIII საუკუნის I ნახევარი, თბ., 1990.

ტაბაღუა, 1962: ი. ტაბაღუა, საქართველო-საფრანგეთის ურთიერთობა, თბ., 1962.

ჭიჭინაძე, 1905: ზ. ჭიჭინაძე, ქართველ კათოლიკეთა ვაჭრობა, ტფ., 1905.

Nino Megeneishvili

CHRONICLES OF KUTAISI CATHOLIC CHURCH (XIX CENTURY, 30S)

Summary

The history of Georgia in XVIII-XIX centuries stands out by the significant changes. The search for the strategic partner finally turned Georgia into governorate to the Coreligionist Russia de jure under "Georgievsk Treaty". Though, the struggle for the influences on this most significant and strategic country continued between Coreligionist Russia and Catholic Europe.

In the mentioned article, we are talking about the Catholic Church history of one of the cities and namely Kutaisi where, under the factual materials, the struggle for influence between Russia and the West is proved. It is well-known fact that the state stands on two resources – human and capital. The main thing in construction of a state, the main thing is the right management of the resources. So, the wise ruler does not release such a secret. This is the main reason for the fact that the written sources kept at Manuscripts national Center contain controversial information. The fact is one, Georgia, despite the little geographic scale, presented interesting political territory for the great states and the interest towards it was not so minor.

მედეა ბურდული

მესხეთის თანამედროვე სოფლის ეთნოგრაფიული ყოფა

ცნობილია, რომ მესხეთი ძველი დროიდანვე საქართველოს ერთ-ერთი განვითარებული ეკონომიკური ერთეული იყო, მდიდარი ბუნებრივი პირობებითა და განვითარებული მიწათმოქმედებით. ჩვენი მიზანია თანამედროვე სოფლის ეკონომიური და სხვა ცხოვრებისეული პრობლემების კვლევა, მაგრამ ვფიქრობთ მოკლე ისტორიული ექსკურსი დაგვეხმარება ჩვენი მიზნის უკეთ წარმოჩენაში.

მესხეთს სამხრეთ საქართველოს პლატოს დასავლეთი და ცენტრალური ნაწილი უკავია. მასში შედის ახალციხის, ადიგენის, ასპინძის, ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონები. რეგიონი ზღვის დონიდან დაახლოებით 1000-დან 2100 მეტრამდე სიმაღლეზე მდებარეობს, ამის გამო გამოირჩევა მიკროკლიმატური ოლქების მრავალფეროვნებით, ნაყოფიერი ნიადაგებით, მდინარეებისა და ტბების სიუხვით, მდიდარი ფლორითა და ფაუნით, რამაც ხელი შეუწყო ცალკეული სამეურნეო უბნების თავისებურებათა ჩამოყალიბებას. აღნიშნული ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა აგრეთვე ადამიანთა ადრეული დასახლებებისათვის ამ ტერიტორიაზე, რასაც აქ ჩატარებული არქეოლოგიური გათხრების დროს აღმოჩენილი არქეფაქტები ადასტურებენ.

ვახუშტი ბატონიშვილი ასე ახასიათებს სამცხე-საათაბაგოს: „ხოლო არს ქუეყანა ესე ფრიად მრავალ და დიდროვან მთიანი, კლდიანი, ჭევიანი, ღრატოიანი, ტყიანი, შამბ-შრომნიანი, მდინარიან-წყაროიან-ტბიანი და მცირედ ველოვანი. ხამთარ ადგილ-ადგილ ცივი და დიდთოვლიანი და ადგილ-ადგილ ფრიად ტფილი, ზაფხულს შეზავებული, რამეთუ აქუს მთანი და აგარაკნი ფრიად ახლოს, ხოლო ადგილს ფრიად ცხელი და გაუსაძლისი, თუნიერ აგარათა. ჰავით მშუენი და კეთილი, არამედ ზღვის კიდეთა არა ეგრეთი. ნაყოფიერებს ქუეყანა ესე ყოველითა მარცვლითა და არა ყოველგან...და ხილნი...არიან

მრავლად და კეთილნი. ...პირუტყუნი ყოველნი მრავალნი და ნადირნი მრავლად...“ (ბატონიშვილი, 1973: 659-660.).

„ბურჯისტანის ვილაიეთის დიდი დავთრ“-ის მიხედვით მესხეთის მეურნეობის დარგები შესწავლილი აქვს გ. ტივაძეს, საიდანაც ვიგებთ, რომ მესხეთში განვითარებული იყო – მევენახეობა-მებაღეობა, მემინდვრეობა, მებოსტნეობა, სელის ზეთის წარმოება, მეცხოველეობა, განვითარებული იყო საირიგაციო სისტემა და სხვ. (ტივაძე, 1946: 117-145)

მესხეთის ფიზიკურ-გეოგრაფიულ გარემოსთან მისადაგებული სამეურნეო საქმიანობა სხვადასხვა დროს შეისწავლეს ქართველმა ეთნოლოგებმა: „სამცხე-ჯავახეთი წარმოადგენს საქართველოს იმ შესანიშნავ კუთხეს, სადაც კლიმატურ-გეოგრაფიულმა გარემომ ადამიანს უბიძგა მრავალდარგოვანი მეურნეობისაკენ. აქ ყველა პირობა არსებობდა იმისათვის, რომ ველური ჯიშებიდან ხორბლის კულტურული ჯიშები გამოეყვანათ. აქ უნდა ჩაეროდა საფუძველი „დაკიბულ მევენახეობას“.. ამ ბარაქიან მიწაზე არსებობდა და არსებობს კულტურული მიწათმოქმედების ყველა ფორმა და მათ შორის გამოსარჩევია სარწყავი მიწათმოქმედება და ტერასული მიწათმოქმედება“.. (მიმინოშვილი, 1998: 88-89.).

გ. ჯალაბაძე წერდა, რომ სამცხე-ჯავახეთის კლიმატურ გეოგრაფიულმა გარემომ საშუალება მისცა მის მაცხოვრებელს მრავალდარგოვანი მეურნეობა ჩამოეყალიბებინა. აქ უნდა ჩაეროდა საფუძველი დაკიბულ მეხილეობა-მევენახეობას (ჯალაბაძე, 1972: 5).

ძველად განსაკუთრებით ბევრი ტერასები ჰქონიათ ხიზაბავრასა და საროში. ახლა რადგან წყალი ნაკლები აქვთ და მოსარწყავად არ კმარა, მიტოვებული აქვთ.

ტერასების დანიშნულების შესახებ აკად. ჩიტაია წერდა: „ტერასებზე მარტო ვენახები იყო მოწყობილი, საერთოდ ვენახს აქ ხეხილის ბაღებს ეტყვიან, შეიძლება ვაზიც არ იყოს“ (ჩიტაია, 1997: 35).

მესხეთში, ფერდობებზე ტერასების მოწყობა მ. გეგეშიძეს ერთ-ერთ უძველეს სამეურნეო წესად მიაჩნია, რაც მიზნად ისახავს ამ ფერდობების უკეთ გამოყენებას სასოფლო-სამეურნეო თვალსაზრისით (გეგეშიძე, 1961: 96).

ბუნებრივია ისტორიის მანძილზე ბევრი რამ შეიცვალა, რამაც მესხეთის სოფლის ყოფაზე გარკვეული გავლენა იქონია. ამიტომ „მესხეთის მრავალდარგოვანი მიწათმოქმედებიდან

ჩვენამდე ყველა დარგმა ერთნაირი სისრულით ვერ მოაღწია. ზოგი მათგანი სრულიად მოისპო და ამოვარდა. ამ თვალთახედვით შედარებით უკეთესი მდგომარეობაა მემინდვრეობა'ში, რადგან მესხი მეურნისთვის არსებობის მთავარი წყარო ხვნა-თესვა იყო" (ბერიაშვილი, 1973: 22)

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ჩვენი მიზანია ვაჩვენოთ მესხეთის თანამედროვე სოფლის ეთნოგრაფიული ყოფა, რა ცვლილებები განიცადა, რა შეინარჩუნა და რა დაკარგა, რა უჭირს და რა ულხინს დრეს სოფელს. აღნიშნულიდან გამომდინარე განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არქეოლოგიური გათხრების შედეგად სამცხე-ჯავახეთში ადრე სამიწათმოქმედო კულტურის დასახლებისა და ნასახლარების აღმოჩენებს და მათ შედარებას თანამედროვე სოფლის (საცხოვრებელი, კარმიდამო, დასახლება, სამეურნეო საქმიანობა და ა.შ.) ეთნოგრაფიულ ყოფასთან.

ირკვევა, რომ ტერასული დასახლებები ერთ-ერთი ძირითადი მახასიათებელია სამცხის უძველესი არქიტექტურისათვის (ფხაკაძე, №5, 2009: 224), რომელსაც დღევანდელ ეთნოგრაფიულ ყოფაშიც კი არ დაუკარგავს თავისი მნიშვნელობა. მესხური სოფლების განლაგება უმთავრესად დაფერდებულ, დამრეც კლდოვან ადგილებზე მოდის. ჰორიზონტალურ განფენილობაში გაშენებული კომპლექსები ერთიმეორეზეა მიდგმული და მთიანი რელიეფის გამო ერთის სახლის ბანი მეორის ეზოს წარმოადგენს. ერთიმეორის სიახლოვეს ცხოვრება მოსახლეობას საშუალებას აძლევდა, მტრის შემოსევის დროს ადვილად დაეღწია თავი საიდუმლო კარებით, რომელიც ერთი სახლიდან მეორეში გადიოდა (მოხევიშვილი, 1990: 22).

მესხეთის სოფლებში თანამედროვე საცხოვრებელი სახლების მშენებლობა XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დაიწყო. ასე მაგ. 60-იანი წლებიდან „ხიზაბავრამ სრულად იცვალა სახე. სოფელში აიგო მრავალი ახალი თანამედროვე ტიპის საცხოვრებელი სახლი, სოფელში აშენდა საბავშვო ბაღი, სკოლა-ინტერნატი, ბიბლიოთეკა, კლუბი, სამედიცინო პუნქტი, მაღაზიები, ფურნე, ელ. წისქვილი. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო სოფ. ხიზაბავრაში სასმელი წყლის გამოყვანა თეთრობ-ჭობარეთიდან, ხოლო მდინარე მტკვარზე კი სოფ. ხიზაბავრის ტერიტორიების გასარწყავებისათვის დიდი წყალსატუმბის აშენება-დამონტაჟება" (ქუქჩიშვილი, 1997: 36).

ძველი ჭობარეთი მტერს აუოხრებია, რის გამოც ხალხს „ვერანა“ შეურქმევია. გადარჩენილ მოსახლეობას გავერანებული სამოსახლო მიუტოვებია და სამოსახლოდ დღევანდელი ჭობარეთის ტერიტორია აურჩევია, რომლისთვისაც ჯერ „მზიანეთი“ უწოდებია, ხოლო შემდეგ-ში ისევ ჭობარეთი უწოდებია.

სოფელი გაშენებულია ჭობარეთის ხევის ორივე მხარეს. დასახლების ძველი ნაწილი შეფენილია კლდოვან ფერდობზე, რაც შეეხება ახალს, იგი ხევის მარცხენა ნაპირზე, ვაკე ადგილზეა გაშლილი (მოხევიშვილი, 1990: 23)

მნიშვნელოვანია, რომ, როგორც არქეოლოგები მიუთითებენ, სამცხე-ჯავახეთის ადრემიწათმოქმედება იყო ორგანული შემადგენელი ნაწილი მთლიანად საქართველოში გავრცელებული ადრესამიწათმოქმედო კულტურისა, მაგრამ ვინაიდან ის იყო საკონტაქტო ზონა სადაც ვრცელდებოდა როგორც დასავლური, ისე აღმოსავლური კულტურის საგრძნობი გავლენები და მათი ურთიერთმოქმედება, გამოიკვეთა ამ რეგიონის კულტურის სიმბიოზური ხასიათი (ფხაკაძე, №5, 2009: 230). არქეოლოგები სამცხეში ადრესამიწათმოქმედო კულტურას ძვ. წ. აღ-ით IV ათასწლ. I ნახევრის დასასრულს მიაკუთვნებენ (ფხაკაძე, №5, 2009: 230). აქვე აღვნიშნავთ, რომ ეს როლი როგორც ჩანს ისტორიულად ერგო მესხეთს, ვინაიდან სხვადასხვა ისტორიული აუცილებლობიდან გამომდინარე, XX ს–ის 40–იანი წლებიდან აქ თავი მოიყარა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსახლებულებმა, ბუნებრივია თავიანთი კუთხისათვის დამახასიათებელი სამეურნეო გამოცდილებით, რაც ადგილობრივ ტრადიციასა და გეოგრაფიულ პირობებს შეუხამეს.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ დღეს საქართველოს სამთავრობო პოლიტიკის ერთერთ პრიორიტეტს სოფლის აღორძინება წარმოადგენს, 2014 წლის ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით ამისი ნიშნები უკვე ჩანს მესხეთის სოფლებში. სტრატეგიის ნაწილი ითვალისწინებს სოფლის მეურნეობაში კონკურენტული გარემოს შექმნას პროდუქციის წარმოების სტაბილური ზრდისათვის და სიღარიბის აღმოსაფხვრელად, მაგრამ ამ პროგრამის სრულყოფილ განხორციელებას, როგორც გვარწმუნებენ „წვრილ ფერმერული მეურნეობები აფერხებს“, რაც გლეხების ბრალი ნამდვილად არ არის, ის არც მათი „სიზარმაცის“ ბრალია. ეთნოგრაფიული მასალა ცხადყოფს, რომ სოფლის მაცხოვრებელთა უკმაყოფილებას იწვევს მიწების პრივატიზაციის დროს დაშვებული შეცდომები, მისი

არასამართლიანი ხასიათი, კერძოდ, როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ კოლექტივიზაციის დროს მათ ჩამოართვეს ბევრად მეტი მიწა (2;3;4;5,..20 ჰა), პრივატიზაციისას კი დაურიგეს ნაკლები (0,75- ერთ ჰ-დე) და 25 მეასედი სათიბი, რაც არ არის საკმარისი და არ იძლევა მეურნეობის ინტენსიური განვითარების შესაძლებლობას. არ არის მიწის სასოფლო ფონდი შენარჩუნებული, რომ ოჯახის გაერის შემთხვევაში მიეცეთ ახალ მეკომურს მიეცეს საკარმიდამო ნაკვეთი სახლის ასაშენებლად და ამ დროს მათი „მამაპაპეული მიწები შეიძლება უცხოელებმა იყიდონ“.

გასათვალისწინებელია, რომ საბჭოთა სისტემის აგრარულმა პოლიტიკამ, სახე უცვალა სოფელს და შეცვალა ქართველი გლეხის მენტალიტეტიც. ამის ნათელი დადასტურებაა ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალა, რომლის მიხედვითაც თითქმის ყველა სოფელში არიან ძლიერი ოჯახები ვისაც ათი, თხუთმეტი და მეტი მეწველი ძროხა ჰყავს, მაგრამ თავს დასაქმებულად მაინც არ თვლიან. ვფიქრობთ ეს საბჭოური გადმონაშთია, როცა დასაქმებულად მხოლოდ ფაბრიკა–ქარხანაში, ან კოლმეურნეობაში მომუშავე ითვლებოდა.

ქართულ სოფელს საბჭოთა პერიოდში აგრეთვე შინაგანად არღვევდა კოლექტიურ მეურნეობას შეხამებული კერძო საკარმიდამო მეურნეობა, რაც ერთმანეთს უპირისპირებდა კერძო და საზოგადოებრივ ინტერესებს. ტოტალური რეჟიმის მისწრაფების კვალდაკვალ კერძო სექტორის ადგილი და როლის ზრდა აშკარაა. თუმცა მთხრობელთა თქმით საბჭოთა სისტემას ჰქონდა „უპირატესობები“-ც: „იაფი ენერგორესურსები, ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა, შედარებით მოწესრიგებული სოციალური სფერო“ XX საუკუნის 80-90-იან წლებში თითქმის ყველა სოფელში იყო: სკოლა, სამედიცინო პუნქტი, საბავშვო ბაღები და ა.შ. რაც დღეს არა მარტო მესხეთის, არამედ საქართველოს ბევრ სოფელში სანატრელია და ეს ინფრასტრუქტურა ახლიდან არის ასაშენებელი.

საბჭოთა სისტემის კრახის შემდეგ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ისევე, როგორც მთელ საქართველოში, მესხეთშიც მოისპო, მათ შორის, როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ ბევრი ეკონომიკურად მომგებიანი იყო. მაგ: ხიზაბავრის კოლმეურნეობა 1997 წელს სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად გადააკეთეს. კოლმეურნეობას, რომელსაც ჰქონდა დიდი რაოდენობით როგორც წარმოების საშუალებანი,

ასევე გააჩნდა საკმაო რაოდენობის საწარმოო ძალები, ფაქტიურად დაიშალა, მიწების დიდი ნაწილი გადაეცა მოსახლეობას..., ხოლო წარმოების საშუალებათა დიდი ნაწილიკი მიეყიდა“ (ქუქჩიშვილი, 1937: 35).

სოფლად დაბრუნდა ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა, რომელმაც ახალ ვითარებაში ალღო ვერ აუღო აგრარულ ურთიერთობებს, განვითარდა სტიქიური პროცესები, რომლებიც დასარეგულირებელია, მოიშალა სოფლის ინფრასტრუქტურა, ფართო მასშაბი მიიღო მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდობის, გადინებამ, უმუშევრობამ, სიღარიბემ და სხვ.

მშობლიური სოფლის მიტოვება და სხვაგან ბედის ძიება მარტო მესხეთისთვის არ არის დამახასიათებელი, პირიქით შეიძლება ითქვას რომ ზოგიერთი კუთხის დაცარიელების ხარჯზე მესხეთის სოფლები სოლიდურადაც კი გამოიყურება, მაგრამ თუ მაგ. რაჭის დაცლა XX ს-ის 50-იანი წლებიდან იწყება, მესხეთის სოფლებს ეს პრობლემა დღეს აქვთ, ამიტომ ყველა ღონე უნდა იხმაროს მთავრობამ (ადგილობრივმა თუ ცენტრალურმა) რომ ეს პროცესი რაც შეიძლება ნაკლებ მტკივნეული იყოს. ინფრასტრუქტურის მოწესრიგების დაწყებული პროცესი მეტი ინტენსივობით უნდა გაგრძელდეს და რაც მთავარია როგორი პატარა სოფელიც არ უნდა იყოს აუცილებელია იქ სკოლის შენარჩუნება, დრეკანდელ პირობებში სკოლა და სოფლის არსებობა თითქმის იდენტურია.

ჩვენს მიერ მოპოვებული ეთნოგრაფიული მასალის მიხედვით შეგვიძლია გამოვთქვათ მოსაზრება, რომ გლეხები კარგად ერკვევიან ამა თუ იმ სისტემის ავკარგიანობაში, ასე მაგ. ზოგიერთი მთხრობელი კმაყოფილებას გამოთქვამდა კოლმეურნეობაში მუშაობისას მიღებულ შემოსავალზე. „შრომადღეზე ნაწილდებოდა ორი კილო ხორბალი, ასევე ყველაფერი რაც ამ სოფელში მოდიოდა: ყველი, ერბო, თაფლი. მაგ 200 შრომადრეზე მივიღებდით 400 კილო ხორბალს, 400 კგ, კარტოფილს, ყველსაც, თაფლსაც. ერთ დღეში შეიძლება სამი შრომადღე გამოგემუშავებინა, საქმეს გააჩნდა“. მაგრამ, აქვე აღნიშნავენ უარყოფით დამოკიდებულებას კოლმეურნეობების მიმართ, იმ ძალადობას რომელიც მისი შექმნის დროს ხორციელდებოდა, სხვადასხვა იძულებითი ღონისძიებით (გადასახადის გაზრდა, სარწყავი წყლის ჩაკეტვა სათიბ-საძოვრების შემცირება და სხვ.) აიძულებდა სოფლის მოსახლეობას შესულიყო კოლექტივში.

როგორც ეთნოგრაფიული მასალიდან გლეხობა დაზარალდა როგორც კოლმეურნეობების შექმნისას, ისე მისი დაშლისა და მიწების ხელახალი პრივატიზაციის დროს. რადგან კოლმეურნეობის შექმნამდე, „კერძოობის დროს“, „სოფლის მაცხოვრებლებს მიწის სხვადასხვა რაოდენობა ჰქონდა, ზოგს 20 ჰექტარიც ჰქონდა, 5 ჰექტარი ჰქონდა უმრავლესობას, ზოგსაც ნაკლები“. ეხლა ყველას ჰექტარი და ოცდახუთი მეასედი აქვს სათიბიანად, მთიან სოფლებში უფრო ნაკლები, ერთ ჰექტრამდე. ასევე, როგორც ჩანს თანაბრად განაწილება მიწისა სოფლებში მაინც ვერ მოხერხდა, „სათიბი ზოგმა ბევრი აიღო, ვინც რა მოასწრო, იმდენი აიღო“-ო.

სოფლის მაცხოვრებლებს უარყოფითი დამოკიდებულება აქვთ მიწების უცხოელებზე გაყიდვასთან დაკავშირებით „უცხო ვერ მოვა აქ, არ მივყიდით მიწას“-ო, თან დასძენენ იმათ დიდი ნაკვეთები უნდათ, ჰექტარსა და ოცდახუთ მეასედზე ვინ მოვა, ისევ ადგილობრივები ყიდულობენ-ო. აქედან გამომდინარე აშკარაა რომ, როგორც ჩანს ზოგიერთი სამუდამოდ ტოვებს სოფელს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სოფელში ახალშექმნილი ოჯახისთვის მიწის ფონდი არ არსებობს, გაყრის დროს ოჯახის კუთვნილი მიწა იყოფა, რაც სოფლის დაცლის კიდევ ერთ მიზეზად შეიძლება დასახელდეს.

დღევანდელი სოფლის პრობლემებზე მსჯელობისას ზოგიერთი მთხრობელი თვლის რომ კოლმეურნეობები კარგი იყო, რადგან ერთად გვარდებოდა სასოფლო საქმეები, დღეს კი ცალცალკე ამას ვეღარ ახერხებენ. თუმცა ბოლო დროს სოფლისადმი მთავრობის მიერ გამოჩენილ ყურადღებას დადებითად აფასებენ. ასე მაგ. ხიზაბავრაში ბოლო წლებში სოფლის დახმარების პროგრამის ფარგლებში ბევრი სასიკეთო საქმე გაკეთებულა, – გაკეთდა გზა, აქვთ ბუნებრივი აირი (წელს ჩაურთეს), გაკეთდა სასმელი და სარწყავი წყლის სისტემა. სოფლის მაცხოვრებელთა სურვილია აღდგეს ის ინფრასტრუქტურაც რაც „კომუნისტების დროს იყო“, მაგ. სოფლის კლუბი და სხვ. ასეთი სასიკეთო ძვრები შეინიშნება სხვა სოფლებშიც.

ერთი ყველაზე დიდი პრობლემა მესხეთის სოფელში სადაც ჩვენ ვიმუშავეთ (ზველი, ჭობარეთი, ორგორა, საყუვდაბელი, ხიზაბავრა, მუსხი) არის ის, რაც მთელ საქართველოს აწუხებს, უმუშევრობა და ახალგაზრდების მიერ სოფლის

მიტოვებაა. არ შეიძლება არ ავღნიშნოთ, რომ ამაში თავად მშობლებიც აქტიურობენ, „არ მინდა ჩემმა შვილმაც ისე იწვალოს, როგორც მე ვწვალობო“, – გვეუბნება ზოგიერთი მთხრობელი.

გულისტკივილით აღნიშნავენ, რომ კოლექტივში უფრო მეტი მიწა შეიტანეს, ეხლა კი ნაკლები შეხვდათ. „შევიტანე ერთი უღელა ხარი, ორი ჰექტარი მიწა, იყო კაცი 5, 20 ჰექტარი ჰქონდა, იყო კაცი ნახევარ ჰექტარი ჰქონდა. ეხლა დაგვრიგეს ჰექტარი და 25 მეასედი“.

ძველი და ახალი საცხოვრებელი სახლის შერწყმის შესანიშნავი მაგალითი ვნახე სოფელ ხიზაბავრაში, ჩემს მთხრობელს შენარჩუნებული აქვს ძველი მიწურბანიანი საცხოვრებელი (რომელშიც თანამედროვე სტილით აშენებული სახლიდან შედის), მესხეთისათვის დამახასიათებელი „მერცხლისბუდურა“ გადახურვის მქონე დარბაზითა და ყველა საჭირო სათავსებით. მას დღეს იყენებს პროდუქტის შესანახად, საქონლის სადგომად, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ სახლებში ყველაზე დიდი სწორედ ბოსელია, რადგან ძველი დროიდანვე მესაქონლეობა მეურნეობის განვითარებულ დარგს წარმოადგენს მესხეთში.

სოფ. საყუდაბელი პატარა 40-50 კომლიანი სოფელია, ცხოვრობენ ჩამოსახლებული მთიულები, სოფლის მაცხოვრებლები ძირითადად მესაქონლეობას მისდევენ, ზაფხულში მიჰყავთ ნიალის ველზე, როგორც აღმოჩნდა ზოგს ზამთარშიც არ ჩამოჰყავს, ვისაც ბევრი საქონელი ჰყავს, რადგან „იქ იაფი ჯდება საქონლის შენახვა, აქ რომ სამი-ოთხი მანქანა თივა მინდა იქ ერთიც საკმარისიაო“. სოფელს არც სათიბის და არც საძოვრების ნაკლებობა არ აწუხებთ, ოღონდ „უმუშევრობა“-ს უჩივიან. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამ სოფელში ყოფილა ერთი ისეთი ფერმერი, რომელსაც რვა კაცი ჰყავს დასაქმებული, სოფლელებისათვის საკმაოდ მისაღები პირობები,. იმედია მას ბევრი მიმბაძველი გაუჩნდება და სოფელს „უმუშევრობა“ აღარ შეაწუხებს.

როგორც აღვნიშნეთ, ადრე სოფელი ბევრ ცხოვრებისეულ პრობლემას თვითონ აგვარებდა, საერთო სასოფლო გზების მოვლა იქნებოდა თუ სასმელი ან სარწყავი არხების მოვლა. დღეს კი ასეთი „საერთო საქმე“ სოფლისთვის თითქოს არ არსებობს, იმედია ასეთი დამოკიდებულება შეიცვლება და ტრადიცია აღდგება, მაგრამ მთავრობასთან კი გვაქვს თხოვნა

(შეიძლება დავარქვათ მოთხოვნა!), რომ ყველაზე პატარა სოფელშიც კი შეინარჩუნონ სკოლა. რადგან სკოლის არსებობა დღეს სოფლის შენარჩუნების ტოლფასია. იმ სოფლებიდან რომლებშიც ჩვენ ვიმუშავეთ, სოფელი ორგორა არის პირველი რომელიც შეიძლება მალე აღარ იყოს, რადგან სკოლა დაუხურეს და ბავშვიანი ოჯახი ყველა ფიქრობს იქიდან გადასახლებაზე, რომ შვილები უსწავლელი არ დარჩეთ. იმისაანა ქვეყნისათვის როგორიც საქართველოა სოფლების დაცარიელება კატასტროფის ტოლფასია.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბატონიშვილი ვახუშტი, 1973: ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოისა საქართველოისა, თბ., 1973.

ბერიაშვილი, 1973: ლ. ბერიაშვილი, მიწათმოქმედება მესხეთში (ეთნოგრაფიული მასალების მიხედვით) თბ., 1973.

გეგეშიძე, 1961: მ. გეგეშიძე, სარწყავი მიწათმოქმედება საქართველოში, თბ., 1961.

მიმინოშვილი, 1998: ო. მიმინოშვილი, ეთნოგრაფიული მოგზაურობა საქართველოში, თბ., 1998.

ფხაკაძე, 2009: გ. ფხაკაძე, სამხრეთ საქართველოს აღრეჯამიწათმოქმედო კულტურის შესახებ (სამცხე-ჯავახეთი), „ახალები“. №5, 2009.

ქუქჩიშვილი, 1997: ზ. ქუქჩიშვილი, სოფელი ხიზაბავრა, თბ., 1997.

ლაფაჩი, 1990: ც. ლაფაჩი, სოფელ ჭობარეთის ისტორიულ გეოგრაფიული მიმოხილვა. კრბ. ძველი და ახალი ჭობარეთი, რედაქტორი გ. ჯალაბაძე, თბ., 1990.

მოხევიშვილი, 1990: ნ. მოხევიშვილი სოფელ ჭობარეთის განსახლება; საცხოვრებელი და სამეურნეო ნაგებობანი, კრბ. ძველი და ახალი ჭობარეთი, რედაქტორი გ. ჯალაბაძე, თბ., 1990.

ჯვარიძე, 1990: გ. ჯვარიძე, მემინდვრეობა ჭობარეთში, კრბ. ძველი და ახალი ჭობარეთი, რედაქტორი გ. ჯალაბაძე, თბ., 1990.

ჯალაბაძე, 1972: გ. ჯალაბაძე, მასალები მესხეთ-ჯავახეთის ეთნოგრაფიული შესწავლისათვის, თბ., 1972.

ჩიტაია, 1997: გ. ჩიტაია, ეთნოგრაფიული მასალები ტერასული მიწათმოქმედებისათვის ჯავახეთში, „შრომები“, ტ.I. თბ., 1997.

ტივაძე, 1946: გ. ტივაძე, სამცხე-საათაბაგო „გ. ვ. დ. დ.“ მიხედვით, „მნათობი“, თბ., 1946.

Medea Burduli

ETHNOLOGICAL STATE OF MESKHETI MODERN VILLAGE

Summary

It's well known fact that Meskheti was one of the developed economical units of Georgia from the ancient time. It was rich with its natural conditions and developed agriculture.

Our aim is to show the ethnological state of the modern village in Meskheti, to show the changes it has overcome what it has preserved and what it has lost.

The building of the modern houses in the villages of Meskheti has started since 60s of XX c. A kindergarten, boarding school, library ,club, medical service centre, shops and many new modern houses have been built in the village.

According to the Ethnological material, villagers are dissatisfied with the mistakes done in the period of the land privatization. They say that more lands were confiscated during the collectivization, than they were given during the privatization, which is not enough for intensive development of agriculture.

The village fund which supports new households with enough land for building the house and farming is not preserved as well.

One of the biggest problems in the Meskheti villages-(Zveli, Chobareti, Orgora, Sakudabeli, Khizabavra, Muskhi) is unemployment and migration of rural youth.

From the villages we worked Orgora is the first in the list which may no longer exist in the near future, as the school is closed and all the families with children think to leave the village in order not to leave their children without education.

The problem of migration from villages is a disaster for Georgia.

საკვები ველური მცენარეები სამცხე-ჯავახეთში

სადღეისოდ მატერიალური და ყოფითი კულტურის სხვა სფეროსთან შედარებით ხალხურ სამზარეულოში ეთნოგრაფიული სპეციფიკა უფრო მეტადაა შემონახული. ველური მცენარეებისაგან დამზადებული ტრადიციული ხალხური კერძების შესწავლა იმ სახით, რა სახითაც არსებობს ამა თუ იმ ხალხში, საშუალებას იძლევა განვსაზღვროთ, თუ რა სახით პროდუქტებით იკვებებიან სხვადასხვა გეოგრაფიული კლიმატის მქონე რეგიონში მცხოვრებნი, რა არის მათთვის საერთო და რა სპეციფიკური.

წარსულში და დღესაც მრავალი სახის გარეული მცენარეები გამოიყენება საკვებად თუ დასამწნილებლად. მათგან ზოგს მხოლოდ უმად მიირთმევდნენ, ზოგს უმადაც ჭამდნენ და ამწნილებდნენ კიდეც, ზოგისგან კი მხოლოდ საჭმელს ან მხოლოდ მწნილს ამზადებდნენ. შევეხებით ზოგიერთ მათგანს.

1. აკაციის ყვავილი. მოტკბო გემო აქვს. მას მიირთმევდნენ ყოველგვარი დანამატის გარეშე უმად. წარსულში განსაკუთრებული ნუგბარი იყო ბავშვებისათვის.

2. არჯაკელი. „არჯაკელი მხალია“ (ორბელიანი, 1955: 603). „არჯაკელი ტყის მრავალწლიანი ბალახოვანი მცენარე, პარკოსანთა ოჯახისა, ხმარობენ მხლად“ (ქ.ე.გ.ლ. 1986: 38). მის ნედლ ღეროებს ფოთლებიანად კრეფდნენ, გაასუფთავებდნენ, გარეცხავდნენ და მდუღარე წყალში მოთუთქავდნენ. მიღებულ მასას ხახვთან ერთად ერბოში მოშუშავდნენ და საჭმელად მზად იყო. როგორც დელიკატესს, არჯაკელისაგან მხალს დღესაც ამზადებენ.

3. ასკილი. „ეკლიანი ველური ბუჩქი, ისხამს თეთრ ან მოყვითალო ყვავილს“ (ქ.ე.გ.ლ. 1986: 40). საკვებად იყენებდნენ ყვავილსა და მწიფე ნაყოფს, რომელსაც კურკისაგან გაწმენდნენ და უმად მიირთმევდნენ. გამხმარ-გამომშრალ ნაყოფს ჩაის დასაყენებლადაც იყენებდნენ; მისი ყვავილისაგან კი მურაბას ამზადებდნენ.

4. ატოლა. წარმოადგენს ბოლქვს, კარგად ხარობს ფხვიერ და დამუშავებულ მინდორში, განსაკუთრებით პურის ყანებში. საკვებად გამოიყენება ნედლი გაუღივებელი ბოლქვი. მას

მიირთმევდნენ კანგაცლილს უმად. მოტკბო-მომწარო გემოსია. ატოლადან იზრდება შემდეგ სარეველა საკვები ბალახი ღიმი, რომელიც პურის ნათესს ანაგვიანებდა, ამიტომ გაზაფხულზე მოხვნის შემდეგ მისგან საგანგებოდ ასუფთავებდნენ ყანებს (რა თქმა უნდა, კრეფდნენ იმ ნაწილს, რაც მოხვნის დროს ზედაპირზე ამოვიდოდა). ატოლას როგორც საგაზაფხულო ხილს, უმთავრესად ბავშვები და ხანდახან ქალებიც ჭამდნენ.

5. აჭრა-უჭრა. იზრდება ძირითადად პურის ყანებში. საჭმელად იყენებდნენ მის ყვავილებსა და ახალ ნედლ ყლორტებს. ჭამდნენ უმად. მისგან ამზადებდნენ კერძსაც. ახალ ყლორტებსა და ყვავილებს გარეცხავდნენ, მოხარშავდნენ (წამოადუღებდნენ) და ამოწურავდნენ. ტაფაში თუ ქვაბში ერბოში მოშუშავდნენ ხახვს, მასში ჩაყრიდნენ ამოწურულ აჭრა-უჭრას, გემოვნებით დაამატებდნენ მარილს, აურევდნენ და ხელახლა მოშუშავდნენ.

6. ბალბა. იზრდება ფხვიერ და ნოყიერ ნიადაგში. მიწაზე გართხმული მცენარეა. საკვებად იყენებდნენ მის ახალ და ნედლ ყლორტებს ფოთლებიანად. გასუფთავებულ-გარეცხილ ღეროებს მოხარშავდნენ წყალში, გადაწურავდნენ, ჩაყრიდნენ წინდაწინ ერბოში მოშუშულ ხახვში, გემოვნებით მარილით შეაზავებდნენ და ცეცხლზე შემოდგამდნენ მოსაშუშად.

7. ბია (კომში). საკვებად გამოიყენებოდა არა მარტო მისი მწიფე ნაყოფი (ჭამდნენ როგორც ახალ ხილს, ასევე, შემწვარსა და მოხარშულს, ამზადებდნენ მურაბასა თუ კომპოტს), არამედ ჭამდნენ მისი ყვავილის ფოთლებს, რომელსაც სასიამოვნო მოტკბო გემო აქვს. მას განსაკუთრებით ბავშვები ეტანებოდნენ. წარსულში ამ მცენარის ფოთლებსა და ქერქს ჩაის დასაყენებლად იყენებდნენ. ბიის ახალ – მწვანე ფოთოლს მოკრეფენ, ჩრდილში გაახმობენ და საზამთროდ ჩაისთვის შეინახავენ. როცა ჩაის დაყენება უნდათ, ადუღებულ წყალში რამდენიმე ფოთოლს ჩააგდებენ და 5-10 წუთს კიდევ ადუღებენ და სვამენ. ფოთლები თუ შემოელეოდაათ, ხეს მცირეოდენ ქერქს აათლიდნენ და მას აყენებდნენ. მისგან დამზადებულ ჩაის ბიის სურნელება აქვს.

8. გარეული პრასი (ნიორი). იზრდება მინდორში, სათიბ ადგილებში. ჭამდნენ ახალ ღეროს ფოთლებთან ერთად პურისა და მარილის მიტანებით. აქვს ნივრის გემო. გარეულ ნიორს მწნილადაც დებდნენ. მწვანე ღეროებს მოკრეფდნენ ფოთლებიანად, გარეცხავდნენ, გააშუფთავებდნენ, ამოთუთ-

ქავდნენ მდუღარე წყალში და გემოვნებით მარილს დააყრიდნენ. ცოტახანს დატოვებდნენ ასე, რათა მარილი „აიღოს“, შემდეგ ჩადებდნენ ჭურჭელში (ქილაში ან ემალის ქვაბში) და წყალს დაასხამდნენ, გარკვეული ხნის შემდეგ მწნილი მზად იყო. გარეული ნივრის მწნილი საკმაოდ გამძლეა და საზამთროდ ინახავდნენ.

9. გორგოშინა. მიწაზე გართხმული წვრილფოთლება მცენარეა. ყვავილობის შემდეგ იკეთებს პატარა ღილისმაგვარ ნაყოფს, რომელსაც ძირითადად ბავშვები ჭამდნენ ახალ-ახალს, ნედლს, უმად.

10. დანდური. წვრილფოთლება, მიწაზე გართხმული ბალახია, რომელიც იზრდება მდინარის პირას რიყეზე. მისგან ამზადებენ საჭმელსაც, მწნილსაცა და მარინადსაც. საჭმლისათვის გასუფთავებულ გარეცხილ დანდურის ახალ-ახალ ღეროებს ფოთლებითურთ მდუღარე წყალში მოთუთქავდნენ, ამოიღებდნენ წყლიდან, შეაზავებდნენ მარილით და ერბოში მოშუშულ ხახვთან ერთად მოათავსებდნენ ქვაბში თუ ტაფაზე, დააჭრიდნენ მწვანილს (ქინძი, კამა) და ნელ ცეცხლზე მოშუშავდნენ. სამწნილედ მოთუთქულ დანდურს დააყრიდნენ მარილს, ქილაში ჩადებდნენ და წყალს დაასხამდნენ. იგი მალე მუავდება, ამიტომ სახელდახელოდ მოსამზადებელია. ზამთრისთვის არ ინახავდნენ, რადგან ამგვარი ტექნოლოგიით დამზადებული დიდხანს ვერ ძლებს.

11. დიყა. იზრდება ხევებში, წყლისპირს ნესტიან ადგილებში. ჭამენ მის ახალ კანგაცლილ ღეროს მარილით და მარილის გარეშეც. აქვს მოტკბო, ოდნავ მომწკლარტო გემო. ეს მცენარე საკვებად გამოიყენებოდა საქართველოს სხვა კუთხეებშიც. ივ ჯავახიშვილის მითითებით: „ფშავ-ხევსურეთში ხალხი ეტანება და სჭამს ერთ მცენარეს, რომელიც გავრცელებულია მწვანილის სახით და სახელად „დიყი“ ეწოდება. უეჭველია, ამისავე რაჭული შესატყვისობა უნდა იყოს „მდიყი“. ეს მწვანილი საქართველოში ძველადაც ცნობილი ყოფილა, რადგან „დიყა“ ს. ორბელიანსაც მოეპოვება მცენარის პირობითი ნიშნითურთ“ (ჯავახიშვილი, 1986: 237).

12. დუცი. არის ერთგვარი თითქოსდა ბამბა შემოხვეული მსხვილღეროიანი ველური მცენარე (ამიტომ მას ზოგჯერ ბამბის ქულასაც ეძახიან), რომელიც დაუხნავ მინდვრებში იზრდება. საჭმელად ვარგისია მისი ნედლი, კანგაცლილი ღერო.

13. ეკალი. იზრდება მიტოვებულ, დაუხნავ მინდორში. ჭამდნენ მის ახალ ნედლ, კანგაცლილ ღეროს მარილის გარეშე, აქვს მოტკბო გემო.

14. ბაღის გარეული ვარდი. აყვავებულ ვარდს ყუნწიანად მოკრეფენ და ჩრდილში გაახმობენ. ჩაის დასაყენებლად ორსამ თავ ვარდს ჩაერიან ადუღებულ წყალში და ცოტა ხანს კიდევ ადუღებენ. აქვს ვარდის სურნელება და არომატი. სვამენ იმგვარადვე, როგორც სხვა მცენარეებისაგან დაყენებულ ჩაის. ვარდის გაშლილი ყვავილის ფოთლებისაგან ხშირად მურაბას ხარშავენ. ყვავილის ფოთლებს ყუნწებისაგან გაარჩევენ, მოაყრიან შაქრის ფხვნილს და რამდენიმე საათით გააჩერებენ, შემდეგ დაამატებენ გარკვეული რაოდენობის წყალს და იქამდე ადუღებენ, ვიდრე მურაბის სახეს არ მიიღებს.

15. თელახარში. თელახარში დიყის მსგავსი ერთწლიანი მცენარეა. იზრდება ხევებში – ნაკადულის პირზე. იგი კერძის დასამზადებლად არ გამოიყენება და არც უმად იჭმევა. მისგან მხოლოდ მწნილს ამზადებენ. თელახარშს (უფრო სწორედ მისი ფოთლების ღეროებს) დანით მოჭრიან ახალ-ახალს, ფოთლებისაგან გაათავისუფლებენ, ღეროებს გარკვეულ ზომაზე დაჭრიან. მოჭრისას თელახარშის ღეროდან გამოინადენი წვენი კანს წვავს, „აიპეპკება“, როგორც მდუღარე წყლით დამწვარი, ამიტომ ხელშეხვეულნი ჭრიან. თელახარშის მოსატანად სპეციალურად მიდიან ვარძიისკენ და სოფელ ჩუნჩხატენის ბაღებისაკენ (ყველგან არ არის). ამ ხევებში არის ადგილები, სადაც ეს მცენარე უხვად მოიპოვება. ერთ ჯერზე სულ ცოტა ერთი-ორი ტომარა მაინც მოაქვთ. თელახარშის ღეროებს ათი-თხუთმეტი სანტიმეტრის სიგრძეზე დაჭრიან, მდუღარე წყალში ჩაერიან, სამ-ოთხ წუთს წამოადუღებენ, ამოწურავენ, დააერიან მარილს გემოვნებით და ცოტა ხანს გააჩერებენ, რომ მარილი „აიღოს“, შემდეგ ჩადებენ ქოთანსა თუ ხის კასრში (გააჩნია რა რაოდენობითაა) და დაასხამენ ცივ წყალს. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ მუავე საჭმელად მზად არის (იველაშვილი, 1991: 72).

16. კვრინჩხი. მრავალწლიანი ბუჩქოვანი მცენარეა, რომელიც იზრდება უმთავრესად ველის სარტყელსა და ტყისპირებში. კვრინჩხის ბუჩქები განსაკუთრებით მრავლადაა ადიგენის რაიონში. საჭმელად გამოიყენება მისი მწიფე ნაყოფი. ამზადებენ მურაბებსა და კომპოტს, რომელიც სასიამოვნო არომატით ხასიათდება.

18. კოფჩხილა. ერთწლიანი მცენარეა. იზრდება ყანისპირებში, ხღვრებსა (ყანასა და ყანას შორის მოუხნავად დარჩენილ დამრეცი ადგილი) და ნაწილობრივ ბაღებში. ჭამენ მის ახალ, კანგაცლილ ღეროს. აქვს ოდნავ მომწარო გემო, ფოთლებიანად კი ამწნილებენ. დამუავება ისევე ხდება, როგორც ღიმისა. წარსულში კოფრჩხილის მუავე ღიმის მუავეს ტოლს არ უდებდა. შემდეგ თანდათან პოზიცია დათმო და ახლა მას იშვიათად თუ ამუავებს ვინმე (იველაშვილი, 1991: 72).

19. კორკოტინა. ერთწლიანი მრგვალფოთლიანი ჯუჯა ბალახია, რომლის ახალ ნაყოფს – თესლს (პატარა მრგვალი ღილის ფორმისაა) უმად ჭამენ. მისი ახალი ლორქო ფოთლებისაგან კი შეჭამანდსაც აკეთებენ, იმგვარად როგორც ჭინჭრისაგან.

20. კოწახური. დაბალტანიანი მრავალწლიანი ბუჩქოვანი მცენარეა. ჭამენ მის ახალ – ლორთქო ფოთლებს, აქვს მომუაო-სასიამოვნო გემო. კოწახურის მწიფე ნაყოფს კი იყენებენ კუპატისა და, საერთოდ, ხორცისაგან ზოგიერთი კერძის მომზადების დროს.

21. მარმიჭი. ერთგვარი სურნელოვანი ბალახია, რომელიც უფრო მეტად მთაში ხარობს. მას ყვავილობის დროს კრეფენ, კონებად კრავენ და ჩრდილში აშრობენ, მისგან ჩაის ისევე აყენებენ, როგორც კომშის ფოთლებისაგან. მარმიჭის ჩაი განსაკუთრებული სურნელებითა და არომატით გამოირჩევა. მცენარე „იზრდება მორენებზე, კლდეთა ნაპრალებში, ქვიან ჩამონაზვავებზე და მდელოებზე, ზღვა ალპურ, უფრო იშვიათად ქვედა ალპურ სარტყელში“ (საქართველოს ფლორა, 1949: 431).

22. მინდვრის მარწყვი. იზრდება ტყისპირში, მდელოებსა და ბალახოვან ფერდობებზე. მის მწიფე ნაყოფს ყოველგვარი მისატანებლის გარეშე ხილად მიირთმევენ. არის მეტად არომატული, მისგან მურაბასაც ამზადებენ.

23. მატიტელა. ერთგვარი სტაფილოს მოყვანილობის მოყვითალო ფერის ბოლქვიანი მცენარეა. იზრდება მდელოებზე და მთაში ალპურ საძოვრებზე. მის ბოლქვებს კანს მოაცლიან და ჭამენ უმად ახალ-ახალს.

24. მუაუნა. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით „მუაუნა ბოსტნეული მატიტელთა ოჯახისა; აქვს მოგრძო მუავე ფოთლები, რომელიც იხმარება საჭმელად“ (ქ.ე.გ.ლ. 1986: 341). სამცხე-ჯავახეთში იგი იზრდება ველურად ხევებში, წყლისპირას, ნესტიან ადგილებში, არის მომრგვალო

ფორმის მომცრო ფოთლებით. ჭამენ უმად მის ახალ ფოთლებსა და ნედლი ღეროს თავებს, რომელიც მომჟაო-მხე გემოსია.

25. ნაცარქათამა. „ერთწლოვანი სარეველა ბალახი, აქვს მონაცრისფერო-მწვანე ფოთლები და ძალიან წვრილი ყვითელი ყვავილი. ფოთლებს მხალად ხმარობენ“ (ქ.ე.გ.ლ. 1986: 341). იზრდება ნოყიერ რბილ (ძირითადად საბოსტნედ გამზადებულ) ნიადაგში. ახალ-ახალ ყლორტებს იყენებენ ფხალეულისა და წვნიანი შეჭამანდის მოსამზადებლად. ნაცარქათამის ახალ ყლორტებს მოკრეფენ, გარეცხავენ და მოხარშავენ. მოხარშულს გადაწურავენ, ჩაკეპავენ ასტმით და ერბოში შემწვარ ხახვში ჩაყრიან, შეაზავებენ მარილით და ამგვარად ჩახრაკავენ-ჩაშუშავენ. ცოტა ხნის მერე დაასხამენ რამდენიმე ათქვეფილ კვერცხს. კარგად აურევენ და როცა კვერცხიც შეიწვება, საჭმელი მზადაა. აკეთებენ ნაცარქათამას წვნიანსაც. მოხარშავენ და შემდეგ წვენშივე ჩაასხამენ ერბოში მოხრაკულ ხახვს, ჩაახლიან რამდენიმე კვერცხს (გემოვნების მიხედვით), შეაზავებენ მარილით და ამგვარ წვნიანს მიირთმევენ.

26. პანტა. იზრდება ველურად ტყეში. მწიფდება შემოდგომით. სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის რაციონში მის ნაყოფს საკმაოდ დიდი გამოყენება ჰქონდა. ყოველი ოჯახი სახამთროდ საგანგებოდ იმარაგებდა რამდენიმე ტომარას. ამისათვის შემოდგომით ტყეში ცხენებით მიდიოდნენ და ჯერაც დაუმწიფებელ პანტას დაკრეფდნენ, რამდენიმე ტომარას გაავსებდნენ (რამდენსაც ცხენი ზიდავდა), მოიტანდნენ და სახლის ბნელ კუთხეში თივაზე გაშლიდნენ. პანტა ნელ-ნელა მწიფდებოდა და როგორც ახალ ხილს ისე მიირთმევდნენ.

პანტას არა მხოლოდ ხილად მიირთმევენ, არამედ მისგან ჩირისა (პანტის ხმელის) და მწნილის სახით სახამთრო მარაგსაც აკეთებდნენ. დამწიფებულ პანტას ნელ-თბილ (პურგამოვლილ ფურნეში შეყრიდნენ და რამდენიც უნდათ, იმდენს ერთ ღამეში გაახმობდნენ. გამხმარ პანტისხმელს ინახავდნენ სახამთროდ. გარდა ამისა, მწიფე პანტას მზეზეც აშრობდნენ სალათებზე დაყრილს თუ ძაფზე ასხმულს, მაგრამ ამგვარად გამოშრობას დიდი დრო უნდა (ერთი-ორი კვირა), ამიტომ ფურნეში გამოშრობას ამჯობინებდნენ.

დასამწნილებლად გასუფთავებულ გარეცხილ შემწიფებულ პანტას ჩააწყობდნენ დიდი ზომის ქოთანში, მარილიან წყალს დაასხამდნენ, თავს დაახურავენ და დადგამდნენ. პანტა გვიან მუავდება, ამიტომ მისგან შემოდგომით ჩადებული მუაც გვიან

გაზაფხულამდე გაჰყვებოდა ოჯახს. წარსულში ყველა ოჯახი ეზიდებოდა ტყიდან პანტას ტომრებით და ბუნებრივია, ბევრი ოჯახი ამუაებდა კიდეც. დღეისათვის პანტის მჟავე რამდენადმე ი'შვიათობას წარმოადგენს, რადგან მოსახლეობის მიერ ტყეში პანტის დარხევა და კრეფა ისეთი ინტენსიურობით ალარ ხდება, როგორც ეს წარსულში იყო.

27. პიტნა. გარეული პიტნა ხევის პირებზე ნესტიან ადგილებში იზრდება. წარსულში მას ფართოდ იყენებდნენ სხვადასხვა სახის კერძის შეზავებისას. განსაკუთრებით მირებული იყო და მოწონებით სარგებლობდა პიტნაში გადაზელილი ყველი. მას ჩაის დასაყენებლადაც ხმარობდნენ. პიტნის ჩაის ისევე აყენებდნენ, როგორც ბიის ფოთლებისას, მაგრამ პიტნას შედარებით ნაკლებს ყრიდნენ, რადგან მწარეა. ამ ჩაის ორ-სამ დღეში ერთხელ სვამდნენ. მას სასიამოვნო სუნი და არომატი აქვს. პიტნას არა მარტო ნედლი, არამედ, განსაკუთრებით ზამთარში გამშრალი სახითაც მოიხმარდნენ. მარაგის შექმნის მიზნით ნედლ და ახალ ყლორტებს მოკრეფდნენ, კონებად შეკრავდნენ და გასაშრობად ჩრდილში ჩამოჰკიდებდნენ.

28. სვინტრი-საცაცური (მელიკუდა). იზრდება ნესტიან ადგილებში. მისი ნედლი მოხარშული ღეროებისაგან ამზადებენ სხვადასხვა სანელებლებით შეზავებულ ფხალეულს. ასევე მოხარშულ საცაცურს კვერცხთან და ხახვთან ერთად ერბოში ჩაშუშავენ-ჩახრაკავენ. მოკრეფილ სვინტრს დაამტვრევენ წვრილად, გარეცხავენ. მოხარშავენ, გადაწურავენ საწურში და დაკეპავენ. ხახვს შეწვავენ ერბოში და შემდეგ დაკეპილ სვინტრს ჩააყრიან, ზომაზე მარილს მოაყრიან, ერთ-ორ ათქვეფილ კვერცხს მოასხამენ და კარგად მოურევენ. ცოტა ხანს კიდევ გააჩერებენ ცეცხლზე და საჭმელიც მზადაა. შეიძლება ითქვას, რომ სვინტრის საჭმელი გაზაფხულზე თითქმის ყოველდღიურად ერთ-ერთი კერძია სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობისათვის (იველაშვილი,1991: 67-68).

29. სოკო. სამცხე-ჯავახეთის მთასა თუ ბარში მრავალი სახის სოკო იცის, მაგრამ, ძირითადად, ქამა სოკოს იყენებენ საკვებად. ქამა სოკო არის საჭმელი და შხამიანიც, რომლის ჭამაც არ შეიძლება. ხალხის დაკვირვებით, შხამიან ქამა სოკოს ზემოდან ქუდის ნაპირები ჩაყვითლებული აქვს, ხოლო საჭმელი სოკო კი ერთნაირი თეთრი ფერის ქუდითაა. რომ დათბება და წვიმები დაიწყება, სოკო მაშინ იზრდება საძოვ-

რებსა და ყიშლებში. განსაკუთრებით ბევრია ცხვრის სადგომის ახლო-მახლო. სოკოს კრეფა მაისიდან იწყება და ივლისის ბოლომდე გრძელდება. მართალია, მერეც თბილა, მაგრამ ასე უხვად აღარაა და თუნდაც იყოს, ხალხი აღარ კრეფს.

სოკოსაგან, ძირითადად, ერთი სახის საჭმელი კეთდება. მოკრეფილ სოკოს გაარჩევენ (ჭიანი არ შეეყვეს), ქუდს სამ-ოთხ ნაწილად დატეხავენ და წყალში ჩაერიან გასარეცხად. ერბოში ჩახრაკავენ ხახვს და მასში ჩაერიან გარეცხილ სოკოს, მოაყრიან მარილს, ქვაბს თუ ტაფას თავსახურს დაახურავენ და ჩაშუშავენ.

სოკოს ჩახრაკვისას ჩაახლიან რამდენიმე კვერცხს და კარგად აურევენ. კვერცხი რომ შეიწვება, სოკოს საჭმელი მზად არის. ამგვარად მომზადებული კერძი ძალიან არომატული და გემრიელია, ოდნავ გაკრავს შემწვარი ბატკნის ხორცის გემო.

სოკოს ყოველგვარი დამატების გარეშეც წვავენ ცეცხლზე. ქუდს ძირში მოატეხავენ ფეხს - ღეროს. მოხატეხზე დაკვირვებით შეამოწმებენ, ჭია ხომ არ არის შესული. სუფთა სოკოს ქუდს გულში (ფირფიტების მხარეს) ჩაერიან მარილს და ნაკვერჩხალზე დადებენ შესაწვავად. შეწვის დროს გულში წვენი ჩადგება, როცა შეიწვება გადმოიღებენ ცეცხლიდან, ჯერ წვენს დალევენ (რომელიც სხვათა შორის ძალიან არომატულია) და მერე შემწვარს შეჭამენ. ამგვარად შემწვარ სოკოს ყოველგვარი მისატანებლის გარეშე ჭამენ.

სხვა სახის სოკოებიდან **ხის სოკოს** სამწინილედ იყენებენ ამ მხარეში რუსეთიდან მოყვანილი რძლები, ხოლო ტყიან ადგილებში (განსაკუთრებით ადიგენისა და ბორჯომის რაიონებში) ხალხი სხვა სახის ტყის სოკოებსაც იყენებს საკვებად (იველაშვილი, 1991: 69).

30. ტიტა. ყვითელ ყვავილიანი ოვალური მოყვანილობის ფოთლებიანი მცენარეა. იჭმევა მისი კანგაცლილი ღერო, ვიდრე ახალია (ნედლია), ოდნავ მომწარო გემოსია, ჭამენ მარილის მიტანებით.

31. ფამფარა. „ფამფარა მცენარეა, იჭმევა“ (ბერიძე, 1981: 127). ვიწრო, გრძელფოთლიანი რძიანი ბალახია. იზრდება მინდორში, სათიბ ადგილებსა და ყანებში. იჭმევა ახალი, ლორთქო ღერო ფოთლებიანად; ჭამენ მარილთან ერთად. როდესაც „აიღერება“ (ღეროსა და საყვავილე თავს გაიკეთებს), უკვე დაბერებულია და საჭმელად აღარ ვარგა (იველაშვილი, 1991: 92) გარდა საკვებად გამოყენებისას, მისგან კვესაც ამზადებენ.

ფამფარა ხმობას რომ დაიწყებს, ღეროდან „რძე“ გარეთ გამოდის და ზედ ახმება ყავისფრად. ამ ყავისფერ მასას შეაგროვებენ და დაღეჭავენ. უმეტესად ბავშვები აგროვებენ და კევად ღეჭავენ. ღეჭვის პროცესში ეს ყავისფერი მასა ფერს იცვლის – თეთრდება და თან იწელება. ფამფარის კევი ხანმოკლე, ფაქტობრივად ერთჯერადი ღეჭვისთვისაა განკუთვნილი და მეორედ დასაღეჭად აღარ ვარგა.

32. ღიმი. ღიმი პურის ყანებში იზრდება. ძალიან კარგი სამწილე ბალახია (მცენარეა). მისი მოკრეჭა იწყება, როცა ნიადაგიდან ღერო თავს ამოყოფს და ერთ ციდაზე ან მტკაველზე წამოიზრდება. ღიმს და მის მიწისქვეშ მყოფ ღეროსაც ფოთლებს გააცლიან, ბოლოს წააჭრიან, გარეცხავენ და მდუღარეში ამოთუთქავენ, ხუთ წუთს გააჩერებენ. გათუთქულ ღიმს მარილს ზომაზე დააყრიან და აურევენ, მერე ჩადებენ ქოთანსა თუ ემალის ვედროში, დაასხამენ ცივ წყალს (წყალმა ღიმი უნდა დაფაროს). დაახლოებით ცხრა-ათი დღის შემდეგ დამჟავებულია და მისი ჭამა შეიძლება. ღიმის მჟავე სასაფხულოა, მაგრამ ზამთრისთვისაც ინახავენ. მის ნედლ ღეროებს ჭამენ უმადაც და ერთგვარ ფხალსაც ამზადებენ (იველაშვილი, 1991: 71).

33. ღოლო. „მრავალწლიანი მცენარე მატიტელასებრთა ოჯახისა: იზრდება ნათესებში, ვენახებსა და ბაღებში იჭმება“ (ქ.ე.გ.ლ. 1986: 462). მისი ფოთლები საკმაოდ ფართეა, დაახლოებით 5-8 სანტიმეტრის სიგანის. საკვებად გამოიყენება ნედლი ფოთლები. მისგან ამზადებენ სხვადასხვა სახის კერძებს (ჩახრაკული, წვნიანი და სხვა). გარეცხილ-გასუფთავებულ ფოთლებს მოხარშავენ, წყლიდან ამოწურავენ, დაკეპავენ და ერბოში მოშუშულ ხახვთან არეულს ჩაყრიან ჭურჭელში, შეაზავებენ მარილით, ჩაახლიან კვერცხს და მოხრაკავ-ჩაშუშავენ ნელ ცეცხლზე.

ღოლოს წვნიანს აკეთებენ ხორბლის ფქვილთან ერთად. მოხარშულ ფოთლებს კარგად გაქნიან თავისსავე ნახარშ წვენში, დაამატებენ ერბოში მოშუშულ ხახვს, გემოვნებით მარილს და ხელახლა წამოადუღებენ. დუღილის დროს გარკვეული რაოდენობის ხორბლის გაცრილ ფქვილს ნელნელა ამოუკიდებენ ისე, რომ არ დაიმურკლოს. ამ ნაზავს რამდენიმე წუთს კიდევ ადუღებენ და საჭმელი მზად არის.

ღოლოს ნედლ ფოთლებს საზამთროდაც იმარაგებენ. დაკრეფილ ფოთლებს დაწნავენ თმასავით და ჩრდილში გამჭოლ

ჰაერზე გასაშრობად ჩამოჰკიდებენ. გამომშრალ ფოთლებს ტილოს პარკში ჩააწყობენ და შეინახავენ. მისგან საჭმელს იმავე წესით ამზადებენ, როგორც ნედლისაგან.

34. ყაყაჩო. მინდვრის ყაყაჩოს (პურის ყანებში ამოსული) გაუშლელ ყვავილებს იყენებდნენ საჭმელად. მას ძირითადად პატარები მიირთმევდნენ.

35. წიწმატურა. გარეული წიწმატი ამ სახელითაა ხალხში ცნობილი. მის ახალ-ახალ ნედლ ღეროებსა და ფოთლებს მარილის მიტანებით ჭამენ.

36. ჭინჭარი. მის ლორთქო ფოთლებს და ღეროებს ფხალეულის მოსამზადებლად იყენებენ. გარდა ამისა, მისგან წვნიან და შედარებით მშრალ (ჩაშუშულ) კერძებსაც ამზადებენ. ჩაშუშული ჭინჭარი ისევე კეთდება, როგორც სვინტრი. წვნიანი შეჭამანდის გაკეთებისას მოხარშულ ჭინჭარს თავის ნახარშ წვენში გააჩერებენ, ცალკე, ერბოში მოწალავენ ხახვს და ამ ნახარშზე დაასხამენ, შეაზავებენ მარილით, რამდენიმე ათქვეფილ კვერცხს დაახლიან, მოურევენ, ცოტა ხანს კარგად ადუღებენ და შეჭამანდი მზადაა. გაზაფხულის მარხვის დროს სვინტრისა და ჭინჭრის შეჭამანდი ზეთზე კეთდება.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სამცხე-ჯავახეთის მოსახლეობის ტრადიციული ხალხური სამზარეულო სეზონურად სხვადასხვა სახის გარეული მცენარეული კერძებით მეტად მრავალფეროვანი იყო, რომელიც კარგი გემოვნებით გამოირჩეოდა. საერთოდ, ველური ფხალეულისაგან დამზადებულ კერძებს არა მარტო სამცხე-ჯავახეთის, არამედ საქართველოს სხვა კუთხეების მოსახლეობის სეზონური კვების რაციონში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა.

აქვე უნდა აღინიშნოს ძველ წყაროებში დაცული ცნობების ღირებულება კვების შესახებ. ქართული ჰაგიოგრაფიული ძეგლები, კერძოდ, გიორგი მერჩულის „წმ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“ მოწმობს, რომ ბერმონაზვნები საკვებად დაუმუშავებელ, მოუხარშავ და ჩაუშუშავ მცენარეებს იყენებდნენ, რასაც მოწმობს ტექსტში მათ შესახებ გამოყენებული ტერმინი „მძოვარი“. ამგვარი ფაქტები ბიზანტიურ, სირიულ და სხვა ენებზე შემონახულ თხზულებებშიც არის დაცული, რადგან შავი სამღვდელოება ძირითადად ბუნების წიაღში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, საკვებიც, შესაბამისად, მხოლოდ უმი მცენარეულობა იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბერიძე, 1981: ვ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, თბ., 1981.

ივლაშვილი, 1991: ო. ივლაშვილი, ხალხური სამზარეულო, თბ., 1991.

სულხან-საბა ორბელიანი, 1966: სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, 1, თბ., 1966.

ქ. ე. გ. ლ., 1986: ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, 1986.

საქართველოს ფლორა, 1949: საქართველოს ფლორა, ტ. 5, თბ., 1949.

ჯავახიშვილი, 1986: ივ. ჯავახიშვილი, თხზ. ტ. 5, თბ., 1986.

Tina Ivelashvili

EATABLE WILD PLANTS IN SAMTSKHE-JAVAKHETI

Summary

Studying traditional folk dishes made of wild plants gives us an opportunity to define how people living in different geographical regions are being fed, what is common for them and what is specific. A lot of wild plants were used in the past and are still used today as a food in Samtskhe-Javakheti. Some of them are eaten raw, others are eaten pickled. Studied material shows us that Samtskhe-Javakheti kitchen is rich in traditional, folk plant dishes which contain high calories and are very delicious.

ციცინო მავზარაშვილი

სოციალური სტრესის გავლენა ალტერნატივათა გადაფასებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს და ფიქსირებულ განწყობაზე

პიროვნების ქცევაზე სტრესის გავლენით ბევრი თანამედროვე ფსიქოლოგია დაინტერესებული. სტრესის ცნება ფსიქოლოგიაში პირველად შემოიტანა კანადელმა მეცნიერმა ჰ. სელიემ. მისი აზრით, „სტრესი არის ორგანიზმის არასპეციფიკური პასუხი მის მიმართ წაყენებულ მოთხოვნებზე" (სელიე, 1982: 27). სამეცნიერო ლიტერატურაში პიროვნების სტრესული მდგომარეობის დასახასიათებლად ცნება „სტრესულის" გარდა, გამოიყენება ისეთი ცნებები, როგორებიცაა: „ექსტრემალური", „კრიტიკული", „განსაკუთრებული", „გართულებული", „ემოციური", „უჩვეულო", „დაძაბული". სტრესის გამომწვევ ფაქტორს სტრესორი ეწოდება. სტრესორი, ანუ სტრესის გამომწვევი მიზეზი, შეიძლება იყოს ფიზიკური, ბიოლოგიური და ფსიქოლოგიური, ხოლო ფსიქოლოგიური ფაქტორი შეიძლება იყოს ჯგუფური ან ინდივიდუალური, ანუ სოციალური ან პიროვნული. სტრესის ფსიქოლოგიაში გავრცელებული სტრესული მდგომარეობის დახასიათებაში, როგორც წესი, ხაზგასმით არის აღნიშნული, რომ სტრესული მდგომარეობა ხასიათდება რომელიმე, მათ შორის შფოთვის, ემოციის აღმოცენებით და გაზრდით, გარემოსთან ადამიანის /ან ცხოველის/ ადაპტაციის გაძნელებით; ხოლო სტრესოგენული სიტუაცია ისეთი სიტუაციაა, რომელიც აღნიშნულ ძვრებს იწვევს ადამიანში /ან ცხოველში/. მასთან ახლავს ძალიან ძლიერი ემოცია - დადებითი ან უარყოფითი. სტრესულ მდგომარეობას, როგორც წესი, იწვევს როგორც უარყოფითი ფაქტორები, აგრეთვე ძლიერი დადებითი ემოციაც. მაგალითად, ფრანგ ფსიქოლოგს, პ. ფრესს, აღწერილი აქვს შემთხვევა თავის ერთ-ერთ პაციენტ ქალბატონთან, რომელსაც გამოწერილი ჰქონდა ავეჯი მაღაზიიდან და ავეჯი მასთან უნდა მოეტანათ მეორე დღეს; მას ეს ავეჯი მოულოდნელად მოუტანეს ერთი დღით ადრე. იმდენად ძლიერი იყო ავეჯის მოტანით გამოწვეული სიხარული, რომ ქალბატონმა მიიღო ნერვული სტრესი და აღმოჩნდა პ. ფრესის

კლინიკაში სამკურნალოდ. ზოგიერთ შემთხვევაში სტრესის გამომწვევი მიზეზი არის უშუალოდ ის საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს პიროვნება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში ადამიანის საქმიანობა არ არის სტრესის გამომწვევი, მაგრამ მიმდინარეობს სტრესის პირობებში. მივაქციეთ რა ყურადღება სტრესულ მდგომარეობაში ადამიანის ფსიქოლოგიური დახასიათების მნიშვნელობას, ჩვენ დავინტერესდით ისეთი საკითხებით, როგორებიცაა გადაწყვეტილების მიღების დროს ალტერნატივათა მიმზიდველობების ცვლილება /რაც ფსიქოლოგიაში ცნობილია ალტერნატივათა გადაფასების სახელწოდებით/ და ფიქსირებული განწყობა. აღნიშნული საკითხების აქტუალობა გამოწვეულია მათი ფუნქციების აქტუალობით, რადგან ადამიანის ყოველგვარი საქმიანობა როგორც ნეიტრალურ, ასევე სტრესულ მდგომარეობებში გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას, აგრეთვე გარემო სინამდვილეში მიზანშეწონილი აქტივობის განხორციელებას.

გადაწყვეტილების მიღების ფსიქოლოგიური მექანიზმის შესწავლისას 1956 წელს კოგნიტური დისონანსის თეორიის ავტორმა ლ. ფესტინჯერმა პირველმა მიუთითა იმ ფაქტზე, რომ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ამორჩეული ალტერნატივის მიმზიდველობა იზრდება და უკუგდებული ალტერნატივის მიმზიდველობა მცირდება. ამ ფაქტმა გამოიწვია კვლევების მთელი რიგი, რომელთა დროს გამოვლინდა გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ალტერნატივათა გადაფასების აღმოცენება საპირისპირო სახითაც, ანუ ამორჩეული ალტერნატივის მიმზიდველობის შემცირება და უკუგდებული ალტერნატივის მიმზიდველობის გაზრდა; გარდა ამისა, გამოვლინდა ალტერნატივათა გადაფასების აღმოცენება არა მხოლოდ გადაწყვეტილების შემდეგ, არამედ გადაწყვეტილების წინაც – ანუ გადაწყვეტილების მოსამზადებელ პერიოდში. თანამედროვე ფსიქოლოგიაში არ არის მიღწეული თანხმობა ალტერნატივათა გადაფასების ფსიქოლოგიური მექანიზმის და მისი აღმოცენების სტადიის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დროს. გადაწყვეტილების მიღების დროს ალტერნატივათა გადაფასების აღმოცენების სტადიის და მისი ფსიქოლოგიური მექანიზმის საკითხს ჩვენ განვიხილავთ დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიურ თეორიასთან კავშირში, ნებელობითი პროცესების კონტექსტში, სადაც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ინტელექტუალური და მოტივაციური პროცესები. სტრესულ მდგო-

მარეობაში, როცა ალტერნატივები არ წარმოადგენენ სტრესორებს /დამაზიანებელ ფაქტორებს/, ინტელექტუალური და მოტივაციური პროცესები მიმდინარეობენ ხარვეზებით, როგორც გადაწყვეტილების წინ, ისე მის შემდეგ, რაც თავისებურ გავლენას ახდენს ალტერნატივათა გადაფასებაზე. დ. უზნაძის განწყობის ზოგადფსიქოლოგიური თეორიის მიხედვით, პიროვნების მიზანშეწონილი აქტივობის საფუძველს წარმოადგენს პიროვნების განწყობა. სტრესული მდგომარეობის გავლენას ფიქსირებულ განწყობაზე ჩვენ განვიხილავთ გარემოსთან ადამიანის ადაპტაციასთან კავშირში, რადგან ადაპტაციური აქტივობის ერთადერთ მექანიზმს პიროვნების განწყობა წარმოადგენს. ჩვენ დავინტერესდით, გამოგვეკვლია სტრესულ სიტუაციაში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ალტერნატივების გადაფასების საკითხი, როდესაც პიროვნების საქმიანობა არ წარმოადგენს სტრესის გამომწვევ მიზეზს.ამ მიზნით დავგეგმეთ და ჩავატარეთ ექსპერიმენტების 6 სერია: 4 სერია წინა საგამოცდო სიტუაციაში საგაზაფხულო სესიის დროს და საკონტროლო ექსპერიმენტის 2 სერია ჩავატარეთ ზაფხულის პრაქტიკის პერიოდში. ორივე შემთხვევაში ჩვენ ცდის პირებს ვაძლევდით 6 საფეხურიან სკალას 0-დან +5-ის ჩათვლით და ვავალებდით მათ, რომ 6 საფეხურიან სკალაზე აღენიშნათ, ღელავდნენ თუ არა – და თუ ღელავდნენ, რამდენად, ანუ რომელი რიცხვით აღნიშნავდნენ თავიანთი შფოთვის დონეს; აგრეთვე ვავალებდით ცდის პირებს, დაესახელებინათ თავიანთი შფოთვის მიზეზი. როგორც წესი, წინა საგამოცდო სიტუაციაში ცდის პირები აღნიშნავდნენ, რომ მათ ჰქონდათ მაღალი შფოთვის დონე გამოცდის გამო, ხოლო საზაფხულო პრაქტიკის პერიოდში ცდის პირები აღნიშნავდნენ, რომ მათი შფოთვის დონე იყო 0 – ნულოვანი. მაშასადამე, ექსპერიმენტების სერიებში ვახდენდით ორი ფაქტორის ვარირებას: სიტუაციის და გადაწყვეტილების მიღების სტადიის. ექსპერიმენტი მდგომარეობდა შემდეგში: ჩვენ თითოეულ ცდის პირს გამოცდაზე შესვლის წინ ვაძლევდით 20 პიროვნული თვისების სიას და შემდეგ ინსტრუქციას: „თქვენ გეძლევათ იმ 20 პიროვნული თვისების სია, რომლებიც ჩვეულებრივ გამოიყენებიან ხოლმე ადამიანის დასახასიათებლად. შეაფასეთ თითოეული ეს თვისება თერთმეტსაფეხურიან სკალაზე (-5 –დან +5 –მდე, 0-ის ჩათვლით) იმის მიხედვით, თუ რამდენად უნდა ახასიათებდეს იგი, თქვენის აზრით, ლექტორს – გამომ-

ცდელს. მაქსიმალურად სასურველ თვისებას მიანიჭეთ შეფასება „+5“, მაქსიმალურად არასასურველს - „-5“, ხოლო „0“ კი მიანიჭეთ ისეთ თვისებას, რომელიც, თქვენის აზრით, სულ ერთია, ექნება ლექტორს-გამომცდელს, თუ არა“. ამ დავალების შესრულების შემდეგ ცდის პირი შედიოდა გამოცდაზე.

7-10 დღის შემდეგ ჩვენ კვლავ ვხვდებოდით იმავე ცდის პირებს, რომელთაც ისევ ჰქონდათ გამოცდა. ჩვენ მათ ისევ ინდივიდუალურად, გამოცდაზე შესვლის წინ, ვუტარებდით ექსპერიმენტის შემდგომ პროცედურას, მაგრამ ჯერ ვავალებდით თითოეულ ცდის პირს, 6 საფეხურიან სკალაზე (0-დან +5–ის ჩათვლით) შეეფასებინა საკუთარი შფოთვის დონე იმ მომენტში. თითქმის ყველა ცდის პირს შფოთვის დონე მაქსიმალური ჰქონდა. ამის შემდეგ ჩვენ თითოეულ ცდის პირს ვაძლევდით ორ ბარათს, რომლებზედაც მოცემული იყო ოთხ-ოთხი პიროვნული თვისება. ცდის პირს ვაძლევდით ინსტრუქციას: „მოცემული თვისებების მიხედვით წარმოიდგინეთ ორი სხვადასხვა ლექტორი და წარმოიდგინეთ, რომ მათ წაიყვანეს სტუდენტთა ჯგუფი ექსკურსიაზე. თქვენი აზრით, როგორ მოიქცევა თითოეული ლექტორი ექსკურსიაზე?დაახასიათეთ მათგან მოსალოდნელი ქცევა!“ პირველი ლექტორის დამახასიათებელი თვისებები იყო: კეთილი, ოპტიმისტური, მომხიბვლელი და დამთმობი; მეორე ლექტორის თვისებები იყო: ყურადღებიანი, პრინციპული, მშვიდი და მკაცრი. ეს თვისებები ალებული გვქონდა იმ 20 თვისებიდან, რომელთაც ცდის პირები აფასებდნენ ექსპერიმენტის დასაწყისში. ცდის პირებს დავალების შესასრულებლად სჭირდებოდათ დაახლოებით 4–5 წუთი. ამის შემდეგ ჩვენ თითოეულ ცდის პირს ვაძლევდით შემდეგ ინსტრუქციას: „წარმოიდგინეთ, რომ ამ ორივე ლექტორმა მოგცათ სამეცნიერო ხასიათის დავალება, რომელიც ვერ შეასრულეთ მოცემულ ვადაში და არც საპატიო მიზეზი გაქვთ თავის გასამართლებლად. თქვენის აზრით, როგორ მოიქცევა თითოეული მათგანი? დაახასიათეთ თითოეული ლექტორისაგან მოსალოდნელი ქცევა!“ ამ დავალების შესრულების შემდეგ ჩვენ ცდის პირებს ვაძლევდით მესამე დავალებას: „წარმოიდგინეთ, რომ ეს ორივე ლექტორი ატარებს გამოცდას. საგამოცდო პროგრამა ძალიან კარგად იცით, მაგრამ გაქვთ ძალიან ბევრი გაცდენა არასაპატიო მიზეზით. თქვენი აზრით, როგორ მოიქცევა თითოეული მათგანი?“ მესამე დავალების შესრულების შემდეგ ჩვენ თითოეულ ცდის პირს ვავალებდით

მიეღო გადაწყვეტილება, გაეკეთებინა არჩევანი ამ ორ პიროვნებას შორის, თუ რომელი უნდოდა, რომ ყოფილიყო მისი ლექტორი - გამომცდელი და რატომ. უპირატესად, რომელმა თვისებამ განაპირობა მისი არჩევანი. გადაწყვეტილების მიღების შემდეგ ცდის პირს ისევ ვაძლევდით 20 პიროვნულ თვისებას და ვავალებდით, ხელახლა შეეფასებინა იგივე 20 თვისება თერთმეტ საფეხურიან სკალაზე იმის მიხედვით, თუ რამდენად უნდა ახასიათებდეს ისინი, მისი აზრით, ლექტორს-გამომცდელს. ამ დავალების შესრულების შემდეგ ცდის პირი შედიოდა გამოცდაზე. ექსპერიმენტის მეორე სერიას ჩვენ ვატარებდით პირველი სერიის ანალოგიურად, თსუ სტუდენტებზე, აგრეთვე წინასაგამოცდო, ე.ი. სტრესოგენულ სიტუაციაში იმ განსხვავებით, რომ სამ სხვადასხვა სიტუაციაში ორი განსხვავებული ლექტორისაგან მოსალოდნელი ქცევის დახასიათების შემდეგ ცდის პირს ჯერ ვავალებდით ხელმეორედ შეეფასებინა თერთმეტ საფეხურიან სკალაზე 20 პიროვნული თვისება. ცდის პირებმა არ იცოდნენ, რომ ჩვენ მათთვის უნდა დაგვევალებინა გადაწყვეტილების მიღება. მხოლოდ ამის შემდეგ ვავალებდით მას, მიეღო გადაწყვეტილება ანუ აერჩია ერთერთი ლექტორი თავის ლექტორ-გამომცდელად და აღენიშნა, თუ რომელმა თვისებამ განაპირობა მისი არჩევანი. ამ დავალების შესრულების შემდეგ ცდის პირი შედიოდა გამოცდაზე.

ექსპერიმენტის მესამე სერია ჩავატარეთ თსუ სტუდენტებზე პირველი სერიის ანალოგიურად, მაგრამ ნეიტრალურ სიტუაციაში, საზაფხულო პრაქტიკის პერიოდში. სიტუაციის ნეიტრალობას ადასტურებდნენ ცდის პირთა მონაცემები საკუთარი შფოთვის დონის შესახებ.ექსპერიმენტის მეოთხე სერია ტარდებოდა თსუ სტუდენტებზე მეორე სერიის ანალოგიურად, მაგრამ ნეიტრალურ სიტუაციაში, კერძოდ, საზაფხულო პრაქტიკის პერიოდში. სიტუაციის ნეიტრალობა დასტურდებოდა ცდის პირთა მონაცემებით საკუთარი შფოთვის დონის შესახებ.

ექსპერიმენტის მეხუთე და მეექვსე სერიები საკონტროლო ხასიათის იყო. მეხუთე სერიას ჩვენ ვატარებდით წინასაგამოცდო, ანუ სტრესოგენულ სიტუაციაში; ექსპერიმენტის პროცედურა მდგომარეობდა 20 პიროვნული თვისების ორჯერად შეფასებაში გადაწყვეტილების აქტის გარეშე: ჩვენ თსუ სტუდენტებს წინასაგამოცდო, ე. ი. სტრესოგენულ სიტუაციაში ვავალებდით თერთმეტ საფეხურიან სკალაზე შეეფასებინათ 20 პიროვნული თვისება იმის მიხედვით, თუ რამდენად უნდა

ახასიათებდეს იგი ლექტორს-გამომცდელს. 7 – 10 დღის შემდეგ ჩვენ იმავე ცდის პირებს ისევ წინასაგამოცდო, ე. ი. სტრესოგენულ სიტუაციაში კვლავ ვავალებდით გაემეორებინათ იგივე პროცედურა. გარდა ამისა, თითოეულ ცდის პირს ვავალებდით აღენიშნა საკუთარი შფოთვის დონე 6 საფეხურიან სკალაზე. ექსპერიმენტის მეექვსე სერია ჩავატარეთ თსუ სტუდენტებზე მეხუთე სერიის ანალოგიურად, მაგრამ ნეიტრალურ სიტუაციაში, საზაფხულო პრაქტიკის პერიოდში. სიტუაციის ნეიტრალობას ადასტურებდნენ ცდის პირთა მონაცემები საკუთარი შფოთვის დონის შესახებ.

საკონტროლო ექსპერიმენტებში გამორიცხული იყო გადაწყვეტილების მიღება და ორი სხვადასხვა ლექტორის დახასიათება ზემოთ აღწერილ სამ განსხვავებულ სიტუაციაში; ორი სხვადასხვა პიროვნების მოსალოდნელი ქცევის დახასიათება და გადაწყვეტილების მიღება განაპირობებდნენ ცდის პირის მიერ თითოეული მოცემული პიროვნული თვისებისა და მისგან გამომდინარე შედეგების მაქსიმალურ გაცნობიერებას და ასეთი გაცნობიერების საფუძველზე ალტერნატივათა გადაფასების აღმოცენებას. საკონტროლო ექსპერიმენტებში მოცემული პიროვნული თვისებების მიმზიდველობათა შეცვლაზე მოქმედებდა სიტუაცია (მისი სტრესოგენობის მიხედვით). სტრესოგენული სიტუაცია, როგორც ფაქტორი, არ იწვევდა ალტერნატივათა გადაფასების აღმოცენებას.

გარდა ზემოთ აღწერილი შემთხვევისა, ადამიანის ყოველდღიურ საქმიანობაში ხშირად ადგილი აქვს ისეთ საქმიანობას, რომელიც თვითონ არის სტრესის გამომწვევი. ასეთი შემთხვევის მაგალითს წარმოადგენს პიროვნების ინტელექტუალური საქმიანობა, რომელსაც პიროვნება ორიენტირებულია მიღწევაზე; ასეთი მოვლენის შესასწავლადჩავატარეთ ექსპერიმენტის მე-7სერია, სადაც ვიკვლიეთ სტრესული მდგომარეობის გავლენა ინტელექტუალურ საქმიანობაზე და ფიქსირებულ განწყობაზე, რომელსაც ინტელექტუალური საქმიანობა თვითონ წარმოადგენდა სტრესორს; ექსპერიმენტში გამოვიყენეთ: 1. ჰ. აიზენკის ზოგადი ინტელექტის დონის საკვლევი ტესტის ზოგიერთი ამოცანები, დაჯგუფებული სამად და აკინძული ცალ-ცალკე, რომელთაც ჰქონდათ სამი დამოუკიდებელი ტესტის სახე; 2. 30 მმ. და 60 მმ. დიამეტრის მქონე საგანწყობობურთები და 3. წამზომი. ექსპერიმენტი ტარდებოდა ინდივიდუალურად, ჩვენ ცდის პირებს ვაძლევდით ზოგადი ინტე-

ლექტის საკვლევ 3 ტესტს და შემდეგ ინსტრუქციას: „ჩვენ ვიკვლევთ მოსახლეობის ინტელექტის დონეს. თქვენს წინაშეა ინტელექტის დონის გასაზომი 3 ტესტი, რომლებიც შეადგინა ინგლისელმა მკვლევარმა. ეს ტესტები სხვადასხვა სირთულისაა. პირველი – ყველაზე მარტივია, მეორე – შედარებით რთული, ხოლო მესამე – ყველაზე რთული. თქვენ გეცვალებათ, ამოირჩიოთ ერთ-ერთი მათგანი და ამოხსნათ მასში მოცემული ყველა ამოცანა. თითოეული ტესტისთვის განკუთვნილია განსაზღვრული დრო. მე თქვენ არ გეტყვით, თუ რამდენია ეს დრო, მაგრამ თვალს ვადევნებ წამმზომს და გეტყვით, როდესაც გაივლის დროის ნახევარი, როდესაც დარჩება დროის 1/3 და როდესაც დარჩება უკანასკნელი წუთი. თქვენი ინტელექტის დონე განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ რამდენი ამოცანის სწორად გადაწყვეტას შეძლებთ ამ დრო'ში და, აგრეთვე, იმის მიხედვით, თუ რამდენად სწორად ამოირჩევთ ტესტს, ე. ი. რამდენად კარგად იცნობთ საკუთარ ინტელექტუალურ შესაძლებლობებს. მა'შ, აირჩიეთ!“ როდესაც ცდის პირი ამოირჩევდა ტესტს, ტესტ'ში მოცემული ამოცანების გადაწყვეტის დაწყებამდე ჩვენ მას ვავალებდით, აღენიშნა საკუთარი შფოთვის დონე 6 საფეხურიან სკალაზე /0-დან +5-ის ჩათვლით/. ამის შემდეგ იგი იწყებდა ტესტის ამოცანების გადაწყვეტას. ჩვენ ვრთავდით წამმზომს და თითოეულ ცდის პირს ვაძლევდით 15 წუთს, მიუხედავად იმისა, თუ რომელი ტესტი ჰქონდა მას ამორჩეული. ტესტები შედგებოდა მსგავსი შინაარსის /ვერბალური, მათემატიკური და სივრცითი/ ამოცანებისაგან. ტესტები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდა მხოლოდ ამოცანათა რაოდენობით და ჩვენ შედეგების დამუშავებისას ვითვალისწინებდით სწორად გადაწყვეტილ ამოცანათა რაოდენობას, მიუხედავად ცდის პირის მიერ ამორჩეული ტესტის სირთულისა. როდესაც ცდის პირის მიერ ტესტის ამოცანების გადაწყვეტის დაწყებიდან გავიდოდა 7,5 წთ. ჩვენ ვუბნებოდით ცდის პირს, რომ გავიდა დროის ნახევარი; როდესაც გავიდოდა 10 წთ. ჩვენ მას ვუბნებოდით, რომ დარჩა დროის 1/3 და როდესაც რჩებოდა უკანასკნელი წუთი, ჩვენ მას ამასაც ვატყობინებდით. 15 წუთის გასვლის შემდეგ ჩვენ ცდის პირს ვაწყვეტინებდით ტესტის ამოცანების გადაწყვეტას მიუხედავად იმისა, თუ რამდენი ამოცანის ამოხსნა მოასწრო მან. ამის შემდეგ ჩვენ კვლავ ვავალებდით ცდის პირს, აღენიშნა საკუთარი შფოთვის დონე ექვს საფეხურიან

სკალაზე. ჩვენ გვაინტერესებდა, შეიცვალა მისი შფოთვის დონე თუ არა. როგორც წესი, შფოთვის დონე იზრდებოდა, რის მიზეზადაც თითქმის ყველა ცდის პირმა დაასახელა ექსპერიმენტის პროცედურა, ანუ ინტელექტუალური საქმიანობა, ხოლო ზოგიერთმა ცდის პირმა სინანულიც კი გამოთქვა იმის გამო, რომ აირჩია რთული ტესტი. ამის შემდეგ ჩვენ ცდის პირს ვაძლევდით ფიქსირებული განწყობის ცდების ინსტრუქციას და ვუტარებდით მას ფიქსირებული განწყობის ცდებს მოცულობაზე ჰაპტურ არეში. ასიმეტრიას ვზომავდით 3ექსპოზიციით, გადაფასების მხარეს ვაწვდიდით დიდ ბურთს, საფიქსაციო ცდა შედგებოდა 15 ექსპოზიციისაგან. კრიტიკულ ცდას ვატარებდით მანამ, სანამ ცდის პირი მოგვცემდა ხუთ ტოლობას. გამონაკლისს წარმოადგენდნენ სტატიკური განწყობის მქონე ცდის პირები, რომელთაც კრიტიკულ ცდაში ჩავუტარეთ ოცდაათი ექსპოზიცია. მაშასადამე, ფიქსირებულ განწყობაზე სტრესული მდგომარეობის გავლენის საკვლევად ჩვენ ვისარგებლეთ ცდის პირთა ინტელექტუალური საქმიანობის გამო შექმნილი სტრესული მდგომარეობით.

ალტერნატივათა გადაფასებაზე სტრესული მდგომარეობის გავლენის საკვლევად ჩატარებულ ექსპერიმენტთა 6 სერიის შედეგები დავამუშავეთ სტიუდენტის კრიტერიუმებით. დამუშავების შედეგად გამოვლინდა შემდეგი: ორივე შემთხვევაში ალტერნატივათა საერთო გადაფასება აღმოცენდებოდა ძირითადად ამორჩეული ალტერნატივის მიმზიდველობის გაზრდის გზით და არა უკუგდებული ალტერნატივის მიმ-ზიდველობის შემცირების გზით. ეს ფაქტი იმაზე მიუთითებს, რომ ექსპერიმენტში გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა ამორჩეული ალტერნატივის მიმზიდველობის გაზრდის შედეგად და არა უკუგდებული ალტერნატივის მიმზიდველობის შემცირების შედეგად.

იმ 12 პიროვნული თვისების გადაფასება, რომლებიც არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების აქტში - მცირე იყო როგორც გადაწყვეტილების მოსამზადებელი პერიოდში, ისე გადაწყვეტილების შემდეგაც, როგორც სტრესულ, ისე ნეიტრალურ მდგომარეობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდრეევა ... 1978: АндрееваГ. М., БогомоловаН. Н., Петровская Л. А., Современная социальная психология на западе. М., 1978.

არონსონ, 1984:АронсонЭ., Теория диссонанса: прогресс и проблемы. В сб.: Современная зарубежная социальная психология. Тексты, М., 1984.

ბალიაშვილი, 1975: ბალიაშვილი მ., სოციალური განწყობის ჩამოყალიბება და პიროვნების აქტივობა, თბ., 1975.

თაგაური, 1985: თაგაური ბ., არჩევანი და ალტერნატივეთა გადაფასება, მაცნე, ფილოსოფიის და ფსიქოლოგიის სერია, 1985, 4.

კიტაევ-სმიკ, 1981: Китаев-СмыкЛ. А., Психология стресса., М., 1981.

მანი... 1969:Mann L., Taylor V. – "The effects of commitment and choice difficulty on pre-decisional process".In Journ. of soc. Psyhol. 1970., 82.

მანი... 1970: Mann L., Janis I.L., Chaplin R. - `Effect of anticipation of forth-coming information on pre-decisional process". In Journ. Of pers. And soc. Psych., 1969., 11.

ნადირაშვილი, 1975: ნადირაშვილი შ., პიროვნების სოციალური ფსიქოლოგია, თბ., 1975.

ნადირაშვილი, 1983: ნადირაშვილი შ., განწყობის ფსიქოლოგია, ტ.1, თბ., 1983.

სელიე, 1982:СельеГ. Стресс без дистресса. М., 1982.

უზნაძე, 1964: უზნაძე დ., ზოგადი ფსიქოლოგია, შრომები, ტ. 3-4, თბ., 1964.

ფრესი, 1975: ФрессП., Эмоции., Вкн.: Экспериментальная психология. Подред.: ФрессаП., ПиажеЖ.,т.5., М., 1975.

ყვავილაშვილი, 1974: ყვავილაშვილი ჯ., სტატისტიკური მეთოდების გამოყენება ფსიქოლოგიაში, თბ., 1974.

ჰეკჰაუზენი, 1986: Хекхаузен Х. Мотивация и деятельность, т. 1. М., 1986.

ჰეკჰაუზენი, 1986: ХекхаузенХ. Мотивация и деятельность, т. 2. М., 1986.

Tsitsino Mavzarashvili

ATTRACTIVENESS CHANGE IN A DECISIONAL PROCESS UNDER A SOCIAL STRESS SITUATION FIX ATTITUDE CHANGE UNDER SOCIAL STRESS SITUATION

Summary

The term "stress" in the science is introduced by the Canadian scientist H. Selje, in 1936. After this scientist, many contemporary psychologists are interested in study stress phenomena and an influence of stress situation on a various human`s activity. In the special literature about human`s stress condition, except the term "stress", are used such terms, which are: "extreme", "critical", "particularity", "especially", "difficulty", "emotional", "unusually", "strained", "tense".

We researched change of attractiveness in decisional process under stress situation and we also researched a change of fix attitude under stress situation. The students of Georgian State University of Tbilisi participated in our experiment; we made experiments in stress situations before students exams and also made experiment in neutral situations – in the period of students summer practice.

Our experiment showed, that the attractiveness of the choice alternative increased, but the attractiveness of the thrown of alternatives reduced. We used distinguish features of humans, such as: "kind", "optimistic", "fascinating", "complaining"; and "attentive", "principal", "calming", "severe" and other features the whole of 20.

We also researched a fix attitude change under stress situation. We used D. Uznadze`s phenomena and his theory of human`s attitude. We made our experiment in situation, when human was in a hurry, because human was solving intellectual tests and human had high level of achievement. We made fix attitude experiment with D. Uznadze`s balls of 30mm. and 60 mm. diameter. Experiment of fix attitude showed, that under stress situation human`s disturbance gave rise to increase number of contrasting illusion. We think this issue is very important for stress psychology.

მარეხ ნათენაძე

ზოგიერთი საკითხი ეფექტიანი სწავლის შესახებ

დიდაქტიკის უზოგადეს ცნებებს განათლება და სწავლება წარმოადგენს. ამ ძირითად ცნებებთან დაკავშირებულია ისეთი ცნებები, როგორიცაა: სწავლა, შეთვისება, დასწავლა, ცოდნა, უნარი, ჩვევა *(მალაზონია, 2001).*

თანამედროვე ეტაპზე,სწავლების პროცესი საჭიროებს გაკვეთილის პროცესში სწავლების ახალი სტრატეგიებისა და შეფასების ახალი ხერხების დანერგვას. შესაბამისად, სწავლების მიზანიც იცვლება. იგი ორიენტირებულია ცოდნაზე და უნარჩვევების გამომუშავებაზე.

სწავლა მოსწავლის ქცევის წამყვანი ფორმაა. სწავლის პროცესში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ახალ გამოცდილებას და პრაქტიკას, ინდივიდუალურ და ასაკობრივ თავისებურებებს, მოსწავლის შესაძლებლობებს. სწავლის საფეხურებია აღქმა, გააზრება, დასწავლა.

აღქმა (წარმოდგენა, ლათ. - percefcia - პერცეფცია) არის კოგნიტური (შემეცნებითი) პროცესი, რომლის დროსაც ხდება ფსიქიკაში რეალური სინამდვილის ასახვა, საგნის ან მისი ცალკეული თვისების უშუალო განცდა; გააზრებასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია აზროვნების დონეები, რომლებიც საფეხურებს ქმნიან, სადაც ყოველი მომდევნო საფეხური უფრო რთულდება და მოიცავს ერთ ან რამდენიმე წინა საფეხურს; დასწავლა გულისხმობს მოსწავლის მიერ სასწავლო მასალის საფუძვლიანად დაუფლებას ისე, რომ ხანგრძლივად შემორჩეს მის მეხსიერებას. ამავე დროს, დასწავლის მთავარი საშუალება შესასწავლი მასალის მრავალგზის განმეორებაა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სწავლა ნიშნავს ინფორმაციის შეძენას, უნარ-ჩვევებისა და დამოკიდებულებების განვითარებას *(ესგ, 2011-2016).* ძირითადი აქცენტი მიმართულია სააზროვნო, კომუნიკაციური, სოციალური და თვითმართვის უნარ-ჩვევების განვითარებაზე. სწავლა სწორედ რომ აზროვნების შედეგია. აზროვნების დროს მოსწავლე გააზრებულად სწავლობს და უფრო გამჭრიახი ხდება. სხვა შემთხვევაში, მოსწავლე პასიურია და შესაბამისად, უჭირს რაიმეს სწავლა. გარეგნული სახით მიწოდებული ინფორმაცია მოსწავლეს ეხმარება აზროვნების ამოქმედებაში.

სასწავლო პროცესზე ჩვენი მრავალწლიანი დაკვირვება გვიჩვენებს, რომ მოსწავლეებში ხშირია დასწავლასთან დაკავშირებული პრობლემები. პრობლემები შეინიშნება როგორც ტიპური განვითარების, ისე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან (დასწავლის უნარის დარღვევის დროს მოსწავლეს აქვს საშუალო ან საშუალოზე მაღალი ინტელექტი; ინტელექტსა და აკადემიურ მიღწევებს შორის (წერა, კითხვა, თხრობა, ანგარიში) განსხვავება დიდია.

გთავაზობთ ეფექტური სწავლის ზოგიერთ გზას.

სკოლის თითოეულ მასწავლებელს უნდა ახსოვდეს, რომ მოსწავლის მიღწევების შეფასება არის საკმაოდ მნიშვნელოვანი და სწავლების შემდგომი ეტაპი მხოლოდ მიღებულ შედეგებზე უნდა იყოს დაფუძნებული. მოსწავლის მიერ ერთი უნარის განვითარება და დახვეწა არ ნიშნავს, რომ მასწავლებელი გადავიდეს სხვა უნარის განვითარებაზე. ამ ეტაპზე პედაგოგი უნდა შეეცადოს ათვისებული უნარის გავარჯიშებას შემდგომი უნარის განვითარებისთვის. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს უნარი ვერ იქნება მომდევნო, ახალი უნარის დასაყრდენი. რაც შეეხება სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეს, დასწავლის უნარის დაქვეითება სმენითი ინფორმაციის (მეტყველების გადამუშავების), ვიზუალური/არავერბალური გადამუშავების და ვიზუალურ-მოტორული ინტეგრაციის დარღვევის შედეგია. მისთვის საჭიროა განსხვავებული მიდგომა, კერძოდ: დიდი ძალისხმევაა საჭირო ახალი უნარის ასათვისებლად; ათვისებულ უნარში საჭიროა გაწაფვა და მისი შენარჩუნება, რისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ ახალი უნარის ათვისება მოხდეს პრაქტიკაში. ამდენად, პრაქტიკას დიდი მნიშვნელობა ენიჭება.

რას ნიშნავს ათვისებულ უნარში გაწაფვა და მისი შენარჩუნება? ხშირია შემთხვევები, განსაკუთრებით, სწავლის უნარის დარღვევის მქონე მოსწავლეებში, რომ ავიწყდებათ ათვისებული უნარები. ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, როდესაც პედაგოგი წყვეტს უნარზე ინტენსიურ მუშაობას. ამ დროს მოსწავლეებში ეს უნარი ნელ-ნელა ქრება. თუ მოსწავლე ავადაა და ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო სკოლაში ვერ ახერხებს მოსვლას, მაშინ მშობელს უნდა ახსოვდეს, რომ ათვისებულ უნარს სჭირდება გავარჯიშება და შესაბამის სიტუაციაში გამოყენება.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ეფექტური სწავლისათვის აუცილებელია სასწავლო პროცესში მასწავლებელთან ერ-

თად ჩართული იყოს მშობელიც; საჭიროა მოსწავლის მიერ ათვისებული უნარის სხვადასხვა დროსა და სიტუაციაში გამოყენება (რასაც გენერალიზებას უწოდებენ). მან უნდა შეძლოს ათვისებული ცოდნის განსხვავებულ სიტუაციაში გამოყენება, რისთვისაც აუცილებელია ახალი უნარების სხვადასხვა კონტექსტში გავარჯიშება, ახალ სიტუაციასა და ნასწავლ უნარს შორის კავშირის პოვნა. შემდეგ უკვე მოსწავლე ყოველგვარი შეხსენებისა და კარნახის გარეშე მოახერხებს ათვისებული ცოდნის სხვადასხვა სიტუაციაში მოდიფიცირებულ გამოყენებას (ამ პროცესს ადაპტაციას უწოდებენ). თუმცა, ამ ეტაპზე გადასვლას სწავლის უნარის დარღვევის მქონე ყველა მოსწავლე ვერ მოახერხებს და ეს პედაგოგთა მხრიდან გასათვალისწინებელია. მასწავლებელმა უნდა განსაზღვროს მოსწავლისთვის დახმარების დონე და შეარჩიოს მისი ხანგრძლივობა, მოსწავლესთან აუცილებლად და დროულად გამოიყენოს დადებითი განმტკიცება.

სკოლაში სწავლის პერიოდში მოსწავლეებს უჩნდებათ ჭეშმარიტების გარკვევისა და დასკვნების გაკეთების საჭიროება რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების გაანალიზებისას, დიალოგისა და კამათის დროს.კამათის დროს აუცილებელია გაირკვეს, თუ რომელი აზრები ეწინააღმდეგება ერთმანეთს და რომელი აზრები შეიძლება იყოს ერთდროულად ჭეშმარიტი ან ერთდროულად მცდარი, რომელი აზრები არ ეწინააღმდეგებიან ერთმანეთს. საჭიროა წერისა და მეტყველების სიზუსტე, წინადადების თითოეულ სიტყვასთან დაკავშირებული აზრის წვდომა და წინადადებიდან აზრის გამოტანა, მსჯელობებში შეცდომების პოვნა და მათი შესწორება სწორი მსჯელობებით. ასევე საჭიროა დიდი ინფორმაციის გადამუშავებისას რთული დასკვნების გაკეთება. ყოველივე ამით ისინი ეზვევიან კრიტიკულ აზროვნებას, ანუ შეუძლიათ ერთმანეთისაგან განასხვაონ წარმოთქმული აზრები, გაარკვიონ რომელი მათგანს აქვს იგივე შინაარსი, რომელია სხვადასხვა აზრის გამომხატველი.

ვსაუბრობთ რა ეფექტური სწავლის გზებზე, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლის სწავლის სტილი.

სწავლის სტილის კლასიფიკაციის სხვადასხვა მოდელი და თეორიები არსებობს. ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული კლასიფიკაციის მიხედვით, შესაძლებელია სწავლის ოთხი ძირითადი ტიპის გამოყოფა. ამ კლასიფიკაციის ძირითადი პრინციპია ის შეგრძნებითი მოდალობა (მხედველობა, სმენა, შეხე-

ბა, მოძრაობა), რომელსაც ადამიანი უპირატესობას ანიჭებს ინფორმაციის გადამუშავებისას.მნიშვნელოვანია, რომ სწავლის სტილი შეიძლება შეიცვალოს დროისა და კონტექსტის მიხედვით და მოსწავლემ უფრო მეტ შედეგს მიაღწიოს.

ამავე დროს, შეიძლება მოსწავლე სწავლის რომელიმე ერთ ტიპს ან რამდენიმეს ერთად (იგივე „მულტიმოდალური სტილი“) განეკუთვნებოდეს. მულტიმოდალური სტილის დროს მოსწავლე უპირატესობას ანიჭებს სწავლის რამდენიმე სტილს ერთად. მასწავლებელმა სწავლების პროცესში უნდა გამოიყენოს სხვადასხვა მეთოდი, რათა სწავლება ყველა სტილის მოსწავლეზე იყოს ორიენტირებული.

გამოყენებული ლიტერატურა:

მალაზონია, 2001 - მალაზონია, შ., პედაგოგიკა, თბილისი, 2001.

ესგ, 2011-2016, – ეროვნული სასწავლო გეგმა, თბილისი, 2011-2016.

Marekh Natenadze

SOME ISSUES ABOUT THE EFFECTIVENESS OF LEARNING

Summary

The most general concepts of didactics are education and teaching. These basic concepts are linked with such concepts as learning, assimilation, knowledge, skill and habit.

At the modern stage, the process ofteaching requires the implementation of new teaching strategies and assessment tools in the process of lesson. According to this, the aim of teaching is changing. It focuses on knowledge and developing of skills.

Our long-term observation on the study process has shown that students often have the learning problems. These problems are seen with both typical developed students and the students with special educational needs.

The work presents some ways of effective elearning.

კლასგარეშე მუშაობა მათემატიკაში აკადემიურად მოწინავე მოსწავლეებთან

ორ ათასწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში მათემატიკის დარგიდან ზოგიერთი, არა მეტისმეტად ზედაპირული ცოდნა, ყოველი განათლებული ადამიანის ინტელექტუალური დონის აუცილებელი განმსაზღვრელი იყო. დღეისათვის ტრადიციით დადგენილი მათემატიკის აღმზრდელობით მნიშვნელობას სერიოზული საფრთხე ემუქრება. მათემატიკის სწავლება ხშირად იღებდა შაბლონური შინაარსის ამოცანების ამოხსნაში ერთფეროვანი ვარჯიშის ხასიათს, რასაც, შესაძლოა, რაღაც ფორმალური ჩვევების განვითარებისკენ კი მივყავართ, მაგრამ შესასწავლ საგანში ღრმად ჩაწვდომისაკენ არ მოუწოდებდა და ხელს არ უწყობდა ნამდვილად თავისუფალი აზროვნების განვითარებას. მეცნიერული გამოკვლევები იხრებოდნენ მეტის-მეტი აბსტრაქციისა და სპეციალიზაციისაკენ. გამოყენებებსა და სხვა დარგებთან ურთიერთდამოკიდებულებებს საკმარისი ყურადღება არ ექცეოდა. ეს არახელსაყრელი პირობები არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გამოდგეს დათმობის პოლიტიკის გასასამართლებლად. პირიქით, მიზანს უნდა წარმოადგენდეს მათემატიკის ნამდვილი არსის გაგება, როგორც ორგანულად მთელისა და როგორც მეცნიერული აზროვნების საფუძვლისა.

არაფერი შეუძლებელი არ არის იმაში, რომ ელემენტებისაგან თუ დავიწყებთ და პირდაპირ ვიცლით, ისეთ სიმაღლეებს მივაღწევთ, საიდანაც ნათლად შეიძლება დავინახოთ თანამედროვე მათემატიკის არსი და მამოძრავებელი ძალები.

აზროვნება, როგორც პროცესი, რომელიც ახასიათებს პიროვნების აქტიურობას, თავის განვითარებას იღებს საქმიანობა-მოქმედებაში. მათემატიკის სწავლებისას ასეთი საქმიანობა-მოქმედებაა სასწავლო ამოცანათა ამოხსნის პროცესი, ე. ი. სუბიექტისა და ობიექტის - შემმეცნებლისა და შესამეცნებლის უწყვეტი ურთიერთმოქმედების პროცესი. მათემატიკური აზროვნება არის ზოგადად აზროვნების შემადგენელი ნაწილი. მიუხედავად ამისა, იგი ფლობს ზოგიერთ თავისებურებას, რომელიც უპირველეს ყოვლისა დაკავშირებულია სინამდვილის მათემატიკური ასახვის სპეციფიკასთან. თუ საბუნებისმეტყვე-

ლო მეცნიერებებში, რომელთანაც მათემატიკა ორგანულადაა დაკავშირებული, შედეგები მიიღება ექსპერიმენტების საფუძველზე, მათემატიკაში ექსპერიმენტები მეორეხარისხოვან როლს თამაშობს. იგი ჰიპოთეზების აგების საშუალებაა. მათემატიკა აბსტრაქტული მეცნიერებაა და ზოგადობის უმაღლეს ხარისხს იძენს მრავალსაფეხურიანი აბსტრაქციების წყალობით. ამიტომ მათემატიკური აზროვნება აბსტრაქტული აზროვნებაა. მათემატიკური აზროვნება მხოლოდ მაშინაა სრულფასოვანი, როცა მასში თავისი კუთვნილი ადგილი უჭირავს ინტუიციურ, შემოქმედებით და კრიტიკულ აზროვნებას.

თანამედროვე სწავლების მთავარი ხაზია მოსწავლის გამოცდილების მიზანმიმართული გამდიდრება და ყოველი ახალი ცოდნის ბუნებრივი დაშენება ამ გამდიდრებულ გამოცდილებაზე. ამ დაშენებას თვით მოსწავლე აკეთებს. მოსწავლეები აქტიურად არიან ჩაბმულნი არა მარტო სწავლების პროცესში, არამედ მეცნიერული ცნებებისა და დებულებების ქმნადობის პროცესშიც.

მოსწავლეებთან, რომლებიც მათემატიკისადმი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენენ, საჭიროა დამატებითი მუშაობა. მათემატიკის ოლიმპიადებსა და კონკურსებში ჩართულია ისეთი საკითხები, რომლებიც საგნის უფრო საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს.

ჯერ კიდევ III-IV კლასებიდან იწყება მოსწავლეთა მონაწილეობა საერთაშორისო მათემატიკურ ოლიმპიადაში „კენგურუ“, რომელშიც ჩართულიარიან ევროპის თითქმის ყველა სახელმწიფოს მოსწავლეები; იგივე შეიძლება ითქვას ეროვნულ მათემატიკურ ოლიმპიადაში მოსწავლეთა მონაწილეობაზე.

მას შემდეგ, რაც ჩატარდება შიდა სასკოლო ოლიმპიადა და გამოვლინდებიან გამარჯვებულები, უნდა შეიქმნას გამარჯვებულ მოსწავლეთა ჯგუფი, რომლებთანაც საჭიროა რეგულარულად მეცადინეობების ჩატარება კლასგარეშე ლიტერატურის გამოყენებით.

დიდი მნიშვნელობა ენიჭება მათემატიკური სადამოების ჩატარებას, მას შეიძლება მივცეთ შეჯიბრის სახე; მოსწავლეები სადამოსათვის ემზადებიან, კითხულობენ სხვადასხვა ლიტერატურას, სისტემაში მოჰყავთ გავლილი მასალა, ვაცნობთ მათ თანამედროვე მათემატიკის აქტუალურ საკითხებს.

დიდი ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მათემატიკური ვიქტორინის ჩატარებას, უნდა გამოვლინდნენ გამარჯვებულები და წახალისდნენ.

მათემატიკური ექსკურსიები კლასგარეშე მუშაობის ძალზედ საინტერესო ფორმაა. მათემატიკური ექსკურსიის ძირითადი მიზანია გააცნოს მოსწავლეებს ადგილზე სხვადასხვა სახის გაზომვები, უმარტივესი სახის საზომი ხელსაწყოები და მათი პრაქტიკული გამოყენება.

მათემატიკური გაზეთი აკადემიურად მოწინავე მოსწავლეებთან მუშაობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სახეა. მათემატიკური გაზეთი ზრდის მოსწავლეთა ინტერესს მათემატიკისადმი. მათემატიკური კედლის გაზეთის გამოშვებაში აქტიურობით, იგი ეჩვევა პრაქტიკულობას, წესრიგს, მოწესრიგებული ხდება მისი ქცევა, იზრდება გონებრივად, ზნეობრივად, ესთეტიკურად.

მათემატიკურ კედლის გაზეთში შეიძლება მოთავსდეს რჩეული საკითხები საწრეო მუშაობისას განხილული საკითხებიდან. გაზეთში ადგილი უნდა დაეთმოს მათემატიკური ოლიმპიადების, ექსკურსიების, დილა-სალამოებისა და სხვა სახის შეჯიბრებების შედეგებს.

ამასთანავე, მათემატიკურ კედლის გაზეთში უნდა მოთავსდეს სახალისო ამოცანები, თავსატეხები, სახუმარო ამოცანები და სხვა.

სასარგებლო იქნება აგრეთვე მოსწავლეებთან ინდივიდუალური მუშაობა: როცა მოსწავლე დაინტერესდება რაიმე საკითხით, მას უნდა მივცეთ სათანადო ლიტერატურა, გავუწიოთ შესაბამისი კონსულტაციები და ვურჩიოთ საკითხში დამოუკიდებლად გაერკვეს.

ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლაში სწავლის პერიოდში სისტემატურად მონაწილეობენ მათემატიკურ ოლიმპიადებსა თუ სხვა კლასგარეშე ღონისძიებებში, შემდეგში გამოირჩევიან მათემატიკის კარგი ცოდნით და აღწევენ სასურველ წარმატებებს.

მოსწავლეებთან მუშობის პერიოდში აუცილებლად უნდა იქნეს გათვალისწინებული მათი ასაკობრივი შესაძლებლობები; თუ მოსწავლეს ამოსახსნელად მივცემთ გაცილებით რთულ საკითხს, ვიდრე მის შესაძლებლობას შეესაბამება, მოსწავლე მას ვერ შეწვდება და ეს არ მოგვცემს კარგ შედეგს. ხოლო თუ მივცემთ ამოსახსნელად საკითხს, რომელიც სირთულით

ოდნავ აღემატება მოსწავლის შესაძლებლობას, გარკვეული ფიქრის შემდეგ ის შეწვდება მას, რაც ცოდნის გაფართოებასთან ერთად საგნისადმი ინტერესის გაზრდას გამოიწვევსდა ასე ეტაპობრივად, სპირალური აღმასვლით, უნდა მივაღწიოთ იმას, რომ საპროგრამო მასალასთან ერთად იგი კარგად იყოს დაუფლებული პროგრამის მოსაზღვრე საკითხებს, რაც შემდეგში მისი წარმატების საფუძველი გახდება.

ყოველი საზოგადოება თავის მოთხოვნილებებს აყენებს როგორც სწავლების ფორმებისადმი, ისე მისი შინაარსის მიმართ. თანამედროვე ეტაპზე შეინიშნება სწავლების ხარისხის წინა პლანზე წამოწევა. ამავე დროს, სწავლების პროცესის სტრუქტურა თავისი სირთულის გამო მოითხოვს გარკვევას სხვადასხვა თვალსაზრისით. სწავლების პროცესი უთუოდ გულისხმობს ორ მხარეს - ერთი ასწავლის, მეორე - სწავლობს. ვინც ასწავლის - მასწავლებელი, ის უნდა მართავდეს მას, მასწავლებლი უნდა იყოს სწავლების პროცესის ორგანიზატორი. სწავლების პროცესი შეიცავს ინფორმაციის გადაცემას, აღქმას, გადამუშავებას, შენახვას და უკან დაბრუნებას. მასწავლებელი იღებს საკითხს, ამუშავებს მას სამეცნიერო, სასწავლო და მეთოდური ლიტერატურის დახმარებით. აგრეთვე მოსწავლეთა აზროვნებითი შემოქმედების შესაძლებლობისა და დონის შესახებ არსებული მაუწყებელი ინფორმაციის გათვალისწინებით და გადასცემს ინფორმაციას მოსწავლეებს. მოსწავლე აღიქვამს და გადაამუშავებს ინფორმაციას, რომელსაც მასწავლებლისგან, სახელმძღვანელოდან და სხვა წყაროებიდან იღებს და მოთხოვნისას გადასცემს უკან, კითხვებზე პასუხობს, ხსნის ამოცანებს და მაგალითებს კლასში გაკვეთილზე, საშინაო დავალების შესრულებისას, თუ საგნობრივ ოლიმპიადებში მონაწილეობისას.

სწავლების პროცესში ხდება ინფორმაციის გადაცემა ორი მიმართულებით: მასწავლებლიდან მოსწავლისაკენ და მოსწავლიდან მასწავლებლისაკენ, ე.წ. „უკუკავშირი“ – „მოსწავლე-მასწავლებელი“ - წარმოადგენს სწავლების პროცესის არსებით შემადგენელ ნაწილს, რადგან სწავლების ყოველ ეტაპზე მოსწავლის შემოქმედებითი აზროვნების დროს, მასში გარკვეული აზროვნებითი სტრუქტურების განვითარების, გარკვეული ცნებების ფორმირებისა და მის მიერ გავლილი მასალის შეთვისების ხარისხის აღრიცხვის გარეშე არ შეიძლება ავაგოთ ეფექტური სწავლება.

რა ქმნის სწავლების შინაარსს საიდან იღებს მასწავლებელი ინფორმაციას, რომლის გადაცემასაც აპირებს მოსწავლეთათვის, რა განსაზღვრავს ამ ინფორმაციას როგორ აპირებს მასწავლებელი გადასცეს ინფორმაცია მოსწავლეს, რომ მას აღქმა გაუადვილდეს? ცხადია, ამ კითხვებზე პასუხის გარეშე სწავლების სტრუქტურა არ შეიძლება განისაზღვროს. ტერმინში „მათემატიკის სწავლება“ იგულისხმება არა მხოლოდ მათემატიკური მასალის შესწავლა - ეს მისი მხოლოდ ერთი მხარეა, მხოლოდ ეს მიზანი რომ ჰქონდეს მათემატიკის სწავლებას, იგი აღწერილობითი საგანი იქნებოდა; მისი უფრო დიდი ფუნქციაა მოსწავლეთა შემოქმედებითი აზროვნების განვითარება.

Roland Kurdadze

EXTRACURRICULAR ACTIVITIES IN MATHEMATICS WITH ACADEMICALLY ADVANCED STUDENTS

Summary

The article “Extra-curricular activities in mathematics for the students with high academic achievement” discusses the necessity of extra-curricular activities in mathematics. Also, there is given various examples of such extra-curricular activities, the future importance of it and present day requirements for the teaching of mathematics.

ნატო ყრუაშვილი

პეტრე ხარისჭირაშვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობის შესწავლისათვის (გარდაცვალებიდან 200 წლისთავის გამო)

XIX საუკუნეში სამცხე-ჯავახეთში შექმნილმა პოლიტიკურმა ვითარებამ განაპირობა განმანათლებლობის ჩამოყალიბება. იგი დაეფუძნა იქ არსებულ ისტორიულ-პოლიტიკურ სინამდვილეს. კერძოდ, იმას, რომ ამ კუთხეს, რომელიც თურქთა რამდენიმე საუკუნოვანი ბატონობის შემდეგ კვლავ დაუბრუნდა საქართველოს, და რომელსაც შენარჩუნებული ჰქონდა თავისი ქართული იერ-სახე, რუსიფიკატორული პოლიტიკის შედეგად შეექმნა მისი რეალური დაკარგვის საფრთხე. კერძოდ, სარწმუნეობრივად სამ ნაწილად გათიშული ქართველი მოსახლეობა ეროვნული გადაგვარების გზას გაუყენეს – ეს კი სამცხე-ჯავახეთის დაკარგვის ტოლფასი იყო. შიდა პოლიტიკური ვითარება ასე მწვავედ საქართველოს არცერთ კუთხეში არ ყოფილა. სწორედ ამან განაპირობა საგანმანათლებლო საქმიანობის ტერმინის – „მესხური განმანათლებლობის“ წარმოშობა. შესაბამისად, ქართველი ინტელიგენცია იქ მოღვაწე პირებს „მესხ განმანათლებლებს“ უწოდებდნენ. შეიძლება ითქვას, რომ ქართველმა ინტელიგენციამ იმთავითვე სწორად გათვალა ის, რომ სამცხე-ჯავახეთის ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადარჩენა შეიძლებოდა მხოლოდ განმანათლებლობის საშუალებით. საჭიროდ მიიჩნიეს უდიდესი მხარში დგომა ადგილობრივი ეროვნული ძალებისადმი, მათთვის ყოველგვარი დახმარების გაწევა მოსახლეობის განათლებისა და კულტურული დაწინაურებისათვის და არა მარტო ეს. ბევრმა საზოგადო მოღვაწემ სამცხე-ჯავახეთი შეგნებულად აირჩია თავის სამოღვაწეო ადგილად. მათ შორის აღსანიშნავია: ივანე როსტომაშვილი, ილია ალხაზიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე, ანა ღოღობერიძე-მუსხელიშვილი და სხვანი.

ამრიგად, მესხური განმანათლებლობის მისიას ამ კუთხეში მცხოვრები სარწმუნოებრივად გათიშული ქართველი მოსახლეობის ეროვნული გადაგვარების თავიდან აცილება, მათი კულტურული დაწინაურება, განათლების გავრცელება და ეროვნული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების შენარჩუნება-დაცვა წარმოადგენდა. ამდენად, მესხური განმანათლებლობა

რაიმე სახით სეპარატიზმს არ შეიცავდა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მესხ განმანათლებლებში ძირითადად მოიაზრებოდნენ სასულიერო პირები, მასწავლებლები და თვით სახელმწიფო მოხელეები. რამდენადაც მოსახლეობის ძირითად ნაწილს კათოლიკენი შეადგენდნენ, აქედან გამომდინარე, დიდი იყო კათოლიკე მღვდლების როლი მესხურ განმანათლებლობაში. მოძიებულმა მასალებმა ნათლად დაგვანახა ის, რომ მესხური განმანათლებლობის სათავეებთან იდგა დიდი საზოგადო მოღვაწე პეტრე ხარისჭირაშვილი. იგი სამოღვაწეო ასპარეზზე XIX საუკუნის 50-იანი წლების ბოლოს გამოვიდა, ე.ი. იქამდე, ვიდრე ილია ჭავჭავაძე თავის სამოციანელებთან ერთად. ამასთანავე, გაირკვა ისიც, რომ აღნიშნულ პერიოდში მესხური განმანათლებლობის ორი კერა არსებობდა, რამდენადაც მესხ განმანათლებელთა სამოღვაწეო ასპარეზი იყო სამცხე-ჯავახეთი და კონსტანტინეპოლი. ამ უკანასკნელს სათავეში ედგა პეტრე ხარისჭირაშვილი, ხოლო სამცხე-ჯავახეთში მესხი განმანათლებლები უშუალოდ ივანე გვარამაძის გარშემო იყვნენ შემოკრებილნი. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ მესხური განმანათლებლობის პირველი კერა ჯერ კონსტანტინეპოლში ჩამოყალიბდა, შემდეგ კი სამცხე-ჯავახეთში. ივანე გვარამაძე პეტრე ხარისჭირაშვილის ერთ-ერთი პირველი მოწაფეთაგანი იყო, რომელიც მასთან ჩავიდა კონსტანტინეპოლში და თავისი წვლილი შეიტანა სავანის დაფუძნებაში. მას მალე მოუწია კონსტანტინეპოლის დატოვება. ვფიქრობთ, ეს შემთხვევით არ უნდა მომხდარიყო. თუ გავითვალისწინებთ სამშობლოში დაბრუნების შემდგომ მის აქტიურ საზოგადოებრივ მოღვაწეობას და სავანესთან თანამშრომლობას, ადვილად საფიქრებელია, რომ მისი მშობლიურ კუთხეში დაბრუნება მამა პეტრესთან შეთანხმებითა და წინასწარ განჭვრეტით უნდა მომხდარიყო. ივანე გვარამაძის მემკვიდრეობის გაცნობა საშუალებას გვაძლევს დავინახოთ, რომ სწორედ სტამბოლიდან დაბრუნების შემდეგ, ერთგვარად გარკვეული იდეითა და გეგმით შემზადებულმა, დაიწყო აქტიური საზოგადოებრივი მოღვაწეობა და თავის გარშემო შემოიკრიბა ყველა ეროვნული მუხტის მქონე პირი – განურჩევლად რწმენისა და სოციალური მდგომარეობისა. ამრიგად, მესხური განმანათლებლობის ორივე კერის ფუძემდებლი პეტრე ხარისჭირაშვილი იყო და შესაბამისად მესხური განმანათლებლობის სათავეებთან სწორედ იგი მოიაზრება.

მიმდინარე წელს შესრულდა პეტრე ხარისჭირაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავი. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამინდელი მდგომარეობით მოგვეპოვება ხაქარია ჭიჭინაძის მიერ დაწერილი მონოგრაფია, სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული საგაზეთო სტატიები და მის საიუბილეოდ 2014 წლის საერთაშორისო სიმპოზიუმზე წარმოდგენილი მოხსენებები, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მისი მოღვაწეობაც და მემკვიდრეობაც ამომწურავად არ არის შესწავლილი.

ცალკე კვლევას იმსახურებს პეტრე ხარისჭირაშვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობა. სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდისა და უშუალოდ სტამბოლის მამათა საკანის არქივ-ფონდის მასალებიდან, კერძოდ, მის თანამედროვეთა და მოწაფეთა, ასევე მის მოწაფეთა მოწაფეების მოგონებებიდანაც ნათლად ჩანს, რომ მან დიდი წვლილი შეიტანა მესხეთში განათლებისა და პედაგოგიური აზროვნების განვითარებაში. მისი, როგორც განმანათლებლისა და საზოგადო მოღვაწის შეფასება უნდა მოხდეს ეპოქის გათვალისწინებით. პეტრე ხარისჭირაშვილს ცხოვრება-მოღვაწეობა ურთულეს პერიოდში – რუსიფიკატორული ხელისუფლების პერიოდში მოუხდა. ეს პერიოდი განსაკუთრებით გაუსაძლისი იყო ქართველ კათოლიკეთათვის. XIX საუკუნის II ნახევარში საქართველოში და განსაკუთრებით სამცხე-ჯავახეთში ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა გაუარესდა, სომხურმა კათოლიკურმა ეკლესიამ გააძლიერა უსაფუძვლო ცილისწამება ისტორიულად ქართველ კათოლიკეთა არარსებობის შესახებ. ამ საუკუნის დასაწყისში განვითარებულმა მოვლენებმა რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიის თანდათანობითმა დაპყრობამ დიდი გავლენა მოახდინა საქართველოში მყოფ კათოლიკე მისიონზეც. კერძოდ, ეს იმით გამოიხატა, რომ კათოლიკური აღმსარებლობის თავისუფლად გავრცელების საშუალება მოისპო. რუსეთის მთავრობა საქართველოში შემოჭრისთანავე ეძებდა გზებს მისიონერების თავიდან მოსაშორებლად. თავდაპირველად თავიანთ იმპერიაში უცხო სასულიერო პირების ყოფნას იტანდნენ, ხოლო შემდეგ მისიონერებს პეტერბურგმა ისეთი მიუღებელი პირობები დაუწესა, რომ ვერ შესძლებოდათ საქართველოში დარჩენა. 1845 წლის დამდეგს ისინი საბოლოოდ გააძევეს საქართველოდან. ქართველი კათოლიკე მრევლი მღვდლების გარეშე დარჩა. იმ დროიდან ქართველ კათოლიკეთა ისტორიაში დაიწყო ახალი პერიოდი: კათოლიკობისათვის-

ქართველობისათვის ბრძოლის პერიოდი, რადგან ამის შემდგომ რომსა და რუსეთს შორის დაიდო ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე საქართველოს ყველა კათოლიკე, როგორც ლათინური, ისე სომხურის წესის, ტირასპოლის ახალი ეპარქიის გამგეობას დაუქვემდებარდა. სომეხმა კათოლიკეებმა მიზნად დაისახეს დაპატრონებოდნენ საქართველოში არსებულ „ლათინურ“ ეკლესიებსა და მათ ქონებას. სამწუხაროდ, ქართველი სამღვდელოება ვერ აღმოჩნდა მოწოდების სიმაღლეზე. მათი ერთი ნაწილი პავლე შაჰყულიანის მეთაურობით მთავრობის ორიენტაციას მიემხრო. იმისათვის, რომ რუსეთის მეფის ხელისუფლებისაგან მიეღო ეპისკოპოსის თანამდებობა, პავლე შაჰყულიანმა სოფლების: ბავრის, კარტიკამის, ხულგუმოს, ტურცხის მოსახლეობა „ბერძნის ტიპიკონითგან სომხურს ტიპიკონს შეუერთა, რაც ცხადი იყო რუსის მთავრობის წინაშე. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ „მღვდლებს სომხურის ტიპიკონის გულისათვის დაუსომხებიათ მთელი ქართველობა“. „უკაზის ძალითა უკრძალეს ქართველ მორწმუნეებს ქართულ ენაზედ ლოცვა-ვედრება“. სამღვდელოების მეორე ნაწილი – პეტრე ხარისჭირაშვილის მეთაურობით და თვით მრევლი ეროვნულ პოზიციებზე დარჩა და ყველანაირად ცდილობდა წინააღმდეგობა გაეწიათ მოწინააღმდეგისათვის. მან გადაწყვიტა დაეარსებინა ქართული ძმობა, რომელიც ქვეყანას მოუმზადებდა ახალ პატრიოტულ ძალებს და ფეხზე დააყენებდა მას (პ. ბალიძის სააკაშვილისადმი მოხსენება). თუმცა მოწინააღმდეგეებმა ამ მიზნის სამშობლოში განხორციელების საშუალება არ მისცა. ამიტომ იგი ოსმალეთში გადავიდა – 1857 წელს. მოძიებული მასალებით ნათლად ჩანს, რომ პეტრე ხარისჭირაშვილი, ჯერ კიდევ სამშობლოში ყოფნის დროს შეეცადა საგანმანათლებლო მოღვაწეობას. შემდეგ კი საზღვარგარეთ – თურქეთში განაგრძო. კონსტანტინეპოლში მან სომეხი პატრიარქი – ჰარუხინიანი ინახულა, თავისი მიზანი გააცნო და დახმარება სთხოვა. „შორსმჭვრეტელმა სომეხ მღვდელმთავარმა რა გაიგო საქართველოს კათოლიკე ქართველთა მდგომარეობა და ღრმად ჩაუკვირდა მამა პეტრეს მოსაზრებულ გეგმის მნიშვნელობას, გაოცებაში ჩავარდა, შიშის ეჭვიც დაემატა. მან კარგად იცოდა ისინი შეიგნებდნენ თავიანთ მდგომარეობას, დღეს თუ ხვალ მოითხოვენ სომხებისგან ჩამოშორებას და დიდი ხნის გეგმა სომხურ პროპაგანდისა გაქარწყლდებოდა“ (გაზეთი „იმერეთი“, 1914, №101).

ამის შემდეგ სომეხთა მღვდელმთავარმა გადაწყვიტა, რომ ხელი შეეშალა პეტრე ხარისჭირაშვილისათვის. ამიტომ შესთავაზა თავისთან სამსახური – ეპისკოპოსობაც კი. მაგრამ მამა პეტრე არ მოიხიბლა მღვდელმთავრის მაცდური წინადადებით და თავისი განზრახვის სისრულეში მოყვანას შეუდგა. მან რომის პაპის პიო IX-ის წარმომადგენლის – მთავარეპისკოპოს ბრუნონის დახმარებით 1859 წელს მიიღო მკვიდრი სამსახური მოწყალების დათა მონასტერში. ასევე, სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა კონგრეგაციის შექმნის ნება ქართული ენითა და ტიპიკონით. იმავე წელს მამა პეტრემ ცნობილი მეცნიერის იაკობ ზუბალაშვილის ფინანსური დახმარებით სტამბოლის გარეუბანში – ფერიქოვში შეიძინა მიწის მოზრდილი ნაკვეთი, სადაც 1861 წელს ააშენა წმინდა მარიამ ღვთისმშობლის ეკლესია (სიორიძე, 2002: 19). უნდა აღინიშნოს, რომ ფერიქვეის ძმობამ იურიდიული ძალმოსილება მიიღო 1861 წელს. „პროპაგანდა ფიდეს“ იმჟამინდელმა თავკაცმა – კარდინალმა ბარნაბომ აუწყა პეტრე ხარისჭირაშვილს, რომ 10 თებერვლიდან მის მიერ დაფუძნებულ ძმობას იურიდიული ძალმოსილება მიენიჭებოდა“ (ურუშაძე, 1994: 3). აღსანიშნავია ისიც, რომ პეტრე ხარისჭირაშვილის მზრუნველობით ფერიქოიში მამათა სავანის ახლოს დაარსებული იქნა დედათა მონასტერი. მისი იურიდიული არსებობა აღიარებული იქნა 1871 წლის 9 მკათათვეს (ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009).

პეტრე ხარისჭირაშვილმა მიზანმიმართულად გამოიყენა დასავლეთის – ევროპის კეთილგანწყობა ქართველი კათოლიკეებისადმი. მის მიერ დაარსებულ სავანეს მფარველობას უწევდა სტამბოლში არსებული საფრანგეთის საელჩო, რადგან ქართველი კათოლიკეები ფრანგული ტიპიკონით სარგებლობდნენ. საფრანგეთის საელჩომ შესწირა მათ უსკუდარში მიწაც და საცხოვრებელი სახლები, რომელსაც ქართველები ფლობდნენ 1910 წლამდე. იქ მამა პეტრე ხარისჭირაშვილის ზრუნვით დაარსდა ეკლესია-მონასტერი. 1881 წელს კი გახსნა ქართულ-ბერძნული სკოლა (ფუტკარაძე, 2007: 14). მისი ძალისხმევით ქართველ მამათა საზოგადოებას სკოლა და ეკლესია ჰქონდა აგრეთვე პერას უბანში, პაპასკეპრში (ფაფაზქოფრუში), ეკლესია-მონასტერი და ქართული სტამბა დააარსა სამხრეთ საფრანგეთში – ქალაქ მონთობანში, დედათა მონასტერი და სკოლა არსებობდა სტამბოლის ახლოს – დარდანელში. პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ დაარსებულ ქართველ კათოლიკეთა

ეკლესიებში წირვა-ლოცვა და ქადაგება ქართულად სრულდებოდა, ხოლო ეკლესიებთან არსებულ სკოლებში დიდი ყურადღება ექცეოდა ქართული ენის სწავლებას (ფუტკარაძე, 2002: 57). იგი სკოლებსა და სავანეებს იმ მიზნით აარსებდა, რომ რაც შეიძლება მეტ ქართველ ახალგაზრდას მისცემოდა სწავლის შესაძლებლობა. სავანეში აღზრდილთა დიდ უმრავლესობას მღვდლებად ამზადებდნენ და სამშობლოში აბრუნებდნენ. მამა პეტრე ივანე გვარამაძეს ერთ-ერთ წერილში სწერდა, რომ უნდა გაზრდილიყო ქართველი მღვდლების რიცხვი ახალციხის მხარეში, რომელთაც მოამზადებდა სავანეში.

პეტრე ხარისჭირაშვილს სურდა, რომ სავანეში აღზრდილ მოწაფეებს ჰქონოდათ ძლიერი ეროვნული ცნობიერება და საფუძვლიანად სცოდნოდათ მშობლიური ენა. მისი შესწავლისა და დაცვის ერთ-ერთ საუკეთესო საშუალებად ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელოთა შედგენა მიაჩნდა. ამ საქმეშიც მან თავისი წვლილი შეიტანა, თვითონ ჰქონდა შედგენილი „მოკლე ქართული გრამატიკა“. ამასთანავე, საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა ივანე გვარამაძესაც სთხოვა„შეედგინა მოკლე ქრამატიკა, რომლის ქართულებ ქონვა საჭიროა და ძრიელ სასარგებლო“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2645).

ერთ-ერთ წერილში სწერდა: „მე მოგწერე ერთი ქართული გრამატიკის გაკეთება და იმედი მაქვს, რომ თავის დროზედ კიდემც გააკეთამთ იმას, მაგრამ რადგან ის თქვენგნით შეთხზული ქრამატიკა ქართული იქნება დიდი და სრული და რადგან მე ჯერ ჯერობით მჭიროდა ერთი მოკლე ქართული ქრამატიკა, ამისთვის მე დავიწყე აქ ერთი მოკლე ქართული ქრამატიკის გაკეთება და კიდევაც გავაკეთე მისი დიდი ნაწილი და დანარჩენ მცირე ნაწილს მალე შევასრულებ და იმასაც გამოგიგზავნი შესასწორებლად. ...აწ გამომიგზავნია თქვენთან ის ჩემგნით გაკეთებული დიდი ნაწილი ქრამატიკისა და გთხოვ რომ რომ რაც ნაკლულობა ნახოთ მასში უფრო რიერთი სუფთა ქართულს ლაპარაკს კერძოთ ის შეასწოროთ და ერთი სანდო პირის ხელით გამომიგზავნოთ“ (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. № 2203).

უნდა აღინიშნოს, რომ პეტრე ხარისჭირაშვილი დიდ ყურადღებას უთმობდა ქართული ენის სიწმინდის დაცვას. გარდა იმისა, რომ ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში წირვა-ლოცვა და ქადაგება ქართულად სრულდებოდა, მოითხოვდა, რომ სასწავლებელში გამოყენებული სახელმძღვანელოები კარგი, სუფთა ქართულით ყოფილიყო დაწერილი. მოძიებული მასალები-

დან ნათლად ჩანს, რომ ამ მიზეზით მან არაერთ სახელმძღვანელოზე თქვა უარი. მრავალი ცუდად ნათარგმნი წიგნი კი ხელმეორედ ათარგმნინა ივანე გვარამაძეს. ერთ-ერთ წერილში იგი ივანე გვარამაძეს სწერდა: „შეგირდებმა უნდა „შეისწავლონ კარგად სუფთა დაბეჭური ქართული და თხზვა კანონიერად, თვარემ უამისოდ რას არგებს მათ და ანუ მამულს მარტო ევროპული ენებით ლაპარაკი ოდეს მათ ჯერ ასარგებლებენ ვერაფერს მამულსა და თავიანთ მოძმეებს," ე.ი. მისი აზრით, ქართულ ენაზე თარგმნილი და შედგენილი სახელმძღვანელოები უნდა გამოეყენებინათ არა მარტო საგნის ხარისხიანად შესწავლისათვის, არამედ მათ უნდა უზრუნველყოთ მშობლიური ენის საფუძვლიანი შესწავლა და შეგირდებში ეროვნული, პატრიოტული სულისკვეთების აღზრდა.

პეტრე ხარისჭირაშვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობა მხოლოდ კონსტანტინეპოლსა და მოხთობანში რამდენიმე სასწავლებლის დაარსებით არ ამოიწურება. ქართული პედაგოგიური აზროვნების განვითარებისათვის მნიშვნელოვანი მოხაპოვარია მის მიერ შედგენილი სახელმძღვანელოები: ჩვენ მიერ ზემოთ დასახელებული „მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის" და „სიბრძნე კაცობრივი".

„მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის" ანტონ კათალიკოსის „ქართული გრამატიკის" გათვალისწინებითა და გავლენით არის შედგენილი, მაგრამ შედარებით გამარტივებულია, რაც აიოლებდა სოფლის სკოლებში გრამატიკის ელემენტარული კანონების შესწავლასა და მართლწერის წესების დაუფლებას", – წერდა დ. კურტანიძე (კურტანიძე, 2003: 27). აღნიშნულ პერიოდში განათლების სფეროში შექმნილი მდგომარეობისა და ქართული ენისადმი მეფის ხელისუფლების დამოკიდებულების გათვალისწინებით წიგნის მნიშვნელობა და მისი ავტორის დამსახურება უდავოდ დიდია.

პეტრე ხარისჭირაშვილი კარგად იცნობდა როგორც ქართულ, ისე ევროპულ სწავლა-აღზრდის სისტემებს. მისი პედაგოგიური შეხედულებები ეფუძნება ზნეობრივ-აღმზრდელობით პრინციპებს. ამიტომაც იყო, რომ მისი მეორე წიგნი „სიბრძნე კაცობრივი" მოზარდთა აღზრდა-განათლებისათვის საყურადღებო სწავლა–დარიგებებს შეიცავს. მისი მიზანი იყო მოსწავლისათვის ესწავლებინა თეორიული ცოდნის პრაქტიკული გამოყენების გზები.

პეტრე ხარისჭირაშვილის საგანმანათლებლო მოღვაწეობაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია სასტამბო-საგამომცემლო საქმიანობას. მან სტამბოლში ქართული სავანის დაფუძნების შემდეგ, დიდი ძალისხმევით, 1870 წელს გახსნა ქართული სტამბა, რომელსაც თვითონვე უძღვებოდა გარდაცვალებამდე. მისი დახმარებით მეორე სტამბა გაიმართა მოხითობანის სავანე'შიც. სტამბა'ში იბეჭდებოდა როგორც თეოლოგიური სასწავლო ხასიათის სახელმძღვანელოები, ისე ე.წ. „სახალხო წიგნები". როგორც მოძიებული მასალებიდან ირკვევა, მამა პეტრე მიზნად ისახავდა სახელმძღვანელოებითა და საჭირო ლიტერატურით მეომერაგებინა არამარტო მის მიერ დაარსებული სასწავლებლები, არამედ თავისი გამომცემლობით დახმარებოდა ქართულ სახალხო სკოლებსაც. აი, რას წერდა იგი: „დიდი ხნის აქეთ მწუხარეს გულით ვხედავდით, რომ არა იპოვებოდნენ ქართულს ენაზე დასტამბული სასარგებლო და გამოსადეგი წიგნები და ამით ყველაფერი მოკლებული იყო სწავლის საშუალებისაგან მთელი საქართველოს საზოგადოების ფრიად უდიდესი ნაწილი. იგი, რომელმაც ქართული ენის მთელი სხვა ენა არ იცის. წიგნების უქონლობა უფრო შესამჩნევ გულდასაწყვეტი იყო სასოფლო სკოლების მდგომარეობისა" (ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009). მაგრამ საქართველოს სკოლებში მას არ მისცეს თავის სტამბაში დაბეჭდილი სახელმძღვანელოების გავრცელების უფლება. აღნიშნულთან დაკავშირებით ივანე გვარამაძე გულისტკივილით წერდა: „დაბეჭდა და გამოსცა მეტად სასარგებლო წიგნები, მაგრამ ჩვენდა დიდათ სამწუხაროდ საამისოთ ვერა ვსარგებლობთ ამ ძვირფას წიგნებიდგან. მაგრამ ბრალი, დანაშაულობა ჩვენის გონების გაუხსნელობისა არის და არა მისი. ჯერ კიდევ არ გამოვსულვართ უმეცრების ღრმა ძილისაგან" (ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. № 2203). უნდა აღინიშნოს, რომ სტამბოლის სავანის სტამბაში ივანე გვარამაძის რამდენიმე წიგნი დაიბეჭდა.

მამა პიო ბალიძეს სურდა, რომ ქართველ საზოგადოებას კარგად სცოდნოდა მისი დამსახურება და შესაბამისი პატივი მიეგოთ მისთვის. სწორედ ამიტომ არის, რომ თავის ერთ-ერთ წერილში „ხმა სტამბოლიდამ" დეტალურად აღწერა მისი მოღვაწეობა და სავანის დაარსების ისტორია: „მამა პეტრემ სავანე'ში სამონაზვნო წესი შემოიღო და ქართული ტიპიკონი დაუდო ბურჯად. დააფუძნა სტამბა და დაბეჭდა მრავალი წიგნი. მამა პეტრე დაუღალავათ სარდალივით მუდამ წინ უძღა საქ-

მეს. ძალღონით სავსე ახალი საზოგადოება თავის მოძღვრის ხმაზედ მამაცურად ეკვეთებოდა საქმეს“ (ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009). მამა პიოს მიერ მამა პეტრე ხარისჭირაშვილის მოღვაწეობის წარმოჩენა მხოლოდ დამფუძნებლისადმი პატივისცემის გამოხატვა არ იყო, მას ასევე სურდა, რომ მისი მოღვაწეობა სამაგალითო ყოფილიყო სავანეში მყოფ მოწაფეთა და მოძღვართათვის.

შეიძლება ითქვას, რომ პეტრე ხარისჭირაშვილმა სტამბოლის ფერიქოის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის სახით შექმნა ქართული კულტურის, მეცნიერებისა და ქრისტიანული ეკლესიის მძლავრი კერა, რომელსაც თვითონ ხელმძღვანელობდა 1890 წლამდე. მისი გარდაცვალების შემდეგ 1979 წლამდე კი სავანეს მართავდნენ მამათა მიერ არჩეული წინამძღვრები. ამჟამინდელი მდგომარეობით იქ არსებობს საინტერესო მასალებით მდიდარი ფონდ-არქივი. იგი დაარსებიდან დღემდე კვლავ რჩება ქართული კულტურის ერთ-ერთ ძლიერ კერად.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენი გადასახედიდან, კიდევ უფრო მეტია ინტერესი პეტრე ხარისჭირაშვილის პიროვნებისა და მოღვაწეობის შესახებ. მისი დამსახურება ქართველი ერის წინაშე განუზომელია. მესხური განმანათლებლობის სათავეებთან სწორედ იგი მოიაზრება. მისი საგანმანათლებლო მოღვაწეობა ქართველი კაცის ცნობიერების განმტკიცებას ემსახურებოდა. ის იმ ადამიანთა რიცხვს ეკუთვნის, რომლებმაც მთელი თავიანთი შეგნებული ცხოვრება უცხოეთის ცის ქვეშ იცხოვრეს არა საკუთარი თავისათვის, არამედ მხოლოდ საქართველოსათვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

გაზ. „იმერეთი“, №101, 1914.

კურტანიძე, 2003: კურტანიძე დ., განათლება და პედაგოგიური აზროვნება სამცხე-ჯავახეთში XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისში, სადისერტაციო ნაშრომი, 2003.

სიორიძე, 2002: მ. სიორიძე, საქართველოს და ქრისტიანული დასავლეთ ევროპის ურთიერთობა, კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა სავანე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, თბ., 2002.

სიორიძე, 2002: მ. სიორიძე, საქართველოს და ქრისტიანული დასავლეთ ევროპის ურთიერთობა, კონსტანტინეპოლის ქართველ

კათოლიკეთა სავანე საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში, თბ., 2002.

ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009: სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მასალები, შალვა ვარდიძის ფონდი, „წერილი სტამბოლიდან“.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2645: სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №2645, პეტრე ხარისჭირაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

ს.ჯ.ი.მ.ხ.ფ. №2203: სამცხე-ჯავახეთის ისტორიის მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი, №2203, პეტრე ხარისჭირაშვილის წერილი ივანე გვარამაძისადმი.

ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009: სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მასალები, პეტრე ხარისჭირაშვილის მასალები.

ს.ქ.კ.მ.ს.მ. 2009: სტამბოლის ქართველ კათოლიკე მამათა სავანის მასალები, პიო ბალიძის ფონდი, წარმოთქმული სიტყვები.

ურუშაძე, 1994: ურუშაძე ლ., პეტრე ხარისჭირაშვილი, „საქართველოს კათოლიკე“, №3, 1994.

ფუტკარაძე, 2007: ფუტკარაძე შ., სტამბოლის ქართული სავანე, ქართველური მემკვიდრეობა, XI, თბ., 2007.

ფუტკარაძე, 2002: ფუტკარაძე შ., ქართული კულტურის კერა სტამბოლში, საქართველოს და ქრისტიანული დასავლეთ ევროპის ურთიერთობა, ქუთაისი, 2002.

Nato Kruashvili

TO STUDY THE EDUCATIONAL ACTIVITIES OF PETER KHARISCHIRASHVILI

Summary

Peter Kharischirashvili belongs to the people who devoted their life to their homeland though they had to spend their whole conscious life abroad. He established Georgian Catholic Fathers' Cloister of Istanbul as a powerful hub of Georgian culture, science and the Christian Church. After his death the Heads, elected by the Fathers, ran the Cloister until 1979.

Two hotbeds of Meskhetian Enlightenment functioned from the II half of the XIX c., the founder of which was Peter Kharischirashvili and therefore he was considered to be at the origin of the Meskhetian Enlightenment. His educational activities served to strengthen the national awareness of Georgian man.

Peter Kharischirashvili founded several Georgian Catholic Churches and the schools at the churches in Constantinople and Montoban in which the church service and teaching were fulfilled in Georgian. He drew a big attention to the cleanness of the Georgian language and insisted that the textbooks should be written in good, pure Georgian language. The Cloisters and schools established by him gave a good chance to Georgian young people to receive an education. Most of them were trained as priests and returned to their homeland.

The textbooks prepared by Peter Kharischirashvili are significant achievement for a development of Georgian pedagogical thinking. Printing - publishing activities also occupy an important place in his educational work.

გიორგი ხორბალაძე

მავთულხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში

(გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის მიხედვით)

ეპოქები და მნიშვნელოვანი მოვლენები ხშირ შემთხვევაში განსაზღვრავენ ლიტერატურულ მიმდინარეობებს და ძირითად თემატიკას, რაც შემდეგ მწერალთა შემოქმედებაში ამა თუ იმ ფორმით წარმმართველ ადგილს იკავებს და უდიდესი მასალით ასაზრდოებს ლიტერატურულ ასპარეზს. „ეპოქას მოაქვს თავისი რითმი, თავისი ინერცია. მწერალმა უნდა იგრძნოს ეპოქის პულსაცია, ეპოქის სული. მწერალი არ არსებობს ინდივიდუალური მწერლური თვისებების გარეშე, მაგრამ, თუ ეს თვისებები ეპოქის რიტმსა და ინერციაში არ ჯის, ყოველთვის იქნება ანაქრონიზმი ნაწარმოებსა და ეპოქას შორის" (ფანჯიკიძე, 1986: 604). ბუნებრივია, რომ ოცდამეერთე საუკუნის ლიტერატურაში გარდამტეხი ძალით შემოიჭრა აგვისტოს ომის ტკივილიანი თემატიკა და თითქმის ყველა თანამედროვე მწერალი ცოტად თუ ბევრად შეეცადა ამ ტკივილს შეხებოდა. რა თქმა უნდა, ამ პროცესში უჩვეულო არაფერი დაგვინახავს, პირიქით, სრულიად გასაგებია, რომ ვერც მკითხველის და მით უმეტეს, ვერც მწერლის ემოციური ბუნება თავის თავში ვერ დაიტევს ისეთ ძლიერ განცდას, რომელიც ასეთი მასშტაბის ტრაგედიის შემდგომ სრულიად გასაგები მოვლენაა. შესაბამისად, ომის თემა მწერლისთვისაც და მკითხველისთვისაც ბევრი ფიქრისა და განსჯის საგანია. ძირითადი ხაზი ნოველისა თუ მოთხრობისთვის თითქოს მზაა, მაგრამ ისევ თემატიკიდან გამომდინარე, მწერლისთვის საფრთხილო და სარისკოც არის ომთან შემოქმედებითი მიახლოება, ვინაიდან არსებობს საშიშროება, რომ ერთი და იმავე მოცემულობაში მრავალი შემოქმედის ტრიალი, უბრალოდ, ერთი ამბის მრავალჯერ მოყოლას დაემსგავსოს, რაც ლიტერატურას მაინცადამაინც არ უხდება. სტატიაში „ომი და ლიტერატურა" სოსო სიგუა აღნიშნავს: „თუ გერმანული

მწერლობა ომის აგრესიას უმღეროდა, ქართველს თავდაცვა და თავის დახსნა, დაკარგულის მოპოვება აინტერესებდა.

ომის ჰეროიკას ნერგავდნენ რუსთაველი და ვაჟა-ფშაველა, კონსტანტინე გამსახურდია და გრიგოლ რობაქიძე, პაოლო იაშვილი და ტიციან ტაბიძე.

...ტიციან ტაბიძემ ომის ჰეროიკა ქართველი ერის ნაციონალურ თვისებად მიიჩნია და თანამოკალმეებს მოუწოდა, ეგრძნოთ მისი სული და არ ეფიქრათ „ომის ბოროტებაზე" (სიგუა, 2014: 612).

გიორგი სისიაშვილი ის მწერალია, რომელიც ხშირად ეხმაურება აგვისტოს ომის თემატიკას და ომის ჰეროიკას სრულიად განსხვავებულად აღიქვამს. ის ომით გაცივებულ გულებში მონატრებულ სიყვარულს დაეძებს და მთავარი აქცენტი უბრალო ადამიანების განცდებზე გადააქვს, საიდანაც ომის საშინელების ღრმად ფილოსოფიური მხარეები უაღრესად საინტერესოდ იკვეთება. „მწერალმა უნდა დაიცვას თანაფარდობა თხრობას, თავშესაქცევობასა და დამაჯერებლობას, ესთეტიკურობასა და ფილოსოფიურობას შორის. წინააღმდეგ შემთხვევაში, გაქრება მხატვრული სამყაროს „რეალურობის" ილუზია. ლევ ტოლსტოი შენიშნავდა: „ყოველი ჩვენგანისთვის ნაცნობია უნდობლობისა და პრიორიტეტის ის გრძნობა, რომელსაც მკითხველში ბადებს მწერლის პოზიცია, თავს მოგახვიოს თავისი აზრი. საკმარისია, ავტორმა (მთხრობელმა) წინასწარ გვამცნოს: მოემზადეთ ახლა ტირილი მოგიწევთ, ანდა მოემზადეთ, ახლა გაგაცინებთ და ჩვენ ტირილის ან გაცინების სურვილი გაგვიქრება" (გაფრინდაშვილი... 2008: 480).

იმდენად, რამდენადაც გიორგი სისიაშვილი აღწერილი სიუჟეტების ძირითადი ნაწილის რეალური საწყისების თვითმხილველიც არის, მისგან დახატული პერსონაჟებისა თუ სიტუაციების დამაჯერებლობა თავისთავად იპყრობს განსაკუთრებულ ყურადღებას. აშკარაა, ავტორიც ამ განცდათა თანაზიარია და სწორედ ამიტომაა, რომ ლამის არის დოკუმენტალისტიკაში გადადის საკუთარ მოთხრობებში, დამაჯერებელი და რეალურ საწყისებზე აგებული ამბების თხრობით. საინტერესოა, რომ აღნიშნულ თემაზე მის მოთხრობებში დასურათხატებული ყველა ამბავი, მიუხედავად მთავარი თემატიკის ერთიანობისა, რადიკალურად განსხვავდება ერთმანეთისგან და ორიენტირებულია სრულიად განსხვავებულ ემოციურ ნიუანსებზე. „ქართული ნოველა ქმნის, თუ აღწერს

ქართულ სამყაროს, ერთდროულად თვითკმარსაც და „ღიასაც", ყოვლისმომცველსაც და უნიკალურსაც, ასევე განსხვავებულს „სხვათა" ქვეყნებისგან და ასე მსგავსს (კუცია, 2009: 211). გიორგი სოსიაშვილი ზედმიწევნით ერგება ქართული ნოველის ხასიათს და საინტერესოდ აგრძელებს ქართული ნოველისტიკის ტრადიციებს.

აღნიშნულის სადემონსტრაციოდ გვინდა მიმოვიხილოთ მისი ორი მოთხრობა: „მძახლები" და „ბაღები", რომლებიც გორის უნივერსიტეტის ჟურნალში „ჩვენი უნივერსიტეტი", 2015 წლის პირველივე ნომერში დაიბეჭდა და წაკითხვისთანავე მიიპყრო ჩვენი ყურადღება (ჩვენი უნივერსიტეტი, 2015: 9-14). „მძახლების" ბოლო წინადადების წაკითხვისას უკვე ჩამოყალიბებული ვიყავით, რომ ამ მოთხრობის თაობაზე აუცილებლად უნდა გაგვემახვილებინა მკითხველის ყურადღება და დაგვწერა გამოხმაურება, რათა ის ფრიად საინტერესო ნიუანსები, რომელთაც მოთხრობა შეიცავს, მკითხველის ყურადღების მიღმა არ დარჩენილიყო. ეს მოსაზრება მოთხრობამ „ბაღები" კიდევ უფრო განამტკიცა და, შესაბამისად, ვეცადეთ ორივე მოთხრობა ისე მიმოგვეხილა, რომ შეძლებისდაგვარად ამოგვეცნო მწერლის აქცენტები და დაგვეკვალიანებინა მკითხველი, რომელსაც ხშირად ახალი, ჯერ კიდევ მისთვის უცნობი საკითხავი ლიტერატურა უამრავ და არცთუ ღირსეულ კონკურენციაში აქვს ასარჩევი.

თანამედროვე მარკეტინგული მიდგომები შეჭრილია ყველა სფეროში და არც ლიტერატურას დაჰკლებია მისი დათვური სამსახური. ზოგიერთი „ალიარებული" მწერალი, ვისი სახელიც მავანს შესაძლოა დღენიადაგ პირზე ეკეროს, რეალურად, მწერლობასთან მწყრალადაც კი იმყოფება. ზოგჯერ დაბეჭდვამდე ინათლებიან „ბესტსელერად" წოდნები და მკითხველიც ეგება ეშმაკურად დაგებულ მახეში, აიძულებს რა ცნობისმოყვარეობა აჰყვეს მარკეტინგის დინებას და „გაასალოს" ფერადყდიანი მაკულატურა, განსაკუთრებით მაშინ, როცა წინასწარ და სასწრაფოდ იგეგმება „სახელგანთქმული" ავტორების გამოჩეკვა. ილუზიონისტივით დაატრიალებენ ერთი-ორ თვალის ასახვევ ტრიუკს პიარ-მენეჯერები და „კლასიკოსი" დროებითი ეფექტით, მომზადებულია. აკაკი ბაქრაძის აზრით: „გაუგებრად, ბუნდოვნად მხოლოდ ორ შემთხვევაში წერენ, ერთხელ, როცა ის ცუდად იციან, რაზეც წერენ. მეორედ, როცა დემაგოგიური მიზნით წერენ და სიტყვების კორიანტე-

ლით მკითხველს თვალში ნაცარს აყრიან" (ბაქრაძე, 2013: 460). გიორგი სოსიაშვილი სწორედ ის მწერალია, რომელმაც კარგად იცის, რაზეც წერს და ამიტომ მისი მოთხრობებიც იოლად არის გასაგები. მიუხედავად იმისა, რომ ნამდვილ ნიჭიერებას რთული და ალმართიანი გზა აქვს გასავლელი, წარმატებაც ნაბიჯ-ნაბიჯ მოდის და სახელიც. ასე ალმართ-ალმართ მიიწევს შემოქმედებით გზაზე მწერალი გიორგი სოსიაშვილი. მისი შემოქმედებისთვის, საქართველოს ბედიღბალი, შორეული თუ ახლო წარსული და აწმყო განუყოფელი საზრუნავია. „მწერლის მიზანია ცხოვრებისეული სინამდვილის ასახვა და წარმოჩენა ((ცხადია, მისი თანმხლები კონფლიქტების გათვალისწინებით). ჩანაფიქრი მომავალი მხატვრული ნაწარმოების პირველსახეს წარმოადგენს. მასში მოიაზრება შინაარსი ძირითადი ელემენტების, კონფლიქტების, სახეობრივი სტრუქტურის წყაროები" (გაფრინდაშვილი... 2008: 80). 2008 წლის აგვისტო, მისი წინარე თუ პოსტ პერიოდებით, გიორგი სოსიაშვილს უზადო პროფესიონალიზმითა და მაღალმხატვრული ოსტატობით აქვს ასახული შემოქმედების ერთ ნაწილში და ვინმემ ამ ინერციით იქნებ ეს ორი მოთხრობაც ომის თემატიკას მიათვალოს, თუმცა ჩვენ ვერ დავეთანხმებით, რადგან ორივე მათგანის მთავარი თემა ომი და კონფლიქტი კი არ არის, არამედ სიყვარული და ერთგულებაა. სიყვარული და ერთგულება სამშობლოსადმი, მეგობრისადმი და, ბოლოს, იმ სანუკვარი ერთადერთისადმი, რომელსაც პირადობის დამადასტურებელ მოწმობაში მილიონნაირი სახელი შეიძლება ერქვას, გულში კი თავად სიყვარული ჰქვია, ყველგან და ყველა ვითარებაში.

მოთხრობაში „მძახლები", ქართველების მძახლები იმ ოსი გოგონას მშობლები არიან, მავთულხლართებში რომ გამოძვრა და შეყვარებულ ქართველ ბიჭს ვაჟს ცოლად. თავისთავად ამბავი უკვე სამოთხრობე მასალაა და მაქვს რა ფუფუნება მწერლის ცხოვრებისეულ გარემოს არცთუ ცუდად ვიცნობდე, ავტორის სანაცნობო წრეში განვითარებული თითქმის იდენტური ამბის რეალური ვერსიაც მაქვს მოსმენილი თავის დროზე. შესაბამისად, სიუჟეტიც მარტივად ამოვიცანი, მაგრამ სინამდვილეში საქმე სულ სხვა რამეშია, როგორ დაინახა და რას მიანიჭა ემოციური დატვირთვა თავად ავტორმა, აი, რა გახდა ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის, მთავარი სიურპრიზი.

ამბის მთხრობელი ვაჟის მამაა, ცოტა შეშინებული, ცოტა აფორიაქებული, ცოტა გაურკვევლობაში ჩავარდნილი, მაგრამ გულის სიღრმეში მაინც გამარჯვებული, ამაყი და კმაყოფილი. თუმცა, შვილის მისამართით საყვედურს გამოთქვამს: „რა გინდა, შვილო, რასა მრევ შარში. ძლივს რაღაცას მოვეწიე". სტრიქონებს შორის ილანდება, როგორ ამაყობს, რომ მისი შვილისა და რძლის გამბედაობაზე ტაში დაუკრეს, რომ „იდგა დარბაზი და გუგუნებდა", როცა „ვილაც დიდი კაცი გამოსულა თურმე სიტყვითა" და მისი შვილების საქციელი თვალსაჩინო მაგალითად მოუშველიებია, „როგორც არ უნდა ჩაერიოს რუსეთიო, როგორც არ უნდა ჩაყოს ცხვირი და არეულობა სცადოსო, არაფერი გამოუვაო, ჩვენ ისევ ძმებად დავრჩებითო". მერე, საკუთარი სიყვარულის ამბავს აგონებინებს ავტორი მთხრობელ მძახალს და ხაზს უსვამს, რომ „ჯაგასთვისაც" (ქართველი ბიჭის მამის პერსონაჟის მეტსახელია), სინამდვილეში სრულიად მისაღებია სიყვარულისთვის ბრძოლა და ის საყვედურები, რომელსაც შვილის მისამართით გამოთქვამს, ვალის მოხდა უფროა ცივი გონების წინაშე, რომელიც მოცემულ სიტუაციაში ცხელ გრძნობებს გაუნაპირებიათ. მაგრამ მთავარი ისევ წინ არის: მავთულხლართების დამრღვევი შეყვარებულებისთვის და მათი ოჯახებისთვის რეალურად უფრო მკვეთრდება და გაცილებით მეტი ეკლით ნაყოფიერდება მავთულხლართი, თავს მოხვეულ საზღვარს აქეთ-იქით დარჩენილებს ერთად ყოფნა სწყურიათ, მათთვის ურთიერთლტოლვა და სიყვარული უსაზღვროა და უსამანო, ამიტომ რადგან ერთმანეთთან საახლობლოდ არ უშვებენ „მშვიდობისმყოფელები", უცნაური გამოსავალი მოაფიქრდათ მძახლებსაც (გაჭირვება მაჩვენეო, როგორც იტყვიან), ბატკანი დაკლა „ჯაგამ" ახალი ნათესაურების საპატივსაცემოდ და სუფრა პირდაპირ მავთულხლართების ძირში გააწყობინა ოჯახობას. გასაოცარია ავტორის მიერ დახატული სურათი, მავთულის ღობის გასწვრივ გაშლილ, მავთულხლართზე ასი ათასჯერ მოკლე სუფრას განუსაზღვრელად უფრო დიდი ძალა აქვს, ვიდრე ქვემეხებითა და ავტომატებით გამაგრებულ ღობეს.

შეუძლებელია მოთხრობის ამ მეტად ემოციურმა პასაჟმა ღრმად არ დაგაფიქროს და არ გაიძულოს მომავალზე სიყვარულით იფიქრო. შვილისა და სიძისკენ მიმართული ცრემლებმოწოლილი მზერა ახალდაოჯახებული გოგონას მამისა, უცნაურად არის ტრაგიკულიც, დრამატულიც, სევდიანიც, მაგ-

რამ ამავდროულად იმედიანი, ვინაიდან, მავთულხლართის ეკალნარი სიყვარულს ვერ აკავებს, ამ პათოსს კი ავტორი ერთი მშვენიერი, ალეგორიული ფრაზით გადასცემს მკითხველს, მოთხრობის საფინალო მომენტში - ალადასტურით სავსე ჭიქაში გაძვრება მზის სხივი, ჭიქის ორივე მხარეს ეფინება ნათელი და ადვილი წარმოსადგენია, რა კეთილშობილი ფერით ააპარპალებს ჭიქაში მოქცეულ ალადასტურს. იქნება, ალადასტური საქართველოა, ჭიქა - მავთულხლართი, გამჭოლი სხივი კი უტყუარი ნიშანი თბილი და მხიანი მერმისისა. აკი ეუბნება კიდეც დანაღვლიანებულ მძახალს ჯაგა: „მალე ჩავიხუტებთ ერთმანეთს, მალე. ...ჩვენი გამარჯვებისა იყვესო”.

მეორე მოთხრობა „ბაღები” კი, თითქოს ერთგვარი ლოგიკური განვითარებაა ზემოთ განხილული მოთხრობისა. მძახლები თუ სიყვარულის ირგვლივ ირაზმებიან, „ბაღები” მეგობრობის საოცარ მაგალითს გვიჩვენებს. ორი, ეთნიკური ნიშნით ხელოვნურად დაშორებული ქართველი და ოსი მეგობარი, „მშვიდობისმყოფელების” იარაღის ჟღარუნის პირობებში ინარჩუნებს ძმობას და იმ ფორმას პოულობს ერთგულების გამოსახატავად, რომელიც არსებულ რთულ რეალობაში ხელეწიფებათ. სხვა დროს იქნება არც დაინტერესებულიყვნენ ერთმანეთის ბაღ-მოსავლის არსებობა-არარსებობით, ახლა კი, უადგილო საზღვარმა ჯერ ოსი მეგობრის ნაფერებ-ნალოლიავები ბაღი მოახვედრა ღობის აქეთ, მერე პირიქით, მავთულხლართი ისე შემოწიეს, რომ ქართველის ბაღი აღმოჩნდა იმავე უადგილო საზღვარს მიღმა. ბუნებრივად კი მხოლოდ „ერთი პატარა საწური კანაო” ჰყოფს ოსი გაბისა და ქართველი ნიკოს ბაღებს.

ვიდრე გაბის არც სამეგობროდ უშვებენ და არც სამუშაოდ მავთულს გაღმა, ნიკო საკუთარ ბაღზე მეტად მეგობრისას უვლის, მეგობრის მოსავალზე ზრუნავს და რეალიზებული მოსავლით მიღებულ ფულსაც ჩუმად უგზავნის გაბის. შემდეგ გაბი პასუხობს იმავე ერთგულებით ნიკოს. ეს უესტი არ არის ვიწრო გაგებით მხოლოდ ბაღის მოვლა, ეს ურთიერთსიყვარულისა და მეგობრობის საოცარი მაგალითია, სინამდვილეში ხომ ნიკოც და გაბიც, საკუთარ წარმოდგენაში მეგობრის ხეხილს კი არა, ამ ხეხილში განსხეულებულ ძმობას ესათუთებიან. შვილივით უვლიან ერთმანეთის ნაამაგარს მიუხედავად იმისა, რომ არ უწყიან, „რამდენი ხანი ექნებათ გაშვილებული”.

ნიკოს აქეთ დაატარებენ გამომძიებელთან ოსი მეგობრის გამო, გაბის ალბათ იქით, რადგან „ვის დააჯერებ, რომ ...ასეთი ძმაკაცობა აქვთ?" ავტორი კი ისეთი დამაჯერებელია ამ მოთხრობის ფარგლებში, რომ გაკვირვებას მკითხველში სწორედ ასეთი მეგობრობის დაუჯერებლობა უფრო იწვევს, ვიდრე თავად ეს ისტორია და ძმობის წარმოუდგენელი მაგალითი.

მკითხველსაც სჯერა, სჯერა და იმედით ივსება, ისეთი თვალსაჩინოდ აბრიალებული, ლამაზი და რეალური იმედით, როგორც „ალადასტურით სავსე ჭიქაში გამძვრალი მზის სხივი".

როგორც სამართლიანად შენიშნავდა ზურაბ ჭავჭავაძე - „მწერლობა განცალკევებული კუნძული ხომ არ არის! იგი ეროვნული ინტელიგენციის ორგანული ნაწილია. როგორც ერი, ისეთი ბერიო, - ნათქვამია. გულუბრყვილობა იქნებოდა, ხნეობრიობის, თუ მოქალაქეობრიობის თვალსაზრისით მწერალს სხვაგვარი მოთხოვნები წავუყენოთ და მუსიკოსს, მეცნიერსა და მასწავლებელს კი - სხვაგვარი, მაგრამ, ამასთანავე, მწერლობა ინტელიგენციის ყველაზე „მეტყველი" ნაწილია და, ამდენად, ყველაზე უფრო თვალნათლივ ასახავს საზოგადოების სულიერ მდგომარეობას" (ჭავჭავაძე, 1993: 336).

გიორგი სოსიაშვილის ეს ორი მოთხრობაც სულიერი მდგომარეობაა მავთულხლართის ორ მხარეს დარჩენილი საზოგადოების ყველაზე ჯანსაღი ნაწილისა, მათი, ვისაც ესმის, რომ ძალით გაცივებულ გულში სიყვარულის ცეცხლი არ დანაცრდება, იქნებ დანაკვერჩხლდეს კიდეც, მაგრამ ნაკვერჩხალს ხომ მხოლოდ პატარა მონატრების სიო ეყოფა, ისევ ცეცხლად რომ აგიზგიზდეს. ასეთია გიორგი სოსიაშვილის მრწამსიც და იმედიც, ასეთია ჭეშმარიტი მწერლის პოზიცია და შეუძლებელია არ დაეთანხმო, შეუძლებელია ამ კეთილგონიერმა დამოკიდებულებამ გავლენის ქვეშ არ მოგაქციოს, ამიტომ რაც უფრო მეტი მკითხველი ეყოლება ნიჭიერ მწერალს, მეტი ადამიანი დაინახავს იმ ღრმად ფილოსოფიური და ამავდროულად მარტივ-ადამიანური დამოკიდებულების უალტერნატივობას. მიგვაჩნია, რომ არა მხოლოდ დასახელებული ორი ნოველა, არამედ გიორგი სოსიაშვილის მთელი შემოქმედება, უდაოდ იმსახურებს როგორც მკითხველთა ფართო საზოგადოების, ისე ლიტერატურის კრიტიკოსთა განსაკუთრებულ ყურადღებას, ჩვენ კი შევეცადეთ ამ ნაშრომის ფარგ-

ლებში წარმოგვეჩინა განხილული ორი მოთხრობის მეტად საინტერესო და პრობლემატური ასპექტები და ასევე, ერთი თანამედროვე მწერლის შემოქმედების მაგალითზე, მცირე წვლილი შეგვეტანა მიმდინარე სალიტერატურო პროცესის კვლევის საკითხში.

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაქრაძე, 2013: ბაქრაძე აკ., „სკოლას", გამომცემლობა ინტელექტი, თბილისი, 2013.

გაფრინდაშვილი... 2008: გაფრინდაშვილი ნ., მირესაშვილი მ., „ლიტერატურათმცოდნეობის საფუძვლები", საგამომცემლო სახლი „ინოვაცია" თბილისი, 2008.

კუცია, 2009: კუცია ნ., ქართული ნოველის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის (XX საუკუნის 80-იანი წლები), გამომცემლობა „მერიდიანი"თბ., 2009.

სიგუა, 2014: სიგუა ს., მოდერნიზმი, თბილისი, 2014.

ფანჯიკიძე, 1986: ფანჯიკიძე გ., რჩეული თხზულებანი 3 ტომად, რაციონალიზმი, რიტმი, ფსიქოლოგიზმი, ტ. II, თბ; 1986.

ჩვენი უნივერსიტეტი, 2015: ჟურნალი „ჩვენი უნივერსიტეტი" (გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის ჟურნალი) №1(27), 2015.

ჭავჭავაძე, 1993: ჭავჭავაძე ზ., ლიტერატურათმცოდნეობა, კრიტიკა, პუბლიცისტიკა, თარგმანი („რას ვაკეთებთ?! რასა ვშვრებით?!"), თბილისი, 1993.

მერაბ ბერიძე

ეპიგრაფიკული ძეგლი კურცხანის ხეობიდან

ჩვენი კურსდამთავრებულის ნათია ველიჯანაშვილის შეტყობინებით კურცხანის ხეობაში ადგილობრივნი მიუთითებენ ეპიგრაფიკულ ძეგლებზე, რომელიც შეიძლება დაიკარგოს ან განადგურდეს, როგორც ბევრი მსგავსი ნიმუში ჩვენი ისტორიისა.

განთლების, ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილის ლ. ბერიძის განცხადების საფუძველზე გადაწყდა, მოწყობილიყო ერთდღიანი ექსპედიცია, გასვლა კურცხანის ხეობაში და წარწერის მონახულება, შეძლებისდაგვარად დაფიქსირება ან წამოღება უნივერსიტეტში წარწერიანი ქვისა. წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე გაფორმდა ხელშეკრულება დიმიტრი შეყლაშვილთან. საკითხის შესწავლის შედეგად გაირკვა, რომ ტერიტორიაზე, სადაც ძეგლის არსებობას მიუთითებდნენ, სპეციალური მანქანის გარეშე ვერ ავიდოდით. ასეთი სპეციალური მანქანა აღმოჩნდა ძველი სამხიდიანი „ურალი“, რომლითაც ადგილობრივი მოსახლეობა მუშაობს ხე-ტყის დამზადებაზე.

2015 წლის 25 ივლისს, შაბათს, აბასთუმნის მისადგომთან, **კურცხანის წყლისა** და **ოცხურას** შესართავთან რესტორან „მზიურის“ წინ შეიკრიბა ჯგუფი: მერაბ ბერიძე, ვასილ ბერიძე, ნათია ველიჯანაშვილი, დავით ველიჯანაშვილი, ბორის შეყლაშვილი, ომარ გაბუნია და მძღოლი. დამხვედრნი ყველანი ადგილობრივი მკვიდრები იყვნენ, მათ კარგად იცოდნენ კურცხანის ხეობა და ადგილი, სადაც წარწერიანი ქვა გვგულებოდა.

როდესაც ხეობათა სახელდება ხდება, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მდინარეს, რომელიც ხეობაში მოედინება, ხოლო მდინარეთა ნომინაცია ხეობაში მდებარე რომელიმე ცნობილი პუნქტის მიხედვით ხდება მის სათავეში, შესართავთან ან რომელიმე მონაკვეთში. ჩვეულებრივი გრამატიკული საშუალებით გაფორმდება ცნობილი სახელი და ხეობის ან მდინარის სახელდებაც სრულყოფილ სახეს ღებულობს. ორი ძველი და ისტორიული მდინარე ერთის ერთმანეთს აბას-

თუმნის ბოლოს, რომელსაც ძველი ციხესიმაგრე დასცქერის ჩრდილოეთიდან. მას **თამარის ციხეს** ეძახიან, თამარის ციხიდან მდინარე ოცხურას **(ოცხის წყლის)** მარჯვენა ნაპირამდე ჩადის გვირაბი, ხოლო „მზიურის“ თავზე, კურცხანის მარჯვენა ნაპირზე არის ეკლესია, რომელიც ადგილობრივთა მტკიცებით **დარეჯანის (?)** სახელობისაა, ვფიქრობთ, ეს ნაეკლესიარი უნდა იყოს ს. ჯიქიას მიერ დამოწმებული 1879 წლის „დროების“ ინფორმაცია: „იქ, სადაც ოცხეს და კურცხნის მდინარეები შეერთვიან ერთმანეთს, მხარ მარჯვნივ, ტყით შემოსილ მაღალ კლდიან გორაზე დგას ნახევრად მოხგრეული ძველი ქართული მონასტერი“ (ჯიქია, 1958: 176). გ. ბოჭორიძის მიხედვით ეს არის მონასტერი წმ. გიორგის სახელობის ეკლესიით (ბოჭორიძე, 1992: 122). ასე რომ, დარეჯანის სახელობისა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება იყოს.

ოდნავ, რამდენიმე მეტრში, ჩასცდები ოცხურას და შეგხვდება დღევანდლამდე შემონახული **თამარის ხიდი,** რომელსაც ხშირად ადიდებული ჩაუვლის ამ ორი ხეობის წყლები, მაგრამ ვერაფერს აკლებს. **ოცხურა,** მიუხედავად იმისა, რომ დღეს **ოცხე** აღარსად არის, როგორც საკუთრი სახელი, ინახავს ამ უძველეს ქართულ სახელს - ურ - ა ჰიდრონიმთა მაწარმოებელი სუფიქსით გაფორმებულს. ზოგჯერ ამ მდინარეს **ოცხის წყალსაც** უწოდებენ, ოფიციალურად ყოველგვარი წესებისა და გეოგრაფიული თუ ლინგვისტური კანონების დარღვევით კი ოცხე წაუწერიათ მდინარის მისათითებელ ტრაფარეტზე. კურცხანის ხეობის მდინარეს **კურცხანის წყალი** ჰქვია. ჩვეულებრივ, მართულმსაზღვრელიანი კომპოზიტი მიგვანიშნებს, რომ ხეობის მთავარი პუნქტი არის **კურცხანა,** ისევე, როგორც **ოცხე** იყო და არის ოცხის ხეობის მთავარი პუნქტი და ის აბასთუმნის ისტორიული სახელია. აქვე შეიძლება მივუთითოთ ოცხის კიდევ უფრო ძველი სახელის გამოძახილად **ორძღე (ორძღის წყალი)**. ეს სახელი ჩაწერილი გვაქვს 2010 წელს და ინფორმატორის კატეგორიული მტკიცებით, ოცხეს ასე უწოდებდნენ. თუ მართლაც მივიღებთ ამ ფარმას, შეგვიძლია ვიფიქროთ, რომ **ორძღე** მიღებულია **ოძრხესაგან** რ - ძ -ს მეტათეზისითა და ხ - ს თანამეწყვილე ნაპრალოვნით შეცვლით, რაშიც შეიძლება არაქართულენოვანი გარემო იყოს დამნაშავე.

ჩვენ უნდა შევუყვეთ კურცხანის ხეობას. სახელი კურცხანა გვხვდება - ა-ს გარეშეც და გვაქვს მისი შეკუმშული ფორმა,

რომლის დადასტურებაც თანამედროვეთა მეტყველებაშიც შეიძლება:

„კურორტის ზონა სწორედ იმ ადგილს იწყება, სადაც მდინარე **აბასთუმანი კურცხანს** უერთდება. მდინარე **კურცხანს** მივყავართ ნაძვით, ფიჭვით და სოჭით შემოსილ კურცხნის ხეობაში“ (ანდღულაძე, 1934: 10).

კურცხანას ზოგჯერ **კურცხანკასაც** ეძახიან. –ka რუსული სუფიქსით დაბოლოებული მდინარეთა სახელები გვხვდება მე-19 საუკუნის შემდეგ. ასე ეწოდა **ბორჯომულას ბორჯომკა** თვით ოცხის წყალს (ოცხურას) მე-19 საუკუნეში უწოდებდნენ აბასთუმნის წყალს და მის რუსულ ვარიანტს აბასთუმანკას. ეს ფორმა დამოწმებული აქვს 1866 წელს მ. სკოროვის სტატიიდან ვ. ანდღულაძეს (ანდღულაძე, 1934: 16).

მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მოსაზრება არსებობს ოცხის||ოძრხის ეტიმოლოგიის შესახებ, აშკარაა, რომ გეოგრაფიული პუნქტით არის მოტივირებული სახელდება და სადაც არ უნდა ვეძებოთ ოცხის||ოძრხის ადგილმდებარეობა, ოცხის ხეობას ვერ გასცდება.

რაც შეეხება **კურცხანს** თუ **კურცხანას,** დღეს ვერავინ მიუთითებს მის ისტორიულ ადგილსამყოფელს და არც ისტორიული ტრადიცია ან რაიმე გადმოცემა არსებობს იმის შესახებ, თუ სად შეიძლება ყოფილიყო კურცხანა. რადგან სიტყვა გვხვდება შეკუმშული ფორმით - **კურცხნის**, აშკარაა, რომ - **ან** მარცვლის **ნ** არ არის გრამატიკული ფორმის აღმნიშვნელი, არის მარცვლის შემადგენელი ნაწილი, ფუძე არის **კურცხან-**. ეტყობა -ა სუფიქსი შედარებით გვიან არის დართული და ის ჰიდრონიმის ფუნქციას ასრულებს. ასეთივე მაგალითია ამავე რეგიონში სოფ. ურავლის სახელი - **ურაველი**, მისგან ნაწარმოები მდინარის სახელი ურაველ-ა და ხეობის სახელი **ურავლის** ხეობა. უნდა ყოფილიყო სოფლის სახელი **კურცხანი,** საიდანაც მივიღეთ მდინარის სახელი კურცხანა და ხეობის სახელი **კურცხანის||კურცხნის** ხეობა.

კურცხ- რომ ცალკე გამოსაყოფია, ამას ადასტურებს გ. ბოჭორიძის მიერ ჩამოთვლილი აბასთუმნის მიდამოებში დასახელებული **კურცხი: ტომლარ კურცხი** (ბოჭორიძე, 1992: 125).

ჩამოთვლილ სახელთაგან შემდეგში ბევრი ცალკე აღწერის საგანი აღარ არის, მაგ: **ყანობილი, დათვეთი** (წინუბნის მიდამოებში დასახელებული დათვეთი სხვა არის), **დიდმაღალი** და

სხვა, ასევეა **ტამლარ კურცხი**. სახელი თურქულ-ქართული კომპოზიტია ისევე, როგორც ბევრი ტოპონიმი სამცხე-ჯავახეთში.

შეიძლება კურცხანის ეტიმოლოგია დავუკავშიროთ **კურცხალს**. ისედაც აშკარაა, მაგრამ კურცხ- ფორმის არსებობა გვაძლევს საშუალებას, კურცხანში - **ან** ელემენტი გამოვყოთ. კურცხალი მესხურ დიალექტში უკავშირდება სასოფლო-სამეურნეო საქმიანობას. ალ. ღლონტი იმოწმებს ი. მაისურაძეს და წერს: „**კურცხალი** - ახლად გათიბული ყანაა (ხორბალი, ქერი), ნაწვერალი“ (ღლონტი, 1984: 317), ხოლო გრ. ბერიძე კურცხალს განმარტავს განსხვავებულად, მაგრამ ასევე ყანას უკავშირებს: „გაკორდებული ყანა, ერთ-ორი წლისა, ორი წლის შემდეგ უწოდებენ რცხალას. ძველ საქართველოში კურცხალი(?) ერქვა „მიწის დასვენებას“, „განსვენებად ქვეყნისად“ (დამოწმებულია ივ. ჯავახიშვილი) (ბერიძე, 1981: 76).

თუ აქ ფონეტიკურ ნიადაგზე არა გვაქვს ნ ბოლოში მიღებული, შეიძლება დავუშვათ, რომ **კურცხალ - კურცხან** – ფორმებში ორი დაბოლოება გვაქვს - ალ და - ან, სიტყვის მნიშვნელობა უკავშირდება კურცხ- ფუძეს, რომელიც დაბოლოების გარეშეც გვხვდება გ. ბოჭორიძესთან.

შევუყევით კურცხანის ხეობას. მანძილი დიდი არ არის, სულ რაღაც 16–18 კმ. შეიძლება იყოს. მძიმე და რთული გზაა. შესართავიდან ხეობა არის ვიწრო ტყით დაფარული. ტყე შერეულია, ნაპირებს მიუყვება რთხმელა, ბევრია ფიჭვი, ნაძვი და სოჭი. მარცხენა ნაპირის ფერდობები ფიჭვნარია, ჩრდილოეთ მხარეს, ხოლო მარჯვენა ნაპირი, სამხრეთით, ნაძვნარია. ცხოველთაგან დათვია ბევრი, კურდღელი, მგელი, აქა-იქ წითელიც, შველი, ირემი და სხვა.

მიკროტოპონიმია გარკვეული წლების შემდეგ იცვლება, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ დიდი სოციალური ძვრები მოხდა. კოლექტივიზაციამ, კომუნისტების დროს, შექმნა ერთგვარი საზოგადოებრივი, კოლექტიური მიკროტოპონიმია, ინდივიდუალური, პატრონიმული მიკროტოპონიმები შეცვალა საერთო-სახალხო თუ კოლექტიური საკუთრების ნიადაგზე შექმნილმა ტოპონიმიამ. ტყე დაყოფილია კვარტლებად, როგორც ითქვა, 19 კვარტალია და ადგილობრივებმა იციან, რომელი კვარტალი სად მდებარეობს, რა ფართობს მოიცავს. კვარტლებად დაყოფის დროს გათვალისწინებულია გეოგრაფიული ფაქტორი: ხეობა, მთათაშორისი, მდინარე საზღვრად და ა.შ.

შეიძლება ითქვას, რომ დანომრილი კვარტლები ჯერ კიდევ არ არის ჩამოყალიბებული ტოპონიმებად, მაგრამ სამისამართო ფუნქციას ასრულებს და დგას ტოპონიმად ქცევის რიგში, თუ მანამდე რამე ახალი ფორმა არ შემოიღეს ტყის დაყოფისა. ასევე შეიძლება ითქვას, უკვე ტოპონიმებად არის ქცეული სანერგეთა სახელები. ასეთი სამი შეგვხვდა: **პირველი სანერგე, მეორე სანერგე, მესამე სანერგე**. ინფორმატორის თქმით: „ჩემი ბავშობის დროს დავყავდით ნერგების დასარგავად. თვითონ თხრიდნენ ორმოებს და ჩვენ ვრგავდით“. იგი მომსწრე იყო თავად სანერგის არსებობისა ამ ადგილებში. ამჯერად ალარავითარი სანერგე ალარ არის. პატარა ახოსავით მინდვრებია ტყეში და ჰქვიათ სანერგეები, პირველი, მეორე, მესამე.

კიდევ ერთი ტოპონიმიზაციის გზაზე მდგომი საინტერესო პროცესი შეინიშნება კურცხანის ხეობაში. ექსპედიციის დასაწყისში, როდესაც ვგეგმავდით გასვლას, მიმართულებას და ა.შ., მასპინძლებმა თქვეს, რომ გავივლით 13 წყალს და მივალთ დანიშნულების ადგილზე. თავისთავად წყლის რიცხობრივი სიმრავლე, უცნაურად ჟღერდა. თანაც უნდა შევყოლოდით მდინარეს ალმა. თავდაპირველად 13 წყალში გავიაზრეთ მცირე შენაკადები, რომელიც ისედაც ახლავს ამ ტიპის ხეობას, მაგრამ აღმოჩნდა, რომ სულ სხვა რამესთან გვქონდა საქმე. ხეობა ვიწროა, გზა ხშირად კვეთს მდინარეს (რომელიც ზაფხულის სიცხის გამო მცირე ღელის წყალივით მოდის) და ხან მარცხენა ნაპირს მიჰყვება, ხან - მარჯვენას. აი, ასეთი თითო გადაკვეთა აღმოჩნდა თითო წყალი. სულ 13-ჯერ გადაიკვეთა და 13 წყალი ამიტომ ჰქვია, ოღონდ 13 წყალი, კონკრეტულად, 1-დან 13-მდე რაოდენობას კი არ აღნიშნავს, არამედ - მეცამეტეს. ასეა ცამეტივე. ათვლა იწყება შესართავიდან, აქედან შემოვდივართო, განმარტეს ინფორმატორებმა. ეს ათვლა არ არის პირობითი, ე. ი. ყველა ნომერს თავისი ტოპონიმური დატვირთვა, სამისამართო ფუნქცია აქვს. შეიძლება ყველა ნომრის მდებარეობა ზუსტად ყველა ადგილობრივმა ვერ დაასახელოს, მაგრამ ჩაიებით პრაქტიკულად ზუსტი ორიენტირის ჩვენება შეუძლიათ. უკან დაბრუნებისას ათვლა პირუკუა. მე-13 წყალი, მე-12 და ა.შ.

ვფიქრობ, ღირს ცამეტივე წყლის დაფიქსირება, რადგან სამომავლოდ საინტერესო იქნება, რომელი მათგანი გაიმარჯვებს და დარჩება მკვიდრ ტოპონიმად თუ გაქრება ყველა.

პირველი წყალი - ხეობის დასაწყისი.

მეორე წყალი - პირველიდან ხუთასიოდე მეტრია, გადავდივართ მარცხენა ნაპირზე. გადავდივართ სასმელი წყლის მილზე გადავლით, რომელიც მთელ ხეობას ჩამოუყვება, ამარაგებს სოფლებს: აბასთუმანს, ვარხანს, ხარჯამის, ხეცაშენს. სათავეს იღებს ობსერვატორიის დალმა ბაღებიდან, ადგილიდან, რომელსაც **ლიპს** ეძახიან („კლდე არის სულ ქვა არის და იმიტომ ეძახიან ლიპს“).

მესამე წყალი - აქ შემოგვიერთდა რეიჯერი ომარ გაბუნია. მესამე წყლის მარჯვენა ნაპირიდან ტყის გზა შედის **პანკისის ხეობაში**, რომელიც მიდის **უნაგერას მთამდე**. უნაგერა გადასცქერის ადიგენს („უნაგერს გავს, ქვემოდან რომ შემოხედავ“). პანკისზე ამბობენ, ახალი სახელიაო. მესამე წყლის შემდეგ გზა გაუყვა კალაპოტს.

მეოთხე წყალი - მეოთხე წყალზე ორჯერ გადავდივართ და გზა კვლავ კალაპოტს მიუყვება. სასმელი წყლის მილი აქ ჰაერში რჩება. მეოთხე წყლის შესახებ გამყოლთა ნაწილი ამბობს, ცალ-ცალკე წყლებიაო და მეოთხე-მეხუთეს უწოდებენ, ნაწილი ერთ წყლად თვლის. აქვე აქა-იქ გაჩნდა თეთრი ხე, რომელსაც ვერხვას ეძახიან, გვხვდება აგრეთვე პანტა და ველური ვაშლი.

მეექვსე წყალი - რადგან მეხუთე ჩაითვალა და ახლოახლოა ერთმანეთთან, ამიტომ მეექვსეა შემდეგი წყალი. მეექვსე წყლის ზევით, როგორც ინფორმატორები ამბობენ, იცის კალმახი. კურცხანის კალმახი უფრო მუქია და წითელწინწკლებიანი. ხეობათა კალმახი განსხვავდება ერთმანეთისაგან.

მეშვიდე წყალი - გზა ორად იყოფა, ერთი იქვე გადადის მდინარეზე და მიუყვება კალაპოტს, მეორე შემოუვლის მარცხნიდან. ზამთრისა და ზაფხულის მიხედვით მიდის შემოვლითი გზით მანქანა. მეშვიდე წყლიდან გზა (მარცხენა ნაპირიდან) ადის ობსერვატორიაში. გზაში იგულისხმება ტყის გზა, რომელზეც მხოლოდ სპეციალური მანქანები დადის. **ობსერვატორიის გზა** მძიმე ალმართია და ქვა-ღორღიანი. „გზა ტრასასავით იყო, როცა მუშაობა გვქონდა, ტყემ გადაარჩინა ჩვენი

რაიონი, ტყე რომ არა, ხალხი გაწყდებოდა შიმშილით ან დაიცლებოდა მთლიანად“, - ამბობენ გამყოლები.

მერვე წყალი - მშვიდი ადგილია, მომდოვრებული.

მეცხრე წყალი - მეორე სახელი აქვს მეცხრე წყალს - **გბელი|| გრძელი წყალი**. „ასე წყალში მივდივართ 100 მეტრი და იმიტომ“.

მეათე წყალი - დაბლა ჩადის ოდნავ გზა.

მეთერთმეტე წყალი - თითქოს ქვიანმა გზამ იკლო. მეთერთმეტე წყლის შემდეგ, ვიდრე მეთორმეტემდე არის გზიდან გადასახვევი მარჯვნივ (მდინარის მარცხენა ნაპირზე), რომელიც აგრეთვე ადის ობსერვატორიაში, აქვე ჩამოდის **ობსერვატორიის წყალი**, იგი სათავეს იღებს **ყანობილის მთის** ზევიდან, სიგრძე იქნება სულ რაღაც კილომეტრნახევარი.

მეთორმეტე წყლის ზემოთ, რამდენიმე მეტრში არის **ლიპი,** კლდოვანი ფერდი, გზაც გაჭრილ კლდეზე მიდის მდინარის მარცხენა ნაპირზე, აქვეა სასმელი წყლის სათავე, ღია ბასეინი, ამიტომ ადგილს **ბასეინსაც** ეძახიან. მეთორმეტე წყლის ზემოთ (ბასეინის ზემოთ) არის სანერგე, რომლის გალმა, მდინარის მარაჯვენა ნაპირზე ჩანს **ხის საყარი**. ქართლში ხის დასაცურებელს (საყარს) **სვანს** ეძახიან. „მაღლა მოჭრილ ხეს ზამთარში წაუთლი წვერს ფანქარივით და ჩამოვა აგერა, აქანა, ნაპირზე“.

მდინარის მარცხენა ნაპირზე მიუთითებენ დიდ და პატარა **დათვიეთებს,** ძველ ნასოფლარებს. 10 წლის წინ **დიდ დათვიეთში** უცხოვრია განდეგილ ბერს მარტოდმარტო ზამთარ-ზაფხულ. არავითარ კონტაქტში ხალხთან არ შედიოდა, მხოლოდ ჩადიოდა აბასთუმანში, საჭმელს ყიდულობდა ხოლმე. თავისი ხელით ჰქონდა გაკეთებული გომური საცხოვრებლად.

ბოლო წყლის წინ, მეთორმეტე წყლის შემდეგ, მდინარის მარცხენა ნაპირიდან ადის დიდი **დათვიეთის გზა**. ნასოფლარი გზიდან კილომეტრნახევარშია ვაკე ადგილზე, აქვეა მდინარის მარცხენა ნაპირზე **მესამე სანერგე**. ხეობაც გაიშალა შედარებით, ამიტომ გაჩნდა ძველი ნასოფლარი. მე-16 საუკუნეში აღწერილია ამ ადგილზე **დათვეთი** (ჯიქია, 1958: 175).

„დროება“ მე-19 საუკუნეში იხსენიებს **დათვიეთად** და დღევანდელი მოსახლეობაც ასე უწოდებს, მაგრამ ს. ჯიქია უპირატესობას **დათვეთს** ანიჭებს. დათვეთად აქვს დადასტურებული ორ ადგილზე გ. ბოჭორიძეს (ბოჭორიძე, 1992: 38,125). დათვეთი მე-16 საუკუნეში გაუკაცრიელებულია და ნასოფლარად არის მითითებული (ჯიქია, 1941: 129). დათვეთის შემთხვევაში სახელდების მოტივაცია განსხვავებულია და დათვთან უნდა იყოს დაკავშირებული, როგორც, მაგალითად, **ქორეთი,** ამავე რეგიონში, ხოლო **დათვიეთის** დროს ამოსავალი უნდა იყოს ადამიანის სახელი **დათვია.**

მეცამეტე წყლამდე ერთი მცირე მონაკვეთია, რომელსაც **ფანერკებს** ეძახიან. როდესაც კურცხანის ხეობაში გზა გაიყვანეს, ამ ადგილზე “ფანერკის“ ბინები იყო და სახელიც იქიდან დარჩა. მეთორმეტედან მეცამეტე წყლამდე შედარებით დიდი გზაა და მდინარის მარცხენა ნაპირს მიუყვება. ამ ადგილს **კოსტას ბაღსაც** ეძახიან. სახელი შეერქვა აქაური მეტყევის კოსტა ყულიჯანაშვილის სახელის მიხედვით.

კოსტას ბაღიდან გადავედით მდინარეზე, მცირე მანძილის გავლის შემდეგ მივედით პატარა ეკლესიასთან. 3,5×6 მეტრი ფართობით. კარი აქვს მხოლოდ სამხრეთიდან. შესასვლელში ამყოლის ქვა შუაზეა გახეთქილი, ფიჭვის ფესვს აუხეთქია. მშენებლობის დროს არ ჩანს კირი გამოყენებული. უცნაური საკურთხევლის ქვაა, რომელიც ორი ნაწილისაგან შედგება. ბრტყელი ზედა ნაწილი ოთხკუთხად გულამოღებულია. საკურთხეველი არ არის გამოყოფილი.

საკურთხევლის ქვა ახლოს არის აღმოსავლეთის კედელთან, მის უკან მხოლოდ ერთი კაცი დადგება კედლამდე. ხე პირდაპირ კედელზეა ამოსული, ერთი დიდი ხე ახლახან წაქცეულა, ზედ დასდებია დასავლეთის კედელს.

ახლომახლო ერთ-ერთ სოფელს (რომლის სახელსაც ადგილობრივნი შეგნებულად არ ასახელებენ) საკურთხევლის ქვა და კუთხის ქვები წაუღია. პრობლემები შექმნია ოჯახში, სიზმარი უნახავს და უკან დაუბრუნებია ყველაფერი. ჩვენი თანმხლები მონაწილე იყო ამ ქვების უკან დაბრუნებისა. საკურთხევლის ქვა იმავე ადგილზე დადგეს, საიდანაც წაიღეს.

ეკლესიის სახელი არ იცვიან. ის შედარებით ახლოს არის მდინარის მარჯვენა ნაპირთან და **პირველ ეკლესიას** ეძახიან. პირველი ეკლესიიდან უკან დაბრუნების შემდეგ გაგრძელდა გზა მეცამეტე წყლისაკენ. ამ მონაკვეთში არის ორი ახლად გაჩენილი სახელი, რომელიც იბრძვის ტოპონიმად ქცევისათვის. მცირე მინდორია დღეს, რომლებზეც დიდი სოჭი იდგა. ახალგაზრდებმა დააწერეს 2000, თარიღი ამოკვეთეს. შემდეგ სოჭი მოჭრეს, მაგრამ ადგილს უკვე **ორი ათასს** ეძახიან.

ერთ-ერთ მისახვევს **პამიატნიკს** უწოდებენ. აქ დალუპულა ახალგაზრდა ადამიანი, ზურაბ ბოჭორიშვილი. უბედური შემთხვევის ადგილზე დაფაა დადგმული სურათითა და წარწერით (შდრ. **პამიატნიკი** აბასთუმანში, მდ. მტკვრის ხეობაში ძველი მუსხის პირდაპირ მტკვრის მარჯვენა ნაპირზე).

სათავეებთან კურცხანის წყალს მარჯვენა ნაპირიდან, სამხრეთ - დასავლეთიდან დასცქერის ორი, გამორჩეული კლდე, რომელსაც **ბოდოკლდეს** უწოდებენ. თავზე და გარშემო ტყე აქვს, ხოლო მდინარის მხარე სალი, ვერტიკალური შიშველი კლდეა.

ვფიქრობთ, სახელი გარეგნული ნიშნით უნდა იყოს დარქმეული. მისი კომპოზიტურობა ეჭვს არ იწვევს და მეორე ნაწილი არის **კლდე,** ხოლო რაც შეეხება **ბოდო** -ს, უნდა მოდიოდეს **კბოდე**-საგან. **კბოდე** - „მიუდგომელი (ჩაუვალი) კლდოვანი ნაპირი ხევისა, მდინარისა. ციცაბო კლდე ხევის (მდინარის) პირას“ (ქეგლ, 1955: 1119). **კბოდეკლდემ მოგვცა - ბოდოკლდე,** კ-ს დაკარგვითა და ე-ს ასიმილაციით.

ბოდოკლდე ცნობილი ისტორიული სახელია, დამოწმებულია „მატიანე ქართლისაში“ (ქართლის ცხოვრება, 1955: 305). კლდის მიხედვით უნდა შერქმეოდა შემდეგ სოფელს, რომელიც უნდა ყოფილიყო იქ, სადაც დღეს მიუთითებენ **ბოდოკლდის ეკლესიას**, კურცხანის ხეობაში, მდინარის მარჯვენა ნაპირზე დაახლოებით 4×8 მეტრი ფართობისა, დუღაბით ნაშენი. შემორჩენილია შესანიშნავი **ბოლნური ჯვარი,** ბოლოებგაფართოებული და წრეში ჩასმული.

ნასოფლარი დადასტურებულია „გურჯისტანის ვილაითის დიდ დავთარში“ 1595 წელს, ოღონდ გაუკაცრიელებული და აოხრებული (ჯიქია, 1958: 175).

ბაღები, სადაც დგას ეკლესიის ნაწილი, ახალი სახელია. კურცხანის ხეობაში ბაღებად რამდენიმე ადგილს მოიხსენიებენ ტყეში. ეს ყველაზე დიდი ნასოფლარია. მოშორებით

მიუთითებენ ტერასებს. ბევრი კედელია ჩვენამდე მოღწეული. გარშემო დიდი დასახლების კვალია, ამიტომ ვფიქრობთ, რომ ბაღები არ უნდა იყოს მისი პირვანდელი სახელი. ეკლესია, რომელიც დაახლოებით 3.5×7 მეტრი ფართობისაა, დუღაბით არის ნაშენი. ჩვენი მისვლისას გაირკვა, რომ ვიღაც მრუდე ხელს ქვები მოეფანტა. ჩვენი მეგზურებიდან ზოგმა ისიც კი თქვა, დათვმა იცის ჭიანჭველების ძებნაში ქვების გადატრიალებაო, მაგრამ არსად დათვის ნაკვალევი არ ჩანდა. ორი შესასვლელი კარი აქვს - სამხრეთიდან და დასავლეთიდან. ამ ხეობისათვის დამახასიათებელი მუქი ფერის ქვით არის ნაშენი. ტაძრის აღმოსავლეთით არის სარკოფაგის ტიპის აკლდამა. იგი ბრტყელი დამუშავებული ქვებით არის გადახურული, ხოლო გარშემო ფიქლების ღობეა შემოვლებული. ამ ტიპის ქვის ღობეები დამახასიათებელია როგორც სამცხის, ასევე ჯავახეთის წმინდა ადგილებისთვის. ზოგი მოსაზრებით, იგი წინარექრისტიანულიც შეიძლება იყოს. ტექ მტერია კურცხანის ხეობის ნასოფლარებისა. ერთი ხე ამოსულია კედელში ისე, რომ ფესვები შემოჭდობილი აქვს კუთხის ქვებისათვის. ტაძარში დგას ეკლესიის გუმბათოვანი მაკეტი, რომელიც ფერადი ქვისგან არის გამოკვეთილი. იქვეა სტელის ნაწილი თალოვანი ორნამენტით და ასომთავრული ორი ასოთი:

ⴒ Ⴓ – (წმიდაო).

ტაძრის მისასვლელთან მიყუდებულია წარწერა, რომელიც ნუსხა ხუცურით არის ნაწერი. მხოლოდ ერთი ასო არის ასომთავრული:

ქარაგმების გახსნით იკითხება: „წმიდაო ეკლესიაო“. ⴒ-ს თავი ამომტვრეულია. ასოს მოხაზულობის კონტურები კარგად ჩანს, ამიტომ აშკარად ე უნდა იყოს იგი. კ-ს „მუცელი“არა აქვს. ქვა იმაზე მძიმე აღმოჩნდა, ვიდრე მოველოდით, ამიტომ მისი ტრანსპორტირება ვერ შევძელით.

კურცხანის ხეობის ერთდღიანი ექსპედიცია დასრულდა. მდინარეს, რომელიც სათავეს იღებს **მამლის მთის** ძირიდან, **პატარა მთასაც** ეძახიან, ხოლო მეორე შენაკადს **ჭური** ჰქვია („ჭურივით ჩავარდნილი ადგილია“) (შდრ. **ჭურა,** ასპინძის რაიონში). სათავის ორი ტოტი ერთდება **მოჭდობილთან (დაჭ-**

დობილთან). ამ ადგილზე ბინები მდგარა „დაჭდობილი“ („მოჭდობილი“) ხეებით ნაშენი. ეს „ჩიპი” მშენებლობისა თვალში საცემია იმით, რომ მრგვალი ხეებია „დაჭდობილი“ ერთმანეთ'ში და კედლები ასეა გაკეთებული.

ხეობა დიდი ხანია დაცლილია მოსახლეობისგან. მთელ ტყეში მიმოფანტული გაველურებული ვაშლი, მსხალი, ბანტა და სხვა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ქართველი კაცი ოდითგანვე ცხოვრობდა აქ. ადგილობრივები ერთ ლეგენდას ჰყვებიან აქაურების შესახებ: კურცხანელი ქალი გაუტაცათ ოსმალეთ'ში. ასაკში შესულა და ერთხელ, ვიღაც ჩასულს კურცხანის თიხა, კურცხანის დოქებიო - უძახია სავაჭრო ადგილას. ქალს ჩადრი გადაუწევია და უკითხავს, ნამდვილად კურცხანისაა თუ არაო. ახალგაზრდას დაუდასტურებია. მაშინ მოხუცს უთხოვია, შემდეგ რომ ჩამოხვალ, იქნებ კურცხანის წყალი ჩამომიტანო და დაგასაჩუქრებო.

უკვე კარგა მანძილი ჰქონია გავლილი თავისი სოფლიდან ახალგაზრდას, რომ მოხუცის ნათქვამი გახსენებია. გაუვსია სხვა წყალი, წაუღია მოხუცისთვის, რომელსაც მოხდომებით დაულევია თავისი მამულის წყალი და უთქვამს: ამ ოხრებს, ხალხის გაწყვეტაც არ უკმარიათ, წყლისთვისაც გემო შეუცვლიათო. (შდრ. „რა კარგი ხარ ჩიხორიშო, არ გერიოს ხვილიშაო“.)

ეს წყარო დღესაც არის, გამოდის კურცხანის ნაპირთან ახლოს ხის ძირას, არის ძალიან ცივი და გემრიელი, ოღონდ დამლევი აღარ არის ქართველი კაცის სახით, ხანდახან მეტყევე ან ტყისმჭრელი თუ გაიგრილებს გულს მისი წყლით.

გამოყენებული ლიტერატურა:

ანდღულაძე, 1934 - ვ. ანდღულაძე, აბასთუმნის სამკურნალო წყლები, 1934.

ბერიძე, 1981 - გრ. ბერიძე, ჯავახური დიალექტის სალექსიკონო მასალა, 1981.

ბოჭორიძე, 1992 - გ. ბოჭორიძე, მოგზაურობა სამცხე-ჯავახეთში, 1992.

ღლონტი, 1984 - ალ. ღლონტი, ქართულ კილო-თქმათა სიტყვის კონა, 1984.

ქართლის ცხოვრება, 1955 - ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყუხიშვილის მიერ, ტ. I., 1955.

ქეგლ, 1955 - ქეგლ. არნ ჩიქობავას საერთო რედაქციით, IV, 1955.

ჯიქია, 1941 - ს. ჯიქია, გურჯისტანის ვიალიეთის დიდი დავთარი, ტ. II, 1941.

ჯიქია, 1958 – ს. ჯიქია, გურჯისტანის ვიალიეთის დიდი დავთარი, ტ. III, 1958.

ნათელა ბერიძე-ნაცვლიშვილი

აზრის გადმოცემის ზოგიერთი ფორმისათვის თინათინის ლექსებში

უდაოდ დიდი ბედნიერებაა თინათინის ლექსთა კრებულის გამოსვლა. მინდა ორიოდე სიტყვით გამოვთქვა აზრი კრებულის სახელწოდებასთან დაკავშირებით.

კრებულს სათაურად „თინათინიც“ ეყოფოდა, ვინაიდან „თინათინს“ ორმაგი დატვირთვა აქვს. ერთი, რომ ავტორის სახელია, მეორეც, თინათინი, ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის თანახმად, არის „არეკლილი, ასხლეტილი, აციმციმებული სხივი (მზისა)“ (ქ.ე.გ.ლ. ტ. IV.: 459). კრებულში წარმოდგენილი შესანიშნავი ლექსები, მართლაც, თინათინებად გვევლინება მკითხველს.

იყო პოეტი, ფლობდე აზრის გამოხატვის საკუთარ, მხოლოდ შენეულ ფორმებს, და ამავე დროს, ხალხისათვის გასაგებად გადმოცემის ხელოვნებას, უდაოდ ღვთის მიერ ბოძებული ტალანტია.

პოეზია იმითაც არის განსაკუთრებული, რომ აზრი სტრიქონებს შორის უნდა ეძებო, სიტყვებსა და სახეებში ჩამალული უნდა იგრძნო და შეიცნო... ჩაწვდე მის არსს.

პოეზია უპირველესად განყენებული, არაამქვეყნიერი სიმბოლოებით აზროვნებაა: მდუმარების ხელოვნებასთან ზიარების ნეტარებაა, რომელიც ხვედრია მხოლოდ უდაბნოს ყვავილთა-ასკეტთა, მესვეტეთა, მოსაგრეთა, ბერ-მონაზონთა, ღმერთშემოსილ მამათა და წმიდა დედათა, რადგან მათ გულში დავანებულია იესო ქრისტე (თინათინი).

როგორც ჭეშმარიტი ქრისტიანი, ამ მწერლობაზე აღზრდილი, თინათინი ქედს იხრის სათაყვანებელი წინაპრის წინაშე და ამბობს: „სიტყვა იარაღია ამა სოფლისა, ხოლო დუმილი - საუკუნო ცხოვრების საიდუმლო“, ან „დუმილი ჭარბ მეტყველების შემაკავშირებელი ჯებირი, ენის ფხიზელი მცველი და ბრძენი მეცხოვნეა“...

ღმერთის დიდებით, წმინდანთა და ქვეყნის დიდებულთავდადებულთა წინაშე ქედის მოხრითა და დიდი მოკრძალებით იწყებოდა ყოველი შემოქმედის შედევრი ქართული მწერლობის სათავეებთან. გავიხსენოთ გიორგი მერჩულე: „ბრძნადმეტყველებად ვეცხლი არს წმიდად, ხოლო დუმილი ოქროდ რჩეულ“, ვითარცა თქუა სოლომონ“ და აწ მე ვინადთგან ვერ ძალმიც მოუკლებლად ლოცვად და სულელთა ყოველთა უდარეს ვარ, ნაკლულევანებად ჩემი არა მიფქლობს დუმილად...“ ან იოვანე საბანისძე, რომელიც სიწმინდის მოყვარე მამფალისა და უფლისა სამოელ-კათალიკოსის „ბრძანებას“ ასრულებს - აღწეროს აბოს მოწამეობრივი ცხოვრება, - ბრძანებს – „და აღვწერე ულირსისაგან გონებისა ჩემისა შემოკრებილი მარტვილობად“... ან თუნდაც „რომელნი აღმოიკითხვიდნენ, რადთა ზიარ ლოცვათა თქვენთა იქმნეს კვალად და მერმეცა ულირსებად ჩემი“.

წინაპარ დიდ ავტორთა მსგავსად თინათინიც შესავალში გამოთქვამს მოკრძალებას და ქედს იხრის თავისი ქვეყნის ისტორიის, ხალხის, გმირი წინაპრის თუ თანამედროვე პატრიოტ-ქვეყნისათვის თავდადებულთა, თუ შემოქმედ დიდ ქართველთა წინაშე და შემდეგ წარმოგვიდგენს თავის შესანიშნავ ლექსებს – შემოქმედებას. უფრო ხშირად – „გრძელი სიტყვის“„მოკლედ“ გადმოცემის ხერხით შექმნილ ლექსებს. თინათინი, მართლაც, ჭეშმარიტად ამართლებს ჩვენი ღირსეული წინაპრის - იოვანე საბანისძის მიერ ნათქვამს - „შრომად შემოქმედისა არს „ბაძვა ჯინჭველისა“.

„დუმილი, ჭარბმეტყველების შემაკავებელი ჯებირი, ენის ფხიზელი მცველი და ბრძენი მეცხოვნეა... მე კი არ ძალმიძს დუმილი, კვლავ სიტყვათა მისტიკურ ზღვაში ვიძირები და ჩემ სახეს, ვით ნაავდრალ ცას, დაუნდობლად სერავენ უძლურების ლურჯი ცრემლები“, - ამბობს ავტორი და წარმოგვიდგენს კრებულს თინათინებით.

თემატურად მრავალფეროვანია მისი ლექსები, თითოეული მათგანი კი პოეტის მიერ განცდილი ღრმა ემოციების შედეგია. თინათინი თითოეული ლექსის მშობელია.

თინათინის პოეზიაში თანაბარი სიძლიერით ხასიათდება ყოველი მისი ლექსი ლირიკული თუ პატრიოტული... ლირიკა მისი სულის გამომხატველია... წერს ერთი შეხედვით სუსტი, ფერიასავით ნაზი და ჰაეროვანი ქალი:

...„მარტოხელა, მარტოსულო დედოფალო,
გაიშალე ოქროსფერი თმები“... და თვითონ მკითხველი იქცევი ამ სიტუაციის მონაწილედ... ზაფხულია, ცხელა, გვიანი საღამოა, შენ ირგვლივ, ახლოს სიცხისაგან გათანგული ჭრიჭინები ჭრიჭინებენ... და ჭრიჭინებენ... მათ გაბმულ ჭრიჭინში უცნაური ღამის ფონზე იკვეთება ულამაზესი ქალბატონი... იისფერი ზამბახების მომლოდინე...

მარტოხელა ოქროსფერთმიანი ქალბატონი სულაც არ არის საბრალო, პირიქით, ოქროსფერი მიგვანიშნებს, რომ იგი თავისი ცხოვრებით კმაყოფილია, ვინაიდან ოქროსფერი სიმბოლოა, იგი მზისფერია, მზე კი არის საწყისი სიცოცხლისა, სიხარულისა და სინათლისა, ამიტომ ოქროსფერთმიანი ქალბატონი, დედოფალი მომავლის იმედიან, მხიარულ და დადებით ემოციებს გადმოგვცემს... იგი ცხოვრების კმაყოფილია და ცხოვრობს უდარდელად, რაზეც ჭრიჭინების მხიარული და გაბმული ხმიერობა მიგვითითებს; მაგრამ იისფერი ზამბახები?! იისფერი ზამბახები მის მოწიფულ ასაკზე მიგვანიშნებს... მის იისფერ მომავალზე, ამიტომაც დროა, მან მაქსიმალურად გამოიყენოს თავისი შესაძლებლობები მომავლისათვის: -

„ვერ გავუძლებ მარტოობის დარდებს,
ნუ მიხურავ, ნუ მიხურავ კარებს“...

იისფერი, რომ სევდისა და განშორების სიმბოლოა, ამას კიდევ ერთი ლექსი გვიდასტურებს და მოვიტან ციტატას:

„და ბაფთებში განაბულან საჩუმათო სამხილები...
საფლავები დაუფარავს ზამბახებს და ია-იებს...“

ამ შემთხვევაში ია-ია-ც მუქი ლურჯი - იისფერია – თავისთავად საფლავებით გამოწვეული სევდა მტკივნეულია, სევდიანი და იისფერი.

ზემოთ საუბარი გვქონდა ოქროსფერზე, მის სიმბოლურ მნიშნელობაზე, თინათინის საყვარელ ფერს დავარქმევდი, ვინაიდან უამრავ ლექსში არის გამოყენებული ოქროსფერის სხვადასხვანაირი ფორმა: „ქვითელი ქვიშა“, „მზისფერი სამფო“, მზესუმზირები და გვირილები, ოქროსფერები... რამდენიმე ფრაზას დავასახელებ: ლექსი „საკანი №7“ –

„ჩემს ფანჯარას დარაჯობენ,
ალბათ მზესუმზირები...
მზესუმზირავ, ჩემთან მოდი
საკნის კარი გამიღე...“ ...

კიდევ ერთი სტროფი:

„მე მზე ვარ შენი,
შენ მზესუმზირა...“

გვირილა და მზესუმზირა სიმბოლური სახეა გაბრწყინებული გასხივოსნებული მზისა - სიმბოლო სიცოცხლისა, იმედისა და ბედნიერებისა, სამართლიანობისა.

უიმედობას თინათინი ასე წარმოგვიჩენს:

„მიჭკნება ყვითელი კაბა და ვიტანჯები“...

თინათინს მდიდარი ფერთამეტყველება გააჩნია. ყველაფერზე საუბარი შეუძლებელია, მაგრამ მინდა მოგახსენოთ შინდისფერზე, ალუბლისფერზე, მათ შინაარსობრივ მხარეზე...

ტრადიციულად შინდისფერი ქართულ ეროვნულ ფერადაა მიღებული. ეს ფერი დომინირებს უძველეს ქართულ ფრესკებსა და ხატებში. ტრადიციული ქართული ჩოხა სამი ფერის იყო - შავი, თეთრი და შინდისფერ-ალუბლისფერი, ასევე დამოუკიდებელი საქართველოს დროშის ერთ-ერთი შემადგენელი კომპონენტი შინდისფერი იყო... შინდისფერი გამოხატავს სისხლს, - დათხეულს ბრძოლისას. „შინდისფერი“ დომინირებს პატრიოტულ ლექსებში. კერძოდ, „რუკა საქართველოსი შინდისფერია“.

...„შუადამეა,
ალუბლისფერი მტანჯავს ტკივილი,
დიდგორიდან მოტანილი ყვავილებით
ფარავ შენს სხეულს, მტრისაგან აჩეხილს...
სხვაგან ვხვდებით:
... „ტკბილი სითხე გადაელვარა შენს ფაქიზ სხეულს
და უნებლიეთ, ალუბლისფრად შეგაფერადდა“.
კიდევ: „ო, საქართველოვ
ალუბლისფერი ხარ საოცრება...
სისხლით მორწყული და შეღებილი...

„შინდისფერი“ უხვად ამკობს ალ. სულხანიშვილისადმი მიძღვნილ ლექსს, რომელშიც მიგვანიშნებს ავტორი გმირის თავგანწირვასა და სამშობლოსათვის დათხეულ სისხლზე:

„და ქართულ მიწას ჩაეხვევა სულხანიშვილი,
ალაზნის ველზე შინდისფერი იდგება ღამე,
ალაზნის ველზე შინდისფერი იქროლებს ქარი...“

ეს მოგონება, სამშობლოს შინდისფერი წარსული კიდევ ერთხელ აღავსებს კახელებს სამშობლოს სიყვარულით.

სხვაგან ვხვდებით:

„ჩემს ფანჯარას ასკდებიან ალუბლები,
შინდისფერი მზე მაწამებს ცხელი...
...შინდისფერი შეგიკერო ჩოხის კალთა...“

და რაც მთავარია: „მე შინდისფერი ვწერე ლექსები“, - ამბობს პოეტი - ლექსები, რომელიც ნაყოფია მისი სულიერი ტკივილებისა, გამოწვეული სამშობლოს წარსულით, აწმყოთი და მომავლით.

ყურადღებას გავამახვილებ კიდევ ერთ პოეტურ სახეზე - ბროპზე. ლექსებში ხშირად ვხვდებით ბროწეულის სიმბოლოს. ჩემი აზრით, ბროწეული საქართველოა თავისი უამრავი სისხლიანი ისტორიული მოვლენით. ლექსებში შევხვდებით ფორმებს: „დახეთქილი ბროწეულები“, „მოჭყლეტილი წვენდათხეული ბროწეულები“; ლექსში ნათლად ჩანს, თუ ვინ და როგორ ახერხებდა ბროწეულის ნაწილებად დაშლას...

ჩემთვის, როგორც მკითხველისათვის, საინტერესო აღმოჩნდა კიდევ ერთი სიმბოლო, სიმბოლო „კალმახები“, კალმახი, რომელიც დაუმორჩილებლობას, წინააღმდეგობას გამოხატავს... საინტერესოა ამ მხრივ ლექსი „მომენტო მორი და გარინდება“ - ლექსი ეძღვნება პოეტ ტერენტი გრანელს - მეოცე საუკუნის 30-იან 40-იან წლების ბოჰემას; გამოირჩეოდა თავისი პოეტური უცნაურობანითა და უცნაურად საინტერესო ლექსებით; თავისი ყოფა-ცხოვრებით პროტესტს გამოხატავდა არსებული წყობის წინააღმდეგ, არ ემორჩილებოდა მისთვის მიუღებელ საბჭოური ცხოვრების წესებს... ამ უცნაური კაცის ხატება - ზამთარში გრძელი, გაღეღილი ლაბადითა და ყელზე შემოხვეული გრძელი კაშნეთი, შლეგიანივით გრძელი და სწრაფი ნაბიჯებით მოსიარულე, თმაგაწეწილი დიდი პოეტის ტრაგიკული ბედით აღსავსე, დღესაც არ ქრება თბილისის ძველ უბნებში... თინათინი ამბობს:

„და ახლა როცა მზისფერ სამეფოს
ძმათა ომების კვალი ატყვია,
აჩაგვარაში, ოქუმის პირას
ლურჯი კალმახი იხვევს ნატყვიარს“.

აქ ლურჯი კალმახი გამოხატავს პიროვნებას, რომელიც კალმახივით საკუთარი გზით მიიკვლევს მომავალს, არ ემორჩილება არსებულ არასწორ ყოფას და მსხვერპლად ეწირება.

უფრო საინტერესოდ, მრავალმხრივი დატვირთვით წარმოგვიდგენს თინათინი კალმახის სიმბოლოს ალექსი სულხანიშ-

ვილისადმი მიძღვნილ ლექსში „ამაღამ“. ალ. სულხანიშვილი ქაიხოსრო ჩოლოყაშვილის თანამებრძოლი – პატრიოტული რაზმის წევრი იყო. ემიგრანტი, სამშობლოს მოსიყვარულე და თავდადებული გმირი, რომელიც ლევილიდან საქართველოში გადმოასვენეს. მისი გარდაცვალება ასე წარმოგვიდგინა თინათინმა:

„ასე კალმახი ეთხოვება ცისფერ სამზეოს,
ასე კალმახი უბრუნდება მზისფერ სათავეს
და ვალმოხდილი ცისა და მიწის სინამდვილესთან
კვდება უჩუმრად, დაწინწკლული, უბრალოებით“

მხოლოდ კალმახს შეუძლია მდინარის დინების საწინააღმდეგოდ ცურვა, მხოლოდ კალმახი ახერხებს უამრავი წინააღმდეგობისა და სიძნელეების გადალახვას და მიზნის მიღწევას. იგი ყრის ქვირითს - მომავალ კალმახებს, თვითონ კი კვდება, რათა მომავალ შვილებს საზრდოდ დახვდეს... ასეთი ბედი არგუნა უფალმა ალ. სულხანიშვილს... ბრძოლითა და წინააღმდეგობით გაიარა მთელი თავისი სიცოცხლე და თავის სამშობლოში დაიმარხა. დაიმარხა იმიტომ, რომ შეახსენოს მომავალ თაობას - სამშობლოს სიყვარული, ერთგულება და გაფრთხილება სჭირდება...

როგორც ვხედავთ ამ ლექსში კალმახი დაწინწკლულია, ანუ, ჭრელი. თეორიულ ლიტერატურაში, ასევე ხელოვნებასა და ეთნოგრაფიაში ცნობილია „ჭრელის“, როგორც სიმბოლოს შინაარსი. როგორც მეცნიერები აღნიშნავენ, „ჭრელს“ რამდენიმე სიმბოლური მნიშვნელობა გააჩნია: ჭრელი სამოსი გამორჩეულობას ნიშნავს, „იგი ამქვეყნიური, საცოურით სავსე წუთისოფლის სიმბოლოა“. აქვს სხვა მნიშვნელობაც, კერძოდ, „წუთისოფლის ცვალებადობას, მრავალფეროვნებასა და მისი სიმუხთლის სიმბოლოა“ (ნ. სულავა). ჩვენს შემთხვევაში დაწინწკლული კალმახი მიგვითითებს, რომ ადრესატს - ალ. სულხანიშვილს – ჭრელი და მუხთალი ცხოვრება რგებია: სრული ფიასკო, სამშობლოდან გაძევება, უცხო ქვეყანაში დაბერება, სამშობლოს მონატრება... როგორც ვხედავთ, ლექსის სტრუქტურა მშვენივრად გადმოგვცემს შინაარსს.

საინტერესოა კიდევ ერთი სიმბოლო - თევზი, რომელიც ასახიერებს სიცრუესა და უნდობლობას. ლექსი „ელეგანტური თევზი“ ამას გვიდასტურებს:

„... და ვილამაზებ ფასადს, რა ენაღვლება თევზებს
და ამ სიცრუის ფასად, ვწერ ელიტარულ ლექსებს...“

მოვიტან კიდევ ერთ ნიმუშს ლირიკული ლექსიდან „ღამის ზარი და გოეთე“ -

„...შენ ახლა წყნეთის გაგრილებს სით,
ჩინური ჭიქით სვამ მწვანე ჩაის...“

საინტერესოა ფორმა ჩინური ჭიქა - ფინჯანი, მწვანე ჩაი... ფინჯნით ჩაის ან ყავის სმა, როგორც ლექსის პასაჟი, უცხო არ არის ევროპული პოეზიისათვის, ფინჯანი სიმბოლურად ყოფითობას გამოხატავს, რატომ ჩინური? - ჩინური ფაიფური ყოველთვის გამოირჩეოდა სიფაქიზით, მრავალფეროვანი ნახატებით, განსაკუთრებული ხარისხით, ანუ იყო ძვირფასი. მწვანე ჩაი - სასურველი სითხე. მწვანე ფერი სიცოცხლის სიმბოლური გამოსახულებაა. სიცოცხლის დასაწყისი. ლექსი წარმოგვიდგენს სიუჟეტს (ნახატს), სადაც ცხოვრებით კმაყოფილი პიროვნება წყნეთის აგარაკზე იგრილებს შუბლს... აქ გამოხატულია ავტორის ირონიული დამოკიდებულება საკუთარ თავზე შექმნილი პიროვნების მიმართ.

შეუძლებელია არ გავაჟღეროთ ზოგიერთი მხატვრული ფორმა-სახე: ფრაგმენტები ლექსებიდან.

„აისიდორა დუნკანივით ცეკვავდა წვიმა“ - წვიმის ბურთულა წვეთები მეოცე საუკუნის დასაწყისის პრიმაბალერინას აისიდორა დუნკანის - დიდი პოეტების ს. ესენინისა და ვლ. მაიაკოვსკის სიყვარულისა და მუზის - ჰაეროვან ცეკვას გვაგონებს..

...„ციმციმებენ მარგალიტის ყელსაბამივით
ჩემი ცრემლები - ფერმიხდილი ბალერინები“...

...„თეთიყუშები ჭიკჭიკებენ უცხო ენაზე“... - მიგვანიშნებს სახე და ენა დაკარგულ ქართველზე.

„სარფის საზღვარზე მზემ ჩამოიხრჩო თავი...“
„საფერავივით დაიღვარა მინდორში ღამე...
საფერავისფერ ბალახებში ვწევარ და მცივა“...
„გათენებისას მზემ მომპარა
ოქროს მტევანი და ჩათაფლული რქაწითელი
აისხა მძივად“...
„მწიფე მარცვლებს შემოვიხვევ ყელზე მძივებად“...

ასეთი ფორმებით მშობლიური მხარის, სამშობლოს სიყვარულის გამოხატვას ვერსად შევხვდებით. ეს სიყვარული თინათინისეულია მხოლოდ.

ორიოდე სიტყვა თემურ ჭკუასელის ზოგიერთ ნოველაზე

მისი წერის მანერა შთამბეჭდავი, დახვეწილი, ექსპრესიული სიბრძნით სავსე, ხშირად გურული იუმორით გაჯერებული, ეროვნული სულისკვეთებითა და ყოველივე ქართულის სიყვარულით აღსავსეა... დაგესესხები პაატა ნაცვლიშვილს – ცნობილ ჟურნალისტსა და ქართველ კაცს: „თავის წიგნში თემურ ჭკუასელი ნამდვილ მწერლად გვევლინება, სიტყვისა და თხრობის ისეთივე ბრწყინვალე ოსტატია, როგორც კრიმანჭულის შემსრულებელია, მისი კრიმანჭული კი ყველასათვის კარგად ცნობილია“...

ურთულესი სიმღერის უბადლო შემსრულებელი, ვირტუოზულად ფლობს აზრის უღამაზესი სიტყვებით ქალალდზე გადმოტანის ხელოვნებას. მისთვის ბგერა მუსიკაა, სიტყვა კი – ცოცხალი არსება: „მიყვარს სიტყვებთან ლაციცი... ფერება და ჩხრეკა ქართული სიტყვებისა, როცა ჩამოვუჯდები... ჩემს თვალწინ ცოცხლდებიან და მეჯლურტულებიან, ადამიანებს ჰგვანან, ზოგი კეთილი და ლამაზია; ზოგიც შეუხედავი და შემაშინებელი; ზოგი გიბღვერს, ზოგი შემოგცივცივინებს... ერთმანეთთან შულლიც იციან და მეგობრობაც... თუ დამეგობრდებიან, განუყრელად არიან. მათ მეგობრობაც უკეთესი იციან, მტრობაც უფრო ლმობიერი აქვთ და სამშობლოსაც ჩვენზე, მეტად უფრთხილდებიან... სიტყვების სამშობლო ხომ ენაა, ქართული ენა...“ და ენას დამეგობრებული თემურ ჭკუასელის შესანიშნავი ნოველები უამრავ საინტერესო ამბებს გვიამბობენ... ქვეყნიერებისა თუ სამშობლოს, ისტორიულს თუ თანამედროვეს, კაცურიკაცობის თუ რაინდობის, მოგზაურობის შთაბეჭდილებების, სიკეთისა და ბოროტებაზე ხანგრძლივი ფიქრის შემდეგ მიღებულ ნააზრევს, თავის გულისტკივილს თუ სიხარულს... ანუ მრავალფეროვანი და საინტერესოა მისი შემოქმედება... ერთი კი მინდა აღვნიშნო... ყველასათვის ცნობილია ფრაზა „ყველა გზა რომში მიდის“, ბატონი თემურის შემოქმედებაში ეს პოპულარული გამოთქმა სხვა ინტერპრეტაციას ღებულობს... „ყველა გზა სიმღერასთან მიდის“, ამიტომაც გადავწყვიტე, წარმოგიდგინოთ ჩემი თვალსაზრისი ავტორის ემოციებზე, განცდებზე, რომელიც სიმღერებთანაა დაკავ-

შირებული. ასე იწყებოდა „ქართული ხმების“ პირველი ნაბიჯები:

„1986 წლის აპრილი გაზაფხული იდგა; ჩვენი ანსამბლის მაშინდელი შემადგენლობიდან თითქმის ყველანი ტელევიზიაში ვმუშაობდით. შევიკრიბეთ ერთ დღეს ახლადჩამოყალიბებულ ხალხური შემოქმედების მთავარ რედაქციაში და გადავწყვიტეთ ჩვენი მეგობრობისთვის უფრო სერიოზული საფუძველი გამოგვენახა. ასეც მოხდა, შეიქმნა ხალხური სიმღერების ანსამბლი და იმ დღიდან მოვდივართ ასე ერთად, მოვდივართ და შეძლებისდაგვარად ვეფერებით ჩვენი ხალხის მიერ სანტ - ლივით ჩამოქნილ სიმღერებს... - ამბობს მწერალი.

მისთვის უპირველესი ქართული სიმღერაა. .... და თუ რამ არსებობს სიმღერასთან ყველაფერი იცრიცება, ფორმას კარგავს, ხუნდება და ქრება...

„სუფრის მონატრებაც ჩვენთვის სიმღერის სიყვარულია მხოლოდ და როცა ამ დროს სიმღერას ვიწყებთ, სუფრა სადღაც გვევარგება“... ერთხელ გაზეთ „იზვესტიაში“ ერთმა ცნობილმა ჟურნალისტმა დაწერა, “ეტყობა ყველა ხალხს ღმერთთან ურთიერთობის თავისი ხერხი აქვს... ქართველებისთვის ეს სიმღერაა“. თვითონ ავტორიც ადიარებს ამას... „ეჰ! როგორ გინდა გააგებინო, რომ შენ კი არ გეკუთვნის სიმღერა, არამედ თვითონაა შენი ბატონ-პატრონი“. როგორ იქმნებოდა ქართული სიმღერა? – „ჩვენი სიმღერა ზევით მიისწრაფის, ზეცისკენ... იქნება, ჩვენმა ბუნებამ ჰქნა ეს? ჩვენმა მთებმა და ხეობებმა? განზე გასაქანი რომ არ ჰქონდა ხმებს, ქართველი კაცი იძულებული გახდა ლოცვასავით ზეცისათვის გაეგზავნა იგი“ – ამბობს ავტორი. როცა უსმენ ქართულ სიმღერას, სისხლი, გენი გრძნობს მის განუმეორებლობას, სიდიადეს და ჰანგთა ჰარმონიის შექმნაში ღმერთის ნება და ხელი რომ ურევია, ამას ავტორიც ასე წარმოგვიდგენს: „...როცა შესაფერის გარემოში კარგად ნამღერ ქართულ სიმღერას ვისმენ, ასე მგონია, ქვეყნიერების შექმნის ისტორიას რაღაცას აკლებენ - მეთქი თეოლოგები. დავიჯერო, სიმღერების შექმნაში ღმერთის ხელი არ ურევია? და პოეტურად სიმღერას „ღმერთის ღიმილს“ უწოდებს. ასეთია თემურის აზრი ქართული სიმღერის შესახებ „ჰოდა, სიმღერების სრულყოფაც აქედან მოდის, ისიც ხომ ბუნების ნაწილია, ბუნების გახმიანება, ხან ამოკვნესაა, ხან გალობა ბუნებისა...

თემურ ჭკუასელის პროზა თავისებურია, რომანტიკული და ლირიკული... „ადრიან გაზაფხულზე მკერდგაღეღილი მიწა მზეს რომ მიეფიცხება და ოხშივარი ასდის ძალუმად, ისიც სიმღერაა და მერე იმ მზეს რომ უეცრად წელგამართული წვიმა შეეხიდება, შენ რომ მიაბოტებ ამ თავსხმაში და არ სველდები, ესეც სიმღერაა“.

ქართული სიმღერები ჩვენთვის, ქართველებისთვის, მშობლიური უძვირფასესი განძია, ვამაყობთ და ვეთაყვანებით მას, მაგრამ განსაკუთრებულად საინტერესოა უცხოელის თვალით დანახული და ყურით აღქმული ქართული ჰანგების ისტორია, რომელსაც ავტორი შესანიშნავად გადმოგვცემს. „ისინი შავ სამოსს ატარებენ, წელზე შემორტყმული გრავირებული იარაღით, მაღალყელიანი წაღებით და მკერდზე პატრონტაუით ჭეშმარიტ პატრიოტებად გამოიყურებიან და ნამდვილად ასეთები არიან, თუმცა ყოველთვის ნიღბავენ თვიანთ ძლიერ პიროვნულ ინდივიდუალურობას, რომელიც მხოლოდ მაშინ ხდება თვალსაჩინო, როცა სულიერების სფეროში იძირებიან და განუმეორებელი შინაგანი იმპულსიებით თხზავენ თავიანთ წარმოუდგენელ მუსიკალურ პარტიებს. გრძნობ, რომ სამღერლად გადახვეულ მათ სხეულებში საქართველოსათვის იწყება სულით გაწმენდა...“ ამიტომაცაა მიუწვდომელი ჩვეულებრივი ადამიანისათვის ქართული სიმღერის ხასიათი, მისი ჰანგების არაამქვეყნიურობა „მხოლოდ ქართველებს შეუძლიათ ადვილად, უკომფლიქტოდ გაგრძნობინონ ერთდროულად ორი რამ-მოწყენილობა მხიარულებად მიგაჩნდეთ და საშიშროება უკიდურეს ბედნიერებად და ისინი მღერიან საწესჩვეულებო, ეპიკურ, შრომის, სამოგზაურო თუ სუფრის სიმღერებს, ფერხულებს, იავნანებს, საგალობლებს, ბალადებს; მღერიან სამლოცველოებში, ეკლესიებში, მაგიდასთან, ბაღში, მანქანაში, სახლებში... მღერიან გულის კარნახით და უძლიერესი ემოციით, რომელიც მათ სულის ჭიდან ამოდის - იქ სიმღერაა ყოველი და ყველა ასაკისათვის...“ ქართველი კაცისათვის, რომ სიმღერა მხოლოდ ჰარმონიული ჰანგი არაა, რომ მხოლოდ მომხიბვლელი და სცენაზე ეფექტური გამოსვლა არაა, ამას უცხოელი ავტორიც გრძნობს და ემოციურად გადმოგვცემს: „ვუსმენდი მათ და ხან ბუხარში მოთუხთუხე ქოთანი მელანდებოდა, ხან ზეცისაკენ ისარივით გაჭრილი ტოროლა, ხან ოკეანის ძლიერი სუნთქვა და ხან გავარვარებული ფოლადი, ისინი ერთდროულად იყვნენ მამონტებიც, მლოცველებიც, ხან კათედ-

რალის თაღებქვეშ აალებული კელაპტრებივით იღვენთებოდნენ...“

უზენაესია ღმერთი, მისმიერია ქართული სიმღერაც. ალბათ, ამის გამო იყო იგი ყველასათვის იდუმალებით მოსილი და საინტერესო: თვით გარემო მოწყობილიყო ღვთაებრივი ჰანგებისათვის კორსიკაში. უიშვიათესი ემოციურობით საკუთარ სხეულსა და სულში გატარებულ გრძნობებს ლირიკული ფორმებით გადმოგვცემს ავტორი: „მთელ მოედანზე, ახლო-მახლო ქუჩებში სინათლე გამორთეს და ყველა სახლის აივნებზე თუ ფანჯრის რაფების გაყოლებებზე უკვე ანთებული სანთლები ერთბაშად მთელი თვისი დიდებული იდუღამებით გამოიკვეთა... შეუცნობელის მოლოდინით დამძიმდა გარემო....“

„ქართულ ხმებს“ მხოლოდ ორი სიმღერა უნდა ემღერათ, მაგრამ მარგალიტების ასხმულა მრავალ ათეულ მარგალიტს ითვლიდა... რომელს გამოარჩევდი! და ღმერთის გამოცხადებასავით - ნათლისვეტის მოვლინებასავით. „მდუმარებაში მთელ ციტადელს ფერადი ნისლივით ჩამოეფინა მამაკაცის ულამაზესი ტემბრის ხმა - არი არალი არალოოოო... წამით დაასწრო სისხლმა გონებას და უმალ მან იგრძნო მშობლიური, იგრძნო და ბიძგით ყველა კუნთი დაგვიჭიმა, მერე კი გონებამაც დააფიქსირა, რომ ფესტივალის დამამთავრებელი ზეიმის დაწყება ჰამლეტ გონაშვილისეულმა „ორიველამ“ გვაუწყა“. რა არის ეს, მისაწყენი პრობა?! თუ პოეზია! - სიტყვათა ლაციცი, ფორმათა და ფერთა ჭიდილი... რამდენი ემოცია, რამდენი განცდა, პასუხისმგებლობა ღვთისა თუ საკუთარი მამულის წინაშე... სიმღერის დროს მომღერალი თავის საკუთარ სიცოცხლის ნაწილს სწირავს, ამ ბრძოლაში თავგანწირვისა და ერთსულოვნების გარეშე გამარჯვება ძნელია. აი, რას განიცდიან ჭეშმარიტი მომღერლები სცენაზე გასვლის წინ: „ბაგეები დაგვწურა, ხორხები დაგვებერა“... „ერთი სული გვაქვს როდის გავანთვისუფლებთ ყელში გამომწყვდეულ ხმებს“-... სიმღერა თითქოს ძალინ შორიდან, იქნებ სულაც საქართველოდან მოჰყვებოდა ზეციურ გუთანს და როცა მან თავისი ულამაზესი კვალი ციტადელზეც გაიტანა, ეჭვი აღარ გვეპარებოდა, რომ სამი ათასი კაცის ტაშის ხმა ექოსავით, უკანვე, საქართველომდე ჩააღწევდა“ და ასე ეფინებოდა ქართული სიმღერები „ხმელთაშუა ზღვის ქაფმორეულ ნაპირებს“.

ავტორი ისე ოსტატური თანმიმდევრობით აღწერს ქართული სიმღერების, ემოციურ და ფიზიკურ მახასიათებლებს, რომ

მკითხველს ეგონება თვითონაც შეძლებს სიმღერას: „გოგის ალარ მოუთმინა გულმა და მრავალჟამიერი დაიწყო... თავი ოდნავ უკან გადასწია, თვალები მილულა და ღიღინით დაიწყო. ჯერ მე შევაპარე და მერე რობერტიც ასევე ღიღინით შემოგვიერთდა. გოგია ახვევს, მე ცოტა სადად ვემღერები, რობერტი კი ისე აგორავებს ბანს, ბგერის დაფიქსირებასაც ვერ ასწრებ... გავლაღდით, ჰამლეტის ხმაც ჯერ ისევ ყურში გვიწყერს, და გვამხნევებს...“ და მომღერლები ამქვეყნიურ განზომილებას ტოვებენ, ზეციურ ჰანგთა სამყაროს ნაწილი ხდებიან. ავტორი ასე გადმოგვცემს: „ალარც ტერასა გვახსოვს, ალარც ხალხი, ალარც ამერიკელები, რადგან სიმღერის დემონმა მოგვიტაცა სამივე და სხვები ვერ ამჩნევდნენ, თორემ ჩვენ იმ ტერასაზე კარგა ხანია ალარ ვიყავით“...

სიმღერა სიმღერას სცვლიდა და აი, „ალი - ფაშა“-ს რიგიც დადგა: „ითდა ალი - ფაშამ გვიღალატა“... ხმელთაშუა ზღვას გადაეკიდა შვილდის საბელითდან ასხლეტილი ქართული სიმღერა და როცა ალი-ფაშას კივილმა სუფსის გალმა ბაილეთელი გურულები კი არა, ხმელთაშუაზღვის გალმა პირქუში სიცილიელები შეძრა, როცა ტერასაზე ხალხის ხელახალი ყიუინიც დაცხრა... ქართული ღვთაებრივი ჰანგების და ხმელთაშუაზღვის ლაჟვარდოვან ფონზე ავტორი წარმოგვიდგენს თვისი ნოველის „გამარჯობა მამა“-ს ლირიკულ გმირს. დაღამებას არაფერი უკლია, ქვემოთ ათასი დიდ-პატარა იახტა ილუმინაციით ციმციმებს; ცოტა ხანში ვარსკვლავები ცაზეც აინთება, ჯგუფი კონცერტისთვის ემზადება, ჩოჩქოლით იცვამენ ჩოხებს, იკაზმებიან... „გურამი დადუმდა, თვალები ერთბაშად გაუფართოვდა.... მეც გავიხედე... ჩვენი ტერასისაკენ ოცდაორი-ოცდათხი წლის ასული მოდიოდა, მაღალი, თმებგაშლილი თვალს ვერ მოაცილებდი და მოაცილებდა კიდეც მოედანზე თავმოყრილი ამდენი თვალი... აშკარად გამოირჩეოდა ამ მილეთის ხალხში - ჯიშითაც და ხაზგასმული მიუკარებლობითაც, მოკლედ მთელი მისი გარეგნობა ბრწყინვალე მაგალითი გახლდათ იმ ოშვიათობისა, კაცს ცოდვისაკენ კი არა ღმერთისაკენ რომ გაგახედებს“... ჩვენი აზრით, ნოველის ეს რეალური პიროვნება, რომელიც სალომე აღმოჩნდა, ავტორის იდეალური სახეა ქართველი ქალისა, შეუძლებელია სიუჟეტმა ცრემლი არ მოგგვაროს თვალზე, ჟრუანტელმა არ დაგიაროს სხეულში და არ დაგაფიქროს შენს წარსულზე, აწმყოსა და მომავალზე... შენგან წასულ და სხვა ნიადაგში

მოყვანილ შენსავე ჯიშსა და ჯილაგზე... საკუთარი ქვეყნიდან შორს წასული ამ აჭრელებულ სამყაროს ფონზე აშკარად და კონსტრასტულად გამორჩეულ შენს სისხლსა და ხორცს მაშინვე ხედავ ან გრძნობ, გრძნობ მათ სითბოს, სხეულის მთვარისფერ გამონათებას... სულის შემძვრელი სიუჟეტია, თვით ღმერთის ნებით შექმნილი. იქ ხომ ყველაფერი დოკუმენტურია! ავტორი განაგრძობს: „ერთ-ერთ ჩვენიანს ნერვებმა უმტყუნა და უფრო თავისთვის, ვიდრე მის გასაგონად, ლოცვასავით ამოხდა - გამარჯობა, შენ შემოგევლეო...“ კულიმინაციას აღწევს სიუჟეტი: „კარებშივე გაშეშდა უცხო ფერია, წამის მერე მოგვიტრიალდა, ჯერ მოულოდნელი ღიმილით მოგვჭრა თვალები, შემდეგ კი სიტუაციის ბუნდოვნებით ისედაც დაბნეულებს, გამართული ქართულით გვითხრა თუ გვიპასუხა: „-გამარჯობა, მამა!“... და ბებიით ქართველ სალომეს ქართულის ცოდნა მხოლოდ ამ ორი სიტყვით შემოიფარგლა... მარსელელი გოგონა ინგლისურით ეკონტაქტებოდა თავის „ათ მამას“, რომლებმაც იდეალური ქართული მამობა გაუწიეს მას... დღიდან გაცნობისა სალომე ყოველთვის მათთან იმყოფებოდა, თვით ჩვენი ბიჭებისთვის ის ჭეშმარიტი ქართველი იყო... სიუჟეტი მეტად სევდიანია, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ სალომე ობოლი გამოდგა, მომაკვდავ მამას ქართულად უსაუბრია მასთან და მოუთხოვია, ეთქვა „გამარჯობა მამა,“ რომელიც სალომეს დამახსოვრებია და ქართულად თავის მშობლიურ ხალხთანაც მხოლოდ ამ ორი სიტყვით იმიტომ „წარსდგა“.

განსაკუთრებულად გვინდა, აღვნიშნოთ სიმღერის ძალის შესახებ. კერძოდ როგორ შეიძლება მან გარდასახოს, გარდაქმნას, შეცვალოს ან როგორ შეიძლება გააღვიძოს ისტორიულად ყოფილ ქართველებში მიძინებული გენი. რომელიც მაშინვე გაცოცხლდება, გაიღვიძებს და გააქტიურდება, როგორც კი რეალურად თბილი, ნამდვილი, ჭეშმარიტი პირობები შეექმნება. ამის ნათელი მაგალითი სალომეს რამდენიმე დღიანი ურთიერთობაა.

ნოველაში სალომე თანაუგრძნობს, ქართველთა და ერთერთ თვისი მუსიკალური ნიჭით გათმამებული ამერიკელი ვილიამსის, პაექრობას სიმღერაში ...რაღა თქმა უნდა დამარცხებული ამერიკელი საგონებელში ჩვარდა.... „ჩვენი პატარა ქალბატონი წამოდგა,... ნერვიულად მიუტრიალდა ხანგს.... თითი მიაბჯინა მკერდზე და უცნაური სიამაყით უთხრა: კარგად მისმინე და სამუდამოდ დაიმახსოვრე, შენ რომ ასე იმღერო,

ჩემნაირი სისხლი უნდა გედგეს ძარღვებშიო“... მერე უეცრად სახეზე ხელები მიიფარა, აჩირდა „ისტერიულად“ - რა აჩირებდა პატარა ქალბატონს, - ძნელი მისახვედრი არ არის, მასში გაღვიძებულმა ქართველობამ, მისმა ამაყმა ბუნებამ, და იმან, რომ მშობლიური ენის უცოდინრობის გამო იგი ვერ ეფერებოდა თავის სანუკვარ ხალხს, ვერ გამოთქვამდა თავის გულში ნადებს ქართულად ისტერიკამდე მისულიყო... „აშკარად რაღაცის თქმას ცდილობდა, მაგრამ ბაგეებს მომდგარ სიტყვებს ხლვად მომსკდარი ცრემლები ახრჩობდა. კარგა ხანს იწვალა, სანამ მოახერხა და სლუკუნს ამოაყოლა: „გამარჯობა მამა,“ „გამარჯობა მამა,“ „გამარჯობა მამა,“ - დიახ, რამდენი ქართულიც იცოდა, იმდენით ეფერებოდა პატარა გოგონა თავის ხალხს. გაღვიძებულმა გენმა მკითხველს დაგვიტოვა იმედი, იმედი იმისა, რომ სალომე ერთხელაც ეწვეოდა იმერეთს და საყვარელ ბებიას სათქმელს ქართულად ეტყოდა.

ნოველა თუ რეალური ამბავი, ეს ხომ ფსიქოლოგიური ნოველაა - ადამიანის ფსიქიკის, ხასიათის ნიუანსური ცოდნა, აღქმა. ყველაზე უფრო რთული, ძნელად და ფაქიზად დასაწერი... ბატონმა თემურმა განუმეორებელი ოსტატობით ვირტუოზულად შეასრულა ....

ქართულ სიმღერას, ცეკვას, ეროვნულ ტანსაცმელს ქალების ჰაეროვან კაბებს და განსაკუთრებით მამაკაცების ხოხებს - შავს, თეთრს და შინდისფერს, ტრადიციულ ქართულ ფერებს, ღმერთის მიერ განსაკუთრებული მადლით ბოძებულს, უდიდესი ძალა, რომ გააჩნია ეროვნული მუხლის გამოღვიძებასა და გაცოცხლებაში მე თვითონაც დავრწმუნდი. 2003 წელს ჩვენი უნივერსიტეტის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი საერთაშორისო ფესტივალზე მიგვიწვიეს თურქეთში ქ. იზმირში. წინასწარ ვიცოდით, რომ ეს ქალაქი მესხეთიდან გადასახლებულთა და ლაზების ქალაქი იყო, ამიტომ ჩვენებურს ვეძებდით ყველა შემხვედრში... სალამო დგებოდა, სცენა მზად იყო... ჩვენი დროშა მაშინდელი - ჩოხიფერი ამაყად ფრიალებდა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანათა დროშებს შორის. ჩვენ გარშემო შემოიკრიბა ბევრი ჩვენებური დიდი სიყვარულითა და სითბოთი ვხვდებოდით ერთმანეთს, ხელით ეხებოდნენ, ეფერებოდნენ ჩვენს დროშას, დოლს, ჩოხებს.... ენის უცოდინრობის გამო ჩვენი ურთიერთობა უცნაური გულისტკივილიანი ღიმილითა და ხელის ჩმორთმევით ამოიწურებოდა... გენი გენს ეხებოდა...

გალა-კონცერტის წინ მოეწყო დიდი მსვლელობა ქალაქის ცენტრალურ ქუჩებში, მართლაც, ენით აუწერელი აჟიოტაჟი სუფევდა ქალაქში, აღმოსავლეთი მაინც თბილია და ქალაქის მოსახლეობა ფანჯრებიდან ყიჟინსა და ხელოვნურ ყვავილებს გვაყრიდა... ჩვენმა ჩოხებმა, ომახიანმა ძახილმა „საქართველოს გაუმარჯოს!“ დაატყვევა ხალხი; ჩვენ გვერდით მსვლელობას ჭარმაგი მოხუცი მოჰყვებოდა და მშობლიური ენა რომ არ იცოდა, გულზე მჯიღების ცემით, შეკუმშული მაღლა აწეული ჯიშიანი ხელებით და „გაუმარჯოს“ ძახილით, სოლიდარობას გვიცხადებდა, ამაყად გადასცქეროდა თნამოქალაქეებს... ჩვენც მეტი რა გვინდოდა, ამაყად და ლაღად მივაბიჯებდით მსოფლიოს ნაწილი, ერთი პატარა წერტილის ტოლაც რომ არ არის რუკაზე... და აი, დაგვწია ახალგაზრდა ქალი, ხელჩჭიდებული გოგონა მოჰყავდა, დაგვწია და ბავშვი შემოგვიგდო, აი ეს თქვენი სისხლისაა, ესეც ქართველია და თქვენთან უნდა, ატირებული ბავშვს, რომელსაც თუნდაც ფერიდეს დავარქმევდი. ჩაკიდა ხელი ჩვენმა „ქართულის“ მოცეკვავე წყვილმა, ჩაიყენეს შუაში. გოგონას თვალები გაუბრწყინდა, გაუფართოვდა და ბედნიერების ღიმილმა სულ სხვანაირი გახადა. კონცერტის ბოლომდე ჩვენთან იყო დედა-შვილი დამშვიდობება მეტად ემოციური გამოდგა..... ცრემლები და სევდიანი განწყობილება. ჩვენ შევხვდით ჩვენს ისტორიას, წარსულს, ჩვენ შევხვდით XVII საუკუნეში ჩარჩენილ ჩვენ გენს, რომელიც დავტოვეთ იქ, შორეულ ქვეყანაში...

თქვენ ერთგან გიწერიათ ბატონო თემურ -„სიმღერამ შეიძლება დაგაპუროს კიდეც... გულისხმობდით მარტოდ დარჩენილ მომღერლის - პოლიკარპე ხუბულავასთან შეხვედრისას მის ცრემლებით ნათქვამს - „სიმღერა მშია მეო“, დიდხანს იცოცხლეთ თქვენ და თქვენმა ანსამბლმა „ქართულმა ხმებმა“, სიმღერის შიმშილი გაცილოთ ღმერთმა ძალიან, ძლიან ხანგრძლივად. თუმცა ჩვენი - მთელი ქართული ერის, საყვარელი იადონის დაკარგვამ მწარედ განგაცდევინათ სიმღერის შიმშილი და „გოგიას ბიჭებმა“ ცრემლებისაგან ყელში ბურთგაჩრილებმა გულისგამხეთქავი მრავალჟამიერით“ ზეცას კალთები ჩმოახიეთ და უფლისკენ სამარადისოდ მიმავალ ძმას გზა დაულოცეთ....

დიდი მადლობა, რომ ჩვენთან ბრძანდებით დღეს.

ეროვნულ გმირთა სახეები პოეტის სამყაროში

„დღეს, 2014 წლის 31 მარტს, შოთა რუსთაველის სახელობის აკადემიურ თეატრში გაიმართა საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ბატონი ზვიად გამსახურდიას ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. შეიძლება ითქვას. რომ ჩემი ოცდახუთწლიანი თავგანწირული ბრძოლა დაფასდა და ლიტერატურის დარგში განსაკუთრებული მიღწევებისათვის მომენიჭა ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემია. დღეს უბედნიერესი ქალი ვარ ამქვეყნად. მომილოცეთ, ვისაც ძარღვებში ქართული სისხლი გიჩქეფთ! - თქვენი თინათინ მღვდლიაშვილი“, - წერს პოეტი.

„ფარისეველობენ, რას ამბობენ, -
გვძულს ზვიადით!
სინამდვილეში,
იდეა სძულთ - თავისუფლების!“

ჩვენი აზრით, პოეტის ეს სტრიქონები ზემოთ გამოხატული განსაკუთრებული დამოკიდებულების ერთ-ერთი გასაღებია. ზვიად გამსახურდიას სახელობის პრემიის მინიჭებით თინათინ მღვდლიაშვილი აღიარეს როგორც თავისუფალი შემოქმედი, რომელიც ერთადერთს, თავისუფლების იდეას ემორჩილებოდა მხოლოდ.

„მე უკვე დავტოვე ჩემი დასატოვი,
დიახ, მე ვიყავი დამრღვევი მახეთა!..
ეს მე ვარ, ქართველი მღელვარი მატადორი,
ლექსით მორკინალი მძვინვარე ხარებთან!“

საქართველოს პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიასა და საქართველოს ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას თანამებრძოლს, მათ გვერდით და მათ გარეშე გამოვლილი ქარაშოტების გადამტანს, ხელეწიფება შექმნას პოეტური სამყარო, რომელიც მკითხველს აღავსებს ენერგიით. გადამდებია ამ პოეზიის მეამბოხური სულისკვეთება:

„ჩვენ, ლექსის დენდები, - ვიბრძვით, არ ვნებდებით!..
ვაოცებთ სამყაროს მხურვალე ვნებებით!..
დავქრიალართ ცარგვალზე მზისფერი ეტლებით,
არც როდის ვისვენებთ, არც როდის ვბერდებით!
ჩვენ დუელს ვუცხადებთ გრიგალს და ქარაშოტს!

მაგრამ ჩვენ არ ვკვდებით! - სიკვდილთან ვთამაშობთ!..“

ზვიად გამსახურდია მერაბ კოსტავასადმი მიძღვნილ ლექსში წერდა:

„მაგრამ ხომ დავრჩით, მაინც ჩვენ ორნი,
მკრთალნი რაინდნი მწუხარე სახის! “

ამ ორ მწუხარე სახის რაინდს ხშირად ესაუბრება თინათინ მღვდლიაშვილის ლექსების ლირიკული გმირი. ამქვეყნად მათ გარეშე დარჩენილს სტკივა რეალობა, სადაც ლუციფერს პირში გამოსჩაჩხია აფხაზეთის და ქართლის ნახევი, სადაც დახრილი დროშა ფრიალებს, სადაც არც კლავენ და არც ასვენებენ. „დანარცხებული მერცხლის“ პოეტური სახე ზუსტად იტევს დამსხრეული იდეალების სევდას, შეწყვეტილი ფრენის ტკივილს და ღირსეული მორკინალის გარეშე დარჩენილი მებრძოლის თავგანწირვას:

„ჩვენ ნარ-ეკალი ვკაფეთ მარცხებით,
ერთ-ერთს გეცოცხლათ, ნეტავ, ორიდან...
მე მერცხალივით დავენარცხები,
ან ჯიხაშკართან, ანდა ბორითთან“.

ზვიად გამსახურდიას პოეტური სახე იხატება, ერთი მხრივ, როგორც ზვარაკად შეწირეული მსხვრეპლისა, რომელიც საბოლოოდ მართალთა გვერდით იმკვიდრებს ადგილს ზეციურ სასუფეველში და, მეორე მხრივ, როგორც ერის წინამძღოლისა, პირველი პრეზიდენტისა.

„მოწამებრივი განვლილია გზა ეკლიანი,
დიდმოწამეთა ხარ მემკვიდრე, იყვერთ პატრონო!
ლოცვად დამდგარა ერი შენი, ნათელმოსილი,
ზვიად ბატონო!“

აქვე აღვნიშნავთ თინათინ მღვდლიაშვილის პოეტური ენის ერთ მახასიათებელს. მხატვრულ ხერხად არის ნაქცევი მის პოეზიაში მიმართვა და შორისდებულთა გამოყენება. არსებობს თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ავტორის სტილის თავისებურებები უნდა ვეძიოთ ნაწილაკების, შორისდებულთა, წინდებულთა და სხვათა განაწილებაში, რადგან ენის ამ ელემენტებს ყველაზე ნაკლებად აქცევენ ყურადღებას მწერლები და ავტორის ინდივიდუალობა უნებურად სწორედ მათ გამოყენებაში ვლინდება. ის, რაც ლექსიკის ხვდაპირზეა და თვალშისაცემია, შეიძლება კვლევისთვის ხელსაყრელია, მაგრამ ხშირ შემთხვევაში, არ არის არსებითი შემოქმედის ინდივიდუალობის დასადგენად. პოეტი ძალიან ხშირად იყენებს

მიმართვას, რაც მის ლექსებს საოცრად აახლოებს მკითხველთან. თითქოს მკითხველის თვალწინ ინგრევა ყველა ბარიერი და კედელი, მეტიც, ცოცხლდება მიმართვის ობიექტი, მკითხველი ლექსის ლირიკულ გმირთან ერთად ებაასება საუკუნეთა წიაღიდან აღმდგარ გმირებს. ლირიკული გმირი მიმართავს ხვიად გამსახურდიას, ერთგულების ფიცს დებს მის წინაშე და დარწმუნებულია, რომ აუცილებლად დადგება დრო:

„და გათენდება დილა დიდი აღსარებისა,
და გაბრწყინდება ივერია - ჩვენი სამშობლო!
დაგელოდება ერი შენი, ნათელმოსილი,
ხვიად ბატონო!“

მიმართვაა თვითონ სათაური ლექსისა, „ჯვარი ახიდე, პრეზიდენტო“. პოეტი საქართველოს პირველ პრეზიდენტს, რომელიც იძულებულია სამშობლო დატოვოს, დაჭრილ ხარირემს ადარებს:

„დგას საქართველოს პრეზიდენტი, ისე მდუმარი,
როგორც დაჭრილი ხარირემი ქარაფის ზღვართან“.

გამოყენებული ეპითეტები იმდენად მეტყველია, რომ ზუსტად გადმოსცემს ემოციას. ლექსში კარგად ჩანს, როგორ ერწყმის ერთმანეთს პრეზიდენტის, ერთი მამულიშვილისა და საქართველოს ბედი.

„დგას საქართველოს პრეზიდენტი, როგორც ხიხანი,
როგორც დაღლილი სერაფიმი მაცხოვრის ხატთან,
და იჭედება საქართველოს კუბოს ფიცარი,
და იდევნება საქართველო სამარის კართან“.

ხვიად გამსახურდიას ეძღვნება ლექსი „აპოთეოზი“, რომელიც, ვიტყოდით, ლექსი კი არა, ბალადაა. მიწაზე ამტყდარი ქარბუქი, მგრგვინავი მეხი და ელჭექი, უფსკრულებში მგმინავი შლეგივით აშლილი და შესაზარები ხვავები, წინასწარ გათხრილი რჩეულის საფარი მკითხველს ამზადებს საზარელი ამბისთვის. მხოლოდ მომდევნო სტრიქონებით ვხვდებით, ვის დევნის სიკვდილი:

„მაგრამ ჯერ ხვარაკი თოვლში მიაბიჯებს
და ითვლის სამყარო ხვიადის ნაბიჯებს...
გმირო! დაგიკორტნა არწივმა ელენთა,
ნისლებში ირწევი დაჭრილი ლეგენდა...
დევნილს გაცილებენ ღრუბელთა ფთილები,
შენ კი, ხნეკეთილო, თოვლივით ფითრდები.

ზევსი კი ბობოქრობს, ღელავს და მღელვარებს,
გასწი! შეეყარე სამშობლოს მწვერვალებს!“

ვერ შეეყარა გმირი სამშობლოს მწვერვალებს, ვერ აიცილა იუდას მორთმეული დარიშხანი. პოეტმა მიუჩინა მას სათანადო ადგილი, გააყოლა მზის სხივს და მყინვარებს, ძეს, ღვთისმშობელსა და წმინდა გიორგის ჩააბარა. უმძიმესი ემოცია დაჰყვება ამ სტრიქონებს, თითქოს დაზაფრული მკითხველის სანუგეშოდ პოეტი იხსენებს, რომ ცისქვეშეთში ღირსეულ ადამიანთა ხვედრი მძიმე და რაც მთავარია, მსგავსია, ეს ერთგვარი კანონზომიერებაცაა. საინტერესოა, რომ პოეტი რეალურად არსებულ და შექმნილ გმირებს გვერდიგვერდ ჩამოთვლის:

„ოდესღაც ბაირონს გაუწყრა ლამანში,
ოდესღაც ენგურმა გაწირა თარაში,
ოდესღაც სვე-ბედმა უგანა ჰომეროსს,
ოდესღაც ჯოჯოხეთს უმღერდა ორფეოს,
ოდესღაც პარიზმა გარიყა ვიიონი
და გაჰყვა სარკმლიდან მზეს გალაკტიონი,
ოდესღაც ჭლექისგან ბორგავდა შილლერი,
ოდესღაც განდევნეს თვით ალიგჰიერი,
ოდესღაც შელლიც ხომ შეება ქარაშოტს,
თქვენ, ლექსის პრინცები, სიკვდილთან თამაშობთ!..“

მხოლოდ დამფრთხალი ხეების, ბებერი ტყეების და პატარა ქოხების იმედადაა დარჩენილი გმირი. დაძაბულობა მატულობს და კულმინაციას აღწევს:

„გესმის?.. დაფაჩუნებს ბუჩქებში აფთარი!..
გესმის?.. დაგეწია ავზნე და ავთვალი!..
ხედავ?.. ააშენეს ბომონი ასპიდის!..
ხედავ?.. იგესლება დედალი ასპიტი!..“

მოულოდნელად იცვლება ლექსის რიტმი, იცვლება, მშვიდდება ემოცია, რადგან გმირი ლოცვას იწყებს. ფეხდაფეხ სიკვდილჩასაფრებული წმინდა გიორგის სამშობლოს აქცევებს. ლოცვას ისევ გაფრთხილება მოსდევს და კვლავ ლოცვა, რომელიც გეთსიმანიის ბაღის, შესაბამისად ქრისტეს ანალოგიას იწვევს:

„მამა ხარ ყოველთა, ძეთათვის მზრუნველი,
უფალო, ამაცდინე ესე სასუმელი.
ნუ ჩემი იყოფინ, არამედ შენი,
შენ თავად ნება ხარ, სიმართლის მჩენი.

ხამს მოყვასისათვის სიმძიმე ვითვისო,
გველრი, შემიწყალე, ძვლი დავითისო!“

მაღალი ხევების მუხლებზე დაცემა, ელდისაგან მათი გახევება ამცნობს მკითხველს, რომ გმირი შეეწირა ზვარაკად სამშობლოს იდეას:

„გაფითრდა თოვლი და გაფითრდნენ ქარები,
ალერტის ეთერში ატირდნენ ქნარები.
შორს, წალენჯიხაში შეიძრა ტაძარი,
გიზგიზებს ცეცხლი და სირცხვილის ხანძარი!..“

ლექსის დასასრული მკითხველს ახსენებს, რომ, სამწუხაროდ, ამგვარი მსხვერპლი არც პირველია და არც უკანასკნელი. წლები გავა. ისტორია შეაფასებს მტერს და მოყვარეს. ზოგი დაიჯერებს მემატიანეთა შეფასებას, ზოგი – არა. მაგრამ ზუსტად ვიცით, რომ ქართველ მკითხველს ყოველთვის გულზე მოხვდება და არასოდეს ეჭვი არ შეეპარება თინათინ მღვდლიაშვილის შემდეგი სტრიქონების გულწრფელობასა და ჭეშმარიტებაში:

„ვზივარ სარკმელთან და, ისე კეკლუცობენ მწიფე ალუბლები,
ქართველის სიყვარული, მგონი, ალუბლებსაც გულზე შემოენთოთ...
წლები გავიდა და სარკმელს აწყდებიან თეთრი აპრილები,
როგორ მენატრები, როგორ მედარდები, ჩემო პრეზიდენტო!“

ულამაზესი ლექსები ეძღვნება საქართველოს ეროვნულ გმირს - მერაბ კოსტავას. ეპითეტები - სადა, მიმართვა - უშუალო, ლექსიკა - ექსპრესიის, ემოციის გამომხატველი, მაგრამ უბრალო, - ასეთია მხატვრული საშუალებები, რომელთა გამოყენებითაც იძერწება მერაბ კოსტავას მხატვრული პორტრეტი. პოეტი თითქმის არსად არ ახასიათებს მას, ზუსტად ისე, როგორც შეეფერება ეროვნულ გმირს, სახალხო გმირს.

„რუსთველის პროსპექტი.
ცისფერი ჭადრები.
მერაბის ნაცნობი ეზო.
ეზოში სანთლები,
სანთლებთან ხატები“.

ყველა დარდისა და ტკივილის გამზიარებელია. ილიას ამრდილივით მერაბ კოსტავა თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიაში ის რაინდია, რომელიც მარად და ყველგან საქართველოს თან სდევს, რომელმაც სძლია სიკვდილს. ხშირად შესხივის პოეტი თანამებრძოლს სამშობლოს ტრაგიკულ ბედზე:

„მერაბ! მანქურთებმა ალესეს მახვილი,
საბრალო მამული კვდელთან დახვრიტეს!
მერაბ! საქართველოს უშრება ცრემლები,
დღეს ჭირისუფლებიც ალარა ტირიან...
მერაბ! საქართველოს უხმება ფესვები,
დავითის ბიჭები მიდიან, მიდიან...“

მერაბ კოსტავას სულს ევედრება პოეტი ქართველების შერიგებას, სამართალსა და სათნოებას. ტკივილითაა გაჯერებული ლექსი „ქართველები შეარიგე მერაბ“, მაგრამ იმედი მაინც არსებობს, იმედი თეთრი ცხენია, ჯერ უმხედრო, მაგრამ ღირსეული მხედრის მოლოდინში:

„მუქი ნისლი დასწოლია შავნაბადას,
თეთრი ცხენი ელოდება მხედარს,
საქართველოს ბასიანი ელანდება
და დიდგორი ესიზმრება, მერაბ! “

დღეს ჩვენ მხოლოდ პოეტის რამდენიმე ლექსს შევეხეთ. თინათინ მღვდლიაშვილის პოეზია მკითხველს საკუთარ თავში ეროვნული სულის ძიებისკენ უბიძგებს. მისი ლექსები სუფთა ჰაერივითაა, ვინც ერთხელ ჩაისუნთქავს, მისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი ხდება. ლექსები ირეკლავენ ადამიანურ სითბოსა და სინაზეს, სისასტიკესა და გულგრილობას, დემონურისა და ანგელოსურის ჭიდილს. ეს კი წარმოიჩნდება საოცარი მხატვრული სახეებით, მუსიკალურობითა და ფერწერულობით.

„ქართველობაა ჩემი დიდი „დანაშაული“
და საქართველოს სიყვარული, გულს რომ მასკდება!..“

პოეტი გრძნობს, ენდობა ენას და ენა თვითონ აქცევს შემოქმედის აზრს მუსიკად. ამიტომ ლექსები მოედინება ლაღად, დაუბრკოლებლად, შემკობილი ფერითა და ხმოვანებით. ღირებულებები მარადიულია - დროში გამოცდილი. თინათინ მღვდლიაშვილის პოეზია ერთგვარი ტესტია ჩვენთვის, მკითხველებისთვის. თუ შევიგრძენით, გავიაზრეთ და გავიზიარეთ - ესე იგი, ჯერ კიდევ ვცოცხლობთ!

მაკა კაჭკაჭიშვილი

თემურ ჭკუასელის მხატვრული ენის ზოგიერთი თავისებურება

ქართული სალიტერატურო ენის გამოყენების სფერო არაერთია, თუმცა ყოველ დროში მთავარი არე მაინც მხატვრული ლიტერატურა იყო. მიუხედავად იმისა, რომ თანამედროვე ცხოვრების პირობებიდან გამომდინარე ფართოვდება მასმედიის გავლენა, თავისებურ ნორმებს ამკვიდრებს ინტერნეტსივრცე, ვფიქრობთ, დღესაც ქართული სალიტერატურო ენის შემდგომი განვითარებისა და სრულყოფის პროცესში წამყვანი როლი მაინც მხატვრულ ლიტერატურას ეკუთვნის.

საგულისხმოა ისიც, რომ სალიტერატურო ენის განმარტებისას მეცნიერები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ ცნება სალიტერატურო ენისა, არ არის ლიტერატურის ენის ცნების იდენტური. მხატვრული ლიტერატურა სალიტერატურო ენას იყენებს, რა თქმა უნდა, მაგრამ მისი ფორმები ყოველთვის სავსებით არ ემთხვევა სალიტერატურო ენის ნორმებს“ (ივ. გიგინეიშვილი).

მწერლის ენას შეიძლება განსაკუთრებული, ინდივიდუალური ფორმები ახასიათებდეს. ეს ინდივიდუალიზმი და განსაკუთრებულობა შეიძლება იქამდეც მივიდეს, რომ იქცეს მწერლის სტილის მახასიათებლად. სწორედ ამგვარი თვალსაზრისიდან გამომდინარე განვიხილავთ მწერალ თემურ ჭკუასელის პროზის ენას წიგნის - „სიმღერით გამობარი მიწა“, მაგალითზე.

შემოქმედი თანამედროვეობის შვილია. თუ მოკლედ დავახასიათებთ თანამედროვე პროზას ენობრივ გამომსახველობითი თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, შეიძლება გამოიკვეთოს რამდენიმე ტენდენცია.

პირველი - გლობალიზაციის, გლობალური პროცესების ფეხის ადგმის სურვილი და მცდელობა ხშირად ვლინდება როგორც სიუჟეტურად, ისე ენობრივად, ანუ ე.წ. „მოდური სიუჟეტები“ გადმოცემულია ისეთივე მოდური ლექსიკითა და ენობრივი ფორმებით, რომელთაც დაჰკრავს ხელოვნურობის ელფერი.

მეორე - პროზის ენისა და ყოველდღიური სასაუბრო მეტყველების განსაკუთრებული დაახლოება, რაც ლიტერატურულ

ნაწარმოებში თითქმის ყოველდღიური სასუბრო მეტყველების ზუსტ ასახვამდე მიდის. ნიშანდობლივია, რომ ეს არ ახასიათებს მხოლოდ პერსონაჟთა მეტყველებას. აქვე უნდა აღინიშნოს შეუსაბამო ლექსიკის მოჭარბება, რომელიც საერთოდ სცილდება მხატვრული ლიტერატურის საზღვრებს.

მესამე ტენდენციით გრძელდება ქართული კლასიკური მწერლობის ენობრივი ტრადიციები. ჩვენ სწორედ ამ უკანასკნელ ტენდენციას მივიჩნევთ თემურ ჭკუასელის პროზის მახასიათებლად.

ავტორს ხელეწიფება არ მოსწყდეს ხალხურობას, ემსახუროს ამ ტრადიციების გაღრმავებას, მათ შემდგომ სრულყოფას. ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ მწერლის მხატვრული მეტყველება - სემანტიკა, სინტაქსი არაინდივიდუალურია. ამავდროულად იმთავითვე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი არ სცილდება ქართული სალიტერატურო ენის გრამატიკული წყობისა და ლექსიკური შედგენილობის შესაძლებლობათა ჩარჩოებს, სიტვათშემოქმედებას თვითმიზნად არასოდეს არ ისახავს. მისი ინდივიდუალობის საფუძველი კი ის არის, რომ ჩვეულებრივ, ცნობილ სიტყვას, ჩვეულებრივ ფრაზას ისე იყენებს, რომ თავისებური გამომსახველობითფუნქცია ეკისრება ტექსტში.

„სიმღერით გამთბარი მიწა“ კრებულია, რომელშიც შედის იმავე სათაურის კინოსცენარი, ნოველები „თემცა“, „დიალოგები გურიაზე“.

როგორც მოგახსენეთ, ამ კრებულის მაგალითზე წარმოგიდგენთ ავტორის ენაზე ზოგიერთი დაკვირვების შედეგს. უმთავრეს ღირსებად მივიჩნევთ ენის სისადავეს, სიდარბაისლეს, რაც ავტორისაგან დიდ ოსტატობას მოითხოვს. მწერალი გრძნობს სიტყვის ძალას, ზუსტად განჭვრეტს მისი ზემოქმედების უნარს, ამიტომ სიტყვისადმი ზომიერი დამოკიდებულებით იჩვევს, იშინაურებს მკითხველს. ზომიერებასა და სისადავეში ვგულისხმობთ სადა ლექსიკას, მაქსიმალურად დახვეწილ ფრაზას. არა მხოლოდ გაბმულ ტექსტში, წინადადებებად დათითოებულ პატარა მონაკვეთში ძნელია მიაგნო ზედმეტ სიტყვას. ყველა სიტყვა თავის ადგილზეა, ზუსტად არის სათქმელთან შეხამებული, შესაბამისად, ემოციაც გულწრფელი და დამაჯერებელია. წინადადებები, რთული სინტაქსური წყობისაც კი, მოკლე და ლაკონურია. ტექსტი ძირითადად იგება თანწყობილი წინადადებებით, შედარებით იშვიათია შერწყ-

მული წინადადებები. როგორც მოგახსენეთ, ქვეწყობაც კი მოკლე და მოქნილია. ამის გამო სათქმელი ბოლომდე მიდის მკითხველამდე, აღიქმება ძალისხმევის გარეშე და არ იკარგება ემოცია. ამას ემატება გურული იუმორი: „ბოლო საღამოს ბათუმიდან დავბრუნდი. ღამის 3 საათია. სასტუმროს ფოიეში ერთადერთი კაცი დგას და ლიფტს ელოდება. ლიფტი რომ დაიძრა, ვატყობ, ჩემი თანამგზავრი აშკარად ნერვიულობს, გაჭედვის ეშინია-მეთქი, გავიფიქრე. ეს ფიქრი დამთავრებული არ მქონდა, სინათლეც ჩაქრა. გაქვავდა ლიფტი. ჩემმა თანამგზავრმა ხმამაღლა გინება დაიწყო... დაწყნარდი-მეთქი, მისი დამშვიდება ვცადე, ქვემოთ ლიფტიორი მორიგეობს და ცოტა ხანში გაგვიყვანს აქედან - მეთქი. პასუხად ჯერ ისევ იმ ვიღაცას შეაგინა და ცოტათი ხმადაბლა, და მერე ჩემს გასაგონად თქვა: ქვემოთ რომ ლიფტიორი მორიგეობს, ის ლიფტიორი მე ვარო“ (თ. ჭკუასელი). განსაკუთრებით იგრძნობა ენის სიდარბაისლე კინოსცენარის ენაში.

გურია და გურულები თემურ ჭკუასელის პროზის ერთ-ერთი უმთავრესი თემაა. ამჯერად ჩვენ გვერდს ავუვლით მის შინაარსობრივ მხარეს და მხოლოდ ენობრივზე შევჩერდებით. დიალექტის და მათ შორის გურული მეტყველების გამოყენება ქართული პროზისთვის უცხო არ არის. დიალექტიზმები, დიალექტური ფორმები, დიალექტური მეტყველობა ქართულ მწერლობაში დასტურდება როგორც მთხრობელის ენაში, ისე, უფრო ხშირად, პერსონაჟთა მეტყველებაში. ავტორი ამ შემთხვევაშიც ახერხებს იყოს ორიგინალური. იგი დიალექტს, დიალექტურ მეტყველებას მოიხმობს როგორც თავისთავად, დამოუკიდებელ ფენომენს. მკითხველის ყურადღებას საგანგებოდ მიაპყრობს დიალექტურ ფორმებზე და მსჯელობს მათზე. ამის შედეგად, ჩვენი აზრით, თვითონ მეტყველობა იქცევა დამოუკიდებელ პერსონაჟადაც კი, რომელსაც თავისი მახასიათებლები აქვს და ამავდროულად ავლენს გურული კაცის ბუნებას. მკითხველი იოლად წამოეგება ავტორის გამოწვევას: „იცით რა?! მოდით, გავხალისდეთ და პატარა ექსპერიმენტი ჩავატაროთ. მე ახლა ერთ ხღაპარს მოგიყვებით, ოღონდ გურულად. ხასიათის გამოსაკეთებლად ხშირად მაყოლებენ ხოლმე მეგობრები და მეც დავიზეპირე უკვე. ვნახოთ, თუ გაიგებთ რამეს. თუკი რამეს ვერ გაიგებთ, ეგერ ფურცელი და ეგერ კალმისტარი, ჩაინიშნეთ და ბოლოს მკითხეთ. შევთანხმდით?!“ (თ. ჭკუასელი). ასე იქცევა გურულ დიალექტზე მოყოლილი

ზღაპარი მხატვრული ნაწარმოების ორგანულ ნაწილად, ერთგვარ მხატვრულ ხერხად, რომელიც ერთ-ერთი მთავარი განმსაზღვრელია გურული კაცის ბუნების და თავისთავად, როგორც ტექსტი, ღირებული ფენომენია: „ასთე ასრულდა ანგელოზნების სიტყვა. მართლა დაჩა წიფლიას ვაჭრის თელი ქონება და ვოქრო-ვერცხლი... აიანთარი, მაიანთარი, წყეული იყოს ფულის ყანთარი, გამგონმა გაძლოს აი ზამთარი, რავარც აი ყველაყაი არაა მართალი“ (თ. ჭკუასელი).

დარბაისლური, მოქნილი ფრაზებით გაჯერებული თხრობას მიჩვეული მკითხველი ნამდვილი აღმოჩენის წინაშე დგება, რომელსაც მწერალი სულიერ ღირებულებებს, ფასეულობებს ეხება, ფრაზა განსაკუთრებული მხატვრულობით იტვირთება, იქმნება ულამაზესი მხატვრული სახეები, ეპითეტები, მეტაფორები: „ჰორიზონტზე, ჩამავალი მზის ფონზე, შავი ფრინველების გუნდი შეჰკიდებია ზეცას და დასავლეთისკენ მიფრინავს. მათი შერეული ხმები შეერევა სიმღერის ნარჩენებს და თანდათან გაბატონდება“ (თ. ჭკუასელი).

არის ერთი განსაკუთრებული თემა, რომლის გადმოსაცემად თითქოს სიტყვა თავისუფლდება თვით ავტორისაგანაც კი, ბოლომდე აიშვებს სადავეებს, გამხატვრულდება თავიდან ბოლომდე. არა თუ თითოეული ფრაზა ან წინადადება, სიტყვა, მარცვალი ხდება ექსპრესიული და ემოციით თაბრუდახვეულ მკითხველს იმორჩილებს.

ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც მწერალი სიტყვებით ასმენინებს მკითხველს გურულ სიმღერას: „ ა ა ა ი ი ი ვ ო ი ი ი“ - გაისმა თუ არა მთქმელის ხმა, გზა მოუჭრა ბანმა. „ვაჰდილაჰ“ - აქუხდა ომახიანად და ვიდრე შეთანხმდებოდა მტქმელი და ბანი, აიჭრა ცისკენ ვერცხლის იალონი, ვერცხლის ფრთიანი, რიმტირირორრაააო იაჰო, ცას ასწვდა, ახალისდა, აციმციმდა, გადააფრქვია სიმღერას ხალისი, სულ მაღლა და მაღლა მიიწევდა ცაში, გაბრწყინდა კრიმანჭული!“(თ. ჭკუასელი) ან კიდევ, მეორე ნაწყვეტი: „ჯირითობდნენ მხედრები, ყოველი ხმა უჩვენებდა თავის სიჩაქეს, გაჭენებულ ცხენის გავაზე აღიმართებოდა ბანი და უმალვე უნაგირზე მოექცეოდა, მთქმელი ეკიდებოდა უზანგზე ფეხით. კრიმანჭული ზედ ევლებოდა გაჭენებულ სიმღერას. მუქარად ქცეულიყო ბანი ნებაძლიერი. ფიცხელ ბრძანებას გასცემდა - მხედრულს, ვაჟკაცურს, ომახიანს...“ (თ. ჭკუასელი).

ამგვარი მონაკვეთების შეფასებისას ყველაზე ზუსტად ისევ ავტორისავე ფრაზა გამოდგება: „ეს სიმღერაა სიმღერაზე, ოღონდ სიტყვებით გადმოცემული“.

სიტყვებითაა ამღერებული წიგნი „სიმღერით გამთბარი მიწა“. ჩვენ შევეცადეთ, წარმოგვედგინა მწერლის ენის დამახასიათებელი მხოლოდ ზოგიერთი ნიშან-თვისება. ცხადია, ავტორი შეგნებულად უარს ამბობს ყოველგვარ ხელოვნურობაზე ქართული ენის გამოყენებისას და ამავე დროს მთელი სისავსით იყენებს თანამედროვე ქართული სალიტერატურო ენის გამომსახველობით შესაძლებლობებს, ენის შინაგან ძალას, დიალექტს. აგრძელებს კლასიკური ლიტერატურის ტრადიციებს. საფუძველთა საფუძველი, მიზეზი ამ ყველაფრისა გახლავთ ორი უმთავრესი ფაქტორი: პირველი - მწერალ თემურ ჭკუასელის ნიჭი, შემოქმედებითი ოსტატობა და მეორე – ეროვნულობა, თემა, რომელიც მარადიულია, ყავლი არ გასდის - საქართველო - თავისი სულიერი მემკვიდრეობით.

უფლის ხელდასხმულ ლამაზ ძვეყანაში

„ხე ჯერ ყვავილებს იკეთებს, შემდეგ – ნაყოფს. მაშ, მე, ესოდენ ულირსი, შინაგანი ლოცვის, აღსარებისა და ზიარების გარეშე, ვით შევძლებ ღვთისთვის სათნო ნაყოფის – მინდვრის ყვავილივით მშვენიერი და ბადაგივით საამო ლექსის შექმნას?“ (მღვდლიაშვილი, 2014: 5), – წერს თინათინ მღვდლიაშვილი. ეს კითხვა პოეტის შემოქმედების თანამდევია, რომელიც პოეტის ლირიკის თავისებურებებს, სპეციფიკურ ნიშანთვისებებს განსაზღვრავს; თინათინ მღვდლიაშვილი, როგორც ყველა ჭეშმარიტი შემოქმედი, ფიქრობს, განიცდის, ეძიებს; მას თავისი ნააზრევი, ნაფიქრი, განცდისა და ძიების შედეგი მკითხველის წინაშე გამოაქვს. საკითხავი ისაა, როგორ ახერხებს ან როგორ აღწევს მიზანს, როგორ მიაქვს თავისი სათქმელი მკითხველამდე თუ მსმენელამდე.

ამთავითვე უნდა განვაცხადო, რომ პოეტური ტექსტის ინტერპრეტაცია უმადური საქმეა, რადგან მკითხველი, რაოდენ კომპეტენტური და თავადაც პოეტური ბუნების მქონე იყოს, თუნდაც პოეზიის ურთულეს ლაბირინთებში ღრმად ჩახედული და ლექსის მკვლევარი იყოს, ძნელად თუ ჩაწვდება პოეტის იმ ჩანაფიქრს, რომელიც ამა თუ იმ მხატვრული ნაწარმოების შექმნისას დაეუფლა და შეაქმნევინა მას ესა თუ ის მხატვრული ტექსტი. დავიმოწმებ მარინა ცვეტაევას გამონათქვამის პერიფრაზს შემოქმედებითი და ინტელექტუალური წვის შედეგის აღქმის შესახებ, იმის შესახებ, როგორ შეიძლება მიიღოს და აღიქვას მკითხველმა მხატვრული ნაწარმოები; მისი სავსებით სამართლიანი აზრით, როგორც არ უნდა შეეცადოს მკითხველი პოეტის განწყობის, ნააზრევის სრულყოფილ წვდომას, ამას ის ვერ შეძლებს, მეტიც, თვით პოეტიც იმ განწყობას ვერასოდეს დაუბრუნდება, რომლითაც შექმნა თავისი პოეტური სულის გამოვლინების, პოეტური სამყაროს ამსახველი თხზულება. ამის მიზეზი კი ისაა, რომ განწყობა, განცდა, გრძნობა, ფიქრი, განსჯა, აზრი ერთჯერადია, არ მეორდება.

ჩემი ყურადღება მიიპყრო თინათინ მღვდლიაშვილის მიერ გამოთქმულმა შეხედულებამ, რომ ავტორის ლამაზი პოეტური მემკვიდრეობა, პოეტური სამყარო დუმილის სიბრძნესაა მოკლებული, რაც თვით პოეტს ძველი ლიტერატურული ტრადი-

ციების, ჰაგიოგრაფიისა და ჰიმნოგრაფიის სულიერ-ინტელექტუალური სამყაროს ტრადიციათა გამგრძელებლად აღგვაქმევინებს; მისი ეს შეხედულება ძველ ქართულ ლიტერატურულ თხზულებებში გამოხატული ფილოსოფიურ-რელიგიური და პოეტური მრწამსის ერთგვარი პერიფრაზია და იგი გიორგი მერჩულის სიტყვებს შეგვახსენებს: „ბრძნადმეტყველებად ვეცხლი არს, დუმილი – ოქროდ რჩეულ“. რა კარგია, თინათინ მღვდლიაშვილმა ოქროს ვერცხლი რომ ამჯობინა. რამდენს დაკარგავდა ქართული პოეზია, რომ არ შექმნილიყო „ხმალი ავლესოთ, ქართველები, ხმალი ავლესოთ“, „დავით აღმაშენებელს“, „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო“ და მრავალი სხვა. ამავე დროს, თინათინ მღვდლიაშვილის ზემოხსენებული მოსაზრება საგანგებოდ დავიმოწმე, რათა წინარე და მიმდინარე ლიტერატურულ პროცესებს შორის მჭიდრო კავშირი უკეთ წარმომეჩინა. თინათინ მღვდლიაშვილის პოეტური სამყარო, მისი პოეტური ხატები ხშირად მითოლოგიის, ბიბლიურ-ევანგელური და ლიტერატურული სემანტიკური ჰიპოდიგმებითაა ნასაზრდოები, რის გამოც მათი სრულფასოვანი აღქმა მკითხველისაგან ღრმა სულიერ და ინტელექტუალურ მზაობას მოითხოვს.

თინათინ მღვდლიაშვილის ლექსები სისადავის, სინატიფის, მხატვრული სიმართლის აქტუალობით გამოირჩევა და მკითხველის ყურადღებას იპყრობს. პოეტის ლექსის იდეა, ძირითადი სათქმელი ხშირად მუსიკად გარდაისახება, რამაც საფუძველი შექმნა მისი ლექსების სიმღერებად გარდაქმნისათვის. ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როდესაც ლექსის, სიტყვის მუსიკალობა და მელოდიურობა მუსიკალურ ბგერად და მელოდიად ისე გარდაისახება, რომ მსმენელზე ღრმა შთაბეჭდილებას ახდენს. ამიტომ ამ ლექსების ესთეტიკურ ფენომენს არა მხოლოდ სიტყვათა სემანტიკური მოწესრიგებულობა, აზრის სიმწყობრე, არამედ მელოდიურობაც განსაზღვრავს. თინათინ მღვდლიაშვილი ამ მხრივაც ძველ ქართულ პოეტურ მემკვიდრეობაშია, კერძოდ ჰიმნოგრაფიაში არსებულ ტრადიციათა გამგრძელებელია, რადგან საგალობლები საეკლესიო გალობისათვის იქმნებოდა. ცხადია, თინათინის ლექსები სიმღერებად მათივე მელოდიურობით, ევფონიურობით, შინაარსის სიღრმითა და გამოსახვის ფორმათა სისადავით იქცა, რაც ყველა პოეტის ხვედრი არაა. ამგვარი რამ მხოლოდ რჩეულ შემოქმედთა ხვედრია, პარალელების დასახელებისაგან კი თავს შევიკავებ.

ვისაც მოუსმენია თინათინ მღვდლიაშვილის ლექსების მუსიკალური ვერსიები, – კერძოდ, „ხმალი აჭლესოთ, ქართველებო, ხმალი აჭლესოთ“, „აღმაშენებელი თბილისს მობრძანდება“, „მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო“ და სხვანი, – არასოდეს დაავიწყდება და ყოველი მოსმენისას ხელახლა მოსმენის პირველადი განცდა აღეძვრის.

თინათინ მღვდლიაშვილის ლექსების ორნამენტულ-დეკორატიულ სტილისტიკას თუ ღრმად ჩავუკვირდებით, დავინახავთ, რომ მის პოეზიაში არცთუ იშვიათად გვხვდება ანტინომიები და ბინარული ოპოზიციები, რომელთა გარეშე ჭეშმარიტი პოეტური სამყარო ვერ შეიქმნება. მაგრამ ეს არა მხოლოდ იმას მიუთითებს, რომ პოეტი თეორიულად კარგად იცნობს ამ გამომსახველობით საშუალებებსა და მხატვრულ ხერხებს, არამედ ლექსში გამოყენებული ყოველი მხატვრული სამკაული ჰარმონიულადაა შერწყმული პოეტისავე შინაგან სამყაროსთან, ჰარმონიულია პოეტის გამომსახველობითი, თემატური თუ სტილური მახასიათებლები. პოეტის მხატვრული აზროვნება თეორიული ცოდნის შედეგი კი არაა, არამედ იგი თვით პოეტის შემოქმედებითი ენერგიისგან მომდინარეობს და ხელოვნების სხვადასხვა სფეროსთვის დამახასიათებელი სტილით, სულიერი გამოხატვის უნარით ივსება.

თინათინ მღვდლიაშვილის პოეტური სამყარო წარსულის კულტურის პარადიგმებითაა და ათასწლოვანი სულიერი ენერგიითაა აღსავსე; მისი ლექსების უმეტესობა ქართული კულტურის, წარსულის ისტორიული მეხსიერების სულიერი წვდომის გამოხატულებაა. თითოეული ლექსი სიტყვის, მუსიკის, ფერწერის, ქანდაკების ჰარმონიაა, რასაც სიტყვის ყოვლისმომცველობა, მუსიკის სიდიადე და, საზოგადოდ, შემოქმედებითი ძალის ერთიანობა წარმართავს.

თინათინ მღვდლიაშვილის ლექსებში პოეტურ სახეთა სისტემა იმ სტრუქტურულ-სემანტიკური პარადიგმებისაგან შედგება, რომლებიც ლიტერატურული ტრადიციებისაგან მომდინარეობს. ასეთი ტრადიციულობით ძერწავს პოეტი ისტორიულ პირთა მხატვრულ სახე-ხატებს, რომელთაგან გამოვარჩევდი დავით აღმაშენებლის, თამარ მეფის, შალვა ახალციხელისადმი მიძღვნილ ლექსებს. მათში საქართველოს გმირულ ისტორიულ წარსულთან ერთად ჩვენი ქვეყნის აწმყო მდგომარეობით მოგვრილი უდიდესი სევდა და ღრმა გულისტკივილი შეიგრძნობა, რაც იმას შეგვახსენებს, რომ ღირსეულ

წინაპართ ღირსეული შთამომავლები უნდა ჰყავდეთ, რათა ერმა და სახელმწიფომ ღირსეული ადგილი დაიმკვიდროს თანამედროვე ანტაგონისტურ სამყაროში.

თინათინ მღვდლიაშვილის ლექსები მკითხველს ნათლად შეაგრძნობინებს, თუ როგორი მძიმეა ქართველი კაცის ხვედრი, რადგან მას ოდითგანვე წილად ხვდა შეუნელებელი, მარადიული ბრძოლა არსებობისა და საკუთარი ადგილის დამკვიდრებისათვის მსოფლიოს კულტურულ სამყაროში, რასაც ძმათა ომები მუდმივად სდევს. დროდადრო მეორდება ბაზალეთი, 25 თებერვალი და 6 იანვარი, რომელთაგან განსაკუთრებით გამოყოფილია უკანასკნელი ორი, ორი ნიშანსვეტი მეოცე საუკუნისა, ძმათა კვლის, შულლის, მტრობის, დაუნდობლობის გამოვლინების დღეები, როდესაც „წითელი დროშებით სისხლიან მიწაზე, წითელი ცხენების მოგელავს ლაშქარი, რეკავენ, რეკავენ გელათის ზარები, ითვლიან ზარები სისხლიან ნაბიჯებს“... ყოველივე ამის შედეგი მეტაფორულადაა წარმოსახული ერთსტროფიან უსათაურო ლექსში:

„წუხელ, თბილისში, ძმათა შორის შეტაკებისას,
დაიჭრა ნაძვი...
და სასიკვდილო განაჩენით განცვიფრებული,
ლურჯი სხეულით ჩაიკეცა მშობელ მიწაზე...“

თინათინ მღვდლიაშვილმა ლექსების მთელი ციკლი მიუძღვნა საქართველოს პირველი პრეზიდენტისა და მისი ქრისტესმიერი ძმის, მერაბ კოსტავას ხსოვნას. მათი ტრაგიკული ხვედრი საქართველოს ბედის თანაზიარადაა წარმოდგენილი; პოეტის მძაფრი განცდებით აღსავსე სტრიქონებში მეოცე საუკუნის დასასრულის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა დაუმორჩილებლობა და, შესაბამისად, მტრის მიერ ქართველი ერის დამონების მცდელობა განზოგადებულია, რაც ალუზიურ-ენიგმური მხატვრული ხერხებითაა გადმოცემული და ლექსის დასასრული ტაეპი გარკვეული სარკაზმითაც გაზავებული:

„გაბრწყინდება საქართველო, – ლურჯი და უნაპირო...
კახი კოლხეთს შემოსძახებს, – სქანი გოლუაფირო!...
თუ ბიჭი ხარ, მიდი, აბა, ეს მთა-გორი დასძარი?!...
გესმის? ღრუბლის ტახტზე რეკავს წალენჯიხის ტაძარი!..
ჯიხაშკარში შაშვი გალობს,
მაფშალია – ოდიშში,
ვერცინ დასცემს სამეგრელოს,

მტერთან – დიდი ბოდიში“.

თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიამ დღის წესრიგში დააყენა სახელმწიფოს, ერის, პიროვნების ღირსების საკითხი, რომელიც ქართული ლიტერატურისათვის ჩვეულ ტრადიციულ თვალსაზრისს მიჰყვება:

„რად მინდა სიცოცხლე ღირსებააყრილი?!..
რად მინდა, მამულო, სიცოცხლე უშენოდ?!..
ჩემ თვალწინ ფართხალებს სამშობლო დაჭრილი,
კვდება... არ ძალმიძს რაიმე ვუშველო!...“

თინათინ მღვდლიაშვილის ეს პატარა, მაგრამ მრავლისმთქმელი ლექსი იმ მიზნით დაიწერა, რომ ქართველი ერის შეგნება გამოაფხიზლოს, რადგან ჩვენი სამშობლოს მკვიდრთა საკმაოდ დიდი ნაწილის საქმიანობა მხოლოდ საკუთარი კეთილდღეობისათვის ზრუნვაა, რაც სამშობლოს სიცოცხლის გარანტი ვერასოდეს გახდება. სამშობლოსა და პიროვნების საქმიანობა ერთიანი უნდა იყოს, ერი ხომ პიროვნებებისაგან შედგება! თუმცა, ლექსის ტრაგიკული პათოსის საწინააღმდეგოდ კი მინდა ვთქვა, რომ თვით ეს ლექსია სამშობლოს საშველად შექმნილი! ამას ისიც მოწმობს, თუ როგორ მზადებას გამოხატავს პოეტი ქართველობის შესანარჩუნებლად:

„მე – მაგნოლია, გარდავისახე და აქ მოვედი.
მე ქართველობის არ მეშინია,
არ მეშინია, ვიყო ქართველი“!

თინათინ მღვდლიაშვილის ლექსებიდან ცალკე მინდა გამოვყო ეპიტაფიები, რომელთა საფუძველი ისევ და ისევ ტრადიციულია; გავიხსენებდი დავით აღმაშენებლის ეპიტაფიას – „ვის ნაჭარმაგევს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს...“ თინათინ მღვდლიაშვილმა ეპიტაფიის ჟანრი გააცოცხლა და არაჩვეულებრივი, შინაარსითა და აზრის სიღრმით გამორჩეული ნაწარმოებები შექმნა. ეპიტაფიებში გაცოცხლებულია წმ. გრიგოლ ღვთისმეტყველის, წმ. გრიგოლ ხანძთელის, წმ. გრიგოლ ფერაძის, თინათინ გურიელის, წმ. შალვა ახალციხელის, წმ. იოთამ ხედგინიძის, თამარის, იგივე გურჯი-ხათუნის, წმ. გაბრიელ ქიქოძის, წმ. ანთიმოზ ივერიელის, ზეზვა გაფრინდაულის, ივანე მაჩაბლის, მეუფე გაბრიელ ჩაჩანიძის, მოწამეობრივად აღსრულებული ანდრია ყურაშვილის ხატსახეები. ამ ციკლში ქართველ სულიერ და ინტელექტუალურ წინაპართა ღვაწლია შეფასებული.

თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიაში ასახულია პოეტის ხვედრი საქართველოში; იგი, საზოგადოდ, ძალზე მძიმეა, რადგან მას ყოველთვის ებრძოდნენ, ამჟამადაც ებრძვიან: „რა უხარიათ, ნეტავი, სვავებს, ოდეს კორტნიან ამაყ პრომეთეს?! ვუახლოვდებით მაჩაბლის ცამეტს, შენობას, სადაც კლავენ პოეტებს!...“ ამ ფონზე თინათინის ნათქვამი სიტყვები – „ვემსახურები ჩემს საქართველოს უანგაროდ და უჰონორაროდ“ – საოცრად მეტყველი და მრავლისმომცველია. გავიხსენებ სხვა ეპიზოდებსაც: „და მე დავჯექი ჩვენი ქოხის დარბეულ კართან, და შინდისფერი ვწერე ლექსები“... განსაკუთრებული ღირებულება ენიჭება პოეტის სიტყვებს, რომელშიც ლექსის ქმნადობის სირთულე და სიდიადეა წარმოჩენილი:

„ლექსი, ვით მწიფე რქაწითელი, ისე ატირდა,
ნასისხლარი მაქვს მარგალიტის სამაჯურები...
ისმის თუხთუხი პოეზიის საღმრთო მარნიდან,
პაპისეული თითქოს დასკდნენ ძველი ჭურები“.

აქვე უნდა ვახსენო თინათინ მღვდლიაშვილის ლექსები, რომლებიც გალაკტიონის, ტიციან ტაბიძის, ტერენტი გრანელის, მუხრან მაჭავარიანის და სხვა გამოჩენილ ქართველ პოეტთა გამორჩეულ პოეტურ მემკვიდრეობას ეძღვნება, ხოლო ლორდ ბაირონს ლექსების მთელი ციკლი უძღვნა და ინგლისური ლიტერატურის ისტორიაში, შესაბამისად, მსოფლიო ლიტერატურის ისტორიაში, მისი განსაკუთრებული ღვაწლი წარმოაჩინა.

მინდა გავიხსენო თინათინ მღვდლიაშვილის ერთი ლექსი, რომელშიც შემოქმედებითი წვისა და ლექსის შექმნის სირთულე და სიამოვნებაა ნაჩვენები:

„ვიცი, ამაღამ მესტუმრება თეთრი მხედარი,
თეთრი ვარდებით საცსე ღამეს გამატეხინებს,
ვიცი, ამაღამ მესტუმრება სული ნათელი
და ლექსს შინდისფერს დამაწერინებს,
მერე წავა და რძისფერ ნისლში დაიკარგება,
და მალოდინებს“.

ნებისმიერ მწერალს, პოეტს ნებსით თუ უნებლიეთ ლიტერატურის გრანდიოზულ, ბუმბერაზ წარმომადგენელთა ტყვეობიდან გაქცევა უწევს, ზოგი შემოქმედი ამას უმტკივნეულოდ ახერხებს და წარსულის გამორჩეულ პოეტთა მემკვიდრეობისაგან სრულიად განსხვავებულ პოეტურ სამყაროს ქმნის, ეს ძლიერ და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებულ შემოქ-

მედთ ძალუძთ. ისინი მკვეთრად ინდივიდუალურნი არიან. ზოგი კი, შედარებით უფრო სუსტი და ინდივიდუალობას მოკლებული „მელექსე“, თითქმის ვერ სძლევს გავლენებს და მთლიანად ექცევა წინამორბედთა მიერ გამოყენებული მხატვრულ-გამომსახველობითი საშუალებების ტყვეობაში. ამ ფონზე თინათინ მღვდლიაშვილს პრიველი რიგის პოეტთა რიცხვს მივაკუთვნებ, რადგან თინათინ მღვდლიაშვილის გამოკვეთილად ინდივიდუალური პოეზია ქართული პოეტური ტრადიციების გაგრძელებად აღიქმება. მისი პოეტური ცხოვრებაც იმის მოწმობაა, როგორ უნდა იცხოვროს და იღვაწოს ქართველმა კაცმა საზოგადოდ.

თინათინ მღვდლიაშვილმა საკმაოდ მძიმე ცხოვრება გამოიარა, მაგრამ უსამართლობის წინაშე არასოდეს ქედი არ მოუხრია, რასაც მისი მებრძოლი პოეზია მოწმობს. საამისოდ ერთ ლექსს გავიხსენებ:

„ვიღაცას უთქვამს, – როს ზარბაზნები
ცოდვილ მიწაზე უღმერთოდ ქუხან,
დაუკრეფიათ გულხელი მუზებს
და პირგამშრალნი საბრალოდ დუმან...
რაღაც არ მჯერა მე იმ სიმართლის,
რომ შეაშინოს კრაზანამ მუხა!..
როს ზარბაზნები ანგრევენ სივრცეს,
დუმან ლაჩრები!
მუზები ქუხან!..“

ეს სიტყვები ძლიერი სულის მქონე ადამიანის, უშიშარი პოეტის მიერაა წარმოთქმული და პოეტის მთელი შემოქმედების ხასიათს წარმოაჩენს, რადგან იგი ვერანაირმა წინააღმდეგობამ ვერ გატეხა, ვერ დააფრთხო.

თინათინ მღვდლიაშვილის კრებულში ლექსების რამდენიმე ციკლია გამოყოფილი. პირველი ლირიკული ციკლია, რომელსაც ავტორმა თავისი ერთობ პოპულარული ლექსის სათაური მისცა: „მარტოხელა, მარტოსული ქალბატონო“ და ამ სახელწოდების ლექსითვე იხსნება. სხვათა შორის, ამავე ლექსის სიტყვები – „ჭრიჭინებენ, ჭრიჭინებენ ჭრიჭინები“ – მთლიანად წიგნის სახელწოდებადაა გამოტანილი. ეს ის პოპულარული ლექსია, რომელიც სიმღერად იქცა და რომლის დედააზრს მარტოხელა მარტოსული ქალბატონის შინაგანი სამყარო, მისი განცდები, გრძნობები, განწყობილებები ქმნის; იგი მარტო-

სულობისაგან, მარტოხელობისაგან გათავისუფლების, მისგან თავდახსნის ვედრებაა.

„არ დამტოვო, გეყვდრები, არ დამტოვო,
სინანული აგიცრემლებს თვალებს,
მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონო,
ვერ გავუძლებ მარტოობის ღამეს.
ჭრიჭინებენ, ჭრიჭინებენ ჭრიჭინები
და ჭრიჭინში ათენებენ ღამეს,
მარტოხელა, მარტოსულო ქალბატონი,
ნუ მიხურავ, ნუ მიხურავ კარებს!“

ამ ციკლის ლექსების უმეტესობა ლირიკული ხასიათისაა, რომელშიც სიყვარულის სიმფონია და პოეზიის მარადიულობის შეგრძნებაა აქცენტირებული.

დასკვნისათვის გავიხსენებ ამ სიტყვის დასაწყისში ჩემ მიერ დამოწმებულ თინათინ მღვდლიაშვილის კითხვას: „ხე ჯერ ყვავილებს იკეთებს, შემდეგ – ნაყოფს. მაშ, მე, ესოდენ უღირსი, შინაგანი ლოცვის, აღსარებისა და ზიარების გარეშე, ვით შევძლებ ღვთისთვის სათნო ნაყოფის – მინდვრის ყვავილივით მშვენიერი და ბადაგივით საამო ლექსის შექმნას?“ თინათინ მღვდლიაშვილის პოეზიის შესახებ ბევრი დაიწერება, რადგან იგი ამას უთუოდ იმსახურებს. მეტსაც ვიტყვი, პოეტის უკვდავების საფუძველი ხალხის სიყვარულია, ხალხის მიერ მისი პოეზიის დაფასება და აღიარებაა. აღიარების ერთი მახასიათებელი ნიშანი კი ისაა, რომ თინათინ მღვდლიაშვილის ლექსები სიმღერებად იქცა, ხოლო ლექსის სიმღერებად გარდასახვა შემთხვევით არ ხდება. მე პირადად ბედნიერი ვიქნები, თუ დღევანდელმა ჩემმა სიტყვამ ცოტათი მაინც შეასრულა მისია იმისა, რომ წარმომეჩინა თინათინ მღვდლიაშვილის მდიდარი პოეტური სამყაროს მცირეოდენი ნაწილი მაინც და მეჩვენებინა, რომ მან ნამდვილად შეძლო, მისივე სიტყვით რომ ვთქვა, „ღვთისთვის სათნო ნაყოფის – მინდვრის ყვავილივით მშვენიერი და ბადაგივით საამო ლექსის შექმნა“.

16 დეკემბერი, 2014 წელი.

შინაარსი

ენათმეცნიერება

ასმათ ევსაია

სიტყვა-სიმბოლოები ქართულ და რუსულ ფრაზეოლოგიზმებში 5

ტოპონიმია

მარიამ ბალასანიანი-გოგნაძე

დაარსებული თუ აღდგენილი სოფლები („სომხეთისა და მისი მიმდებარე ტერიტორიის ტოპონიმთა“ ხუთტომეულის მიხედვით) 18

გიორგი სოსიაშვილი

ლიახვის ხეობის ზოგიერთი ტოპონიმი თორის მონასტრის 1432 წლის სიგელის მიხედვით 28

ლიტერატურათმცოდნეობითი პარადიგმები

დალი ბეთხოშვილი

სიყვარულის გააზრებისათვის ალექსანდრე ყაზბეგის პოეზიაში 49

დიანა მიქელაძე

„სიამაყე და მცდარი აზრის“ სტილის თავისებურებანი 56

ნესტან სულავა

ტომოთე გაბაშვილი შოთა რუსთველის შესახებ 62

მარინე შონია

აჰმედ ჰამდი თანფინარის შეხედულებები თურქულ მუსლიმურ ცივილიზაციაზე 81

ირინა ჯიშკარიანი

მიხეილ ლერმონტოვი რუსულ სიმბოლისტურ კრიტიკაში 89

ისტორია და რელიგია

უჩა ბლუაშვილი

სეხნიშის დაცემა: ფაქტები, მოვლენები, ანალიზი 103

ნინო მეგენეიშვილი

ქუთაისის კათოლიკური ეკლესიის ქრონიკები (XIX საუკუნის 30-იან წლები) 125

ეთნოლოგია

მედეა ბურდული

მესხეთის თანამედროვე სოფლის ეთნოგრაფიული ყოფა 159

თინა იველაშვილი
საკვები ველური მცენარეები სამცხე-ჯავახეთში 169

განათლება, პედაგოგიკა და სოციალური მეცნიერებანი
ციცინო მავზარაშვილი
სოციალური სტრესის გავლენა ალტერნატივათა გადაწყვეტილებაზე გადაწყვეტილების მიღების დროს და ფიქსირებულ განწყობაზე 180
მარეხ ნათენაძე
ზოგიერთი საკითხი ეფექტური სწავლის შესახებ 190
როლანდ ქურდაძე
კლასგარეშე მუშაობა მათემატიკაში აკადემიურად მოწინავე მოსწავლეებთან 194
ნატო ყრუაშვილი
პეტრე ხარისჭირაშვილის საბანმანათლებლო მოღვაწეობის შესწავლისათვის..... 199

რეცენზია
გიორგი ხორბალაძე
მაცთურხლართის ორი მხარე თანამედროვე ქართულ ლიტერატურაში (გიორგი სოსიაშვილის ორი მოთხრობის მიხედვით) 210

ექსპედიციის ანგარიში
მერაბ ბერიძე
ეპიგრაფიკული ძეგლი კურცხანის ხეობიდან 218

შეხვედრები
ნათელა ბერიძე-ნაცვლიშვილი
აზრის გადმოცემის ზოგიერთი ფორმისათვის თინათინის ლექსებში 230
ნათელა ბერიძე-ნაცვლიშვილი
ორიოდე სიტყვა თემურ ჯაფარიძის ზოგიერთ ნოველიზე 237
მაკა კაჭკაჭიშვილი
ერთვნულ გმირთა სახეები პოეტის სამყაროში 245
მაკა კაჭკაჭიშვილი
თემურ ჯაფარიძის მხატვრული ენის ზოგიერთი თავისებურება 251
ნესტან სულავა
უფლის ხელდასხმული ლამაზ ქვეყანაში 256

CONTENT

Linguistics
Asmat Evsaia
WORD SIMBOLS AS SEMANTIC BACKGROUND OF PHRASEOLOGISMS IN GEORGIAN AND RUSSIAN LANGUAGES 17

Toponyms
Mariam Balasaniani-Gognadze
FONNDED OR RENEWED VILLAGES
(According to „Toponimies in Armenia and near regions“) 27
Giorgi Sosiashvili
1432 TIRI DOCUMENT AND THE TAVKHELISDZE FAMILY 47

Paradigms of Literature Studies
Dali Betkhoshvili
FOR COMPREHEND OF LOVE ALEKSANDRE KHAZBEGY'S POETRY 55
Diana Mikeladze
STYLE PECULARITIES ACCORDING TO "PRIDE AND PREJUDICE" 61
Nestan Sulava
TIMOTHE GABASHVILI ABOUT SHOTA RUSTVELI 79
Marine Shonia
AHMED HAMDI TANPINAR'S OPINIONS ABOUT TURKISH MUSLIM CIVILIZATION 88
Irina Jishkariani
MIKHEIL LERMONTOVI IN RUSSIAN SYMBOLIST CRITICISM 102

History and Religion
Ucha Bluashvili
FALL OF SOKHUMI. FACTS, EVENTS, ANALYSIS 124
Nino Megeneishvili
CHRONICLES OF KUTAISI CATHOLIC CHURCH (XIX century, 30s) 158

Ethnology
Medea Burduli
ETHNOLOGICAL STATE OF MESKHETI MODERN VILLAGE 168

Tina Ivelashvili
EATABLE WILD PLANTS IN SAMTSKHE-JAVAKHETI 179

Education, Pedagogics and Social Sciences
Tsitsino Mavzarashvili
ATTRACTIVENESS CHANGE IN A DECISIONAL PROCESS UNDER A SOCIAL STRESS SITUATION FIX ATTITUDE CHANGE UNDER SOCIAL STRESS SITUATION 189
Marekh Natenadze
SOME ISSUES ABOUT THE EFFECTIVENESS OF LEARNING .. 193
Roland Kurdadze
EXTRACURRICULAR ACTIVITIES IN MATHEMATICS WITH ACADEMICALLY ADVANCED STUDENTS 198
Nato Kruashvili
TO STUDY THE EDUCATIONAL ACTIVITIES OF PETER KHARISCHIRASHVILI 209

Summary
Giorgi Khorbaladze
ABOUT THE TWO SIDES OF WIRE COMPLICATION IN MODERN GEORGIAN LITERATURE (according to two stories by Giorgi Sosiashvili) 210

Report of expedition
Merab Beridze
EPIGRAPHIC MONUMENTS PLACE OF KURTSKHANA 218

Meetings
Natela Beridze-Natsvlishvili
FOR SOME OPINION ABOUT CONVEYING FORMS IN TINATIN'S POEMS 230
Natela Beridze-Natsvlishvili
A FEW WORDS ABOUT SOME NOVELS BY TEMUR CHKUASELI 237
Maka Kachkachishvili
TYPES OF NATIONAL HEROES IN POETS' WORLD 245
Maka Kachkachishvili
SOME PECULIARITIES ABOUT THE POETICAL LANGUAGE *OF TEMUR CHKUASELI* *251*
Nestan Sulava
IN THE CHOSEN, BEAUTIFUL COUNTRY OF THE LORD 256

საგამომცემლო ჯგუფი: **ლარისა გურგენიძე**
ლია ზედგინიძე

გამომცემლობა

„ახალციხის უნივერსიტეტი“

ქ. ახალციხე, რუსთაველის ქ. №106,
ტელ.: 0(365)22-19-90, 591-41-12-78
ელ. ფოსტა:contact@sjuni.edu.ge